

1981/3



ISSN 0188-000 X

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ

7

1981



# ენათობი



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-სოციალური მუშაკთა შტაბი

წელიწადი 58-ე

№ 7

თბილისი 1981 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

პატრონ კალაძე — შახილი, ლექსი	3
ოთარ საბიძე — პენიტენციური ბაღი, რომანი	5
გიორგი გიგაური — ლექსები	30
რადუ ჩილაჩავა — ლექსები	33
ნინო მღვიმანი — ლექსები	36
ნოდარ ხუნდაძე — ვიკტორ-გოდის ლამობები, მოთხრობა	39
აკაკი ვახაძე — ლექსები	58
რევაზ დანელია — ლექსები	61
ანატოლ მამიძე — აზამათი, მოთხრობა, თარგმ., ოსტრიიდან ელენე ხაჩარულაძე	65
სოსო მამარაშვილი — ლექსები	69
ალექს გიგინეიშვილი — ლექსები	92
ჯამალ კახიანი — ლექსები	94
თენგიზ გომილაძე — იურ პრტი კავი, წამდელი ამბავი	97
ჯერონ კ. ჯერონი — რატონ არა გვაქვს ვუღებინ, მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანაძე	107

### კრიტიკა და კუბლიცისტობა

გუგუშვილი გვირგვინი — ტრადიციულობა, სიბავშვო	112
გიორგი ჯიბლაძე — ბავშვის კომპლექსი იდეალი	126
რუსლან ვაგა — ახალი მითვარის შუაი	144
ბავშვ მწერლები — თამარ მარსთავი	147
გუგუშვილი გვირგვინი — გუგუშვილის ხეობის სიზოგადი	150
თამარ ვაგა — ასევე გულმადის ან — ირანე პეტროვის კომპლექსი ტრადიციის გამგებლობა	154
სერგი ავალიანი — რუსთაველის ნატორფილუსოფიური შემოღობვა	159
სერგო თარგაძე — ანტი ბავშვური და ტრადიციული კულტურა	168

### მეცნიერება

ალექსანდრე ლეონი — გვირგვინი ათწლეულის გამგებობა	175
--	-----

### შეკრები, მოგონებანი

ქუჩი ქვიშვილი — ბავშვ მწერებისთვის მოსაგონარი	181
ბავშვ მწერებისთვის — კვირინი (ესკიზი)	185

### შინაარსის მიმოხილვა

თამარ ნატორფილი — ხიდი, გადგომის მამთა დინება	186
---	-----

მეცნიერებათა აკადემიის ბიოგრაფიული ცენტრი

საქართველოს აკადემიის ცენტრი:

გ. ბაბუნიძე, ი. ბაბუნიძე, რ. ბაბუნიძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-  
ლაძე, მ. ბიბინიანი, ა. გომიანი, კ. კალაძე, მ. ლეონიძე,  
ლ. მამლაძე, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ნ. წულუკიძე,  
? წულუკიძე, მ. ვილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ბიოგრაფიული ცენტრის რედაქციის სახელით

გადაეცა ასაწობად 8/VI-81 წ., ხელმოწერა-  
ლია დასაბუღად 23/VII-81 წ., ასაწობის ზომა  
71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>,  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბეჭდი  
თაბახი 16,58.

რედაქციის მანამართლი:  
თბილისი, რუსთაველის ქრონიკა, № 12.

№ 08530, ტირაჟი 22.000. შეკვ. 1601.  
ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ-სავაჭროცენტრის  
საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობის სტამბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ბეჭდვითი ცენტრი: რედაქტორის — 88-55-11, ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ-სავაჭროცენტრის  
მთ. რედ. მოადგილის — 88-55-13, განყოფი-  
ლებების — 88-55-15, 88-55-17, 88-55-20.

02/1/1

# შ ა ტ ი ლ ი

რაო, შატილმა, ბოლოსდაბოლოს,  
რას ამბობს მისი ქვათა ფიქალი...  
შატილმა როგორ არ დამაღონოს,  
რად ვნახე, თავი რად მოვიკალი.  
მე აქ სიცოცხლის, მე აქ სიახლის  
სწრაფვა მეგონა უმწვერუალესი,  
შატილს კი ქარი ფრთებს რომ შეახლის,  
მაჭვს ორბივით ნეკნის ნალეწი.

აგდა ხეესურო, ვერაგის ტუვია  
და უნდა აღსდგეს კვლავაც შატილი!  
შენ კი ქვაზე ქვა ვერ აგიწყვია,  
თუმცა ხარ ასჯერ ომგადახდილი...  
რას ეტყვი შენგან დამგობილ ამ გულს,  
როცა არაეინ აქ არ გიგულუმს —  
ან შეასკდები კლდესავით არღუნს,  
ან უცხო კოშკებს, ამერიკულუმს...

კვლავ ქედზე ნაჭდევს, ნახმლევ  
პიტალოს  
ნუკი გასწირავ და ნუკი წაშლი —  
ძირს რომ ქარწვიმამ ჩამოიტანოს,  
ხელახლა უნდა ამართო ცაში!  
ცად შიშველ ხელით ვინც ქვა აზიდა,  
ღრუბლები ვისაც გაუხანჭლია —  
ცისარტყელების სილაშაზითაც  
ღარი გულ-მყერღზე იმ კაცს აჩნია!

აჰა, არღუნიც... ხეესურთა ლოდებს  
შუბლს ჩამოშლია როგორც ქალარა,

ძველს ვეტრფი, მაგრამ სულს  
შემიშფოთებს  
სიახლე ძველმაც თუ არ მახარა!  
არც მიფიქრია — სად მიდიოდა  
როცა ამ წყალსაც წინსვლას ვუჭებდი,  
აბა, ქვის-ქალაქს შატილიონთა  
უკეთ, ხეედახეე სად ავუგებდი!

„სხვა ასე ახლოს ცასთან ვინ  
\* სახლობს!“ —  
ეთქვი და აქ როცა მეც დამიღამდა —  
თითო-ოროლა ხე შერჩა მალღობს  
და ისიც ტყიდან გამოსულს ქავდა.  
ხეებიც ხეე-ხეე თვალს აყოლებენ  
გაქვეულ ზვირთებს — თავზაფრიანებს  
დგანან ებოდზე და მაგონებენ  
კაცებს თმა-ბუძგა თვალ-წარბიანებს.

და მე კი სულ სხვა სურათი მახსოვს,  
აქ როცა თვალი გამინაბია:  
გზას ვით ღილ-კილოს ღილინით ნაქსოვს  
მიმასწაველიდა მწყემისი კაფია...  
მთას გაურბოდეს — ბარს შეეხიზნოს,  
არა, არ ფიქრობს ალბათ არღუნო,  
მზადაა ტალღა ხმალივით იძროს  
შატილის სალი კლდით გაჩალხული!

განა მთის კაცი უბინდაროა,  
ღილა მწირივით თავს დაათენდეს!...  
იცის რას ვფიქრობთ, იცის რა დროა —

საქართველოს საბ. საჭ. სსრ

ის, რაც ინგრევა — უნდა აშენდეს!  
განა არღუნის ქადილი სხვაა  
და სხვაა ნატეხ ქვათა ქადილი!?  
ფიცის გამტეხი რომელი ქვაა,  
რომელმა დასცა დაბლა შატილი!

მთის-კაცი ხუროთ-მოძღვარს უჭერებს  
და მას არ ძალუმს კვლავაც არ აქოს,  
ვინც ფუძე-ამცდარ ქვას შეუჩერებს  
შატილს საზღაპროს და საარაკოს!  
მახსოვს, მე მახსოვს აქ იღვა ღმერთი  
დამკვიდრებული მამა აქ მყოფთა,  
იღვა და როგორც ხევსური ერთი  
ისიც ფიქალზე ფიქალს აწყობდა!...

რაო, შატილმა, რა უტყუარი  
გზით სცადა დროთა გაბათილება...  
იყოს! სიცოცხლის წესი თუ არის  
ქვათა სიჩუმე, წყალთა ღინება!  
მაგრამ ვინც ერთხელ ჩააქრო კერა,  
მოიკლა ეინი შინ დაბრუნების —

მისი სულისთქმა და გულის ძველი  
უკვე არაა ჩვენი ბუნების!

ჩვენ ვიცით მთების გულში რაც ხდება,  
სიკვდილი განა გაგვიოლდა, —  
არ დამარცხდება, არ დამარცხდება  
საგვარეულო შატილიონთა!  
აქ დიკისა და ლეის ყვავილიც  
თვალს ამ იმედით ახელს, არღუნო,  
და ხელაღებით ვერც შენ ჩაგვივლი,  
ისე — სიცოცხლე რომ არ გვარგუნო!

ქვა-ციხევე იღექ, იღექ მამაცად  
ჩვენს ძახილს განა დააგვიანდა —  
დარაზმულია სამას-სამასად  
სპა არა მხოლოდ არაგვიანთა! —  
აქ, სადაც შატილს გაუღვამს ძირი —  
ამალღდეს კვლავაც ღიდებად ჩვენდა!  
მეტს იტყვის ვინემ სიცოცხლის ეინი,  
მეტს იტყვის ვინემ სიმტყივე ძველთა.

# ვენეციური ჭალი

რომანი

I

სასაფლაოზე აღარაინ დაჰხვედრია...  
ყვავილების ბულული დაედგათ ახალ  
საფლაოზედა, ქალი ჩაემხო იმ ბულულ-  
შია, შავით მოსილი ქალი ჩაემხო და აქ-  
ვითინდა:

ყმაწვილი არა, — არც ჩამხობილა  
და არცთუ წახრილა, არც ცრემლი და-  
ვარდნია, არც აჩუყებულა, მხოლოდ  
ქალის წამოყენება უნდოდა, დამშვი-  
დება უნდოდა ქალისა, გაცილება უნ-  
დოდა იქიდანა, უნდოდა და ვერ გაებე-  
და. ვერც სიტყვა ეთქვა, ვერც დახრი-  
ლიყო, იდგა და ელოდა, იდგა და თვა-  
ლებს დაატარებდა მუხათგვერდის ჩა-  
მოლოკილ გორმახებზედა:

იქ ახლა სასაფლაოს დაედო ბინაი, —  
მუხათგვერდის ჩამოლოკილ გორმახებ-  
ზედა, — გადახოტრილიყო უღრანი  
ტყევი, მუხნარი უღრანი, ქარს მტვერი  
აეხვეტა, დააბზრიალებდა, ან გააკიდე-  
ბდა ფარდასავითა, თითქოს და რაო,  
უნდა აათაროს მალრივ შენობებსა, ქა-  
ლაქიდან რო ამოჩრილა, წამოტანებუ-  
ლა, მოსდგომია თუ ლამის მოსდგომია  
მუხათგვერდის სასაფლაოსაკა:

და ზუოდა ქარი, ქარი ჰხვეტავდა,  
გვიდა გორმახებსა მუხათგვერდისა,

გვიდა და აყრიდა, თვლებში აყრიდა  
მზესა;

ასე ენება ქარსა მუხათგვერდისა.  
და ჰქვითინებდა ქალი, სასაფლაოზე  
რო არაინ დაჰხვედა, ჰქვითინებდა  
გულმდულარედა, უფრო მეტად გულ-  
მდულარედა:

იქ მამა ესვენა, იმ ბულულქვეშა,  
ყვავილების ბულულის ქვეშა, დედაც  
ესვენა იქავე, გვერდითა, დედაი ამისი,  
— დედას ჩამოუსწრო, ბოლო წუთებში  
ჩამოუსწრო, თვითონაც დაუხუჭა თვა-  
ლები, დაიტირა წესისამებრა, დედას  
ჩამოუსწრო და მამას ევლარა, ევლარ  
ჩამოუსწრო, ბარელამ დაბრუნება ამოე-  
ჭრა გულში და ევლარ ჩამოუსწრო,  
დრო არ ეყო და ევლარ ჩამოუსწრო,  
— წესებს, ქალაღლებს მოუნდა დროი,  
ერთი ადგილიდან აყრის ქალაღლებსა,  
თვითმფრინავმაც დაიგვიანა და სასაფ-  
ლაოზე აღარ დაუხვედნენ; აღარ დაუხვე-  
დნენ და კიდევაც ერჩივნა, მუხლმოჭ-  
რით დაეარდა ყვავილთა ბულულზედა,  
ზედ დაეარდა და ზევიდანაც გადაეყარა.  
— ქარი აყრიდა და ქარი გადაჰკრეფ-  
და, მტვერსაც აყრიდა და მტვერსაც  
გადაჰკრეფდა, ანთუ ერთადვე აიტაცე-

ბდა მტვერსაცა და ყვავილებსაცა, აიტაცებდა, აიტანდა, დააბზრიალებდა გაფიცებულნი ქარი მუხათვეერდისა; იქით მოსჩანდა თოვლიანი მწვერვალებიცა კავკასიონისა, თბილისში მაინც ზაფხული დამდგარიყო; ქარიც მაინც ისუსებოდა, ასპიტი ქარი მუხათვეერდისა; ისუსებოდა და დაესუსხა, ეს სუსხი ქალს ვერ შეაერთობდა, ვერც ჩაბალახები, თეთრი ჩაბალახები კავკასიონისა ვერ შეაერთობდა, — ყინვისა იცოდა, თოვლისა იცოდა, იცოდა და კარგადაც იცოდა, იცოდა სიციხეცა თბილისისა, იცოდა და კარგადაც იცოდა, — წასულიყო და დაბრუნებულყო, ნებით წასულიყო და ნებითვე დაბრუნებულყო, ეჩქარობ რო გითხრა, რო არ დაეჭვდე, კუდები რო არ გამოაბა; ჰოდა ასეო, ნებით წასულიყო და ნებითვე დაბრუნებულყო, აპყოლოდა მოწოდებასა ჩრდილოეთისა, ჩრდილოეთის შშენებლობათა, აპყოლოდა და გაპყოლოდა ახალგაზრდული აფორიაქებითა;

ოღონდ ესაა, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, — ახლა ცხადია, — საფლავს რო ემზო, ყვავილები რო გადასდიოდა, ქარი რო წეწავდა, მუხათვეერდის ქარი, ქარი ტიტველი გორმახებისა; ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და ხანშიშესულსაც ვერ შეჰბედავდი, ვერა, რა სათქმელია, — სიქორფე შეენახა სახესა, ტანსაც შეენახა სიქორფეი, უკეთ თუ ითქმის: სილამაზეს შეენახა ქალი, ხნოვანება არ დასტყობოდა; ნებვირობა არ შეჰბედავდი, შრომა და ჯაფა არ მოჰკლებოდა, მაინც შეენახა სილამაზესა; ისე ჰქვითინებდა, მძაფრი განცდისა უნდა ყოფილიყო, არც რას მოაკლებდა წუთისოფელი, არ მოაკლებდა სიმწარესა, მაინც შეენახა, სილამაზეს მაინც შეენახა; და ჰქვითინებდა გულმდულარედა, რო ვერ ჩამოესწრო იმიტომაცა, მარტოდ რო დასტოვა მოხუცობაში, იმიტომაცა, უძღურებაში მარტოდ დაავდო. ის ამას არ დაიჩივლებდა, არც არავისთანა, არც თავისთვისა, როგორც თუ რა იყო, ისე ეგონა, რო

უნდა ყოფილიყო, — რა ეუყრობოდა ცხოვრებამ ათრია, ეგონა, რო უნდა უთრია, სწორედაც ისე უნდა ეთრია, რა ეუყოთ თუ თვითონ ილწოდა, სხვა მიითლიდა ყოველ სიკეთესა, ეგონა რო უნდა მიერწყო, უნდა მიელო იმ ვილაც სხვასა, რა ეუყოთ თუ ქედი დაეხარა, ხარკით დაეხარა რალა თქმა უნდა, შეედგა ულევი, შეედგა და გაეტანა, ამას გაეტანა და სხვას მოერთო ბზუილი, არაქისა არ იყოს, ბუზი რო ბზუოდა ხარის რქაზედა, მთელი დღე ვხანვდითო, რა ეუყოთ მერე, ეგონა, ასედაც უნდა ყოფილიყო, ანთუ და რაო, ასე იყო და, აუხირდი რამდენიც გენებოს; ასე იყო და ასეც თუ ეგონა, არცთუ მოუხმობდა თავის ქალიშვილსა რალა თქმა უნდა, არც არავისთან დაიჩივლებდა, ვაჟიშვილიც რო დაეღუპა, იმში ცხადია, იმასაც არავის დაამუნათებდა, თავსაც არაფრით ინუგეშებდა, იყო და ელოდა, აღსასრულს ელოდა გასაოცარის სიმშვიდითა, გასაოცარი ერთგულებითა, როგორც რო გალია წუთისოფელი, აღსასრულსაც ისე ელოდა, — არც უცმაყოფილო, არცა მადლიერი, ელოდა და ეყარა მიწაი, გულზე ეყარა რალა თქმა უნდა, ყვავილებიც ეყარა მიწაზე, შვილიც დამხობოდა, დაგვიანებული შვილი.

იქითაც მიეწყოთ თუ მიეგნიათ ყვავილები, დედის მხარესა, დღესღა მიეწყოთ თუ მიეგნიათ, ნარეკალიც გადაეგლიჯათ სამაროდანა, გადაეგლიჯათ და გადაეყარათ, შემკნარიყო და გახმებოდა, გახმებოდა და აპყებოდა ქარსა, გადაგორდებოდა ბეტონის ფილებზედა, დაიფშენებოდა და გაიფანტებოდა; ბეტონის ფილები ჰო საფლავები გახლდა, ერთი, ერთნაირი, განურჩეველი, მოფენილი გორმახებზე მუხათვეერდისა, მოფენილი მუხის ნაცვლადა, ტყის მაგიერა, ნიშანი წარსულთა, ოღონდ რა ნიშანი, ველარავის რო ველარ გამოარჩევდი, ვერ მიავნებდი შენიანსა, დაიბნეოდი ერთფეროვნებაში, გაბოცდებოდი, გალექდებოდი... მაშის საფლავზეც უნდა დაედო ფილაი ისეთივე, დე-



დის საფლავთან რო დაემაგრებინათ, გორმახებიც რო მოფენილიყო ნაცრისფრადათ თუ მიწისფრად. ვერ გამოარჩევდი მიწისაგანა, — მიწა ხარ და მიწად იქვეცო, — ვერ გამოარჩევდი მიწისაგანა; დასაწანიც რო არ იქნებოდა აქ არაფერი, — მერე ცხადია, მერე და მერე: ზედ შესდგებოდნენ ბულდოზერები, ზედ შესდგებოდნენ და გადაივლიდნენ, გაასწორებდნენ და გადათხრიდნენ, კედლებს ააგებდნენ და ქუჩებს ვასკომებდნენ, პანლურს უჭერდნენ ქარსა, მუხაგვერდისა, პანლურს უჭერდნენ და გააძევებდნენ, დიღმის ქარი როგორც გააძევეს, აგრეთვე ქარიცა საბურთალოსი. ვაკის ქარიცა, ვერის ქარიცა, გააძევებდნენ, ვიბურთავებდნენ იქით და იქითა, არმაზს იქითა, მიუჩენდნენ სხვა გორმახებსა, ძეგვისა თუ ხეკორბულასი.

არც არაფერი დაინანებოდამეთქი, თუმცა ესეც ფასად უჭდებოდათ, კაა გვარიან ფასად უჭდებოდათ, ოღონდ თვალს რაზან არა იტაცებდა, არც არაფერი დაინანებოდა: ვაკის ძეგლები დაინანებოდა, საბურთალოსიცა, დიღმისაცა, რა ვუყოთ მერე, — გადაუვლიდა მსახვრალი ბედი, ბედი უღმობელი, ბევრ ძეგლზე როგორ გადაუვლია, გადაუვლია და აღარავინ დაიხსოვებდა იქ დაღვრილ ცრემლსა, მოთქმასა იქურსა, აღარავინ დაიხსოვებდა, სიცოცხლე ასე გაუტანელია, მოთავისევა სიცოცხლე ასე, სიცოცხლე ცეკვავს სასაფლაოზე, სიკვდილს აძევებს, თვითონ ეუფლება: იქაც ის მივა, სიცოცხლე მივა რალა თქმა უნდა, იქაცამეთქი, მუხათგვერდზედა, თუნდაც დაღლილი სიცოცხლე მივა, როგორც მისულა ვერის ბაღებში, — რო სეირნობენ იქა მოხუცები, ვადამღგარნი სამსახურიდანა, მრავალს რო მსჯელობენ, — აუ, რას აღარა!.. — დაჩაჩანაკებული გონებითა და დადამბლავებული აზრებითა: ქორთვა სიცოცხლეც ისევე მივა გორგოლაკებითა, დიდებები რო დაავგოაკებენ ჩვეილთა, პირში გამოჩრდილი საწოლერბითა, დედის ძეძუ რო მონატრებითა, ანაუ არც იციან, არც ეცოდინებათ:

რო დახტინან უფრო მოზრდილები, ზეხტინან, ჰკვიან, დაეისკისაობენ; ჰადრაკის დაფებთანაც რო ჩაფიქრებულან, პატარანიცა და მოდიდონიცა, უმცროსებიცა და უფროსებიცა, გოგონებიცა და ქალებიცა, — აბა მაშ რაო, ჰადრაკის სასახლეც რო იქ აღმართულა, იქიდანვე რო განთქმულა სახელი მოქადრაკეთა ქართული სკოლისა, — ქალთა ოღონდა, ოღონდაც ქალთა!.. — განთქმულა და წასულა, წასულა და უვლია, ქვეყნიერება შემოუვლია; ჯერ იქ რო გაწვრთნილან და იქვე რო შეპიდებულან, იქიდან რო გაჭრილან და იქვე რო მიუტანიათ გვირგვინები დაფნისა; იქ დაბრძანებულა დედოფალი მსოფლოისი, ჰადრაკის დედოფალი, იქვე გამოჩეკილან მეტოქენიცა, გამოჩეკილან და დაზრდილან მოცილუნი ტახტისა; იქ აღარ ახსოვთ აღარაფერი სასაფლაოსი, ბობოქრობს ვნებაი, ვნებაი სიცოცხლისა, სიკვდილი რო დავიწყებია, მხოლოდ ესაა, ერთი ქვა მაინც რო შემორჩენილა, საფლავის ქვაი რალა თქმა უნდა, „მეჯანუაშვილის“ ავტორის ქვაი, უბრალო ქვაი, შემორჩენილა სადღაც კუნჭულში, კაცის ფეხი რო ვერც მიატანს, — ვერცა თუ ჩვილთა, ვერც მოაბეჭრე პენსიონერთა, — ამიტომაც თუ ვადარჩენილა, იმიტომაცა, უბრალო რაო, ქვა არის, ქვაი, და მეტი არაფერი: მარმარილო ჰო ვაუტაციათ, უამრავი, უძვირფასესი, შორით-შორიდან მოზიდული, ვაუტაციათ და გარდაუსახიათ, სხვათა სადიდებლად გარდაუსახიათ, სხვათა სადიდებლად ჩამოზიდული; მაშინ ჰოსულ სხვებს უჭროდა ქარი, ქარი ვერისაი, —სხვებს უჭროდა და ქარიცა ჰჭროდა, ქარი ვერისაი, ჰჭროდა და აღარა, რო აღარა ჰჭრის, ძლივსა სუნთქავდნენ ჩვილებიცა, პენსიონერნიც ძლივსა სუნთქავენ, ოღონდ კამათს არ მოიშლიან, მსოფლიოს ბედზე რალა თქმა უნდა და რამდენჯერმე ამოისუნთქებენ თუნდაც რო წარმოსთქვან ეიზენჰაუერი, — ჰოდა წასულა, წასულა ქარი, სიო რა არის, წასულა სიოცა, ნიავიც წასულა, დაეიწყებულა ზენაქარიცა.

ქვენაქარცა, უწრიალია, უწრიალია და მიწყვეტლა აწ მუხათგვერდზე;

და ჰქვითინებდა ქალი მუხათგვერდზე,

არ დააღიდა ქარი მუხათგვერდისა,

არც დააღიდა და ქშუოდა ისე, ვაჟსაც რო არ ესმოდა ქვითინი იგი, იქვე რო იღვა;

და ჰქროდა ქარი, ბურბურებდა მტვერი მუხათგვერდაზედა;

იქვე რო იღვა და რო არ ესმოდა, ქარისაგან რო იყო, თვალის გაურბოდა მუხათგვერდის გვერდობებზეცა, იმას იქითაცა, შორეულ მთებსა და შორეულ მწვერვალებზედაცა; შორეულსაო, აქ ითქმის, თორემ თითქოს ზედშემორტყმოდა, ისე განიცდიდა, ისე შესჩვეოდა სხვაგვარ მიდამოსა, გაშლილ ველებსა, ტრიალ მინდვრებსა, პორიზონტი რო მიუახლოებდა, შემოუნაპირებდა თითქოსო, მიუახლოვდებოდა და დააშორებდა, თვალს მოსტკრიდა, წარსტაცებდა და გაუბოცებდა; მთები აგერ ზედ გადამოსდგომოდა, მწვერვალებიც გადამოსდგომოდა, ხელს გაიწვდიდა და ჩამოეყრდნობოდა თითქოსაო, — თანაც მომალლო ჭაბუკი ვახლდა, ანთუ მომალლო სწორიც არ იქნება, მაღალი ეთქმოდა, ისე მაღალი, კალათბურთელთა მწვერთნელებსაც რო მოსტაცებდა თვალსა: მაღალი, სწორი, განიერი და მოზიდული მხარბეჭითა, ქართული მხარბეჭითა, ბველი ფრესკებითა თუ იტიბელი მისიონერების ჩანახატებითაც რო გვეცნაურება, ოღონდ ესაა, სახე აღრეოდა, და რო აღრეოდა, ქართული იერიც რო გვეცმოდა, უცება, უეცრად, ელვად რო გავკრავდა, მყისვე მონოლოური ამოგებეჭდებოდა, მყისვე, მაშინვე, მონოლოური თუ უფრო ჩრდილოური, მონოლოურ-თათრული, თათრულ-კარგული, თუ ლმერთმა უწყის უფრო რომელი, რომელთაგანი, სადით სადაური, ლმერთმა უწყის თუ ანთუ ეშმაკმ; თვალბში უჭდა იერი იგი, — ლმერთმა რო უწყის თუ ანთუ ეშმაკმა. — აზიდულ ლაწვებზეცა, წამოხურულ შუბლზედაც აჭდა, სხვა აჭური გამოკ-

ყოლოდა, — ცხვირი მაინც მაინც მაინც და რაო, მინიატურაა აგერ მაინც მაინც და დებისაო; ხელიც წაუვიდა უნებლიედა, წაუვიდა და ცხვირზე ჩამოისვა, თვითმფრინავი რო გადადგა კავკასიონზედა, ხელიც ჩამოისვა და თვითმფრინავიც გამოეცალა თითქოსაო, ანთუ მოიშორა და ნაბიჯით გაუყვა, გოლიათური ნაბიჯითა, კავკასიონიდან თრიალეთზედა, თრიალეთიდან არსიანზედა, გაუყვა და გადავიდა, გადავიდა და გადმოვიდა, ქვეშ ამოიდო ფერდობნი, მონატურნი, ველობნი ფერადფერადნი, კაყაბაძის ტილოსავითა, ქვეშ ამოიდო და გადავიდა, გადავიდა და გადმოვიდა მთიდან მთაზედა, მთაგრეხილიდან მთაგრეხილზედა, დიადი, ზეიადი, როგორიც რო არ ყოფილა, არასოდეს არა ყოფილა: მერე უეცრად დაპატარავდა, მთებმა დაიტანა, იმავე მთებმა. ჯერ თუ ძირს დაყრილნი, აიზიდნენ ისე უეცრად, თვალის შეწვდენა რო გაუჭირდებოდა, აიზიდნენ და გარს შემოერთყნენ, მოზლულდეს, მოწურეს, მოწუთხეს ისე, ველარ ამოძვრება იქიდან თითქოსაო, მოზლულდეს და მიჰყუდეს მხარცა, თითქოს აი ჩამოეყრდნობაო, თითქოსაო რალა თქმა უნდა, — აქ ასე ახლოს მოსულიყო პორიზონტი, მთების პორიზონტი, ტრამალებისას რო არა ჰგავდა... და აქ ისაა სწორედაც სათქმელი, ჭაბუკს რო შეეძლო ამოეკითხა, შეეძლო და კიდევაც უნდოდა, ამოეკითხა, შემოეკითხა ის გვერდობები, ის ფერდობები მუხათგვერდისა, ყველა წარწერა, ყველა გვარი ამოეკითხა, ეყვირა და ისე, ქარისთვის რო ეჯობნა როგორმე, თუნდაც მოჰყოლოდა ქარბორბოლაში, ეყვირა, ეყვირა ქართული გვარები, ელაპარაკა იმა გვარადა; რაო თუ გამგონე არავინ იყო, ის ქალიც არა, რო ჩაკარგულიყო მწუხარებაში, ქვითინში რო ჩაკარგულიყო, გზაშიც რო სდუმდა, კრინტიც არ დაუძრავს, გზაში თუ ჰერში, — ანთუ სულერთია, ჰაერიც რო გზად გადაიქცა, ჰოდა რაო თუ არ იყო სხვა სულიერი, ქარი ჰო იყო მუხათგვერდისა, განა რო ჰქროდა, თითქოსაო



და რო ლაპარაკობდა... ქაბუეს მინც ასე ეგონა, ესაუბრებოდა თითქოს ქარი მუხათგვერდისა, გულში იკრავდა, უთათუნებდა ბეჭებზე ხელსა, ეგონა და გაესაუბრა, გადაახვია ხელი თეთონაცა: გაესაუბრა და შეერთა ქაბუი.

ანთუ ქარი შეერთა,

დაიხია, დაიხია, ჩაიწია, ჩაეიდა,

ამოჩრილ შენობებს აყრიდა მტვერსა,

გორმახებიდან ჩატანილ მტვერსა,

ავად აყრიდა, შლეგიანად აყრიდა,


როგორღაც გაიხარა თუ როგორღაც ეუცნაურა გამოთქმა ქაბუისა, — ქარს ეუცნაურა და შეერთა ქაბუი:

იქ უფრო თამამად ლაპარაკობდა, იქ ვამბობ, სადით თუ გაღმწერინდა, ოდესღაც ამას ხატოვანი გამოთქმა ერქვა, — მამაც უფრო წააქეზებდა, წაიშლერებდა კიდევაცა, ამლერდებოდა და ამლერებდა, დედას არ მოსწონდა, ნეტავი თუ ბავშვს რად აწვალებ, აბა სადღა გამოადგებო, მამას სახე დაეფშხალებოდა, დაემანქებოდა, გაეგრიხებოდა, უფროც აწვალებდა და მართლაც აწვალებდა ბავშვსა, აწვალებდა და ეწვალებოდა, ჰხატავდა „დედაენასა“ გოგებაშვილისა, ზეპირადა ჰხატავდა, ასოებსაცა, სურათებსაცა რალა თქმა უნდა, ჰხატავდა და ჰკონავდა, წიგნად შეადგენდა, შეადგენდა და მიჰყვებოდა: „აი ია... აი თათი...“ მიჰყვებოდა და იმეორებდა, იმეორებდა და ამეორებინებდა, მოუწონებდა და წააქეზებდა, დაუწუნებდა და ებუზღუნებოდა, გააცეხლდებოდა კიდევაცა, წააქეზებდა მერე ისეცა, გააცეხლდებოდა მერე ისეცა, წამოსციკილდა ცრემლები ამასა, ხანთუ ცრემლები წამოსციკივოდა დაიშოშმინებდა გულსა ხანცა, აჰყვებოდა, გაიკვეთავდა, შეეჩვეოდა, გათამამდებოდა; გამოემართა თამამადაცა და მინც შეერთა, — ქარმა შეერთო მუხათგვერდისა, ოღონდ მანამდე თვითმფრინავშიც შეერთა თუ დაშინდა, რო შემოსესა ნაცნობი ხმები, სიტყვები ნაცნობი, თითქოს ნაცნობი და მთლად უცნობი, რო შემოსესა და ვერ რო გაიგო, გაიგონა და ვერ გაიგო: ამ-

ბობდნენ თითქოს მოჩქარებულად თითქოს ცოტა შემლერებოდა, მსხერე-ვითა თითქოსა, კლდეთა მსხერევეითა თუ ჩანჩქერთა მსხერევეითა, შეუჩნეველი და მკვეთრი მახვილითა, როგორღაც ისე, რო ბერს რო გულისხმობდნენ და გული გულს რო ეზიარებოდა, ბერის სიტყვა რო არც გაეგონა, რო ვერ გასწვდნოდა გოგებაშვილი, ვერც რო ჩათავებინა გოგებაშვილი: მინც მოსწონდა, შექუტრებდა გაფაციცებული, აოცებდა ბელერადობა თავისებური, აოცებდა და გულსედებოდა, ასე ნაცნობი, ასე მახლობელი და ამალღებელი ისე, იმდენადა, ადვილადაც რო ვერ შესწვდებოდა, ისინი შეჰხაროდნენ, ცას შეჰხაროდნენ, ერთმანეთს შეჰხაროდნენ, შეჰხაროდნენ ამასაცა და გამოჰხატავდნენ სიხარულსა, როგორც რო სჩვეოდათ: ღვინოსა სთავაზობდნენ, წითელ ღვინოსა, წითელსა თუ მოშავოსა, უფრო მოშავოსა, სთავაზობდნენ საფერავსა, ტუჩებს იწუწინდნენ, შეშავებულ ტუჩებსა და შენც ჩაიწუწინო, ეუბნებოდნენ და ანიშნებდნენ: იწუწინიდა ესეცა ტუჩებსა, იწუწინიდა და გაეგებოდა თითქოს ყველაფერი, რასაც ამბობდნენ თუ გულისხმობდნენ რასაცა, როგორც უნდა ეთქვათ, გაეგებოდა, სტოუარდესა გააფრთხილებდა, არ შეიძლებაო, გააფრთხილებდა არც ისე მკაცრად, კავასიონს, რო, რაც რო გადმოსცდებოდნენ, მერე სულ აღარა, ასე გასინჯე, მიიპატიებდნენ კიდევაცა, ის არ აჰყვებოდა, ესეც ვერა, ვეღარ გაჰყვებოდა, მეორე ჭიქას ვეღარ შეჰბედავდა, მინც ჰო უკვე გაეგებოდა ისე მახლობელი და ისე დაშორებული, ისე გაუცხოებული და ისე თავისიანი, ისე გაბმული და ისე გამოკვეთილი, სისხლიერი, სისხლისმიერი, ის ღვინო რო იყო, პირდაპირ მარღვებში რო მი-თქრიალებდა, რო ისხმებოდა პირდაპირ გულში

ისეც გადადიოდა თვითმფრინავი მუხათგვერდზედა, გადადიოდა, გადადიოდნენ, გადადიოდნენ და გადადიოდნენ;





ხედავდა, მანქანა რაო, ვიდოდა თავი-  
სითა თითქოსა, ამისი მართვა არ უნდო-  
და თითქოსა, ვიდოდა, ვიდოდა, ჩადი-  
ოდა და ჩადიოდა, უხვევდა და ჩადიო-  
და, მალღდებოდა გორმახები მუხათგვე-  
რდისა, მალღდებოდა ქალაქიცა, მალღ-  
დებოდა და მალღდებოდა.

— დრო როგორ მიჰქრის!.. — აღმო-  
ჩხდებოდა ქალსა.

— მიჰქრის. — ისეც დაუდასტურე-  
ბდა, გადახედავდა ისეც და ისეცა, მან-  
ქანა მიჰქროდა, მიჰქროდა და უხვევდა,  
ხკიალებდა და ფხოტნიდა მტვერსა.

— არ გადავცივდეთ. — იტყოდა  
ქალი, უშიშრადა თუ გულის გარეშედა.

— არ გადავცივდებით.

— თუმცა რაო... — ხელს ჩაიქნევდა  
ქალი.

— არაფერი, არაფერი, არ გადავცივი-  
ვდებით!.. — ანუგეშებდა უფრო ბეჭი-  
თადა და უფრო აწყვეტით დაეშვებოდა,  
დაეშვებოდა უფრო ხკიალითა, — მი-  
ვუსწრებთ. — ამითაც ანუგეშებდა, —  
აღბათ თუ სხდებიან...

და გაფრინდებოდნენ. გაეკიდებოდა  
და ველარა ველარ გაეკიდებოდა, —  
სულსლა ლაფავდა ქარი მუხათგვერდი-  
სა:

11

იქვე თუ ჰლაფავდა, ჩამოვაცემისასა,  
მერე აღბათ ჰო შეიხუთებოდა, ჩაიხუ-  
თებოდა, — ჩაიხუთებოდა უფრო მე-  
ტად ძველი ქუჩები:

ძველი ეთქმოდა საბჭოს ქუჩასაცა, —  
განაპირა ქუჩა რო გახლდა, სახელრე  
რო სხვა ერქმეოდა, ეთქვათ, 'XIX':  
საუკუნის ბოლოსათვისა:

განაპირა ქუჩა რო გახლდა, ფართო  
ქუჩადაც რო წამოჩნდებოდა, იმ კვალო-  
ბაზე რალა თქმა უნდა:

იმ კვალობაზევე ავქალის ქუჩა რო  
ერქმეოდა თავდაპირველად, მოედან-  
ნიც რო მოებმოდა და ავქალისავე სახე-  
ლი ედებოდა, იმ კვალობაზევე, რალა  
თქმა უნდა:

მოედანი ბაზარიც იქნებოდა, ავქალის  
ბაზარი. ანთუ ბაზარი იქნებოდა მთელი  
ქუჩაი, თავით ბოლომდისა. დუქნებით:

პირველ სართულებზე, სახელრსნობი-  
თა, დოვლათითა და ლაზათითა იმ საუ-  
კუნისა, რალ თქმა უნდა;

სასაფლაოც ჰო იქითვე გაიტანებო-  
და, სასაფლაოი კუკიისა, წმიდა ნინო-  
სი; სასაფლაოს შორი ეთქმოდა, იმ კვა-  
ლობაზე, რალა თქმა უნდა; და ჰქროდა  
ქარი მაშინ კუკიისა, ქვენა ქარი ჰქრო-  
და, ცხელი ქარი ჰქროდა, მაინც ქარი  
ჰქროდა;

ქალაქი გაიწევადა, ქუჩა სახელს გა-  
მოიცვლიდა, სასაფლაო არა, დაძვე, არა,  
სასაფლაო არა, — ქუჩა დაირქმევედა  
განთქმულ სახელსა, განთქმული გენერ-  
ლისა თუ სხვარიგად დამსახურებულისა  
იმპერიის წინაშე, დაირქმევედა და გადა-  
ირქმევედა;

მოედანს იგივე სახელი შერჩებოდა,  
— ავქალის მოედანი, ბაზარსაც იგივე  
სახელი შერჩებოდა, — ავქალის ბაზა-  
რი; გამოუცვლიდნენ ამათაცა რალა  
თქმა უნდა, ოლონდ ისე, რო ქალაქი  
რო გამოუცვლიდა, არ გამოუცვლიდნენ  
მოქალაქენი;

მერე ბაზარი მიიკუნწებოდა, მიიკუნ-  
წებოდა და შეიჭრებოდა, შეიჭრებოდა  
და გალარბდებოდა;

მერე დარაბები გახუნდებოდა, დარა-  
ბები პირველი სართულებისა, დიდი შე-  
ნობების, — იმ კვალობაზე რალა თქმა  
უნდა, — პირველი სართულებისა:  
ამოივსებოდა სარდაფებიცა, ყოფი-  
ლი რესტორნები, ყოფილი საწყობები,  
საყინულეები, ამოივსებოდა მიწითა,  
ნაგვითა, ჭანდაბითა და ოხრობითა, ამო-  
ივსებოდა;

შეიცვლებოდა ყველაფერი, ოლონდ  
ერთი რამ, ერთი რამ დიდხანს არ შეი-  
ცვლებოდა: ისევდაისევე ჩამოუვლიდნენ  
ოქროყანელი მემაწვენები, წყნეთელი,  
დიდმელი მემაწვენები, ისევდაისევე გაი-  
სმოდა, — „ოქში, ვირო!“ და წაებ-  
მებოდა გამყივანი, — „მაწოოოოოოოოო-  
ნიიიიიიიიიიიი!“ — წაებმებოდა ჭერ  
მოძახილდა, მერე გუნდი აგუგუნდე-  
ბოდა, გაშლილი გუნდი მტკერის ორ-  
თავ მხარესა;

მიეგებებოდნენ დარაბებიცა, — მო-

ბინადრენი, მერე დარაბები რო სულაც რო აპყარეს, გადახუნებული დარაბები, გადაგლეჯილი დარაბები, ფანჯრები შეაბეს:

მუხათგვერდელი მენახშირეებიც ჩამოივლიდნენ, — მუხათგვერდი რო მოატიტელეს, მოატიტელეს და გაჰქრნენ კიდეცა:

ჩამოივლიდა უკანასკნელი თაბახიცა, — უკანასკნელი კინტო ჩამოივლიდა უკანასკნელი თაბახითა, იხანხალებდა თაბახზე ტარანი, და იყვირებდა კინტოცა, ტარანიო, კინტოსი ქუდილა რო შერჩებოდა, თაბახიცა ცხადია, ხმაცა, — ტარანიო... ხმაცა, იქვე რო ჩაებრინებოდა, თაბახსაც იქვე რო ჩაღწეწავდა, ქუდს რო არ გაფხრეწა, დაბერტყავდა და შინ წაიღებდა:

ოლონდ მანამდე, ტარანიო და რო გადმოდგებოდნენ, გადმოდგებოდა ციციონოს პაპაცა, თევზი უყვარდა და გადმოდგებოდა, თართი ერჩინვა, ზუთხი ერჩინვა, მაგრამ და რაო, რო გამწყვარიყო, გადმოდგებოდა ტარანისთვისაცა:

მერე ჰო ტარანიც არ იშოვებოდა... ეს არაფერი, არც არაფერი, სიტყვა თუ მოიტანს, თორემ ისე რა სათქმელია, — უყვარდა თევზი ციციონოს მამასაცა, აწ განსვენებულსა რალა თქმა უნდა;

სუფრაზეც მიეტანათ ტარანი, იმ თალს სუფრაზე. გლოვის სუფრაზე, ქელხზემეთქი, ტარანიც მიეტანათ, სათალიც დაეჭრათ, თხლად, თხლად, სიფრიფანად, როგორმე ყველას რომ ჩაეგემებინა პირი, ისიც უყვირდათ, სად იშოვესო, უყვირდათ და ფრთხილად გადაჰქონდათ, ჩანგალზე არ ჩაიწეწოსო, —

ჰო ეს ქელხზე ციციონოს მამისა, ლონ ბადრიაშვილის ქელხზემეთქი, —

ხოლო ციციონო ესა ბრძანდებოდა, ეს დაგვიანებული ჭირისუფალი, აქამდე სახელიც რო ვერ გითხარი ვერ მოგახსენე ყველაფერი ერთბაშად:

ოლონდ ოოოო... არ მეგონა თუ ავჭალის აუდიტორია დამაიფიცებოდა, თავისი ღიზა ჩერკეზიშვილითა, თავისი ნი-

კო გოცირიძითა, თავის იოსებ ჩხიტიანი ვილითა, მაყურებლითა, რაც მთავარია, ავჭალის უბნის მაყურებლითა, არ მეგონა და გამოშრჩენია, მაშ მერე იყოს:

ისიც მერე იყოს თუ როგორ იარა ავჭალის ქუჩაშა, როგორ გადინაცვლა, აწ თუ სად არის, როგორ გადაუვლის თვით ავჭალასა, გადაუვლის და გასწევს და გასწევს, ისიც მერე იყოს, სიტყვა თუ მოიტანს, რამეთუ ახლა ისაა სათქმელი, ციციონო რო გამოჩნდებოდა, რო მიღუძმდებოდა, რო გამტყნარდებოდა, გაიკმიდებოდა სუფრაი რო, ქელხის სუფრაი:

სუფრა გაიკმიდებოდა და აქვითინდებოდნენ დეიდები ციციონოსი: დეიდა სალომეი, დეიდა ზეინაბი, დეიდა მერი, დეიდა ირინეი, გაეგებოდნენ ქვითინითა და ქვითინითვე შემოუძღვებოდნენ; ადგებოდნენ სხვანიცა, დაჰხრიდნენ თავსა მამაკაცები, დედაკაცები აფშუკუნდებოდნენ, მერე დუმილი ჩამოივლიდა, მერე ამოიხრებდა ყველა ერთობლივა, ერთადა, ერთბაშად; ოლონდ თუ ვილა დააციდია ამდენსა, ანუ თუ დუმილს ვინ დააციდია, აყვირდებოდა მანქანები ქუჩაში ერთბაშად: ვილაცა ვილაცას შეასკდებოდა, შეასკდებოდა კვერცხივითა, გაიჭედებდა ვიწრო ქუჩაი, უყვე ვიწროი, ოდესღაც განიერი ქუჩა რო ეთქმოდა, გაიჭედებოდა და ვერ გაიკლებოდა ეგრე ადვილად, ვერც დაწყნარდებოდა ეგრე ადვილად: აქ მაინც არ აიწეწებოდნენ, მაინც ცხედარს ეკრძალებოდნენ, რო დაეკრძალათ, ოლონდ სული ჭერ აქ რო გახლდა, აქაობა რო არ ეთმობოდა, ანთუ აქვე რო განიცდებოდა, ეკრძალებოდნენ და ადღეგრძელებდნენ ხსოვნასა იმისასა, ადღეგრძელებდნენ სხვა მახლობელთაცა, მანამდე რო წაბრძანებულყვენ, დრომოქმულთა თუ უდროოდ გარდაცვილითა, დაღუპულთა უგზო-უკვლოდა, უაზროდა, გაუგებრად, ვილაცისა თუ რილაცის გამო, ეამსა განწირვისა, იშვიათად რო არ დაატყდებოდათ, ადღეგრძელებდნენ და ადღეგრძელებდნენ: გაიხსენებდნენ უბედურ-



თა, კვლავაც და კვლავაც გამოიგლოვე-  
ბდნენ; თამადა ადგებოდა, იტყოდა მო-  
კლდა, მკაფიოდ იტყოდა, იტყოდა ისე  
გულში ჩამწედნანადა, დაეთანხმებოდნენ  
სხვანი უხმოდა, ანთუ ვინმეც გამოიდე-  
ბდა თავსა, ორიოდ სიტყვას მოადევნე-  
ბდა, მგრძნობიარესა, რალა თქმა უნდა,  
ამაჩუყებელსა, რალა თქმა უნდა; მოს-  
ვამდნენ ცოტ-ცოტასა, სიტყვის ნდომასა  
შეიკავებდნენ, ღვინის ნდომასაც  
შეიკავებდნენ, ღვინის სუფრამდის შეი-  
კავებდნენ, იქ მიეცემოდნენ მერე  
სიცოცხლესა, მთელის არსებით მიეცე-  
მოდნენ; სევდას აქაც გადაიყრიდნენ,  
ნელ-ნელობით გადაიყრიდნენ, ჳირის  
სუფრას რა შემოსხდომოდნენ, შემოს-  
ხდომოდნენ სწორედ იმიტომ, ჳირისუ-  
ფლისთვის რა ნუგეში ეცათ, სიცოცხ-  
ლე რა არ შეეძლებინათ, არ გაეწი-  
ათ სიმარტოვისადა: დიდი ქალაქიც  
შემოვიდოდა ღია ფანჯრებიდანა, პატარა  
ქალაქის დიდი ფანჯრებიდან შემო-  
ვიდოდა პატარა ფანჯრებიანი დიდი ქა-  
ლაქი, შემოვიდოდა და შემოიჭრებოდა:  
სიცოცხლე რა შემოიჭრებოდა, იმატე-  
ბდა სიტყვაპასუხიცა, — ისეთი არა  
ღვინში რა იცის, ბევრად დადრეკილი,  
ზომიერი ბევრად, ოღონდ თუ მაინც  
ცოტას აიწვედა, ეს მხოლოდ იქითა,  
მეორე ოთახში, ქალების ოთახში, ცო-  
ტას აქეთაც რა წამოიშლებოდა, რამე-  
თუ კარი გადახსნილიყო, დიდი კარი,  
წარსული საუკუნის დიდი ოთახებისა:  
წარსულისათჳ, XIX საუკუნისა ამ შე-  
მთხვევაში, ბევრად წარსულში, თუნ-  
დაც V საუკუნეში ჳი არც გადახსნიდ-  
ნენ შუა კარებსა, — არ გადახსნიდნენ  
და თუ მაინც მოეწადინებინათ, ერთად  
რა გაეტეხათ პური ქალსა და კაცსა,  
აღმოვითებულიყო დედოფალი შუშანი-  
კი, არა წეს არს, უცხო წესისა, ჩვენ არ  
შეგვეფარისო; უცხოაო და უცხოც კარ-  
ებს მიეტანებოდა, გაალებდა და ვერ  
გაალებდა, გაალებდა ბოლოს მაინცა V-  
დან აგერ XX საუკუნემდისა, ოღონდ  
ესაა, ჳერ რა მაინც ვერ აურევდა ქალ-  
სა და კაცსა, გლოვის წესსაც ჳერ ვერ  
შეშლიდა, გლოვისა და თანაგრძნობისა,

სხოენისა და მოგონებისა, წყნებისა  
მოგონებისა, — ჳერ ვერ  
ისევ სამარხვოს შემოიტანდნენ, ადლე-  
გრძელებდნენ ისევ წასულებსა, — სა-  
უზმეული ჳი სამარხვოსი გახლდა: სა-  
თალისა ჳი მოგახსენე, ტარანისაცა,  
ხიზილაღაც შეიმჩნეოდა, თხლად გადა-  
კრული პატარა თეფშებზედა, ისე თხლა-  
და რა ამოსჳვიოდა გული თეფშისა,  
მხალეულიც ჩარიგდებოდა, ნიგეზიანი  
რალა თქმა უნდა, წნილი, მწვანილი, კი-  
ტრი, პომიდორი, მამასისხლად რა გაი-  
ყიდებოდა, რა ეყრებოდა ოდესღაც  
მუჭთადა, მდაბიონი რა შეექცეოდნენ,  
ხილო მერე რა საფუფუნოდ რა გამო-  
ცხადდებოდა, რა არ ერქმეოდა მდა-  
ბიონი აღარავისა: სხვა მეტი რაო, კმა-  
როდა ცხადია, ღაზათიან სუფრად ითქ-  
მოდა, მერე კირკაეს ჩამოატარებდნენ,  
ზეთით მოხრაკულსა, მერე სახსნილო  
მოედევნებოდა: ხაშლამა, ჩაქათული,  
სადლეგრძელოც სახსნილო ითქმოდა,  
ითქმოდა სიცოცხლისა შილაფლავამდი-  
სა, კერესამდისა, ისევ მიცვალებულს  
რა მიუბრუნდებოდნენ: მოედევნებოდა  
და ჩამოატარებდნენ, ქალიშვილები ჩა-  
მოატარებდნენ, ქალების მხარესა, აქეთ  
ვაეები ჩამოატარებდნენ ფართო ღანგ-  
რებითა, ჩამოატარებდნენ და გადაილე-  
ბდნენ: ღვინოს იქითაც ვაეები მიიტან-  
დნენ, იქითაცა და აქეთაცა, იქით ხან-  
დახანა, აქეთ უფრო მოხშირებითა, ვაე-  
კაცებისაენა: თეფშებს გამოსცვლიდნენ  
ქალიშვილები, ფრთხილად და მორი-  
დებითა, უხმაუროდა რალა თქმა უნდა,  
ხელი არ შეეშალათ თამადისთვისა, უხ-  
მაუროდა და თანაც მკვირცხლად, გა-  
მოსცვლიდნენ და ჩადგებოდნენ გვერდის  
კარებთანა, ისევე ფართოსანთა, ხალვა-  
თიანთანა, ვადახსნილთანა, რა შეჳვე-  
როდა დოვლათიან საუკუნესა, ვასულსა,  
წასულსა, ჩადგებოდნენ და მიაჩრდ-  
ბოდნენ დეიდაშვილსა, რა დაენახათ  
მხოლოდ ერთხელა, დედის დაკრძალვა-  
ზე, დაენახათ თუ ელვად გადაეკლო, და  
რა ევონათ, აი ესაი, ელვად გადაიკლის  
ისევ ისევეო:  
მიაჩრდებოდნენ და ეამებოდათ ღა-

მაზი ქალი, დამწუხრებული ლამაზი ქალი, იდუმალი თუ გარომანტიულებული მათს წარმოსახვაში, რო არავის შეეძლო აეხსნა თუ რად გადაკარგულიყო შორეულ მხარესა, დაეკრა ფეხი და გადაკარგულიყო; ამათთვის რო გადაკარგულიყო, ხოლო იქ, იმათთვის მახლობელი რო იქნებოდა, გულისხმიერი, დაუზარელი, შორით-შორსაც რო გაემართებოდა ავადმყოფთან მარხილითაც; ძალღებისა თუ ირმების მარხილითაც; დეიდებსაც ჩაეკრათ სურათები თავიანთ ალბომებში: ბრიალა თვალები, ბეწვებიდან რო მოანათებდა, მარხილები, ირმები; აქ ისე აღარა ბრიალებდა თვალები, ღრმა სევდა ჰფარავდა მწუხარება ჰფარავდა, დაიხრებოდა და აივსებოდა წამწამები ცრემლითაც, აივსებოდა და დაიკლებოდა, ჩამოგორდებოდა, ჩამოგორდებოდა მწუხარ სახეზედა; ამათაც ჩამოსციკვიოდათ ცრემლი, ახალგაზრდა დეიდაშვილებსაც, ოლონდ ესაა, დეიდა მერი რო აღარ დააციდია, ის განაგებდა სუფრის სარისტასაც, ისა საქმებდა, ისა ბრძანებდა; სხვა ორი დეიდა მოუჩდებოდა ციციხრსაც, მარჯვნივ დეიდა სალომეი, ისევ ამაყი, ისევ გოროზი, რო ვერ აერია ფერფერიცა ხანდაზმულობასაც, გარკნით — ზეინაბი, დეიდა ზეინაბი, ყოველთვის რო ერთი რამ შეიპყრობდა, ერთი, ერთადერთი, ახლაც ეს სიკვდილი რო დაიუფლებდა და აღარ წაუვიდოდა ფიჭირი აღარსათაც, ქვეყანაც რო დაქცეულიყო; ირინე საითლაც მიიკუნჭებოდა, დეიდა ირინე, მიიკუნჭებოდა და ჩაქრებოდა ვილაც ფაშაშა ქალის გვერდითაც, ისედაც თხელი, ისედაც სუსტი; შავი ეცმებოდა დეიდა ირინესაც, ოლონდ ცოტა გახუნებული, ისე მოვიდოდა აქა საგლოვაც, ჭერ ქმარიც რო ვერ გამოეგლოვა; ჰოდა ის ისევე; ფაეები გაიტანდნენ ცარიელ ბოთლებსაც, სავსეს შემოიტანდნენ, გოგონები გამოცვლიდნენ მოთხერილ თევზებსაც, ახალ კერძებს შემოიტანდნენ; და ახალ სადღეგრძელისაც იტყოდა თამადაი, სიცოცხლისაც იტყოდა, იმედისაც იტყოდა, ნუგეშისაც იტყოდა,

სიცოცხლე მაინც რომ იტყოდა, იმას იტყოდა, მაინც სიკვდილი რომ ჰგონებიათ უღმობელი, იტყოდა იმასაც, ოლონდ ესაა, ვერაინ რო ვერაფერს ისწავლის, ვერც უსწავლიათ და ვერც ისწავლიანო, დასძენდა ამასაც... და ისხდებოდნენ სიკვდილის გაკვეთილზე, და ყურადღება გარეთ დარჩებოდათ, იქ დარჩებოდათ, სადთუ სიცოცხლეა, სადაც უმაღლე გადაეშვებოდნენ, ცხვირს გაჰყოფდნენ თუ არა აქედანაც, გადაეშვებოდნენ თუ თანვე მოჰყოლოდათ, — ჩანდა, მოჰყოლოდათ, თან მოჰყოლოდათ სიკვდილის გაკვეთილზე და ამიტომაც თუ ვერ ისწავლიდნენ, ვერც რო ესწავლათ ვერასოდესაც, ანთუ ეგების ოდესლაც ესწავლათ, სანიმუშონი რო ყოფილიყვნენ ბევრისათვისაც, დიდებული რამ რო შეეკმნათ, რო მივბამათ სხვა ერებსაცაც, ანთუ ოდესმე კვლავაც ისწავლიდნენ, ჰყუას მოიკრებდნენ, ძალას მოიკემდნენ, კვლავაც გააოცებდნენ სხვათაც და სხვათაც, ისწავლიდნენ სიკვდილის გაკვეთილზე, სიცოცხლეს ისწავლიდნენ სიკვდილის გაკვეთილზე; იმედით ეცხოვრათ და იმედით იცხოვრებდნენ, იმედით გაეძლიათ და გასძლებდნენ იმედითაც, იმედი იქნებოდა ნერგი ამათი თვით სიკვდილის გაკვეთილზეცაც, თუნდა ესწავლათ და თუნდაც ვერა, გაიხარებდნენ იმედით მაინცაც; არაო, ამასაც აიხირებდნენ, იმედი ბრმა და ბრმად ვეღარ ივლიდნენ საუკუნიდან საუკუნემდე, იმედს შეიძლება ცოტახანს ნდობოდნენ, სულ ცოტა ხანსაც, მერე იმედიც დაჩლუნგდებოდა, გამოფიტებოდა და გამოფიტავდა, ბრმად მომლოდინეს გამოფიტავდა, აზრს დაუბნევდა, ძალას წაუღებდა, ცნობას წაუღებდა, ვერ შეაგნებინებდა ვერაფერსაც გაკვეთილზედა, იმა სიკვდილის გაკვეთილზედა, იმა უამრავ გაკვეთილზედა, განწირულობისაც და სიკვდილის გაკვეთილზედა, — ვერა, ვერაფერს შეაგნებინებდა თუ აუხსნიდნენ უკუღმართადა, გაუკუღმართდებოდნენ მოძღვარნიცა რო, თვით სიცოცხლე რო გაუკუღმართდებოდა, დიდი მოძღვარი მოძღვართა

მოდლარი, წაღმას უკუღმა რო მოაქცევდა, უიმედობას იმედათ რო მოაჩვენებდა: თამადა მაინც თავისას გაიტანდა, მაინც იტყოდა იმედისასა, მაინც იტყოდა გაძღებისასა, გაძღების ღონედ იმედს მიიჩნევდა. სხვა არაფერი ეგულებოდა. ვერც ვერას უჩივებდნენ, აღარც იკითხავდა, თავის კვლას ადგა. თავისას გაიტანდა, მაშ აბა რაო, რალა თამადა იქნებოდა? აღარ აპყვებოდა თუ ჩაურთავდა ვინმეი ფრთხილად: შლადი რო ყოფილიყო ყველაფერი, იმედიც იშლებოდა, ატომი დაშლილიყო და იმედს რალა გააძღებინებდა. — დაქუცმაცდებოდა ერთი, ერთიანი, ერისა თუ ხალხის დიდი იმედი, ერთი იმედი, ერთი, ერთადერთი. დაკიწაწდებოდა, დაწერილმანდებოდა, გადაიქცეოდა სურვილად ნამცეცა გულისა და ფერად სათვალეში გასცლიდა ყველაფერსა, უცხოურ სათვალეში, უშნო სათვალეში, თვალის ამხვევსა და დამაბნეველში, გასცლიდა და დაიბნეოდა, იმედი ეგრე დაიბნეოდა. იმედი ეგრე გაქარწყლდებოდა: ბევრი იქნებოდა გული ნამცეცაი, ნამცეცა სურვილიც ბევრგვარი იშვებოდა, გაიტენებოდა ჰაერი შტვერითა. ქალაქის ჰაერი, იმედის შტვერით გაიქუქებოდა, დაფშვნილი იმედისა, გაიქუქებოდა და ღრუბლად ავიდოდა. დაიქუხებდა და წამოვიდოდა. არათუ სეტყვარი, არათუ წვიმაი, არათუ წვეთი, არც არაფერი წამოვიდოდა თვალისათვისა, მხოლოდღა შტვერი წამოვიდოდა იგი უხილავი, უხილავადაც მოედებოდა თვით ძლიერ გულთაცა, მგზნებარე გულთაც მოედებოდა, ყველას ჩაიხვევდა, ყველას ჩაითრევდა, მოიწამლებოდა ასე ყველაფერი, — ის არ აპყვებოდა, თამადაზე ვამბობ, და თითებს დაიმტვრევდა. ვინმეი, სიტყვას თუ ვინც დააწევდა, თითებს დაიმტვრევდა და გამოსცლიდა ჭიქასა, აქამდის თუ წრუთავდა და ახლა გამოსცლიდა, დაისხამდა და კიდევ გამოსცლიდა. სხვაც გამოსცლიდა, კიდევ სხვაცა, თითქოს და რაო, გავრი მოაწვით, ყელში მოეკოთ, გაეჭვდათ და ოღონოს უხნა გადააყოლონო, ოღონდ

ღვინო მაინც ღვინოა და არსებობს. გამოთვრებიანო, — ქელესში გიეი თუ გამოთვრება, ამიტომაც იყო, ქორწილში რო მიჰყავდათ გიეები, ქელესში არა, გიეს განარიდებდნენ ქელეხიდანა; გამოტყვრებოდა მაინცა მოდაევი, არ დაიჭრებდა ყველას წახდენასა, — გამოგვივლია ეპიდემიები უმძვინვარესი, მკვდარი მკვდარზე დაგვიმარხია, გადავრჩენილვართ აგერა მაინცა, იმედიც ასე გადავვირჩება, არ მოიწამლება ყველა არასოდესა, ყველაფერი არ მოიწამლებო, ასე ამგვარად არ დაიჭრებდა; სხვა ამას არ დაიჭრებდა, ერთ საუკუნეში თუ გამოვივილით ერთ ეპიდემიასა. ახლა მრავალია ერთდროულად, სკოლა რო სკოლა, ისიც სიკვდა გადაქცეულა. უქნარები მოუძრავლებია, უქნარობა მოუღია ქვეყანაზედა, მოუტანია ეპიდემია უქნარობისაო, — სიკვდილს სიცოცხლით რო მოერეოდნენ, ვერ მოერეოდნენ სიცოცხლითა უქნარობასაცა, რამეთუ იგი თვით იქნებოდა სიცოცხლი, ვაი, რო საზარელი, ვაი, რო საშინელი, ოღონდ სიცოცხლეი მაინცა, აშშორებული სიცოცხლეი. „დაბურეთ სკოლები, სავალდებულოდ ნუ აქცევთ სწავლასა, რამეთუ სწავლა ყველას არ ძალუძს... დაბურეთ სკოლები!“ კბილებში ვილაც გამოამტვრევდა და თამადა ხელს აიქნევდა: „სხვა არის მიზეზი უქნარობისა“, — მაინც ვინმე ვერ მოითმენდა, და თამადა ხელს აიქნევდა უფრო წყრომისადა, მკვეთრადაც იტყოდა სადღეგრძელოსა, მაინც სიცოცხლის სადღეგრძელოსა, ჰირსიუფლის სადღეგრძელოსა პირველყოვლისა, სადღეგრძელოსა ციცინოსი, გამახხვევებდა, ანუგეშებდა, დაამედებდა, მაინც იმედს ჩაუსახავდა, მაინც იმედი ეგულებოდა ღონედა კაცთა: და გოგონები შეგვუფლებდნენ ისევე კართანა, შეაქუქრდებოდნენ მოწონებითა, ისევე ისე მოწონებითა, იშრობდნენ ცრემლსა და ვერ გადაყლაპავდნენ ნერწყვსა, ესმოდათ მისი ჩუმი მოთქმაი, ციცინოს მოთქმაი, სადღეგრძელოს რო მოპყოლოდა, ესმოდათ მოთქმაი, ოღონდ ის მა-

ინც აღარ ესმოდათ, იწამა იმედი თუ ჰქონდა და ახლა ჰკარგავდა, აღარ ესმოდათ და ვერც გაიგებდნენ, ისე უჩინარი ცრემლი ჩამოედინებოდა, მშრალი, მშრალი ცრემლი ჩამოედინებოდა ციციონსა;

შეყოვნდებოდა დეიდა მერიცა, მშრალი ცრემლიც შეაყოვნებდა, სადღეგრძელოც შეაყოვნებდა, ვერ შეშლიდა სადღეგრძელოსა;

სხვა სადღეგრძელოსაც ვერავინ შეშლიდა,

რას რა მოჰყვებოდა, ეცოდინებოდა ცხადია ყველასა,

დაელოდებოდნენ მაინც ისე მოწიწებითა, ყურადღებითა ისეთითა, თითქოს პირველად გაიგონებდნენ, თითქოს უძველესს არ იმეორებდნენ, მითების დროინდელსა, ელონებზე უფრო ძველი მითებისა, ბევრად ძველისა და ძველისძველისა. —

მერე ნათესაობას აღდგურებულდნენ იმავე განცდითა, იმავე გზნებითა, მითების დროისა, ანთუ უფრო მომეტებულთა, ნათესაობის რღვევის შიში რო გაჩენილიყო, — აქ გრძობად იტყოდა სიტყვასა თამადაი: ჩამოსდინდებოდა ცრემლი ციციონსა, ახლა ღვარად ჩამოსდინდებოდა, არც შეიშრობდა, ედინა ვგრე იმა ცრემლსა თანავარძნობისა, იმა ცრემლსა ნათესაობისა, იმა ცრემლსა სიყვარულისა, ჰუმეშარიტი სიყვარულისა, ადამიანურისა, ადამიანურისა, — რო სჯეროდა, რო ავჯიანდებოდა და სჯეროდა ამისა, უამისობა რო არას შეშლიდა, წესი წესისად რო აღესრულებოდა, რო სჯეროდა ნათესაობისა, ნათესაებისა რო სჯეროდა; შეესვენებოდა გული წამისადა, თითქოს და აი გაუსკდებო, ცრემლიც წამისად მიუწყდებოდა, მოვარდებოდა ისევე მალე და იღვრებოდა, ცრემლად იღვრებოდა, ხანთუ ისე მშრალად მოსთქვამდა, ხან ასე ღვარად მოვარდებოდა და ის იქნებოდა კენესაცა, მოთქმაცა, სიტყვა აღარ დასჭირდებოდა; დეიდა სალომესაც ჩამოედინებოდა ცრემლი, დეიდა ზეინაბს მომეტებულადა, დეიდა

მერიც წინ წამოდგებოდა მკაცრად, წინა, ცრემლს მოიწმენდა ჰერკლის ტილოთი, სამზარეულოდან რო გამოჰყვებოდა, დეიდა ირინეს ნამი რა არის, ნამიც როდი დაედებოდა, დაუშრებოდა სათავე ცრემლისა, გაიკიდებოდა სადღაც შორსა, მწუხარებაზე უფრო შორსა; აცრემლდებოდა აპოლონიცა, მეუღლური იგი სალომესი, — სხვა არც იქნებოდა იქა ჰქვისლთაგანი: ერთს პო დასტროდნენ. ერთიც ზეინაბს დაეტოვებინა ეგრე ზეზეულა ავადმოყვი, ერთიც პო გასცლოდათ, მეუღლე მერიცა, გაყრილიყვნენ და შერიგება აღარც ეწერათ, ერთიც დაემარხათ არცთუ ისე დიდი ხანია, მეუღლური ირინესი, და ესლა იქნებოდა, აპოლონიმეტი, რო იცრემლებოდა და აკანტურებდა თავსა მადლობისადა სადღეგრძელოსი; დააკანტურებდნენ სხვებიცა თავსა, ნათესავნი რალა თქმა უნდა, ვეკაცები, ფეხზე ამდგარნი, თავდაბრილი გლოვის ნიშნადა, კიდევ უფრო დაჰხრიდნენ თავსა; ვერ გაარჩევდა ციციონი იმათა, ზოგი ბავშვი რო დაეტოვებინა, ზოგიც მერე რო გაჩენილიყო, რო დაზრდილიყვნენ, დაეკაცებულნიყვნენ, სხვადასხვაგვარად რო აბრიალებდნენ თვალბნისა, — მერე გაარჩევდა, განასხვავებდა თანდათანობითა; ჯერ მხოლოდ ერთი გამოერჩია, ზეინაბის ვაჟი, დეიდა ზეინაბისა, სასაფლაოზე რო დალოდებოდა, შინ რო მოაბრძანა და, რო ეტყობოდა, სუფრასაც რო ის ადგა თავსა, ის იყო ყველაფერის ავანჩაენი, თუმცა თამადა არ გამოჰყოფდა... მერე ციციონიც წაეტანებოდა ჰქვასა, დადუმდებოდა შიგნით ყველაი. გარედან გუგუნი შემოვარდებოდა, რალაც გასკდებოდა თუ ერთად იმსლებოდა მთელი აგროდრომი, ერთად ავარდებოდა ყველა რეისი, — რაც იქნებოდა თუ როგორც იქნებოდა, აქ დუმილს მაინც დუმილი ეთქმოდა, მაინც მკაფიოდ გაიგონებოდა თუ ვითარ სწამდა ნათესაობა ციციონსა, ვით განიცდიდა იქ უფრო, იქა შინა, ვით მოეწონა ყველა თვის ტომი, სიტყვე მშობლიური სჯერა ამისადა.



ური, ლურჯი ჰაერი, წმინდა ჰაერი. ცო-  
ტა ამღვრეული, ოღონდ შერეული არა,  
და რო უთუოდ დაიწმინდებოდა, ისევ  
ისე დაიწმინდებოდა, გაიგონებოდა რა-  
ღა თქმა უნდა თუ წარმოსთქვამდა, მაგ-  
რამ ძალა არ ეყოფოდა, ანთუ ერთად  
მოვარდებოდა სიტყვა და ქეითინი, ცრე-  
მლიცა ცხადია, შენივთდებოდა, გაფუ-  
ვდებოდა, აზვადებოდა, ააკანკალდებდა,  
შეატორტმანებდა: მიუსწრებდა დეიდა  
სალომეი, გულზე მიიყრდნობდა, წყალს  
მოითხოვდა, ცივ-ცივ წყალსა, გადააყ-  
ლაებდა, ყვრიმალებს დაუნელდა:  
თამადა სუფრას შეუძახებდა მე მომხე-  
დეთო, შეუძახებდა და მოიგონებდა რა-  
იმეს ისეთსა, სასაცილო რო გახლდა,  
რო შემთხვეოდა განსვენებულთან ერ-  
თადა, მოიგონებდა და გაიცინებდა მო-  
კლუდა, მოკრითა, რო გამოეხსნა ჰირი-  
სუფალი ვაეზიდანა, სასოწარკვეთიდან  
რო გამოეხსნა: ესეც წესი გახლდა, წე-  
სი სიკოცხლისა, სიკვდილის კრიჭაში  
რო ჩასდგომოდა:

გაიცინებდნენ, გულს მოუფონებდ-  
ნენ:

წესი რო იყო, არც გადავიდოდნენ,  
არც იკითხავდნენ.. რაღაო, რატომო,  
წესად იღო და არ შებღალავდნენ არც  
შეკითხვითა:

გაიცინებდნენ, დროს უპოვნიდნენ,  
მოუფონებდნენ ერთი წამითა.

III

დავითი ვერაფერს გაარკვევდა ასე  
ერთბაშადა, —

დავითი ის გახლდა, ციციონოს რო ახ-  
ლდა, —

სიტყვების გამორჩევას თუ ეცდებო-  
და, ნაცნობი სიტყვებისა, გაახარებდა,  
რაც თუ ეცნობოდა, აჭყლოპინდებო-  
და, გაიმეორებდა, მერე უცებ მხრებს  
ჩამოჰყრდა, მოვბოდიშებოდა გვერდით  
მსხლომებსა, იქით-იქითაც გასწვდებო-  
და ბოდიშობითა, ფიქრიანად თუ მია-  
ჩერდებოდნენ: ვინმე ისევ აიყოლიებდა,  
ანთუ დინჯად რო მერტყველებდა, ანთუ  
სწრაფად რო მერტყველებდა, დინჯი იზი-  
დავდა, სწრაფი აიცილებდა, ისიც აოცებ-  
და, ჰიქოს რო დაქვლიდა და საესე ედგა

ისევ და ისევა: კრძსაც მიართმევდნენ  
ახალ-ახალსა, მისთავაზებდნენ ყოველი  
მხრიდანა, მარჯნიდანა, მარცხნიდანა,  
მხარზემოდანა, მელავეების ქვეშა, წინი-  
დანაცა, გამოუწვდიდნენ ერთბაშადა რა-  
მდენიმენი, მისთავაზებდნენ და არ გააწ-  
ბილებდა, გადაილებდა მკირე-მკირედა:  
ამას გაუძლებდა, ამას აიტანდა, ოღონდ  
ლეინო მოეკიდებოდა, შეხეხეწვებოდა  
ნულარ დამისხამთო: ალუთქამდნენ და  
დაუსხამდნენ მაინცა, რახან დასცალე,  
უნდა დაეასხათო, წესიოო, წესი წესიოო,  
წესს ახსნა არ უნდაო. იქ მამაც ასე  
ეუბნებოდა, ჩვენთან ყველაფერი სხვა-  
გვარად იკიან, შეჩვევა უნდა, დასწავ-  
ლა უნდაო, დაებრუნდებით და მალე  
შეგაჩვევო: ის ველარ დაბრუნდა, ესლა  
დაბრუნდა, ისეთი მოძღვარი არც შეჰ-  
ხედროდა, ჩამოვარდნილიყო მარტოდ-  
მარტოდა და გასჭირებოდა ყველაფერი,  
შეჩვევაცა, მოგერიებაცა: არც ითქმო-  
და რო დაბრუნდაო, იქ რო დაიბადა,  
მაინც მამა ასე ამბობდა, დაებრუნდები-  
თო, მაინც აქ გაჩენილს დაარქმევდა,  
მაინც აქაურს დაარქმევდა, დაებრუნ-  
დებითო, ჩასჩინებდა: დედა გაიცი-  
ნებდა, დედაი დავითისა, რაღა დროს  
ეგაა, რას მისტირი თუ რაღას შესტრ-  
ფიო, საიდან სადაო, მე აქაური ვარ და  
აღარც ვიცი სადაური ვარ, შენ როგორ  
იცი, სად მიიწეე, სადაური ხარო, მე  
სხვა ენაზე ავლაპარაკდი თავდაპირვე-  
ლად, შენ სხვა ენაზე, ეს ჩვენი შვილი  
სულ სხვა ენაზეო, — გაიცინებდა და  
ასე ეტყოდა და მერე მაინც ევედრებო-  
და ციციონოსა, დააბრუნეო, სწორედ  
ასე, დააბრუნეო, მე ვერ დაეაბრუნე,  
ვერც მამამისმა, ჩვენ არ გვეწერა, შენ  
დააბრუნეო, თქვენებურია და თქვენ მი-  
ჰხედეთო, ევედრებოდა სიკვდილის ჰი-  
რასა, ევედრე თავის მკურნალსა... და  
მოაწვებოდა ცრემლი ამასაცა, დავითსა  
ცხადია, ეს გაახსენდებოდა და მოაწვე-  
ბოდა, მოაწვებოდა და შეიკაებდა,  
ეგრე იკაებდნენ აგერა ვაჟკაცები, ხან-  
თუ მოიწმინდნენ მორიდებითა, ესეც  
მოიწმინდდა იმგვარივე მორიდებითა,  
თითქოს მალეულოდა, ცრემლს მოიწმენ-  
და

დღა და ილიმოდა ნაძალადევადა, ამაღ-  
 გვარადა, ამა ეკეკაცთა: ამათში იქნებო-  
 და ამიერიდანა, დაბრუნებულყო და  
 ამათში იქნებოდა, ჭირში მოესწრო და  
 ჭირს მიეჩვეოდა, მიეჩვეოდა მერე  
 ლხინსაცა, ის სულ სხვაგვარი ეცოდინე-  
 ბოდათ, გაიგებდა და მიეჩვეოდა:  
 ოღონდ მამა რო დაუხატავდა, ჭირში  
 უფრო ამტანნი ვართო, ასე დაუხატავ-  
 და, მართლაც დაუხატავდა ლურჯი ფან-  
 ქრითა, ლურჯით დაუხატავდა და უმ-  
 ტყიცებდა, შავი ზღვა არისო, დაუხატა-  
 ვდა ჩქანნივითა,, ძეძუდ მოაბამდა სა-  
 ქართველოსა, მრავალს უწოვნია, გამო-  
 უჩლუნხნია მრავალს და მრავალსაო,  
 მაინც იმედიათი ხალხი დაგებდება, მა-  
 ინც მოციხარი, შენც გაიცნე, აღივსე  
 იმედითა, მაინც იმედითა, რაც უნდა  
 იყოს, იმედს იმათთვის არ უმტყუნია,  
 იმედი აცილებთ, იმედითა ხარობენ,  
 შენც იმით იხარე, იმა იმედითა, ულე-  
 ველითა, უტყუართათო... იქ იმედი ცი-  
 ცინოს მიჰყვებოდა, დავითის იმედი, ცი-  
 ცინოს პალატაში იწვა დედამისი და,  
 რო ეგონა, დაიხრჩობო, ეანგბადის ბა-  
 ლისშა ბრძანებდა ექიმი, ავადმყოფი  
 სულს მოითქვამდა, აუბეუტდებოდა თუ  
 აუციალდებოდა თვალები ოღნავა, მაინც  
 ისე სანუგეშოდა, ახლა უთუოდ მოიკე-  
 თებსო, ეს იქნებოდა იმედი ცხადია,  
 ციცინო იქნებოდა იმედი იგი: მაგრამ  
 ეოველთვის იქ ვერ იქნებოდა, გავიდო-  
 და პალატიდანა, იმედიც უკან აედევნე-  
 ბოდა, ანთუ გამოსტოდა ფრთებადა,  
 გაიყვანდა, გააფრიალებდა იმედის  
 ფრთები, თეთრად გაიყვანდა, თეთრად  
 მოიყვანდა, დააფრიალებდა ეგრე თეთ-  
 რადა, თეთრი ხალათითა და ხილაბან-  
 დითა რაღა თქმა უნდა და იმედიც თე-  
 თრი ეგონებოდა დავითსა ცხადია, ახლა  
 რო გასცლოდა სითეთრეი იგი, ციცინ-  
 სოსა რაღა თქმა უნდა, შავით მოსი-  
 ლყო, და გასცლოდა, გაპყროდა იმე-  
 დიცა, შორს მაინც როდი გადაკარგუ-  
 ლყო, ცმუკავდა იქვე, სადარბაზოსთანა,  
 ცმუკავდა, ბტოდა, გავიდოდნენ და  
 თან გაყვებოდა, ყველას გაყვებოდა,  
 ერთი გახლდა და ყველას გაყვებოდა,

ვერ შემობედაედა შეგნითა მიიხცა, მხო-  
 ლოდ ერთხანსა, აქ სიშვევე ჩაბუტებდა,  
 არ გაიკარებდა სიშვევი იმედსა ანუ  
 იმედი მოერიდებოდა, მხოლოდ ერთხა-  
 ნსაო, მერე აპყრიდა, გაპყრიდა, ვაცა-  
 მტყერებდა, შემოიჭრებოდა აგრეთვე  
 შინაცა: ამას სიშვევე დაახსომდებოდა,  
 თეთრგადრეცილი დაახსომდებოდა, იმ-  
 ხანად აქ რო აღარ იქნებოდა, — აერო-  
 დრომშეც უნდა დახვედროდნენ თავისი-  
 ანები, ანთუ აი შემოვიდოდნენ, აი და  
 აპაა, თავს წაადგებოდნენ: ზღვას რო  
 უხატავდა, მამი ცხადია, ანუ ჩქანს  
 რო უხატავდა, ლურჯადა, ლურჯ ზოლა-  
 და, ცურს რო მოაბამდა, იქავე, ზოლ-  
 თან, ვაგრას წააწერდა, აქაა ბიძაშენი,  
 მამიდაშენიცა, ბიძაშვილებიცა, მამიდა-  
 შვილებიცა, პაპაშენიცა და ბებიაშენი-  
 ცაო, ყველა აქაა და შენსკენ იმზირება,  
 ყველა აქაა და ყველას ხელი გამოუწე-  
 დია, ჩახეალ თუ არა ჩაიფლობი იმა ხე-  
 ლებში, იმა გულებში ჩაიფლობიო, პო-  
 და აი შემოცვიოდა ხელები იგი კარე-  
 ბიდანა, ფანჯრებიდანა, შემოცვიოდა,  
 დაესეოდა, აიტაცებდა, გაიტაცებდა —  
 — პო არ დაილაღე? — შეეხებოდა  
 ვილიცის ხელი, ოღნავ, ოღნავ შეეხე-  
 ბოდა.

— პო...

— გავიდეთ თუ გინდა.

— არა.

მიუგებდა და გადაეწმინდებოდა თვა-  
 ლებიცა, ანთუ ჯერ თვალი გადაეწმინ-  
 დებოდა, ანთუ როგორც იყო თუ რო-  
 გორც იქნებოდა, აღარ შემოცვიოდა  
 უამრავი ხელი, ისევ ის სუფრა წარმო-  
 უდგებოდა, ისევ ის ხალხი, ცოტა შემ-  
 ცხარი, ეს ვინაა და რა ემართებაო:  
 იქ ყველა გაგიგებსო, მამა დაარწმუნე-  
 ბდა, ყველა თანაგიგრძნობს, ვინც უნდა  
 იყოსო, დედა სიცილით აუბამდა მხარ-  
 სა, აუბამდა და არც აუბამდა, ზღაპრად  
 კარგია, ოღონდ ასე ნუ დააჯერებ, ნუ  
 გადამირევ ამ ყმაწვილსაო: ზღაპრად  
 კარგია და ზღაპრად იყოსო, მამა განაგ-  
 რსობდა თავის ზღაპრებსა და აი აგერ,  
 იქ მოხედრილიყო, ზღაპრულ ქვეყანა-  
 ში, ზღაპრულ გმირებში, რო დასთმობ-

დნენ თავისასა სხვათა სასიკეთოდა, თავს რომ გასწირავენდნენ სხვათა სასიკეთოდა, არც რომ არავის დაეჩაგვრინებოდნენ, არც რომ არავის არავის არ დაჩაგვრინებდნენ, გასასვლელს გავიდოდნენ, გავიდოდნენ და გავიყვანდნენ, ზომას რომ არ გადავიდოდნენ, არც რომ არსადა და არც სუფრაზედა, — ღვინის ბოთლები რომ შემოესეოდნენ, ანთუ ხელადები შემოესეოდნენ, მონლოლებივით შემოესეოდნენ, იგვრიებდნენ მონლოლებივითა: მამავე ეტყოდა მონლოლებისასაცა, — ჩვენში რომ მარცხი უწვენევიათ იმათ ურდოთა, იმდენი არსად და არასოდესაო, ესეც აქეთაო, ამ ნახევარ საქართველოში, იქით ჰო ფხიცივერ შეუდგამთო: ჩვენი მომრევი არც იქნებოდა ქვეყნად არავეინა, რომ არ გათიშულიყო ეკლესია ქართველ-სომეხთა, გონება იქამდე რომ ამალღებულიყო, სული იქამდე რომ ამალღებულიყო, უფრო ძლიერი სახელმწიფო არც იქნებოდა, უფრო უბადლო არც იქნებოდაო: რაღაც არ გვეყო თუ რაღაც დაგვაკლდა, სულ ცოტა, ცოტა რაღაც დაგვაკლდა, იმან გაგვთიშა, იმან დაგვანელაო: იქ ესმოდა და აქაც იგივეს გაიგონებდა, აქ ისე მწყობრად ვერც მიჰყვებოდა, ვერც გაიგებდა ისე მწყობრად, იქიდანვე რომ არ მოჰყოლოდა, მამის ჩიჩინი რომ არ მოჰყოლოდა, თუმცა ვაუმეორებდნენ ესენიც ბეჯითადა, უფრო მონლოლურს რომ ვაუმეორებდნენ, ალბათ თვითონ ეს გაახსენებდათ, სახეი ამისი, უკეთუ ნახევარი სახისა, შუბლი, თვალები, ისეთი სწორედა, რომ გამოსცქეროდნენ სასოწარკვეთის საუკუნეებიდანა, — ჰოდა ალბათაო, ასე იფიქრებდა და აიფარებდა ხელებსა სახეზედა: არაო, ასე დაამშვიდებდნენ, სუფრა ასეთია, ჩვენი სუფრაო, სუფრაც არის და მსჯელობაცაო, მოგონებაცაა და ზრუნეცაო, სიფრთხილეცაო, ფიქრიც არის, ფიქრი აწმყოისა, ფიქრი მომავლისა, დიდი რამაა ქართული სუფრაო:

მაინც იგივე გვჭირს, — ჩაიბურჩულებდა ეოლაცაო, ისე თავისთვის ჩა-

იბურტულებდა, წამოსცდებოდა, წამოსცდებოდა, ლედა, თავის ფიქრში თუ იქნებოდა, ისეც იქა, ეკლესიებთანა, — ახლაც ვცოდავთ ჩვენცა და ისინიცა;

— ისინი უფრო. — სხვა ისევე შეედავებოდა, ჩაიბურჩული ისევე ფიქრში:

— ეგებ ჩვენ უფრო? — კიდევ სხვა ასე რომ იკითხავდა, იკითხავდა ისეც იმთებრა:

— ვტყუვდებით;

— სხვათა გასახარადა:

თამადას ხველება აუტყდებოდა, გამოვადებიზლოო, ფიქრობდა ეგება, და რომ არ გასჭრიდა ხველები, შეუძახებდა, მომითმინეთო:

— ქართული სუფრა აკადემია, — შეახსენებდა ეოლაცა თამადასა:

— იმიტომაც გიშლიან, აკადემია ერთიც გვეოფათო;

— ქართული სუფრა პარლამენტიცა;

— უუუუუუუუ... — თამადა შემფოთდებოდა და ჩაერეოდნენ შოადგილენი, სიწყნარე იყოსო: იყოს სიწყნარეო და იქნებოდა, იყოს ნათელიო და... ეს არ იქნებოდა თამადას სიტყვითა, სიწყნარე იქნებოდა, სიმშვიდე იქნებოდა, იმ წუთს საქირიც ის იქნებოდა: ფრთხილად რომ დალევდნენ, მაინც და რომ, სასმელი მაინც სასმელი რომ იქნებოდა, მაინც სიფრთხილით მოერეოდნენ, — ასე იქნებოდა მამის ზღაპრებშია: სვამდნენ, თვრებოდნენ და მაინც უსმენდნენ ერთიმეორესა, ხოლო თამადას მომეტებულადა: დედა აქაც გაიკინებდა, ო, რა კარგია, ეგრე რომ იყოს, მაგრამ ნეტავ სად იქნებო, — ავერ თურმე, ყოფილიყო და იქნებოდა, მამის ზღაპრებში ჩამოვარდნილიყო, ფასკუნჯს მოჰყვებოდა და ჩამოვარდებოდა, ზღაპრებით ივლიდა და ზღაპრებში მოვიდოდა; და ჩაუდგამდნენ უკებ ორ ბოთლსა, ბორჯომის ბოთლსა, ლიმონათის ბოთლსა, ციქსა, ცვირინასა, დალევდა და გულს მოიფონებდა, ღვინოსა ნულარაო, მეტად ნულარ მიეძალეებოდა; თვით თამადა გაუფრთხილდებოდა, მწდე რომ თავს ადგა, სასმისს რომ უესებდა, იმას დასაქმებდა, იმას დააბარებდა, ჩაუჩურჩულებ-

ერეკნული  
ხელოვნება

და, მეტი არაფერი, გაფრინდებოდა და მოფრინდებოდა, უხმაუროდა, ულაპარაკოდა, აღესრულებოდა ბრძანებითა მამლისა, ის ვითომდა არაფერიო, განაგრობდა ისევ თავისასა; ვინცთუ ვერ დაესწრო დაკრძალვასა, ისევ უახლოს ნათესავთაგანა, მიზეზთა გამო ვინცთუ ვერ დაესწრო, ხოლო იქ სწუხდა, სადღეუ ბრძანდებოდო, როგორცა ბრძანდებოდა, ანთუ რანაირადა, იტყობინებოდა დეპეშით მინცა, ანთუ ვერცთუ იტყობინებოდა, თუ ვერც გაეგო, ისეც რო იგრძნობდა, ტანი უგრძნობდა, ტანი შესძრავდა, აღღვგრძელებდა იმათაც ერთობლივად; სოფელში ამას გააცალკავებდნენ, ავადმყოფთა ცალკე დაღვდნენ, უბედურთა კიდევ ცალკე, ვინც ვერ გაიგო, ცალკე იმათაც, ანუ ერთადა და ცალცალკე ჰქიქითა, სამთავეს დასცილდნენ და თანაც დაატანდნენ, აფერუმ ქალაქებდნენ, ერთსაც ძირაშდე ვერ ჩაპყებდნენ.—დასძრაბავდნენ ერთ სიტყვითა, დასძრაბავდნენ ესენიც აგრეთვე, ბაზარს ცეცხლი წაუკიდესო, მწვანელი რო მწვანელიაო, პირთან რო მიიტან ცეცხლი გაცემაო;

— ცოტა წყალი მინც აპურონს!.. — შეეცდებოდა ვილაც ხუმრობასა.

— ჰკურება ხანძარს ვერას უშველის.

— მოპასუხე გამოუჩნდებოდა.

— რო ვიპყლიტებით?.. — სხვა იკითხავდა.

— განა ცხოვრება მარტო მწვანელია?! — სხვა გაიკვირებდა.

— მწვანელიეთაა!.. — სხვა მოუქრიდა.

— მართალი ბრძანებაა... — სხვა მოიწონებდა.

— მართალი ბრძანებაა... — სხვაც დააწვედა.

— მხოლოდ სოფელი ტყუებულა, ხალხო!.. — სხვა გაიქილიკებდა.

— საწყალი სოფელი!..

— რამდენი უნდა გაპყიდოს მწვანელი, რამდენი ჰანჭური, ერთი ბეჭედი რო უყიდოს საპატარძლოსა?!

— ბეჭედს შენა ჰყიდი?!

არც ისა ჰყიდის ჰანჭურსა.

— ბაზარი ჰყიდის...

— ეს ჰქვეყანა ერთი ბაზარია.

— დახლიდარიც ერთია.

— ყველაფერი ერთია.

— ერთჯერ ერთი ერთია.

— ერთიც დავლით და ორი იქნება,

— თამაღის მოადგილე იტყოდა ამასა, თამაღას გაჰხედავდა, მეტი ჰო არ მომივიდაო:

სადღეგრძელო თუ ჩამოტარდაო, თამაღა იკითხავდა, ისე იკითხავდა, დიხაც რო მეტი მოგვიდაო, იგულისხმებოდა, შეძახილებიც მეტი მოგდითო, იგულისხმებოდა აგრეთვე ესეცა, უღღვგრძელებელი არავინ გამოგვრჩეს, აქ ესაა უმთაერესიო, იგულისხმებოდა კიდევ ესეცა, და მიწუდებოდა წამოძახილი, მკრთალ ჩურჩულში მიილეოდა, ასწევდნენ ჰქიქებსა ერთადა, ერთბაშადა, თავს დაუხრიდნენ ერთიმეორესა, შეჰხედავდნენ და თავს დაუხრიდნენ ჩამოტარებითა, ლობურადა, თავითბოლომლისა; თავს დაუხრიდნენ აგრეთვე ამასაცა, დავითსა-მეთქი, თავს დაუხრიდნენ და ეუხერხულებოდა; ადგებოდა, დაჯდებოდა, ისევ ადგებოდა, დასწევდნენ კალთასა, სახელოს დასწევდნენ, აქ ცალკე არავის აღღვგრძელებენ, საღღვგრძელო ყველასიაო, დასწევდნენ და განუმარტავდნენ; განუმარტავდნენ და მორჩილდებოდა, გაიხსენებდა მამის თქმულეებდნენ, უუძველესსა რაღა თქმა უნდა, რო მისწვდომოდა სათავეს წესთა, გაიხსენებდა და ვერც გაიხსენებდა, ამირანს მინც გაიხსენებდა, — თითქოს კიდევაც ეხილა თვალითა, კაცასიონს რო გადმოვლებოდა: აზიდულიყო მწვერვალთა ზედა, აზიდულიყო და დამაბულიყო, ეწეოდა და დამაბულიყო, ჩაჰვს ეწეოდა რაღა თქმა უნდა, და ქრიალებდა ჩაჰვი უმძლავრესი, აუწყვეტი, აუშვებელი, და ქრიალებდა კაცასიონი, და ქრიალებდა მთლად დედა-მიწაი, ყველა მწვერვალი და ყველა ტაფობი, ამისგან იყო ქარიშხლებიცა, სეტყვაცა, გვალვაცა, უდაბნოს ხორშაკიც ამისგან გახლდა. აღრევეც აგრეთვე პლანეტებისა, აღრევა მომავალი, რა-

მეთუ ჰალოს რო ეწეოდა, ჰო ეწეოდა და მთლად ბუდიანადა, და ბუდეც იგი ჰო დედამიწა გახლდა, მთლად დედამიწა, და ამობდღვინდა ბუდიანადა, ამობიტანდა, გააკამტვერებდა: ჯერ მაინც არაო, ჯერ ისევ ყორანი აქდებოდა გულზედა, ამასაც იხილავდა თვითმფრინავიდანა, გაფუებული, გამაძლარი ყორანი, რომ გამოიწიწინდა სისხლიან კლანჭთა, გამოიწიწინდა და ვადმოაგდებდა ნაფლეთთა გულისა, გულშეკრდისა, ამირანისა, რაღა თქმა უნდა; ან და აპა, ლამის თვითმფრინავი დაეჯახებოდა ავბედით ყორანსა, ანთუ რა ლამისა, — დაეჯახებოდა, დაიზრიალებდა კეკეასიონი, მიწის გული დაიზრიალებდა, ჩივილივებოდა უფსკრულებში ყორანი იგი, მაგრამ არაო: ეს თვითმფრინავი შეირყეოდა, გაუსხლტებოდა კლანჭთა სისხლიანთა, ძლივძლიობისას გაუსხლტებოდა, გაეარდებოდა, ვადარჩებოდა: მადლობა მღმრთისაო, მაგრამ არაო, ამას მხოლოდ ჰიდილი სწადდა, ჰიდილი ყორანთანა, წუთისოფლის სიავესთანა, რომ დასცბრომოდა ასე სიკეთესა, რომ გლეჯდა, ჩივნიდა და სიკეთე რომ განწირულიყო... წამოიწევედა დაერთიცა უნებურადა, არ აღუშვებდა საბჭური საჯარძლისა... და წაატანდა ხელსა ციციბოი: თუ რაიმე გაწუხებს, ეგერა პაკეტიო: ჯერ თვითმფრინავში არცა მკდარიყო, მაინც ისეთი არცა რა მოსწეოდა, მიეხუტა მხოლოდღა თვალნი და განშორებოდა განცდაცა იგი, იგი უჩვეულო, იგი უცნაური, რომ მოეგვარა ისე ერთბაშად ამოკენილ მწვერვალთა, ღრუბელთა იმა მოტორტმანეთა და მზესა გაფოთებულ მზესა, ღრუბელთა მეუფესა, მწვერვალთა მეუფესა, მეუფესა ჰიალუათა, ადამიანთა მეუფესაცა, ოლონდ უძალოსა ყორნის წინაშე ანუ წინაშე უყუნეთისა; ამას მამა აღარ ეტყოდა, იმედი ახლდა ამირანსა და უიმედოს არას ეტყოდა, ჩაუშარცვლიდა ლექსადაცა: მოვა დრო და თავს აიშვებს და ჩაქვს ვასწევეტს გმირთა გმირი, სიხარულით შეიცვლება ამდენიხნის გასაჰირო, ჩაუშარცვლიდა და აღმართავ-

და ხელეზსა, თითქოს და რაღა ანთაო, რომ ცვივოდა ჩაქვი, რგოლ-რგოლა ცვივოდა, თითქოსნაო რაოა თქმა უნდა; ის ჩაუშარცვლიდა და ეს გაიმეორებდა, გაიმეორებდა და დაიხსომებდა: დედა ევრაო, ევრ გაიმეორებდა, ენას მოიტებდა და ევრ გაიტებდა, თავს უთუოდ იხუგეშებდა, აქ თუ ევრაო, იქ გაემეორებ, იმა მთებში, იმა ხევებში, ასეთი ბეგრები სადაც იშვებოა: ეს იქავე გაიკეთავდა, გაიკეთავდა დასე უხინჯოდა, მამა თვალზე ხელს აიფარებდა, იქა ვარ, იქა ვარ, და იქაური ბავშვი ტიტინებოა: და მართლაც აგერ აქ რომ იქნებოდა, მოეძალებოდა იგივე სურვილი და ლამის აი წამოიშდგარიყო... მოიღუშებოდნენ მოკელებენი, დაეითი დადრკებოდა, ხელი ხელსაწმენდ ქაილდს წასწევდებოდა, მოხაზავდა ზედა მწვერვალებსა, მოხაზავდა ამირანსაცა თავისი ჩაქვითა და თავისი ყორნითა, გოშიათიცა თავისითა: ვილაცა ფურცელს გამოაცლიდა, თეფშს შეუცვლიდა და ფურცელსაც იმას მიაცილებდა, თითქოს იმედს მიაცილებდა, ახსნის იმედსა, — აიწეწებოდა, აწრივალდებოდა, მისწვდებოდნენ და მიეფერებოდნენ, დაუყვავებდნენ და მისთავაზებდნენ, წყნარადა, მშვიდადა, უმფოთველადა, ანთუ ეითომ რა აღაშფოთებთო, ამას დაეითი გაიფიქრებდა, არცთუ წასულან და არცთუ მოსულან, აგერ არიან და აქ იქნებიან, ამოუგიათ თუ რაც თუ დაუჯარგავთ, ამოუგიათ და ამოიგებენო, — მამა არწმუნებდა და აპყებოდა დედაცა, დაუჯერებდა თანდათანობითა, მეტე ჰო სულმთლად დაიჯერებდა, ქმარს რომ დაქარგავდა, დაიჯერებდა და ინანებდა, რად არ მოვიწოდოთ ერთხელ მაინცა, რად არ ვინახულე ქვეყანა იგიო, კაცობრიობის აქვანი რომ დაურწვეია, რომ მოუტანია ტყვილიებაცა დაბადებისა, სიხარულიც რომ მოუტანიაო, დღევანდლამდე მოუტანიაო: ეგ ის ხალხა, მკლებსაც რომ მისტორის თავისიანისა, რომ მოიკითხავს, რომ გადაასვენებს, ხოლო თუ მაინც ვერ გადაასვენებს, მიწას რომ ჩაუტანს, გულ-

ზე რო მოაბნევს უცხო მიწაზეო, გულზე რო მოაბნევს და გულს რო მოუთბობს, მიწა რო სწორედ ისეთი რო აქვთ, ისეთი თბილი, მოსალბუნე ისეთიო, კვარს რო გაუთბია ამირანისასა და რო არასოდეს არ გაცივდებაო; ეგ ის ხალხია, კარგი ჩვევები რო წარუტაციათ მერეცა და მერეცა, დაუგმიათ და წარუტაციათ, მიუთთვისებიათ და გაუერცლებიათ, ვითომც საკუთარი რალა თქმა უნდაო, — თუნდაც ეს წესი, მიწის მობნევისო... ამას ღედა მოუყვებოდა, — დაჰხსომებოდა ნათქვამი მეუღლისა თუ წარმოსახვა გაჟფებოდა ცივი მიწების მობინადრესა; რაც იქნებოდა თუ როგორც იქნებოდა, ახლა ესლა შეათქვამდა: მამის ძელებს რო გადმოუსვენებდნენ თუ გადმოუტანდნენ დედის ძელებსაცა, წესებში ეს თუ ვითარ იქნებოდა, თუ შეიძლებოდა, თუ დაიშვებოდა, — შეათქვამდა და შემოირბენდნენ გოგონებიცა, გამოსცლიდნენ გამოსაცვლელსა, გადასწმენდნენ გადასაწმენდსა, შესაწორებდნენ შესასწორებელსა და მოჰყვებოდა შილაფლავიცა, დიდი ლანგრებითა, ორთქლავარდნილი, სურნელოვანი, მობუტბუტი, მოამბე თითქოს იმ საიდუმლოთა, მიცვლებულს რო ვაკყოლოდა; და მოუთხრობდა, — გადაილებდნენ და ეზიარებოდნენ, დავითსაც ასევე გადაულებდნენ, და იუარებდა დავითი, და აუხსნიდნენ, რო არ იუარებდა უარობა შილაფლავისა, არ იქნებოდა, აუხსნიდნენ ასე უბრალოდა, ისიც უმაღლვე მიენდობოდა, აივებოდა თეფში იმისიცა, ავიდოდა ორთქლი, სურნელი, სული ავიდოდა იმის წინაშეცა, ვითარცა სხვათა, თვითულის წინაშე ვითარცა, ავიდოდა, ავიდოდა, ავიდოდა, გაიკმიდებოდა და თამადა წამოდგებოდა უჩუმრად, თითქოს თუ არცთუ წამოდგებოდა, თითქოს თუ ისე აგრძელდებოდა, ვთქვათ თუ ანტენა სპიდოლასიო, რაც უნდა იყოს წამოდგებოდა, კვლავ განსვენებულს მოიხსენიებდა, იტყოდა ხსოვნის სადღეგრძელოსა, მარადიულისა რალა თქმა უნდა. მარადიული ხსოვნისა; დარ-

ჩებოდა ერთადერთი სადღეგრძელოცა მოთავდებოდა მერე სუფრად, მანამდე ეს გახლდა ყოვლად მლეღარი, ამარყუები, ამათრთოლები და სასოებითი, ენად რო ვერ გაიკრიფებოდნენ, მოთქმითი მოთქმა რო არ ეგებოდა, რო ჩივილიდა ჩუმი ქვითინითა, ვითარც რო თანხლება თამადის სიტყვისა, მოკლე სიტყვისა რალა თქმა უნდა; ცრემლიც თანხლებად თუ დაედინება, წამოვა და გადაიყრება, თუ მოწაწყარდა, შეშრება, შეშრება თავისთავად; მხოლოდ დავითი ველარ გაუძლებს, დავითს გული ამოუჯდება; არაეინ ასეცება, ღუმან სხვანი გაქვავებული ღუმილითა, ღუმან, მაშ რაო, — ეს ჰო ის ხალხია, კარგად რო იციან, როდის როგორ რო შეიკონ თავი, მკვდარიც რო არსად რო უნდა დაჰკარგონ, კარგად რო იციან, თუ ვერ გამოიხსნეს ძელები მაინცა, მიწა რო უნდა იქ ჩაუტანონ, ჯვარი გამოსახონ, ააცილონ ეშმაკი, კარგად რო იციან, როგორ ილოკონ მიწაი თავიანთი, ენაი თავიანთი, კარგად რო იციან, რაც უნდა წარსტაცონ, ყველაფერს მაინც რო ვერ წარსტაცებენ, კარგად რო იციან და კარგად რო იცოდნენ, რო დაასწავლიდნენ ამასაც კარგადა, რო აიძულებდნენ გადმოსვენებას თავის მშობელთა, — ეს ის ხალხიაო...

და ამოუჯდებოდა გული დავითსა, ამიტომაცა, იმიტომაცა, უეცრად ბევრი რამ დარევედა ხელსა:

#### IV.

ჰო:

და დავითს გული ამოუჯდებოდაო; ვილაცა გაიყვანდა აივანზე ეზოს მხარესა;

იქ მუდროება იქნებოდა, ნიშნად თანაგრძნობისა, რალა თქმა უნდა.

ოთხივე კუთხივე მოედგმოდა საართლები პატარა ეზოსა, შუაში თუთა აიზიდებოდა, ვეება თუთაი, ველარავინ რო ველარ ვავიდოდა, ველარავინ რო ველარას მისწვდებოდა. სხვა ეზოებში გადიხლიჩებოდა ეს ძველი თუთები, ჩალეწავდა სახურავებსა, შუშამანდებსა, აივნებს მოფხრეწდა, ატებდა ერთ წიოკო-



ბასა, და კიდევ სხვაგან ფრთხილნი ბრძანებდნენ. გადაეჩუბოთო თუ მი-  
რიანად ამოვადგოთო: არა თუ ფრთხი-  
ლნი, ანთუ მოყვარულნი წინააღმდეგო-  
ბისა წინ აღუდგებოდნენ, გამართებო-  
და დაეა და კამათი, შეხლა-შემოხლა,  
საჩივრები, კომისიები, თათბირები, სა-  
სამართლონი, ანთუ რაკთუ გამართე-  
ბოდა, მანამდე თუთა ან ვახშებოდა ან  
დაადგენდნენ ამოვადგოთო: აქ ეს ამბა-  
ვი არავის თუ არ დაეწია და აღიმართე-  
ბოდა, გადაიფინებოდა მთელს ეზოზე-  
და, ვიწრო ეზოზედა, ნათურებსაც ჩა-  
მოჰკიდებდნენ, ჩადგამდნენ შავიდასა,  
ანთუ შავიდასა, ნარდასაც გაშლიდნენ,  
ჭადრასაცა, ბანქოსაცა, ხანთუ ლოტო-  
საცა, გატაცებასა იმ საუკუნისა, რევი-  
ლუციამდე გტაცებასა. თუთა მოიკ-  
რებდა, სიტტბო მოიკრებდა, ჩრდილი  
მოიკრებდა, ჩამოებევოდნენ ხვეულ კი-  
ბებზე, ჩამოებევოდნენ და აუხუოდ-  
ნენ, ვის თუ რა ჰქონდა რა ჩამოეტანა,  
რა ევაბშმათ თუ ჩაი დაელიათ, იქავე  
იქვე, ნარდი ვაეწიათ, ჭადრავი ვაეწი-  
ათ, ბანქო მიეყარათ თუ ლოტოსა, მო-  
გონებაი წარსული დროისა, და მისცე-  
მოდნენ ტბილ მესაიყსა, ეთომდა ერ-  
თი იჯახი არისო, იღობდ აქაც აღარ  
ეწერა, კიდევ ასე რა ვაგრძელებული-  
ყო: ზოგს აიენები ოთახებად გადაეჭია,  
ზოგსაც თანხმდებოდნენ, მოეშალათ  
ხვეული კიბები, ფართობი რა მომა-  
ტებოდათ, თუთაც, ე თუთაც დაშაშრე-  
ლიყო, დამზარულიყო, დაფშალული-  
ყო. შიშიც უკვე გაჩენილიყო, აყალმა-  
ყალის წინაშე იდგნენ, დედოფლებზე ვი-  
ლაც დაიჭუხებდა და აყუდებოდნენ რალა  
თქმა უნდა, მოიშლებოდა ჩაი თუთის  
ქვეა. მოიშლებოდა ერთობა ეზოსი,  
ეზო რახან მოიშლებოდა. დაეითი ამ-  
დენს არ იხალვლებდა რალა თქმა უნდა,  
გაგების თაეიც არ ექნებოდა, ეუღდე-  
ბოდა იქა ბოძა რომელიმესა, მიაყუდე-  
ბდნენ და ეუღდებოდა: უშანგი თუ მია-  
უღდებდა, მერე ველარ ულაღავებდა,  
არ მიაკლიდნენ და იმიტომა, უხმობ-  
დნენ აქეთა, უხმობდნენ იქითა, დაეკო-  
ხებოდნენ თუ მოსახლდნენ, დაავა-

ლებდნენ თუ ევედრებოდნენ. სულე-  
თია თუ რაც იქნებოდა, უმისოდ თუ  
არც იქნებოდა და აყუდებოდა ისიც ევე-  
ლასა, დაუზარლადა, უყოვმანოდა, და-  
ვითოც ირჩევდა გამართებასა. ბოძს  
რო ეუღდა, იმას ირჩევდა. თუ შესტო-  
პავდა უარეს წუხილში, იმსაც ირჩე-  
და, დედის, დარდის მოეძალებოდა, მო-  
უნდებოდა იმის გაგებაცა. დედას იქ ჰი  
არ დამიტოვებენო, მოეძალებოდა და  
ვერც იკითხავდა. — გოგონები რა და-  
სრიალებდნენ. შეანათებდნენ ბრალა  
თვალებსა, გაჰქრებოდნენ და გაშოჩნ-  
დებოდნენ. წაიყრად თუ შეანათებდ-  
ნენ, მერე თვდახრით გაუქროლებდ-  
ნენ, ლამის თუფშები დაუცვიოდათ.  
ლამის ლანგრები ჩამოეწუწუებოდათ.  
ყმაწვილებიც რა გადაურბენდნენ,  
თვალს შეაულებდნენ ექვიანადა, ხელ-  
დებს რა შეათამაშებდნენ, მოხდენილა-  
და, ეშხიანადა, თითქოს ზომავდნენ თუ  
თითქოს იწვევდნენო. — ვერ იკითხა-  
და რალა თქმა უნდა: მერე ფიქრი აეწე-  
წებოდა, მერე ეს ხალხიც აეწეწებოდა.  
ახალგაზრდებიცა, მოხუცებიცა, დიშ-  
ლებოდა სხულები თუ სხვადასხვაგა-  
რად გადაიბოდა, მოხუცს თაეც ახალ-  
გაზრდას მოეძებოდა, დაკალდებოდა  
გოგონას ფეხები, ერთ- თუ ერთ ბიჭს  
მოერგებოდა, მერე სადოაც გადაეპო-  
დებოდა, ენებდა ვისაც დაფეხვოლ დე-  
დაბერსა, ეგებ რაგორმე შეეპაგროო,  
სხვა ვინმე წელში გადაიხსნებოდა,  
სხვა კიდევ შუა გადიხლიჩებოდა, ხე-  
ლები ცალკე აირეოდა, აეწყობოდა  
სულ სხვა გვარადა, აეწყობოდა და და-  
იშლებოდა — აეწეწებოდა ერთი სიტ-  
ყეთა. ქელენი მიატანდა უკვე დასას-  
რულსა, ზოგი მანც ვერ მოითმენდა, —  
უფრო მოხუცნი რალა იქმა უნ-  
და, — ცოტა აღრე გაცილებოდა.  
და ეს ისინი არეოდნენ, გაიხლართე-  
ბოდნენ, წავიდოდნენ და ვერც წავი-  
დოდნენ, იჩქარებდნენ და არც ეთმო-  
ბოდათ, მოიგონებდნენ და მოიკითხა-  
დნენ ერთიმეორესა, ვინც თუ ვარ მო-  
სულეყო, ვერ გამოჩენილიყო ქარგახა-  
ნია, მოიკითხავდნენ იმსაც ცხადა

მოიკითხავდნენ, გამოიკითხავდნენ ქე-  
ლებებსა თუ ქორწილებზედა, გიორგო-  
ბასა თუ ლომისობასა, შეხედებოდნენ  
და გამოიკითხავდნენ, — რა გვეშვე-  
ლებოდა უამისოდან: დაეღვადებოდით  
და დაეფიანტებოდით, ნათესაობა დაგ-  
ვეშლებოდაო, ავირეოდით და ათქვი-  
ფებოდით, ჩვენებური, ჩვენგვარი არ  
იქნებოდაო; ძლევამოსილებაჲ ამას ინე-  
ბებდა, კიროსის დროსაც ამას ინებებ-  
და, ბუნება არაო, — ბუნება ინებებდა  
დავისებებრებასა, მრავალფერობასა,  
ძლევამოსილება — ერთფეროვნებასა,  
ძლევამოსილება ბუნებას შეებოდა, ბუ-  
ნებასა მარადიულსა, შეებმებოდა და  
სძალავდა თითქოსა, ლამისა სძალავდა,  
ბუნება მანც იძიებდა შურსა, როცა  
იქნებოდა მანც იძიებდა: მრავალფე-  
რობა იქნებოდა არსი ბუნებისა, მრავ-  
ალფერობა იქნებოდა მშვენიერება და  
სიციოცხლეც ეს იქნებოდა, ეს იქნებო-  
და მარადიული, დამთურგველი სიკე-  
დილისა, ერთფეროვნების დამთურგვე-  
ნელი: მრავალფერობა იქნებოდა გონე-  
ნაი ბუნებისა, სიბრძნეი ბუნებისა, უხი-  
ლაეი და მოუხელთებელი, განმგებელი  
ყოველთა და ყოველივესი, ერთფერობა  
იქნებოდა გონებაი კაცთა, ვნებაი კაც-  
თა, ენი ენისეული, ენი სიდიადისა,

თეთონ სამარეც მევწროოს თუ  
ტოლი მყვანდესო, ვითარც იტყოდა ნა-  
პოლეონი ბარათაშვილისა, — ენი გან-  
წირული თუ განელებული სიბრძნითა  
ბუნებისა, გონებითა ბუნებისა, დიადი  
გონებითა, მარადის გონებითა, ურყევი  
გონებითა, მშვენიერებითა მარადისითა.  
და მოიკითხავდნენ ძირისძირამდისა,  
რო გამოიშლებოდნენ აივანზედა, სადა-  
რბაზოებშიც გაიშლებოდნენ, სადარბა-  
ზოსთანაცა, ეზოშიცა, არ დაეთმობო-  
დათ ერთმანეთი, არ დაეთმობოდათ კი-  
დევე კარგახანსა, ქელეხი რო მოთავდე-  
ბოდა, და მოთავდებოდა, დიდხანს არ  
გასტანდა, ოღონდ დეიდა მერი ფრჩხი-  
ლებს დაიკენეტდა, აქეთ ეცემოდა და  
იქით ეცემოდა, გავარჯარდებოდა და  
გადაფითრდებოდა, ამოიძახებდა და  
მოიღვრეტდა ენასა, რამეთუ კერავის

ვერავდნენ დასწამებდა, თქმობანი შექმნა  
ხა ნაკურთხი სანთლები, — აი კერესი  
უნდა მიეტანათ, — შეენახა და ველარ  
მიეგნო. ისეც უშანგი თუ უშველიდა.  
გამოუტყდებოდა ისიც უშანგისა. უშა-  
ნგი იმასაც დაამშვიდებდა, გაეშურე-  
ბოდა, — მოვირბენ სიონსა, ქაშეთ-  
საც მოვირბენ, მოვირბენ თუნდაც სვე-  
ტიცხოველსა, მალე აქვე დაიბადებოო,  
შენ კერესი დააყოვნეო; და დააყოვნებ-  
და მერი კერესა, შფოთავდა და დაა-  
ყოვნებდა, შილაფლავსაც დააყოვნებ-  
და: შემოიტანდნენ მერე შანცა.  
ორთქლს შემოიტანდნენ, სურნელს შე-  
მოიტანდნენ, სულს შემოიტანდნენ თი-  
თქოსაო, ორთქლად რო ეიდოდა, ეიდო-  
და სურნელადა, ტრიალებდა და ტრია-  
ლებდა, ავიდოდა და ავიდოდა, მიილე-  
ოდა, მიჰქრებოდა, კვლავ მიჰყვებოდა.  
მიაღვენებდნენ თვალსაცა ისევე, აღარც  
ისეთი სასოებითა, დაღლილიყენ თუ  
განწმენდილიყენ, ანთუ განწმენდა რო  
ვერც მოესწროთ, ისეც ცხოვრებას მიუ-  
ბრუნდებოდნენ, ან ცხოვრება რო არ  
დააცილიდა, მიეჭრებოდა. შეეჭრებოდა.  
შეეჭრებოდა შიშში, წუბილში. არ დაა-  
ცილიდა განწმენდასა, ამაღლებას არ და-  
აცილიდა. არ დაეხსნებოდა არცა სული  
განსევენებულსა, ჯერ იქ ბინა რო კერ  
დაეგდო, ჯერ რო აქვე იყო, მიაცილებ-  
დნენ და მიეცილებინათ უნდა ბოლომ-  
დისა, უკუნეთი უნდა გაეშუქებინათ.  
ნაკურთხი სანთლები ჩადგათ ნიშებში,  
ჩაერიგებინათ უსასრულობამდე, წუთი-  
სოფლიდან მარადისოფლამდე, და პოუ-  
შებდა მანქანასა უშანგი, მიუშვებდა,  
მიაგვლეებდა, არ მოყრიდებოდა აკრია-  
ლის ნიშნებსა, არცთუ ქუნის სიერწ-  
როვესა, რაც ეჩქარებოდა, იმას ესწრა-  
ფოდა, არ ეკითხებოდა სხვა არაფერი,  
არცთუ კურთხევისა არ გაეგებოდა, არც  
მოინდომებდა, რო გაევიგოთ, ანთუ ეგე-  
ბის ვერც გაეგებდა, ანთუ გულისყურს  
ვერ დაუდებდა თუ როგორ შობილი-  
ყო, სადთუ შობილიყო რწმენაი ცეცხ-  
ლისა, სადთუ როგორ გარდაქმნილიყო,  
სად როგორ ედევნათ, ანთუ როგორ შე-  
ნივთებოდნენ, — ედევნათ და თავისად

ექციათ, ძალადაც ექციათ დაპყრობისა, დამონებისა, სიკვედ ექციათ სიკეთედ მოსული, — სადთუ როგორაო, ვისთუ როგორაო, იღონდ აქ სუფრას შემორჩებოდა, ქვლებს სუფრასა, ზილთან ერთად რა შემოიტანდნენ, ტკბილეულთან ერთადა, — ცეცხლსა სანთლებადა, თაფლის სანთლებადა, — შემოიტანდნენ და შემოარჩებდნენ, იქ ბნელი გზა რა გაუნათოს, ნათელი ადგეს აქაობასა, ცა, ზმირად რა ასე მოიბუღებდნენ, რა დასწყევლიდნენ თავიანთ ბედსა, სიციცხლეს რა დაიწყევლიდნენ, სიკვდილს ინატრებდნენ რა:

— ეინ უწყის მართლა იქაცა სჯობდეს... — ვილაცა იტყოდა როდის აღარა, ქვლებს სუფრაზე მაინც იტყოდა.

— ეინ უწყის?... მოამბე არ გამოჩენილა.

— ის პო ეუწყით, რა, აქ რა არა სჯობს!..

ეუწყით, რა?!  
— არა?!  
— ნეტა რა ეუწყით!..  
— სიკვდილი ზოგჯერ ხსნად რა მიკვეცილებს.

— თუ სიციცხლეს ვამბობებ...  
— მე არ ვამბობებ.  
— არც მე.  
— არც ისა, ყველანი ერთადა.

— და თუ სიკვედ ხსნად მიგვილია, გაშინ სიციცხლის ღირსნიც არა ვართ.  
— და სიკვედს ველარც გაეარჩევთ?..  
— სიკვდილი სიკვედა.  
— სიკვდილი ზნეობისა?  
— სიკვედა, რაღა თქმა უნდა.  
— შებღალუა წმინდისა, წმინდათა წმინდისა?

— სიკვედა, რაღა თქმა უნდა.  
— და რა შევბღალავთ?!  
— მე არა...  
— არც მე...  
— არც ისა... ჩვენა, ყველანი.  
— რას ამბობ, რითა?  
— რილათი არა?!  
— მაშ დავლუპულვართ...  
— ძირს ნიპილიზმი!..  
— თუ ექვლავთ, რითაც ავმალვებუ-

ლვართ?..  
— მე არა ექვლავ...  
— არც შენა? არც ისა?... ყველანი ექვლავთ.  
— შიშს დიდი თვალეზი აქვსო.  
— შურსა?  
— კაცი კაცს რა არა მტრობდეს, არც არავის იბატონებსო.  
— რუსთაველია?  
— გურამიშვილი?  
— ვაჟა პო არა?  
— არა... არა, არა. ვინც უნდა იყოს, შური მძლავრობდა, შური განავებდა ბატონობდა შური.  
— და სახელმწიფოს შური ჰქმნიდა, სახელმწიფო შურის გვირგვინია.  
— პლატონია?  
— არისტოტელე?  
— მაკიაველი?  
— არა... არა, არა. ვინც უნდა იყოს.  
— რად უნდა იყოს, როცა უფრო ნათელი ფორმულები ეციოთ?  
— ფორმულები...  
— ფორ... ფორ... ფორმულები ეციოთ.  
— შრიშა.  
— დიახაც!..  
— დაუძალეზელი და ნაყოფიერი.  
— სწავლა.  
— დაუძალეზელი.  
— საყოველთაო და სავალდებულო...  
— და თუ არ ძალუძს?! და თუ ვანტკიცებთ, ყველას ძალუძსო?!  
— ნუ ვანტკიცებთ.  
— პა, პა, პა... ნუ ამტკიცებ, პა!.. ძალის თავიც მანდა მარხია.  
— ამოვილოთ და გადავავლოთ.  
— ზუმრობთ?!  
— რა გვეზუმრება.  
— სკოლა დუქანია!..  
— სსსსს...  
— ყველგან დუქანია, საქონელი სადაც გაჩნდება.  
— როგორ გადაიქცა ყველაფერი მერე საქონლადა?!  
— როგორღა არა!..  
— დახურეთ დუქანი!..  
— პა, პა, პა...

- ნუ დაძალებთ...
- დაძალებულს მადლი არა აქვს.
- რასა აქვს მადლი?
- სსსს... ავხმაურდით. სული ცო-  
დია. ძლიერ მოისვენა და მოვასვენოთ.
- ცოდია სული.

თამადა იტყოდა თუ ვინც იტყოდა ამ ბოლო სიტყვასა, სულერთი ვახლდა, დახანება აღარ ეგებოდა და მართლაც აღარც დახანდებოდა. რაღაც მოხდებოდა უცნაოდ ისეთი, აცეკვდებოდა თითები დეიდა მერისა, შორიდანვე აცეკვდებოდა. გამხნეებულყოფი რომ თამადაი, წამოცურდებოდა სავსე ლანგრებიცა, — რომ უფრო უკეთ გამხნეებულყოფი, — დიდ ლანგრებიცა, პატარა ხახლებიცა, ხილითა, ტბილუულითა, გარემოვლებული სანთლებითა, თაფლის სანთლებითა, ანთებული სანთლებითა. უშანგე არცთუ გამოჩნდებოდა. დეიდა მერი მოსაებნიდა თავის ვადანახულსა, მოსაებნიდა თუ წააწყდებოდა, ეშმაკი თუ გადაეფარებოდა, თუ გაეცლებოდა ის იყო ეშმაკი, და წააწყდებოდა დეიდა მერიცა. ეშმაკიც ჰო იქ იქნებოდა, არ მოსცილდებოდა სულსა კაცისა, რომ სელმა ჩაეგდო, რომ დაეთრია გოგოხეთისადა, სახთელსაც იმად დაეფარებოდა, გზა რომ ეყო გაეგნო, ამას დარჩენოდა, ეშმაკს დარჩენოდა. ამიტომ ძალადენენ ყოველთვის სახთელსა, მაღალდენენ და გადამაღალდენენ, ზოგჯერ ასე, რომ ვეღარც იპოვნიდნენ. და რომ ვერც ეპოვა დეიდა მერისა. ეშმაკი წამითაც რომ ვერ გაეტყუებინათ, რომ ვერ შეეცდინათ ანგელოზებსა, გამოჩნდებოდა უშანგიც მაღუ: თუძკა ფათერაკი შეეძთხეკოდა, იქ გვერდს გაქრავდა, იქ გადაუსწრებდა, იქ სასტევენს ამ მიუხედავდა, იქ გაუსხლტებოდა ინსპექტორებსა, ეჩქარებოდა და გაუსხლტებოდა, ვიღაცას გაფხაჭნიდა თუ შეუქყლელტა ფრთასა, — შეეშთხეკოდა ასე ერთბაშად, რადგან ეშმაკი აღდეგებოდა, აქ ლანდს დასტოვებდა, იქ თვით გაჰყვებოდა. ლანდს შეაღდენდნენ სწორედაც ანგელოზნი, ეშმაკს უშანგე გაუსხლტებოდა. მერე მიჰხედავდა, ვინთუ გა-

აწრა, თავის მანქანასაც ეშმაკი მიჰხედავდა. მოინახულებდა ინსპექტორთაცა, ყველას მიჰხედავდა, მოურიგდებოდა ადვილად და ჰაიპარადა, ჯერ რომ ეშმაკს გაუსხლტებოდა, რაღა თქმა უნდა: ოღონდ თუ ვერ გაუსხლტებოდა?.. — უნდა გასხლტომოდა: სული ელოდა, სული შფოთავდა, სული უნდა გაესტუმრებინათ, ანთუ უკეთ არ უნდა შერცხვენილიყვენენ სტუმრებთანა, თორემ ბიბლია თუ „ფაუსტი“, „აფრიკა“ თუ „მიმქრალი შარავანდელი“ არცა თუ ისე დაამძიმებდა უშანგისა, — არ უნდა შერცხვენილიყვენენ სტუმრებთანა, ხინჯი არ უნდა ეპოვათ მკორედიცა, რომ გავიდოდნენ, ხმა უნდა დაეყარათ მოწონებისა, — დიდებულად გააპატროსნეს მიცვალებულით, ხმაც უნდა დაეყარათ და დიდხანსაც უნდა გაემორებინათ: სუფრაზედვე შეეცყობოდათ: მოთავდებოდა წესი წესისადა: და ადგებოდნენ ყველანი ბოლოსა, ყველანი ერთადა, ქალიან-კაციანდა, გაეპაროთ ჭირი, ლხინი მოგვეთ ამიერიდანო, ადგებოდნენ და აღარც დასხდებოდნენ, ბარაქალაო, ასე იტყოდნენ, ასეც უნდაო, ასეც დასძენდნენ, — შეეცყობოდათ რაღა თქმა უნდა. ჰოდა ასეო, არც დასხდებოდნენო: ჰოდა რომ აღარც დასხდებოდნენო, ეახლებოდნენ ციციოსა სათითაოდა, გამოსათხოვებლად ეახლებოდნენ, მისასამიშირებლადაცა, რომ დაფვიანდა, მერე ერთბაშად შემოეხევიოდნენ, ხელს მიინც გაუწვიდნენ სათითაოდა, ეამბორებოდნენ კიდევაცა ხელზე თუ ლოყაზე, მიიხუტებდნენ კიდევაცა, ისე თუ იმ გვარადა, ვინთუ როგორად მიახლოვებოდა ნათესაობის მუხლებითა ცხადია: ყველა ვეღარცთუ დაახსომდებოდა ციციოსა, უფროსები დაახსომდებოდა, დაბერებულანო, გაიფიქრებდა და მიუშვერდა ლოყასა, გამოიცილობდა ტოლ-სწორებსაცა რაღა თქმა უნდა, გატეხილანო, გაიფიქრებდა, და თუ მიეცეპოდნენ, ცრემლს თუ დააყრიდნენ მხარსა თუ გულზე, დააცდოდა, დაელოდებოდა, დააცქერდებოდა სხვა გაწვილი ხელთა და ვერ გამოიცილობდა

უმცროსებსა, რო დაზრდილიყვენ, გარდაქმნილიყვენ, ზოგი მერეც რო დაბადებულყო, ვერ გამოიცინობდა, ვერ მიატანდა, ვისი თუ ვინ იყო; აუხსნიდა დეიდა სალომეი, მანამდე ის რო იქნებოდა უპირველესი ჰირსიუფალი, ის რო ივლომებოდა თავითა მიცვალბულისა, იმას რო მიუხამბიმრებდნენ ჰირველყოვლისა, ის რო მიუტირებდა, ის რო დაატირებდა, უფრო მწარედაც დაატირებდა, შვილი და ძირი რო აღარ გიჩანსო. — არ დაინდობდა დაგვიანებულსა, მხარშიც ჰირველი ამოუდგებოდა, ამოუდგებოდა და ამოსდგომოდა, იქერდა, იკავებდა, გაამხნევებდა, თორემ აი და წაიქცეოდა, — ეს ციცირო წაიქცეოდა, დალილიყო ისე, გაწამებულიყო ისე, გასაუათებულოყო; იქვე იგრძნობდა დეიდა ზეინაბსაცა, ეს ციცირო იგრძნობდა. თუ წავბარძიკდი, შემაკავებენ ორივენიო; დეიდა ირინე შორიდან რო მიაკერდებოდა, შეიკოვებდა დეიდა ირინესა, ისე სუსტი გახლდა. ისე გარიყული თუ განრიდებული, ისე უსასო, შეიცნობდა და გაამხნევებდა მიღული თუ მიძქალი თვალითა. — და გაუწვიდა ხელსა, ხელს რო უწვიდნენ, და მიუშვერდა ლოყასა, ტუნებს რო მიუშვერდნენ, და მიუპრობდა ყურსა, რო ეუბნებოდნენ, მიუპრობდა და ვერას გაარჩევდა, დაცვიოდა სიტყვები, და მისკურავდა სახეები, შუბლები, თვალები, ცხვირები, ლოყები, ნიკაპები, მისკურავდა, მისკურავდა განსხეავებული, მიუმგვანებული, მისკურავდა და არეულიყო ნიღბები თუ ასე ნაწილები, ნაფლეთები ნიღბთა; მერე ნაწილებიც წაიშლებოდა, ხორცილა ვიდოდა დაქუწული, აკეპილი, ზედიზედ მიყრილი, ვიდოდა და მიშინებდა, აფუედებოდა და ჩაკომდებოდა, აიწვედა და დაეშებოდა, დასასრული თუ აღარ უჩანდა, თუ მორჩა ყველაფერი... ჩხაქუნი მაინც შემოესმოდა, მკირედი, მკრთალი, მორიდებული. აჩქარებულისა. ფრთხილი და მაინც აჩქარებული. — დეიდა ზერი შეესეოდა სუფრასა, ამალიანად

შეესეოდა, გაიხვეტებოდა ხალხსა, არა მთელი სუფრაც გაიხვეტებოდა, ალაგდებოდა, მილაგდებოდა, წავიდოდა სული დამშვიდებული, გაპატიოსნებული, წავიდოდა, გადაბარგდებოდა, მიღუმდებოდა აქა ყველაფერი დაღუმებული გლოვისათვისა, —

მანამდე შესძლებოდა თუ შეძლებათქმოდა, მერე მუხლი მოეჭრებოდა, დეარდებოდა ეგრევე მუხლებზე, და ეგრევეც აიტაცებდნენ დეიდა სალომეი და დეიდა ზეინაბი, დეიდა მერი მიუმარჯვებდა სავარძელსა ჰიკა გაუვარდებოდა დეიდა ირინესა, გაიხნეოდა ნაფშხენები, ყველას მოხვედებოდა ნაფშხენი ჰიქისა, —

შეპლრენდა დეიდა სალომეი, აკანკალდებოდა დეიდა ზეინაბი, დაიფშხალდებოდა დეიდა მერი, ღამის ჩაპქრებოდა დეიდა ირინე, ციცირო კანქზე ჩაისვამდა ხელსა, ჩაისვამდა თუ დაუვარდებოდა, დაუვარდებოდა და ველარ ასწევდა.

V

მოიკრებდა ციციროი ღონესა, დეიდა სალომეც შეავანებდა მაშინვე, ღონეს მოიკრებდა თუ არა: სიკვდილი არა ჰლირს იმადაცა, სასოწარკვეთას რო მივეცეთო, ამტომაცა, გამოიტირებენ და მრუბრუნდებიან მაშინვე სიკოცხლესო, მაშინვე, მყისვე, ხოლო თუ ტირიან, ტირიან სიკოცხლეს დაკარგულსა, სიკვდილს არაო, სიკვდილს არავინ არა ტირისო, ტირიან სიკოცხლეს დაკარგულსა და ისევ სიკოცხლით ებრძვიან სიკვდილსაო; ის ძეგლებიც სიკოცხლისაა, ისე რო ვაგებთ, თავგანწირვითაო, ის ყვეილებიც სიკოცხლისაა, იქვე რო ვახარებთ, რო მიმოვფენთ სულთფენობასა, ჰიქას რო წაუძქევეთ, სიკოცხლისაა, ყველაფერი სიკოცხლისაა მხოლოდდამხოლოდო; სასოწარკვეთა სიკვდილისაა და არც უნდა მიეცე სასოწარკვეთასა, სიკვდილს არა, არ უნდა მინებდე ცოცხალი თავითაო: უნდა გამოიტრო და უნდა იკოცხლოო.



ბოდა არცთუ სიკვდილსა, არც სიცი-  
 ხლეს ჩაუფიქრებოდა. ეგონა ცხოვრო-  
 ბდა მარადიულადა, ეგონა ადამის დრო-  
 ისა იყო, ანთუ არც ეგონა, იყო და ეგ  
 იყო, ეგვე იქნებოდა: არ დაენანებოდა  
 არც არაფერი, არ გამოუღვებოდა არც  
 არაფერსა, ჩაეიღებოდა ჩასაკიდებელ-  
 სსა, მოებლაუქებოდა მოსაბლაუქებელ-  
 სსა, თუ ჩაიგვებოდა, გაუსხლტებოდა  
 და გასხლტომოდა, — მაშინ იყო, რო  
 არ დაინანებდა, არც გაუღვებოდა თავ-  
 პირისმტერევითა: ეთქვათ, ცხოვრება  
 ამო არისო, უარს არ იტყოდა ცხოვრე-  
 ბით ტებობაზე, არცთუ სიკვდილსა გაიკვირ-  
 ვებდა, სიკვდილსა ცხოვრებისა, სიკვდილსა სი-  
 ცოცხლისა, არ გაიკვირებდა და ჩაპუ-  
 ვებოდა სიკვდილსა და სიკვდილსა, ჩაპ-  
 ვებოდა და შუაგულში მკვდრად, აპ-  
 ვებოდა და ჩაპვებოდა უფრო სიკ-  
 ვესა თუ სიკვდილსა ნაკლები გახლდა, მეტი  
 ყოფილიყო, შეიფერებდა სიკვდილსა, უფრო  
 უკეთესად შეიფერებდა, თუმცა  
 იტყოდნენ, არც სიკვდილსა მთლად თავან-  
 კარი, სიკვდილსა თესლი შიგვე თესილი, —  
 ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს თუ მეორე  
 არ წაწყვილოსო, — ესეც რო არ იყოს,  
 უამისოდაც: ესაა ჩიჩინს ვერ შეიფე-  
 რებდა, მოხსენებებსა, ლექციებსა, ვერ  
 შეიფერებდა, მაინც ამთავრებდა მეო-  
 რე ფაქულტეტსა, ერთი რო უკვე დაე-  
 მთავრებინა, რაღა თქმა უნდა, ლექცი-  
 ებს რო არც დაესწრებოდა, დაამთავ-  
 რებდა ისე, იმგვარადა, — ამას თქმა  
 უნდა რაღა თქმა უნდა, არცთუ წიგნე-  
 ბით მოიკლავდა თავსა, არც კონსპექ-  
 ტებითა, არც გაიკვირებდა ოდნავადა-  
 ცა, თვითონვე დასძინდა: მე იმდენიც  
 არაფერიო, ისეთიკ ვიცი, რო ამთავ-  
 რებს მესამე ფაქულტეტსა, წიგნი ხელ-  
 ში არა სჭერიაო: ვინ უწყის თუ გააზ-  
 ვიადებდა, ეს მასზე იყოს, მის კისერზე  
 იყოს; ლექციები მაინც აბეზრებდა, ეს  
 ლექციები ყველგან და ყოველთვისა, —  
 გარეთ პო და პო, მერე შინაცა, — ლე-  
 ქციები ტელევიზორისა, ლექციები დე-  
 იდა სალომესი, მერე ისე რო დალი-

ლიყო, მთელ დღეს პირში ნაპირში  
 ჩასვლადა, ყველაზე ეზრუნა და თავზე  
 არა, დაეიწყებოდა და გახსენებოდა,  
 თავის თავიკ გახსენებოდა, — არ და-  
 ნებებდა სალომეი მაინცა, თითებსა გა-  
 ფარჩხავდა და მოიქნევდა, შესძრავდა  
 პერსა გათანგულ ოთახში; დაიგრილა-  
 ბდა საღაღად რაღაცა, ნახსენებდა ატო-  
 მისა თუ ექვი რაღაცისა, ანთუ რისაო,  
 აღმათ სალომეს თითებისაო, ანაპირ-  
 კლებოდა ისე, იმგვარადა, შედავება  
 არ იქნებოდა უშანგი ისე დეიდა მე-  
 რის თუ გამოუტყდებოდა, რა თუ არ-  
 გებდა დამშეულსა მთელი დღისაო,  
 თვითონ ვერაფერს გამოარჩევდა და-  
 ხორავებულსა თუ არეულ საშარეუ-  
 ლში, დეიდა მერი გამოარჩევდა, გა-  
 დანახლოც ექნებოდა, რაღა თქმა უნ-  
 და, პატარა მავიდას გაუმართავდა  
 აიენის ეუნქულში, გადაალებდა ქათ-  
 ქათა სუფრასა, ქორთა მწვანილსაც  
 გამოურჩევდა, გამოურჩევდა და დაუ-  
 ცვარავდა, დაუცვარავდა კერსაცა და  
 პომიდორსაცა, საღვინესაცა რაღა თქმა  
 უნდა, ლობიოს მიართმევდა ახალი ქინ-  
 ძითა: მეტი არცთუ რა ენდომებოდა  
 უშანგისა, თუმცა არაო, მენიხი ენდო-  
 მებოდა და იმასაც პო იქვე შეასწრებდა  
 თვალსა, ბოძს რო ეყუდებოდა, რო-  
 გორც მიყუდა, ისევე რო ეყუდებოდა:  
 ხოლო იქ, შიგნით, განეგრძო თავისი  
 დეიდა სალომესა, არ დაეცოდა დამშ-  
 ვიდება ციკონოსთვისა, დაემოძღვრა  
 და, რო უხსდებოდნენ დებიცა იქვე,  
 ზინიხი და ირინეი, აქედლებინა, თავი  
 მიქნიეთო, მხოლოდ მიქნიეთო, ლაპა-  
 რაქში პო არ ჩაირედა, მერი მისწრე-  
 ბდა იქაცა და თავს დაუქნევდა, არ მო-  
 აკლებდა ურადლებას უშანგისაცა, კი-  
 დეე რას ინებებ, შენ მხოლოდ ბრძა-  
 ნეო: სიციხლეს შენსაო, ყველას სი-  
 ცოცხლესო, მიადევნებდა უშანგი მყის-  
 ვე და განაგრძობდა საღვინეძელსა,  
 — დავითს უკვირდა, ჩემს მეტი ვინ უს-  
 მენს, რა გულმოდგინედ ილოცებო.

## გიორგი გიგაური

### მამა-პაპანი

მათ არ სჩვეოდათ მოძმის გაწირვა,  
მათ არ სჩვეოდათ მოძმის გაცემა,  
მოუმეთა გზაზე ბევრჯერ გაწვიმდა,  
მაინც რჩებოდნენ კაცურკაცებად.

ასპინძის ომში იქნევდნენ ხანჯალს,  
კრწანისში ცხელი ძელები ჩაყარეს,  
დაეცა გმირი,  
სახელი დარჩა,  
გმირთა სახელო, გაიმყარე!

აქწიოთ თასი, დავლოცოთ ყველა,  
ონც ვერ ითვლიდა მკერდზე  
კრილობებს,  
მოკედნენ და ხალხში კოცლობენ  
ჯერაც,  
ველავ მამულისთვის ბრძოლას  
ცდილობენ.

მათი წრიაპის ნაკვალევს ვითვლი,  
მთის ორწოხებში შექად დარჩენილს,  
მათზე მიყვება არაგვის ზვირთი  
პიტალოებზე ცეცხლის გამჩენი

და დამწუხრებით დაეძებს სამასს,  
სამას ზმალაწვდილს,  
განა შეილს ერთას,  
არ შერგებიათ დედის რძე შხამად,  
ასცილდნენ მიწას და იქცნენ ღმერთად...

აჰა, სასმისი, სიკეთე ქენი,  
დალოცე ბრძოლა დარი ზღაპარის,  
სადაც ბრდღღინავდნენ შენნი, და ჩემნი,  
ჩემნი და შენნი მამა-პაპანი.

### ჯაჭვის რგოლები

1

დილის შუეს ეგებებიან  
ფიქრი,  
გრძნობა  
და წყურვილი, —  
სავაზაფხულო ხმებია  
და სულის ოქროწყურვილი.

სიამეც ახლავთ, ტკივილიც  
არ მორჩილებენ გონებას,  
მატივტივებენ ტკივილით  
აყინებულები რგოლებად.

სასიყვარულო ჰანგებად  
ჩამესმის ჯაჭვის ელარუნი,  
შენ დაიფარე, განგებაე,  
ცეცხლი გულს შემოპარული.



2

სევდა რამ მანწევს ნისლისფრად,  
ფიქრიც ნისლივით იშლება,  
ღამე გაქვეითეს ვიშრისა  
შენი თვალების ისრებმა.

ფიქრს ხანჯალივით გავიღებ, —  
პლოცველი შენი მშვენიების, —  
როგორ ეუმღერო ყვაივლებს  
თუკი არ შეშეშელები.

გულს შუქი უნდა, მზეგრძელო,  
მაისის დილის სადარო  
არ გნახო,  
არ მოგეფერო,  
ამის მოთმენა სად არი!

3

მზე მალრიბს დაელირება,  
გულს დაახნდება იარად.

თუ რამე ბედმა ინება  
შენ დამიტირე, მე არა.

ნუ დავიმოყვრებთ შორიელს,  
ნუ გავხდით სულის ზიარად,  
ქალავ, ეიცოცხლოთ ორივემ,  
სიკედლიში არაყრიარა.

4

ეტყობა ველარ შევიცან  
ჩემი გზის გაგზაწერილება,  
მიზეზი ღამის თევისა  
თვალთავან ცრემლთა დინება.

გულს დამაჩნიე იარა,  
ხალისს რომ ხელი დარია,  
ეს შენი ბრალი კი არა  
ჩემი ამინდის ბრალია.

**მ ი ხ ა კ ე ბ ი**

არც სანუქარი არ იყო მარტო  
და არც უბრალო მიხაკებს ჰგედნენ,  
შენ, ბოზოქარი გრძნობების პატრონს  
ჩემი და მათი სიკოცხლე განდე.

შენ მოამებდი დარდსა და ტკივილს,  
ალერსის ზღვაში არ გრძნობდი  
დაღლას,

ყვაილში ენთო ტრფიალის სხივი  
და მიიწვედა მალლა და მალლა.

ნახად იკრავდი მკერდში ღამაზებს,  
გაზაფხულოვით მომხიბლავ ფერებს,

მაგრამ რას იტყვი, ქალავ, ამაზე,  
ქარს რომ მიეცი დაქვნიობის შერე!..

მიხაკებს მაინც მივაგენ ბოლოს,  
წიგნის ფურცლებში ეინახავ დღესაც,  
რა ეუყოთ, თუკი ფერები ბოლავს,  
თუკი გაისმის გაბმული კენესა.

განა უბრალო ყვაივლებია,  
მათ ჩემი ხმა და გულისთქმა ახლავს,  
შენს სიყვარულზე თბილად ჰყვებიან  
და ზეცისაკენ მიჰქრიან ახლაც.

**დილა ჩარბალში**

მზე გორის ფხას ამოქეება,  
გვეკრება ზეცას,  
გოლიათურ ნაბიჯებით  
ლურჯ ბილიკებს ეცაეს.

მთებს ელაპტრად ელვენთება,  
ეფერება ხეებს  
და სხივები შუბებზე  
ნისლის მანდილს ხევენ.

აღმასივით იმსხვერვებიან  
ჩანჩქერების თმები,  
ჩარგლის მიწა საუფლოა  
ჩადოსნური ხმების.

ჩარგლის მიწა დედა არის,  
დიდი ლექსის დედა,  
რომ გუგუნებს დედაზარად  
და ბრდღვიალებს მზედა!...

ჩარგლის ქალას ამოჰყვება  
გოლიათის ლანდი,  
უკვდავების შექნათელი  
მის ნაბადზე ბარდნის.

ხელაწვდილი ესალმება  
პირიმზეს თუ დეკას,  
მთებისაკენ გაუხვია,  
მთებმა იწყეს დრეკა.

მზეს მწვერვალზე შეეგება  
არწიესავით კაცი,  
უკვდავების ათინათი  
ათოვსა და აწვიმს.

პოეტის ფიქრს ველარ იტევს  
ფშავის ლურჯი ზეცა,  
მისანივით მიირწევა,  
პორიზონტებს კეცავს.

დედამიწა მოიარა,  
დაკვიბრუნდა კვალად,  
ნაკვალევი მოგზაურის  
კმარა და არც კმარა...

გააბოტე, გოლიათო,  
მთებმა იწყონ დრეკა,  
პოეზიის დედაზრი  
შენს ჩარგალში რეკავს!

### ვ შ ი შ ო ბ

ვ შ ი შ ო ბ,  
არ გამექცეს მზერა,  
არ განელდეს შენდამი გრძნობა,  
არ მიეუშუა სადავე მერანს,  
არ გადავყვე ვენებიან ტრფობას.

ვ შ ი შ ო ბ,  
არ გამიწყურეს ღმერთი,  
თაეზე არ ავიღო ხელი,  
არ დაედგე სატანას გვერდით,  
ერთგული მომღერალი შენი.

ვ შ ი შ ო ბ,  
არ დამენგრეს ქოხი,  
ჯაქვი არ გაუწყდეს ბორანს,  
არ დადნეს წარსულზე ოხვრით  
გული გაყოფილი ორად.

ვ შ ი შ ო ბ,  
არ ამემღერეს წყალი,  
შიგ სხვამ არ გაშალოს ბადე,

დასამიწებელი თვალი  
დაეძებს ალერსიან ლანდებს...

ვ შ ი შ ო ბ,  
არ განელდეს ტრფობა,  
ასე რომ ვალაღებ შენთვის,  
არ ავეყვე უნაზეს გრძნობას,  
არ მნახონ უკეთესის გვერდით.

ვ შ ი შ ო ბ,  
არ დაგკარგო სულაც  
და სხვის ელფარება ვკოცნო;  
მოეშვი უსაშველო ურვას,  
ფიჩხი დაუმატე კოცონს...

ვ შ ი შ ო ბ,  
არ მომტაცონ სიხარული,  
მკერდს არ დამაბჯინონ ხმლებად —  
დაუპურებელი სიყვარული,  
დაუოკებელი ვნება.

**მეც დამიგროვდა მოგონებები...**

მეც დამიგროვდა მოგონებები,  
მეც დამიგროვდა გავლილი წლები  
და მეჩვენება, რომ ღამ-ღამობით  
სიზმრის გულისთვის  
ვიხდი და ვწევები.  
წლები, რა წლები,  
ბოდვია მათთან  
განძი ლევრის  
და განძი პრადოსი,  
ჩემი სიციცხლე, ბალდამნარევი,  
გრძელდება მათში, ეთ პარადოქსი.  
და უკვე აღარ მეუცხოება  
ჯამში ცრემლი და ხმაში მუდარა.  
მე ხომ მგზავრი ვარ,  
ვინც თქეშში მოპყვა  
და ვისაც წამით გამოედარა.  
იქნება თავსხმა, კიდევ იქნება  
და თუ შეღირსა მზე და ტაროსი,  
ამ ცვილის ფრთებით,  
ო, ღმერთო ჩემო,  
საით გავფრინდე მე — იქაროსი!  
უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი  
და უკვე მეც მაქვს ჩემი წარსული  
და ჩემთან ერთად თვალს და ხელს შუა

შედის ასაკში სათნო ასული.  
ახლა კი ვიცი,  
ახლა კი მესმის,  
ფასი სევდიან მამის თვალების,  
ახლა კი ვხედები, რასაც ფიქრობენ  
გადათიბული სოფლის ქალები.  
ახლა შეცა ეგრძნობ,  
რას ზ-შნავს ტვირთი,  
თანაძყოფთათვის დაუნახველი,  
საით მეძახის,  
რისთვის მეძახის  
დაგუბებული ხმაში ნალველი.  
ახლა კი მჯერა, ჭირშიც, ლხინშიაც  
ძმად და მეგობრად რომ გამოვდგები,  
მოყვასო ჩემო, შენი გულისთვის  
პერანგს გავუიდი. მივდგებ მოვდგები.  
მე ეს-ესაა, გავიგე ნაღდად  
ყადრი მაცდურად გაფრენილ წელთა  
და ვაჩვევ სხეულს საწუთროს ტრიასს,  
დანაქლისს, ტყვიელს, უეცარ ელდას.  
და როცა ჩემი ციკქნა წარსული  
ქვეყნის წარსულში წვეთად გადავა,  
დამშვიდებული გავალეგ კარებს  
და პირქვე სტუმარს ვეტყვი:  
„მზადა ვარ!“



ისე ცოტაა სითბო ქალაქში,  
არ ძალუქს თუნდაც ტონა ქვანახშირს,  
გათბობა შენი დამზარალი სულის.

თუ რამ გიშველის, ისევ სოფელი,  
სად შენს საწუხარს წუხს მეზობელი,  
შენი ბუხრისთვის კაყუნებს ცული.

თუ არის რამე უფრო მდაგველი,  
გაუმხელელი ბოლმით, ნალველით  
ვიდრე საკუთარ ნაჭუჭში ჭდომა?  
შენ გენატრება მთები, ტინები  
და ძვირფას კედლებს ეპოტინები,  
როგორც საწყალი ბიძია თომა.

ვინ იცის, იქნებ კიდევაც სჯობდეს  
ყანას თესავდე, ამინდზე ბჭობდე,  
ვიდრე ტყვედ ჰყავდე მინას და ბეტონს:

მიწამ თუ გიხმო, თუ დაგიტყულებს  
დაპყვე მის ნებას, შენც ზამთარში  
შენც ოდით მისი ბეგარა გედო.

წადი, იყიდე ზეალვე ბილეთი,  
(ო, მიუტყვეთ, ცოდვილს, მილეთი,  
სიბრძნენარევი ვიამიტობა!)  
იმ შენი ოდის პაწია ზალას  
აქვს ლეთებრივი სითბო და ძალა,  
როგორც წარლენაში ნოეს კიდობანს.

### სენტიმენტი

ჩაკეტე ვაქცინა, დაადე აბს ურდული,  
ინატრე, ინატრე სიკვდილი აბსურდული.

ეგ ლმერთმა გაშორს, შენს სიკვდილს აზრი ჰქონდეს,  
(აზრი თუ აზრია, წიგნებში დასტრიქონდეს!)

დახვდი იმ პირსისხლიანს უძლური, სნეული,  
ნუ ჩახვალ სამარეში ჭანსალი სხეულით.

დაღვარე მიქსტურა, დაადე აბს ურდული,  
ინატრე, ინატრე სიკვდილი აბსურდული!

\*\*\*

ო, იქნებ არც ღირს და ჭრილობას ხელახლა გიხსნი,  
მე კი რატომღაც მეჩვენება — გიწამლებ, გიხსნი.  
ლაშქებს გითევ უსპეტაკეს თავსასთუმალთან,  
თანამოაზრე შენთა ფიქრთა, შენთა გუმანთა  
და გადარჩენის საიდუმლოს დამარცვლით გიხსნი.

ხმაურობს წვიმა სახურავზე გარინდული ოდის.  
„ის მაინც მოდის,  
მაინც მოდის,  
ის მაინც მოდის!“

ამბობ ჩურჩულით და ნალველი გიკრთის ბაგეზე.  
და ვებდავ მართლაც: იგი ბნელში თვალებს აკვესებს  
და მოაქვს შენთვის ლაბრადორის უხეში ლოდი.

• • •

ბაბუაჩემმა სიკვდილის წინ  
მეზობელს ჰკითხა:  
„სიმინდს როგორი პირი უჩანს,  
ნეტავი, წლელუს?“  
რალაც ამის შესავსს

სადღაც წიგნში მოეკარი თვალი,  
ეშაფოტისკენ მიმავალი იმპერატორი  
მიმართავს ჭალათს:  
„რას შერება, ნეტავ,  
ლაპერუზას ექსპედიცია?!“

### მარკლი ღამნაშკვე


კლავენ კოხის ჩხირებს,  
ნასკვავენ ნეირონს,  
მაგრამ ვერაფერი ვერ უქნეს ნეირონს.  
როგორც მიკრობი, ის ცოცხლობს  
სულელებში,  
კალიგულებში და სულელებში.

ეცემა რომი,  
ეცემა ბიზანტია.  
ის არ ეცემა,  
ის ფეთქავს,  
ის ანთია.

დანა არ დაიცა, შხამი არ დალია,  
სადაც სისხლისღვრაა,  
იგი სარდალია.

აი, პარადოქსი!  
გნებაეთ? — ირონია!  
ყველგან დამნაშავე ნეირონია.

როგორც მიკრობი, ის ცოცხლობს  
სულელებში,  
კალიგულებში და სულელებში.



6160 მდ03460

### მოდ, შეხედე...

მოდ, შეხედე, ქარმა ზეცა საით გარეკა,  
წვიმამ ზარები მოიპარა, შეიდჯერ დარეკა,  
დღეს ჭადონსური სალამოა, რამე ინატრე...  
ვინდ გაზაფხული, სიყვარული, რწმენა, სინათლე!  
დღეს ყველაფერი ასრულდება, ჩქარა ინატრე!

### გაკვხული

კენწეროები ღრუბლებისკენ თითქოს ადისო,  
ხემ ხეს შტოები გადააქდო სამარადისოდ...  
მზემ მთვარე ნახა, ვარსკვლავებიც დაწყვილდნენ ცაზე,  
რად მოიწყინე, მარტო რომ ხარ ამ ქვეყანაზე?  
ნუ გეშინია, გაზაფხულის ბრაღია, ალბათ...

\* \* \*

მე არ შემეძლო არ მენახა საფლავის ქვაზე  
ამოქარგული ასოები, რომელსაც ასე  
უფროთხილდებოდა შორ წარსულში პატარა გოგო.  
იგივე მიწა, იგივე ცა, იგივე ქვები,  
მტირალი ძეწნა, ჩახლართული ფოთლებში თმებით,  
დედის საფლავთან პაწაწინა საფლავი ბავშვის...

### გ უ შ ი ნ

გაიგე? გუშინ ყიდდნენ სიყვარულს,  
ვერ მიუსწარი? დასანანი...  
უსაქმოდ მაინც არ იქნებოდი,  
არ გყვარებია დიდი ხანია.

## ნატერის ქარი

იტირებს გულში ნატერის ქარი და დაიძინებს...  
რატომ გიხუჭავს ძველი სევდა ფიქრიან თვალებს?  
არავინ იცის, ცრემლებს რისთვის ჩამოიძინებს.  
კვნესა გაჰკვეთავს, კვნესა კვნესით ააღვარებს  
ლითონის ჰაერს, დამშვიდდება და გაიკინებს,  
იტირებს გულში ნატერის ქარი და დაიძინებს.

## ვინ ხართ?

სინანულივით არ მასვენებს თქვენი თვალები  
და სინდისივით თან დამუყება თქვენი ხსენება.  
ნურასდროს მეტყვიით, გვედრებით, ნურასდროს,  
ვინა ხართ — კაცი ხორციელი, თუ მოჩვენება?  
ნურასდროს მეტყვიით, ნურასოდეს შეგებრალეებით,  
იარსებებდით ალბათ ქვეყნად, ღმერთს რომ ენება.

## მ ზ ე

თუ გჩვენებია მზე მომაცდავი, მზე დამხობილი ზურგზე  
აქლემის,  
თუ გეშინია ცოდვის, ტყვილის და დიდზე დიდი  
გრძნობის გამხელის,  
გადმოაბრუნე სილის საათი!  
დე, თაედაყირა იდინოს ქვიშამ:  
დე, გადმოუშვას ციურმა ნიშამ  
მზე  
თაედაყირა მქდომი აქლემზე.

• • •

ცას ჩამობანა სევდები წვიმამ,  
გაგვინაწილა ყველას საკმაოდ...  
გაინტერესებს, მე რა მარგუნა?  
ოცნება, ნატერა და... სულ ამაოდ.

## გელოდებოდი

გელოდებოდი, წვიმას ზეცისთვის ჩამოეხია ურცხვად  
 საყინძე,  
 გელოდებოდი, რომ ჩემს ქუჩაზე ჩამოგეჭროლა  
 ლურჯი ქარივით;  
 გელოდებოდი, რომ თბილი მზერით გადაგეყვანე იქით  
 ნაპირზე  
 და წაგელეკე საოცნებო ნიაღვარივით...  
 შენ კი მოხვედი დაგვიანებულ გაზაფხულივით.

\* \* \*


რა ხშირად ვხედვით მიტოვებულ ადამიანებს  
 და ვერც კი ვატყობთ, როცა ცივად ვარიდებთ მზერას,  
 როგორ დაგვიციინის ღმერთი, როცა გზაზე გვახვედრებს  
 ჩვენივე აჩრდილებს, გარდაუვალს ჩვენს ბედისწერას.  
 დღეს არა, ხვალე ჩვენც პატარა თევზების მსგავსად  
 პირდაღებულებს, განაწამებს და სევდიანებს  
 გვერდზე ჩაგივლის ვინმე ჭერაც ბედნიერი და...  
 და შეიბრალებს მიტოვებულ ადამიანებს.

## დ ე დ კ

პეშვით რომ გვაწვდი მზეს მაცოცხლებელს,  
 ნეტა არ გტყვივ თითები, დედა?  
 დედა, გვაშყოფე თვალის უბეში,  
 წყვილი ცრემლივით გვაშყოფე, დედა!  
 დედა, შენგნით არს ყოვლი ძლიერი  
 და მშვენიერი ქვეყანას ზედა,  
 დედა, დაგვიცე, მოგვეც ნუგეში —  
 ზეცა, საშობლო, სიკეთე, დედა!

\* \* \*

თუკი შევხვდით და შევეჭახეთ.  
 როგორც გამშრალი ნაპირი ტალღას,  
 ტალღა კი ნაპირს,  
 სადღა წამიხვალ ასე მართალს, ასე მარტივს,  
 ასე პირდაპირს?  
 ვეღარსად, ალბათ.



# მირბოროდის ღამეები

## კარამენაუზი

დავითი თვალგახელილი იწვა და  
კერს მისჩერებოდა.

მთელი სხეული დათეთქვოდა, ყოვე-  
ლი ნაკეთის, ყოველი სახსრის საოცარ  
ტივილს გრძნობდა.

„ვაითუ აქ მომისწრო სიკვდილმა, —  
ფიქრობდა მოხუცი, — ნეტად ფედოტ-  
კაც ჩემს ოთახში დამეწვინა. ვაითუ...“

სიკვდილის პირისპირ მრავალჯერ  
მდგარა, მაგრამ წამითაც არასოდეს შე-  
კრთომია გული, ახლა კი ოდნავი უძლუ-  
რება იგრძნო და შწარედ აუკვნესდა.

არა, სიკვდილის კი არ ეშინია, ვაითუ  
ისე მოეკვდე, ბატონიშვილის ნახვა ვერ  
მოვასწრო და ის ვერა ესთხოვო, რისი  
გულისთვისაც ამოდენა გზა გამოვიარ-  
ეო. შეათასედ ფიქრობდა შეძრწუნებუ-  
ლი.

„მთავარია დავიძინო. დაღლილი ვარ  
და უნდა დავისვენო...“

თვალეზი დახუჭა და დაძინება სცადა.

სახლი, სადაც დავითი და ფედოტკა  
მოასვენეს, დნებრის ნაპირას შემადლე-  
ბულ ადგილზე იდგა. პოეტს შორეულ  
ექოსავით ესმოდა უზარმაზარი მდინა-  
რის ყრუ, მოგუდული გუგუნე.

სადაც თოფი გავარდა, მერე ადამი-  
ანების ერთმანეთში არეული გაურკვე-  
ველი ხმები გაისმა.

მოგვიანებით შარაზე ცხენმა ჩაიქრო-

ლა. კარგა ხანს ისმოდა რიყის ქვაზე ნა-  
ლის ქახაკუხი.

დავითი კარგად მიიღეს, დიდებული  
ოთახი დაუთმეს. ფედოტკა მსახურებ-  
თან დააწვინეს.

იცოთა, ეს იმერთა მეფის დესპანის  
— ბესარიონ გაბაშვილის წყალობა იყო.  
დღეს, როგორც კი ამ არეშარეზე გა-  
მოჩნდნენ, დავითსა და ფედოტკას ბესა-  
რიონის კაცი შემოეგებათ და ამ სახლ-  
ში მოათავსა.

ჰოდა, აი, წევს დავითი, მაგრამ რუ-  
ლი არ ეკარება.

ბესარიონმა წინასწარ გააფრთხილა,  
მირიანთან და მის კაცებთან დავითს  
არც ეხსენებინა იმერთა ელჩის სახელი.

„თქვენთვის ასე აჯობებს, ბატონო  
დავით“, — უთხრა ბესარიონმა.

დავითი არ ჩასძიებია, დაუჭერა ახა-  
ლგაზრდა ელჩს.

ააშენოს ღმერთმა, ხელი მოუშარათოს  
ყოველგვარ საქმეში. მასთან შეხვედრამ  
დავითს გზის სიძნელე გაუადვილა. ენა-  
წყლიანი გაბაშვილი საქართველოს ამ-  
ბებს მოუყვა. ბესარიონს რომ უსმენდა,  
გულამომჯდარ მოხუცს მარცხენა სალი  
თვალიდან წამდაღუწუმ სდიოდა ცრემლი.

ათსუს, რომ დავითი ისე დაჩაჩანაკ-  
და, სამშობლოს ნახვას ველარ ელირსე-  
ბა. სულ რამდენიმე დღის წინ მისი გუ-  
ლის სიღრმეში ჯერ კიდევ ბეუტავდა

საქართველოში დაბრუნების იმედი, ახლა კი ამაზე ფიქრსაც ვეღარ ბედავდა. მირგოროდიდან კრემენჩუგს ჩასვლას მარჯვე მხედარი ერთ დღე-ღამესაც არ მოანდომებდა, მან კი შესამე დღეს ძლივს ჩამოაღწია, თან ისე დაიღალა და მოიშალა, ასე ჰგონია, ხვალ ძვალ-რბილს თავს ვეღარ მოვეუყრით.

ასეთ კაცს რაღა შორეულ მგზავრობაზე ფიქრი შეუძლია!

„მაცდური გული არ ბერდება — სულ მისი ბრალია ის ცრუ იმედები, უილაქო ადამიანი რომ ეპოტინება!..“

ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა — როგორც იქნა ჩაეძინა.

და ეშმანა — იქ იყო, თავის სამშობლოში, ორმოცდათექვსმეტი წლის წინ რომ დაეტოვებინა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი წამითაც არ გადავიწყებინა.

ახსოვდა და ენატრებოდა ლეკთა ტყვეობაში მყოფს:

ახსოვდა და ენატრებოდა, მოსკოვს ეხატანგ მეექვსის ამაღას რომ შეუერთდა და მცირე ხანს შედარებით ნებიერი ცხოვრება ეღირსა;

ახსოვდა და ენატრებოდა, მტერთან ბრძოლაში ხმალომწვდილი რომ დააგვლებდა ცხენს;

ბოლოს კი, როცა სამხედრო სამსახურს მოეშვა და ხელი სოფლის მეურნეობას მიჰყო, ხომ სულის მწარე თრთოლვით იგონებდა მშობლიურ სანახებს!

ხანდახან სევდა რომ მოეძალებოდა, ისე შესთლდებოდა ყველაფერი, რაც კი აქ, მირგოროდში მოეპოვებინა, მზად იყო ცეცხლისთვის მიეცა და აქაურობას ისე გასცლოდა, როგორც კეთროვანთა საბუღარს.

ჰოდა, ახლაც თავის მამულში იყო — ჯერ კიდევ ჰაბუკი და ჭან-ლონით სავსე.

საომრად ეშინებოდა — ხმაღს ლესავდა და აპრილებდა.

დედა სასოებით შესიქვროდა უმცროს ვაჟს და ცრემლებს აფრქვევდა.

მამა ტახტზე იჯდა, გრძელ, ჭაგარა

ულვაშებზე ამყავდა ისევამდგენს მებოდა — თავი მოსწონდა გულზედა თავადს, რომ მისი ნაბოლარა მტერთან შესამებლად იკაზმებოდა.

„ვთი ჩემს მოსწრებას! — გულამოგდარი ქვითინებდა დედა. — ამას რომ რაიმე მოუვიდეს, თვალები უნდა დავითხარო...“

მზევინარს ჯერ კიდევ ახალგაზრდულ, ლამაზ ლაწვეებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. ცდილობდა, შეიღოს-თვის ცრემლი დაეშალა — ჩითმერდინის ყურს წარამარა ისევამდა სახეზე.

„დაწყნარდი, ქალო, — ბოხი, ჩაგუდული ხმით ეუბნებოდა გიორგი, — არაფერიც არ მოუვა...“

„ღმერთმა გისმინოს...“ — მზევინარი ხელჩქარად იწერს პირჯვარს, თითქოს ეს დაიხსნა და გადაარჩენდა ომში მიმავალ მის შვილს.

„თუ მოუვა და...“ — მამამ სიტყვა გაწყვიტა, ეტუბა, მისთვისაც ჯოჯოხეთურად ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მის ნაბოლარას მართლა შეიძლებოდა რაიმე საფრთხე დაეუქრებოდა.

„გაგიხმეს ენა! — მიაწყველა მზევინარმა, კრუხივით რომ აიფოფრა და ქმარს ისე შეუტია, თითქოს მზად იყო თვალები ამოეკორტა.“

გიორგიმ გაიცინა. ნაძალადევად, უწადილოდ გაიცინა, მერმე შვილს მიუტრიალდა:

„ხომ არ გეშინია, დათუნი?“

გიორგი მძიმე ხასიათის კაცი იყო — წარბს იშვითად გახსნიდა, მეტადრე შვილებთან საუბრისას. საალერსო სიტყვებსაც ჰაიპარა როდი ხარჯავდა.

მაგრამ ახლა სხვა იყო — უმარწმესი შვილი დღეს პირველად ისხამდა საომარ იარაღს, რომ მამასა და უფროს ძმებს გვერდში ამოსდგომოდა და ზედაველაზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ესინჯა თავისი მკლავის ძალა და ხმლის სიყისკასე.

დავითმა მამას მოხედა — უსიტყვოე გაიღიმა: შიში ვერ იხსნის სიკვდილსო.

და უცებ მძინარე მიხედა, რომ სიზმარი იყო ყოველივე ეს.

და სწორედ ამ ადგილას დაამუხრუქა, გააჩერა აზრთა მსვლელობა: უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს ეტკირა ნეტარხსენებული მშობლებისათვის.

მაგრამ როცა გონება ფხიზლდება, ზმანებას ბოლო ეღება.

და გულდაწყვეტილმა დავითმა თავი ზანტად გაახილა.

უნებლიე ოხვრა აღმოხდა.

მისი დედ-მამა ისე მიაბარეს ქართულ მიწას, დავითის კურცხალი არ დასცემიათ.

ვთქვამთ რომ მათი ნაბოლარა, აგერ უკვე ოთხმოცდაორი წლის, ნათრევი, დაგლეჯილ-დაბეჭილი შეილი საიქიოშიაც ვერ შეხედება სათაყვანებელ მშობლებს — უცხო მიწაში დამარხულს მშობლიური ცის ნამიეც არ დაეკურება, თვისტომთა ცრემლებზე რომ არაფერი ითქვას.

დაცდილი ჰქონდა — მშობლებთან სისხმარში შეხვედრა სიკეთის მაუწყებელი იყო.

„აღმათ, უფლისწული კარგად მიმიღებს!“ — უეცარი სიხარული იგრძნო.

მძიმედ წამოდგა, ფანჯრის ფარდა გადასწია.

მზე ამოწვევრილიყო. დნებრგალმა მინდორს თრთვილი დასდებოდა და მიღამო თავლისმომკრულად ლაპლაპებდა.

სხეულში საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა.

ჩაიკცა, ხელჯობი დაიბიჯა და ეზოში ჩავიდა.

ეზოს ერთ კუთხეში ნამჯით საცხე ოთხთვალა იდგა. ოთხთვალას ცხენები შესეოდნენ და ნამქას ახრამუნებდნენ.

ფიცრის მალალ, რიკულებიან ქიშკართან თოფიანი, ხმალგადაკიდებული დრაგუნი ჩანდა.

დავითი მისკენ გაემართა. მომავალი ოფიცერი რომ შენიშნა, დრაგუნი წამოდგა და გაიქიმა.

დავითი მიესალმა.

— ქართველთა ელჩიონის სადგომი რომელ მხარესაა? — კითხვა და დრაგუნი დაეკირეებით შეათვალაიერა საშუალო სიმაღლის პირტიტველა ჰაბუცი

გაქვავებული სახით მისჩერებოდა — უცხო კაცს.

— ეს არის! — თავით ანიშნა დრაგუნმა.

დრაგუნი მართალს ამბობდა — იმერთა ელჩები სწორედ ამ ერთსართულიან, ბოკონებზე შემდგარ სახლში დაბანაკებულიყვნენ, ქართლ-კახეთის წარმომადგენლები კი სადღაც სხვაგან ცხოვრობდნენ, ცალკე შენობაში.

დრაგუნს მეტი აღარაფერი უთხრა, რადგან დარწმუნებული იყო, ვერ გააგებინებდა, ვის ეძებდა.

გზაზე გამოვიდა და დნებრისკენ გაემართა.

თითქმის ოცდაათი წელიწადი გასულიყო, რაც ეს დიდებული მდინარე არ ენახა. მანამდე კი არაერთხელ ებანავა დნებრში.

ბილიკს ჩაუყვია და მდინარის სანაპიროზე ჩავიდა.

მღვრიე წყალი მდორედ მიედინებოდა. აქა-იქ ნიჩბებიანი ნაევბით ნაღარევედ გამოსული მეთევზეები ჩანდნენ. ცა მოსარკულიყო.

„კარგი დარი იქნება“, — გაიფიქრა დავითმა და იქვე, კბოდის ძირას, მერხზე ჩამოქდა.

...დიახ, პირველი საბრძოლო ნათლობა დავითმა ზედაზენში მიიღო.

რომელ წელს მოხდა ეს ამბავი?

თუ მესხიერება არ ღალატობს, ათას შეიდას ოცდაათხ წელს იყო. სწორედ ოცდაათხში. მაშინ დავითი ცხრაშეტი წლისა გახლდათ. გულიც ერჩოდა და მკლავიც.

კახთაბატონი კონსტანტინე და გივი ამილახვარი სარდლობდნენ ქართველთ.

დიდი ომი გადაიხადეს, მტერს კუდიტ ქვა ასროლინეს და მაშინ, როცა ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ, კვლავ ჩვეულმა ჰირმა იჩინა თავი — ტახტის მამიებელმა იესემ ოტებულ თურქებს გზა გადაუღობა, შეაგულიანა, წინ წაუძღვა და გადამთიელი უკან გაიყოლა. გაიმართა ძმათა სისხლისმღვრელი ომი.

იმ ომში მძიმედ დაიჭრა დავითის მამა.

მა — გიორგი, რომელიც შეილებმა ძლივს გადაარჩინეს — ბრძოლის ველიდან გამოიყენეს და საიმედო ადგილას დამალეს. დაჭრილის მოვლა ეჭიმბამო-ბაში ხელგაწაფულ უფროს ძმას — ქაიხოსროს დაავალეს, ხოლო შუათანამ და უმცროსმა ისევ ხმალი იშოშვლეს, მაგრამ გვიანდა იყო — მრავალრიცხოვან მტერს ქართველთა სიმტკიცე გაეტეხა და ეძლია.

იმ საბედისწერო დღიდან დაიწყო გურამიშვილთა მრავალსულიანი ოჯახის უბედურება. მხოლოდ გურამიშვილთა კი არა, მთელი ქართლის მოსახლეობისა. განსაკუთრებით კი ვახტანგ მეექვსის თანამდგომნი დაზარალდნენ. გამარჯვებული დუშმანი დაუნდობლად იკლებდა იმათ ოჯახებს, ვინც ზედაველაზე ვახტანგის მხარეს იბრძოდა.

ამიტომ იყო, გურამიშვილნი იძულებული გახდნენ ადგილსამყოფელი გამოეცვალათ — ლამისყანას გადასულიყვნენ... მერე ავადმოსაგონარი ტყვეობა...

აჰა, რა დრომ განვლო მას შემდეგ, რამდენმა წყალმა ჩაიარა. ამ ხნის მანძილზე ცხოვრებამ სამსალაც ბევრჯერ ასვა და შარბათიც... თუმცა არა, სიმწარე მეტი გამოსცადა. ცხადია, გაცილებით მეტი.

ერთ ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფოდა ის ტანჯვა, რაც კიუსტრინთან პრუსიელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილმა დავითმა განიცადა. თითქმის წელიწადნახევარი გაატარა მაგდებურგის ციხეში...

მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოცდარვა ვრძელი წელიწადი რომ გაივლიდა, ცოცხალი იქნებოდა. კიდევ მეტი, იმის ბედნიერი შემთხვევა მიეცემოდა, ხელახლა გადაწერილი თავისი ლექსებით ბატონიშვილს ხლებოდა და ისიც აქვე, კრემენჩუგს, მირგოროდიდან ერთი დღის სავალზე...

თეთრი სილით დაფარულ ნაპირზე დასიციხულ კამეჩებზეთ ეყარა გრანიტის უზარმაზარი ლოდები. ისინი მდი-

ნარის სიღრმეშიაც ჩანდა და იქ დნებოდა ბორგვით მიედინებოდა — იქორებოდა, პატარ-პატარა ტალღებს ერთმანეთს ახლიდა, შიგადაშიგ ჰავლსაც ნაალრევ ჰალარასავით გაირევდა.

ნაპირიდან მდინარის სიღრმეში შეჭრილი ნავმისადგომის პირდაპირ პატარა მწვანე კუნძული ჩანდა. ტანაშოლტილი იფნების, ალვისხეების, მუხების სიხშირიდან ნელა ისევტებოდა ყომრალი კვამლი და ზეცისკენ მიიზლანებოდა. უფრო იქით, დნებრის ვალმა ნაპირზე, აკაციების ხშირი ტყე მუქი ზოლივით გასდევდა მდინარეს, რომელიც კრემენჩუგთან მკვეთრად უხვევდა, ადამიანის მოხრილ მუხლს დამსგავსებული, და ჭალაქის ამ მხარეს რკალივით შემოვლებული თავვეე განაგრობდა დინებას.

მდინარეზე თოლიები დაფარფატებდნენ — საკბილოს ეძებდნენ.

იქვე, ხელმარცხნივ, კბოდზე ლოდი შენიშნა. წამოდგა და ლოდთან მივიდა. ზედ ამონაკაწრი ციფრები შენიშნა. ფეხისწვერებზე აიშართა, მზერა დაძაბა. ლოდის პრილა ზედაპირზე ხაზები გაევილოთ, ამ ხაზების გასწვრივ წლები მიეწერათ — ...1783, 1784, 1785, 1786.

ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ლოდის ხორკლიან ზედაპირს ისევ გადაუსვა ხელი.

იქვე, სიმაგრის შესასვლელთან აღმართული ეკლესიიდან, ზარების რეკვა გაისმა.

დავითმა პირი აღმოსავლეთისკენ იბრუნა, ლოცვა წაიჩიფჩიფა და პირჯვარი გადაიწერა.

სანაპიროზე ქალიშვილი გამოჩნდა, თოქამბული ძროხა მოჰყავდა. თავზე ქათქათა თავსაფარი ეხურა, შინნაქსოვი კაბა ეცვა, თუმცა ეს მაინც ვერ ჩრდილავდა მისი ტანის მოხდენილობას. ლოყებდაბრაწული, ცნობისმოყვარედ იცქირებოდა ლოდთან მდგომი უცხო კაცისკენ.

— აქ მო, შვილო... — ხელი დაუქნია დავითმა.

ქალიშვილი უყოყმანოდ გაეშუ-

რა მისკენ, დიდრონრქებიანი შუბლნათელი ძროხაც თან გაიყოლა.

— რას ნიშნავს ეს წარწერები?

ძროხამ დრუნჩი წინ გაიშვირა, თითქოს მას უნდა გაეცა პასუხი უცნობის შეკითხვაზე.

ქალიშვილმა მარცხენა ხელი ძროხას კისერზე მოხვია, მარჯვენის საჩვენებელი თითი კი ლოდზე ამოკვეთილ ხაზს გააყოლა:

— ეს სანიშნო ლოდია.

— როგორ თუ სანიშნო? — ვერ გაიგო დავითმა.

— ყოველ გაზაფხულზე აქ აღნიშნავენ, თუ რამდენზე დიდდება დნებრი.

დავითმა ისევ ლოდს დახედა.

— ვერ გაიგეთ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— გავიგე... — ესე იგი, ის წარწერა

— „1786“, ყველაზე მაღლა რომ გაუკეთებიათ, იმას უჩვენებს, თუ რამდენზე აღიდებულია შარშან დნებრი. გურამიშვილს ადრეც არაერთხელ გაეგონა, დნებრი აღიდდა, კრემენჩუგთან ნაპირი გადმოლახა და ქალაქს მოედო, მაგრამ ის, რაც აქ შარშან მომხდარიყო, თურმე მეორედ მოსვლას ჰგავდა...

— სწორედ ამ ადგილებში წყალი ხშირად გადმოლახავს ხოლმე კალაპოტს და მთელ ქალაქს ტბორავს, — თქვა ქალიშვილმა მცირე დუმილის შემდეგ. — ქუჩებში გავლა შეუძლებელია, ხალხი ნაევებით დაცურავს... შარშან დნებრი ისე აღიდდა, აი, იმ მაღალი სახლების მხოლოდ მეორე სართული ჩანდა...

დავითმა ქალაქის გალავანს იქით აღმართულ ორსართულიან სახლებს გახედა. სახლების ქვედა სართული ქვისა გახლდათ, ზედა — ხისა. მაღალი, გუმბათებიანი სახურავებით ყველა მათგანი ტუპისცალიებით ჰგავდა ერთმანეთს.

— იმ პატარა ექნძულს რას ეძახით?

— მწვანე ექნძულის ზემოთ გაიშვირა ხელი დავითმა, სადაც სიყვითლეშეპარული მცენარეების სიღრმეში პატარა, კოპწია შენობა ჩანდა.

ფანტაზიას, — ღიმილით უთხრა ქალიშვილმა. — ის შენობა დედოფლის

განსასვენებლად ააგეს... ხომ დედა დედოფალი რომ ჩვენთან წლეულს დედოფალი ბრძანდებოდა?

დავითი ატყობდა, რომ ქალიშვილს სიამოვნებდა იმ ღირსშესანიშნავი ამბის მოყოლა, რაც ისეთი პატარა ქალაქისთვის, როგორც კრემენჩუგი გახლდათ, დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

— ეცი.

— ჰოდა, ეს ნაემსადგომიც მაშინ გაკეთდა... ქალაქგარეთ დედოფალს ისეთი ბალი გაუშენეს და ხის კოპწია სასახლე აუგეს, სამოთხე გეგონებათ. არ გინახათ?

— არა, — თავი გაიქნია დავითმა.

— აუცილებლად ნახეთ. იქაურობა აყროლებული ქაობით იყო დაფარული, ახლა კი ნამდვილი ედემის ბაღია.

დავითმა ამოიოხრა.

ქალიშვილი ელურტულს განაგრძობდა, მაგრამ მოხუცი ურს აღარ უგდებდა.

ჯერ კიდევ იანვარში გავრცელდა ცნობა, რომ დედოფალი ეკატერინე თავისი ამალითურთ კიევში ჩამობრძანდა. დნებრი რომ გადაიხსნა, გაზაფხულზე, 22 აპრილს, კრემენჩუგისკენ გამოსწია.

მთელი უკრაინა სულმოუთქმელი ელოდა დედოფლის ჩამოსვლას. მაშინ ქვეყნის ყველა კუთხიდან მოემუშრებოდა აქეთ ხალხი. ზოგს იმის იმედი ჰქონდა, დედოფალს ენახებოდა და ჩემს ჰირ-ვარამს შეესჩივლებო, ზოგი კი მხოლოდ სასეირნოდ მოემგზავრებოდა.

მირგოროდიდანაც ბევრი წამოვიდა, მაგრამ დავითი სხვებს არ აყოლია. წინასწარვე გაიგო, იმ დროს ქართველთაგან ზეიმს მხოლოდ ნინოწმინდელი მიტროპოლიტი და ბატონიშვილი ანტონი დაესწრებოდნენ, მირიანი კი უფრო გვიან უნდა ჩამოსულიყო კრემენჩუგში.

გურამიშვილი დარწმუნებული იყო, ის ზარზეიმი, დედოფლის მობრძანება რომ გამოიწვევდა, ღარიბ-ღატაკი ადამიანების ცრემლით იქნებოდა გაყვნილი. და არ წამოვიდა...

მთელი ის დავიდარაბა და ხარჯები, რაც ამ სანახაობის მოწყობასა და უმა-

ლეს დონეზე ჩატარებას დასჭირდებოდა, სულ ჩაგრული ხალხის ზურგსა და კისერზე უნდა გადასულიყო.

— ...დღეოფალს ოცდაათამდე კაცი ახლდა ფრეგატებით. ნაპირიდან ზარბაზნების ქუხილი გაისმა, „დნეპრმაც“ რამდენჯერმე დააქუხა ზარბაზანი... — განაგრძობდა აღტაცებული ქალიშვილი.

შარშან კი მთელი ქალაქი წყალმა დატბორა. ვინ იცის, რამდენი სახლი დაინგრა, რამდენი ოჯახი ვაუხუდურდა... ნაცვლად იმისა, რომ მდინარის ალაგმვაზე იფიქროს — დამბის აგებას რა დიდი ამბავი სჭირდება — მთავრობა გართობა-დროსტარებაში ფლანგავს მილიონებს...

ამის შეგნება დავითს გულს უბოლმავდა.

— კაცმა რომ აპატიოს, ღმერთი არ შეუწდობს... — თქვა ოცნებაში წასულმა მოხუცმა.

— რა ბრძანეთ? — ქალიშვილმა ლაპარაკი შეწყვიტა და გაკვირვებით მიაჩერდა.

— არაფერი... — შეცბა დავითი.

ქალიშვილმა მხოლოდ ახლა შენიშნა, უცხო კაცი, ოფიცრის მუნდირი რომ ეცვა და თავზე ბოხობი ეხურა, მოლუშული გასკქეროდა დნეპრს და მის საუბარს უგულოდ ისმენდა. უცებ მოიწყინა, გული დასწყდა, რომ მოხუცი ვერ დააინტერესა თავისი ნაამბობით.

— ნახვამდის... — უთხრა, ძროხას თოკი ვადაუჭირა და წინ გაივლო.

— კარგად იყავი... — დავითმა თვალთვალს გააცილა ქალიშვილი, მერე მიტრიალდა და ბილიეს აღმა აჰყვა.

\* \* \*

დავითს არ გასჭირვებია მირონის სადგომის პოვნა.

გალაქანშემოვლებულ სიმაგრეში თალიანი ჭიშკრით შევიდა — ეტყობა, ეს ჭიშკარი ეკატერინე მეორის მობრძანებასთან დაკავშირებით გაეკეთებინათ. — და გრავ პოტიომკინის ორსართულიანი სახლის გვერდით მდგომი ქვის

შენობისკენ გაემართა. შენობის მთელი კარიბჭე განიერი იყო, თეთრად შეფეთილი კედლები და თუნუქის სახურავი ჰქონდა. მასაც, როგორც ახლო-მახლო მდგომ ყოველ ნაგებობას, ფიცრით შემორაგული ეზო ჰქონდა.

დავითი შესასვლელთან მივიდა და ზარის თოკს მისწვდა.

თოკი ორჯერ დაჭაჩა და ხელი უშვა. სანამ გამოხედავდნენ, იქვე გამართულ მერხზე ხენეშით ჩამოვდა.

ბესიუისკან ვაიგო, რომ ბატონიშვილს ახლდნენ მისი ძმა ანტონი, არქიმანდრიტი ვაიოზ ბარათაშვილი, დიპლომატები გარსევან ჭავჭავაძე და სულხან თუმანიშვილი, კაპიტანი ვაბრიელ არეშიძე და თარჯიმანი სიმონ ეგნატაშვილი.

ყველა ამთავან დავითი პირადად მხოლოდ სიმონ ეგნატაშვილსა და ვაიოზ ბარათაშვილს იცნობდა.

ვაიოზის მამა — ფარნაოზი ვახტანგ მეექვსეს ახლდა, როცა დავითი მოსკოვს ჩავიდა. მეფემ ახალგაზრდა ჯაბადარბაზში იმ შენობაში შეასახლა, საცა ბარათაშვილები ცხოვრობდნენ. მაშინ ვაიოზი ხუთიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი იყო. დავითს უყვარდა იგი, მუდამ ეალერსებოდა, ეთამაშებოდა. მერმე, როცა ვახტანგ მეფე გარდაიცვალა, ფარნაოზი ოჯახითურთ პეტერბურგს გაემგზავრა, დავითი კი უკრაინაში დასახლდა. მაშინ ვაიოზი დაახლოებით თექვსმეტჩვიდმეტი წლის ჭაბუკი იყო. უფრო გვიან დავითს აწ განსვენებული უფროსი ძმა ქაიხოსრო-ქრისტაფორე პეტერბურგიდან სწერდა: აქ დიდის ვაივავლახით ჩამოვასხით ქართული ასოები და „ქართულ-რუსული ანბანის“ გამოცემას ვაპირებთ. ამ საშვილიშვილო საქმეს არქიეპისკოპოსი იოსებ სამეხელი ხელმძღვანელობს, დიდად გვეხმარებიან აგრეთვე ვაიოზ ბარათაშვილი და სიმონ ეგნატაშვილი.

მართალია, დავითი სიმონ ეგნატაშვილის ოჯახსაც იცნობდა, მაგრამ ახლო ურთიერთობა არა ჰქონია. და ამაში, პირველ ყოვლისა, შიომ ჯავახიშვილს

მიუძღოდა ბრალი. შიოში სიმონის ბიძა გახლდათ დედის მხრივ და ეგნატაშვილებთან ცხოვრობდა. მიიმე ხასიათის უცნაური კაცი იყო. გულჩახვეული, როგორცაა შერიანი, ყველასა და ყველავერზე მუდამეჲმ აღრენილი. მაღალი, წოწოლა, გრძელთავა და შუბლნიწრო შიოში მხრებაწეული და ხელებდამუშტული დაიარებოდა.

მოსკოვეში მცხოვრებმა ქართველებმა იცოდნენ, რომ შიოში ლექსებს წერდა. გურამიშვილის გამოჩენამდე იგი უბადლო პოეტად მიიჩნდათ. მაგრამ ნეტარხსენებულმა ვახტანგ მეფემ პირველსავე სამეფლისო საღამოს გააჩიბრა ისინი ერთმანეთს და უპირატესობა დავითს მიანიჭა. ამით განაწყენებული შიოში კიდევ უფრო აიძრინა და განაპირდა. დავითს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა მისი ქედმაღლობა და საცა კი დროს მოიხეტლავდა, უცილოდ დაგესლავდა. ავი „ქართლის ქირში“ პირდაპირ წერს:

...კარგი იყვის აღდგომასა  
მეფეთაგან მეჭლოშობა,  
ზმა, შაირი, გალობანი,  
ჩანვთ ევა, მღერა, თამაშობა.  
ქაჯახიშვილს გამაღვქეს,  
მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,  
პირად მქლესა, ტანად ზქლესა,  
ეთ ნუერიანს ზესა მრუდსა:  
რაც მე ეუთბრი. მას მიანდის  
ეთ ნარცეხლა უან ელსა.  
ბევრჯერ ასე იშვითინის,  
კოტვით ძირს დასკვბდა ქედსა.

დავითმა ჩურჩულით გაიმეორა თავისი ლექსის ნაწყვეტი და მუხლებზე დადებულ აბგას სასოებით დახედა — შიგ ედო თავისი „დავითიანი“.

კაბუჯივით ლელავდა. არ იცოდა, რას უშნადებდა დღევანდელი დღე. როგორ მიიღებდა მირიანი. იქნებ არც ისურვოს დავითის ნახვა. მაშინ? რა უნდა ჰქნას მაშინ გურამიშვილმა?

თავდაპირველად გული იმაზე, უკენსოდა, ვითუ უფლისწულმა ლექსები გამოშართვას, მაგრამ იქვე ცეცხლს მისცეს. მათი წაკითხვაც აღარ ინებოსო.

თუცა ეჭვის უსაფუძვლოდ მარტო დარწმუნდა. რადგან გაიგო, მირიანი თვითონაც გვირავი მეღვინეა და პოეტთა მფარველი და მოყვარულიო, ხოლო, რაკი უფლისწული თვითონაც წერს, სხვის ნაწერს ასე ადვილად ვერ გაიმეტებს გადასაგდებად. მით უმეტეს, დავითის ლექსებს... დავითმა ხომ ყველა თავის ლექსს მოუყარა თავი, რაც შორეული ყრმობიდან დღემდე დაუწერია... და მერე როგორ დაუწერია..

მართალია, ხშირად სწევია სევდა და უიმედობა და მაშინ თავისი შრომა წყლის ნაყვად მიუჩნევია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მხოლოდ წუთიერი, უაზრო ეჭვი ყოფილა და უმალ გადაიწყვებია.

ახლა სხვა რამ აშფოთებს — ვითუ ამ არეულობის ეამს მირიანმა ჩემთვის ვერ მოიკალოსო. არეულობა კი ნამდვილად იყო: სულ რაღაც თვენახევრის წინ თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა: ყირიმის დაკარგვა და საქართველოში თავისი გავლენის შესუსტება ვერ მოენელებია თურქეთის სულთანს. თუცა ახლა ზედგამოჭრილი დროც გახლდათ საიმისოდ, რომ თურქების წინააღმდეგ ქართველებსაც მოეწყოთ ლაშქრობა. რუსებთან ომით გართულ მოსიხარს ქართველები თავის მხრივ ჩასცემდნენ მახვილს და წირეას გამოუყვანდნენ.

ფაქტიურად ახლა წყდებოდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი.

თუ თურქეთს ჩამოაშორებდნენ, მერმე სპარსეთს ადვილად გაუძვლავდებოდა.

სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად იმყოფებოდა ახლა აქ, გრაფ პოტიომკინის კარზე, ქართლ-კახეთის გავრთიანებული სამეფოსა და იმერეთის ელჩები. ქართლ-კახეთის ელჩიონს უფლისწული მირიანი ხელმძღვანელობს, იმერეთისას — ბესიკი.

როგორც ბესიკმა ბრძანა, დესპანები დღე-დღეზე ელიან გრაფ პოტიომკინთან გადასაწყვეტ შეხვედრას. დიდ იმედს აწყარებენ ისინი ამ შეხვედრაზე.

და ამიტომ ეექვება დავითს, რომ მირიან ბატონიშვილი შესძლებს იმის დრო გამოიხახოს, უცხოეთში დაბერებული პოეტი მიიღოს და მოუსმინოს...

ფიცისგან შექედილი მაღალი ჰიმეკარი გაიღო და ოციოდე წლის შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

დავითი ნულა წამოვდა.

— რა გნებავთ? — რუსულად ჰკითხა უმაწვილმა.

დავითმა იცნო — უმაწვილი ქართველი იყო.

— მე მიგრგორდიდან ჩამოვედი... — უთხრა მცირე ყოყმანის შემდეგ, — თავადი გურამიშვილი გახლავარ...

ჰაბუკი ერთხანს ცნობისმოყვარედ ათვალეობდა დავითს, მერმე ჰკითხა:

— ვისი ნახვა გინდათ? — სახე კმაყოფილად, ხაზგასმული თავაზიანობით უღიმოდა.

— მირიან ბატონიშვილის, — მიუგო დავითმა და უმაწვილისკენ ნაბიჯი წარსდგა. — გადაუდებელი საქმე მაქვს...

უმაწვილი წუთით ჩაფიქრდა, მერმე დავითს ისე გაუღიმა:

— მობრძანდით... — გზა უტია მოხუცს.

დავითი ეზოში შევიდა.

— აქ დაბრძანდით და დამელოდეთ. გატრიალდა და წავიდა.

ჰაბუკს წელში გამოკვართული ნაცრისფერი ჩოხა ეცვა და ისე მსუბუქად მიაბიჯებდა, თითქოს მიწას ფეხს არც კი აკარებდა.

დავითი ტოტებგაბარჯლული მუხის ძირას მერხზე ჩამოჯდა...

იქნებ უნდა შევედრებოდა ჰაბუკს, მიშველე, შემახვედრე უფლისწულს, შემავედრე, რომ ორიოდე წუთი მოიცალოს და მომისმინოს?

უნდოდა კიდევ ეთხოვა, მაგრამ ვერ შესძლო, თავის დამცირებად მიიჩნია.

თუ ბატონიშვილმა ინება დავითის მიღება, მის წინაშე, ცხადია, ჰქედს მოიდრეკს — თავიანთს სცემს და მუხლმოყრილი შევედრება ეს ერთადერთი და უკანასკნელი სურვილი შეუსრულოს: „დავითიანი“ საქართველოში ჩაიტანოს.

და დაეხმაროს, რომ თავის დიდებას მოსწონდეს ფრთები შეასხას. სარწყავი მანქანები გამართოს და წისქვილები დადგას. მართალია, ჰქვეყანას ახლა უფრო დიდი საზრუნავიც ბევრი გააჩნია, მაგრამ ესეც არ არის უმნიშვნელო საქმე...

იმ სახლიდან, საცა ამ რამდენიმე წუთის წინ ნაცრისფერჩოხიანი უმაწვილი შევიდა, საშუალოზე მაღალმა, წვეროსანმა კაცმა გამოიხედა. წამით შეუყვანებულმა დავითს შორიდანვე დაკვირვებით გამოიხედა და მისკენ ფეხგაჩქარებით გამოემართა.

დავითი წამოვდა. თუმცა ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა — არ იცოდა, ვინ იყო ეს უცხო კაცი. იქნებ მის სახახავად არც კი მოდიოდა, თავის საქმეზე მიეშურებოდა.

დაბნეული, მოკრძალებით მომლიძარე, ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილი დავითი მოხრეშულ ბილიკზე მომავალი კაცისკენ გაუბედავად იცქირებოდა.

კაცი რომ მოახლოვდა და დავითმა მისი მაღალი, ნაოქებით დაღარული შუბლი, წაბლისფერი წვერი და ნაკვერჩხლებივით მოელუარე თვალები დაინახა, ადგილზე ველარ დამაგრდა — ფეხებმა თავისთავად წაიყვანეს მის შესახვედრად.

დავითმა იცნო იგი.

იქნებ უფრო ალღომ უკარნახა, ვინც იყო.

იქნებ იმიტომ იცნო, იცოდა, რომ ბატონიშვილს ახლდა.

თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა — დავითისთვის მთავარი ის გახლდათ, რომ აღარ ეექვებოდა: ეს წვეროსანი, ბრვე ვაეკაცი გაიოზ ბარათაშვილი იყო: ის გაიოზი, დავითმა უკანასკნელად ზუსტად ოცდაწვიდი წლის წინ რომ ნახა პეტერბურგში; განუმეორებელი ნიჭისა და უნარის პატრონი კაცი, რომელზედაც მთელი პეტერბურგის ქართველობა დიდ იმედებს ამყარებდა: ის გაიოზი, დავითის სათაყვანებელ მძას, ქრისტაფორეს. შეილი-

ვით რომ უყვარდა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა.

დავითს გული გამალეზებით უძგერდა, მუხლები უცახცახებდა, მაგრამ მაინც მიაბიჯებდა.

საელჩოსკენ რომ მოდიოდა, სწორედ გაიოზის იმედი ჰქონდა. გაიოზი არქიმანდრიტი და უფლისწულის პირველი მრჩეველი იყო, რომელსაც დავითის სასარგებლოდ გადამწვევტი სიტყვის თქმა შეეძლო.

ჰოდა, აი, მოაბიჯებს მისკენ გაიოზი (დიახ, ბატუე დაიფიცებს, რომ ნამდვილად გაიოზია!) და დავითი გრძნობს, აქ მხოლოდ შეფის ელჩიონი კი არ არის, აქ ხედებიან ქართველები, ვინც არ შეიძლება მისმა ლექსმა არ მოაჯადოვოს, ალტაცება არ მოჰგვაროს და სინანულის კრემლი არ აღერევის. დიახ, არ შეიძლება...

ერთმანეთს რომ მიეახლნენ, დავითი შედგა, აბგა და ჯოხი მიწაზე დადო და ხელები გაშალა.

გაიოზი მკერდში ჩაეკრა.

მოხუცს გული აუჩუყდა. ჯერ ცხვირსახოკით აწულიანებულ თვალები ამოიწმინდა, მერმე აბგასა და ჯოხს დასწვდა, აიღო და ჩაახველა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო დავითო?... ხმაზე ეტყობოდა, რომ ამ მოულოდნელ შეხვედრას გაიოზიც ავლელვებინა.

— ვცოცხლობ... — დავითი შეეცადა ჩვეულებრივი რიზით ეპასუხა, მაგრამ არ გამოუვიდა და ისევ ჩაახველა. — როგორ ვიქნები ჩემს მიწასა და ხალხს მოწყვეტილი...

— წამობრძანდით, შინ შევიდეთ!

გაიოზმა დავითი წინ გაატარა, თვითონ უკან მიჰყვა.

როგორ მიდის საქმეები? — ჰკითხა დავითმა, გაიოზის ოთახში ერთმანეთის პირისპირ რომ დასხდნენ.

გრაფთან შეხვედრას ველოდებით...

ჯერ არ შეხვედრიხართ?

როგორ არა, თითქმის ყოველი ორი კვირის თავზე მოვიწყვეს, მცირე

ვახშამს გაგვიმართავს და კიდევ დაგვინიშნავს მიღების დღეს, ისევ ორი კვირის შემდეგ... ასე გრძელდება დაუსრულებლივ!.. მთელი ზაფხული აქა ვართ და არა ვიცით, კიდევ რამდენ ხანს მოგვიხდება დარჩენა. ბატონიშვილი კი სასტიკად ღელავს — მეფე ჩვენს საბოლოო პასუხს ელოდება. თორემ რა გამოდის — ტრაქტატს ხელი მოვაწერეთ, დახმარებით კი არ გვეხმარებიან, ხოლო ირან-თურქეთი სადაცაა ჩასაყლაპავად მოგვაპურებენ...

დიახ, საქართველოს მძიმე დრო უდგას, დავითს კი თავისი ლექსებისა და გამოგონებების ბედი აწუხებს.

ვინ რა თავში იხლის მის ლექსებს, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას?

და დავითმა მძიმედ ამოიოხრა, თავი ჩაჰკიდა.

— თქვენ რალამ შეგაწუხათ, ბატონო დავითო? — ჰკითხა გაიოზმა და მოხუცს შეაკერდა. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად შეხვდა, გურამიშვილი დიდად გამოცვლილიყო. მართალია, ჩვეულებრივად მხნე და ჭანსალი არც მაშინ ყოფილა. მაგრამ ასე მოტეხილი და დაჩაჩანაკებულიც არ გახლდათ. ჯერ კიდევ მარიენბურგში ყოფნისას გურამიშვილმა გენერალ სალტიკოვს ოფიციალური პატაკი მიართვა — ჭანი შემერყა და სასახური აღარ შემიძლიაო. არმიის მთავარსარდალმა სამხედრო კომისიის წინაშე შეუამდგომლობა აღძრა და დავითი პეტერბურგს გაგზავნა. როგორც იქნა, ორი თვის დავიღარაბის შემდეგ პეტერბურგს ჩააღწია და სანამ სამხედრო სასახურიდან განთავისუფლების დასცენას მიიღებდა, დედაქალაქში დარჩა. მაშინ არმიის ხელმძღვანელობამ დავითს პორუჩიკობა მიანიჭა.

ერთადერთი სიამოვნება, რაც დავითს იმ დროს განეცადა, ეს პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებთან ხშირი ურთიერთობა იყო, მართაედნენ საღამოებს, სადაც კითხულობდნენ ლექსებს, მსჯელობდნენ საჭირობოროტო საკითხებზე.

მას შემდეგ საუკუნის მეოთხედზე მეტმა დრომ განვლო და, გარდა პოლტავაში მცხოვრებლებისა, ქართველთაგან არავინ შეხვედრია. მხოლოდ ეს იყო, ამ ორი დღის წინ იმერთა ელჩს — ბესარიონ გაბაშვილს ვადაუყარა შემთხვევით და ახლა აგერ ესაუბრება გაიოზ ბარათაშვილს... მაგრამ მოხუცს გული მწარედ უკვების, რომ არქიმანდრიტი ხალისწართმეული, უსასოო ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

— ალბათ, საშური საქმე გაქვთ, რომ ამოდენა გზა გამოგივლიათ... — უთხრა გაიოზმა, რაჟი დავითმა პასუხი დაუგვიანა.

— დიახ, — თქვა ფიქრებში ჩაძირულმა მოხუცმა. — დიდი საქმე მაქვს...

დავითმა არ იცის, როგორ შეხვდება ბატონიშვილი მის თხოვნას, რას იტყვიან ქართლ-კახეთის მეფის ელჩიონის წევრები, — მისთვის კი ნამდვილად დიდი საქმეა. დიახაც დიღია, რატომაც არა. ცდება დავითი, როცა ფიქრობს, რომ ამ საერთო სიმძიმის დროს მისი ლექსები არავის სჭირდება. პირიქით, იქნებ სწორედ ახლა იყოს ისინი საჭირო. მათში ხომ დიდ სულიერ საზრდოს იპოვის ქართველი კაცი!.. დიახაც იპოვის და დავითს უკან დასახევი არაფერი სჭირს, პირიქით, გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგას წინ — მისი „დავითიანი“ წარმოჩენის ღირსია, ღირსია იმისა, რომ ქართველმა ხალხმა გაიცნოს ამ ლექსებში მოთხრობილი მისი შვილის ტყევილი და სიხარული, ვაიგოს, როგორ უყვარდა დავითს თავისი სამშობლო და მშობლიური ერი...

— ბატონიშვილი უნდა ენახო და პირადად ვესაუბრო! — თავი ასწია დავითმა. მის ხმაში, მთელს მის გამომეტყველებაში საოცარი სიმტკიცე იგრძნობოდა.

— დღეს არ მოხერხდება, — უთხრა გაიოზმა, — დღეს ფელდმარშალმა ინება ჩვენთან შეხვედრა...

არაფერია, თუ ბატონიშვილს დღეს არ სცალია — დავითი დაიცდის, ხვალ,

ხვალ, მაზრე შეხედეს, თანახმაა, მთავარი რია ნახოს და სათქმელი უთხრას.

— უნდა ჯარის წერთნასა და მანევრებს დაგვასწროს, — განაგრძო გაიოზმა წამით შეწყვეტილი საუბარი.

— დიდხანს გაგრძელდება ეს ამბავი?

— არა მგონია, — თავი გაიქნია გაიოზმა, — დღეს უნდა მორჩნენ.

— დავიციდი, — თითქმის თავისთვის თქვა დავითმა. — ვერც ეგნატაშვილს ენახავ?

გაიოზმა არ უპასუხა. დავითმა შენიშნა, რომ არქიმანდრიტს მაღალი შუბლი ანაზღად შეეკუმუნა.

— სიმონი პოსპიტალში წევს.

— რა სჭირს? — ჰკითხა დავითმა.

— გულმა შეაწუხა.

— პოსპიტალში რომ ეინახულო, არ შეიძლება?

— ახლა კარანტინი აქვთ, არ განახებენ. — გაიოზმა კარი გააღო და დაიძახა: — ნოსრევან!

მალე ოთახში დავითის ნაცნობი ნაცრისფერჩოხიანი ყმაწვილი შემოვიდა, სტუმარს უსიტყვოდ გაუღიმა და გაიოზს მიმართა:

— გისმენთ, ბატონო.

— ნოსრევანი ჩვენი საელჩოს მუდმივი წევრია, ბატონო დავით, — უთხრა გაიოზმა და ჰაბუჯზე მიუთითა. — მიჩიან ბატონიშვილი წუთითაც არ იშორებს.

დავითმა ჰაბუჯი ისევ შეათვალა: შავი თვალ-წარბი, საულეაშუზე ახალწამოშლილი შავი ჩეჩილი, პატარა ცხვირი, კოხტა ტუჩები, ლამაზი, ღრმულიანი ნიკაბი და შავი, ბურჩხა თმა... ვერავითარი ქალიშვილი ვერ შეედრებოდა სილამაზესი.

— ბატონი დავითი ჩვენი საპატიო სტუმარია, — უთხრა ნოსრევანს გაიოზმა, — დღეს შენზე იყოს მისი მასპინძლობა. ახლა კი მსახურს უთხარი საუხვე მოგვართვას.

ნოსრევანი რომ გავიდა, გაიოზმა სკამი დავითთან ახლოს მისწია.

— მინდა აქ ქართული ენის გრამატი-

კა დაებეჭდო, ბატონო დავით, — უთხრა და მაგიდიდან ყალიონი აიღო.

— აქ? — გაუკვირდა დავითს.

— დიახ.

— მერე სტამბა, ასოები? — დანინტერესდა გურამიშვილი.

— კარგად გამართული სტამბა აქვთ. ასოები კი ნაწილი პეტერბურგიდან ჩამოვიტანე... აქ ერთი უცხოელი მესტამბე მუშაობს და დანარჩენს იმას ჩამოვახმებენ...

— დიდებული საქმეა, — თქვა დავითმა და თავისი ძმა გაახსენდა. ქრისტეფორემ დიდი ჭაფა მოანდომა ჭერ მოსკოვსა და მერმე პეტერბურგში სტამბის დაარსებასა და ქართული წიგნების გამოცემის საქმეს. აფსუს, რომ ადრე დაიღუპა, თორემ კიდევ რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო!

— თქვენმა ნეტარსენებულმა ძმამ დიდი ამაგი დასდო ქართულ წიგნს... ქართული ბეჭდური ასოები რომ გვაქვს, ამაში ხომ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის... — სინანულით თქვა გაიოზმა.

ოცდაათ წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ოსეთს მისიონერად გაგზავნილი ქრისტეფორე გარდაიცვალა, მაგრამ დავითს მუდამ ცოცხალივით ედგა თვალწინ. მოუსვენარი კაცი იყო, ყოველთვის რალაცას ეძიებდა, სულ იმას ცდილობდა, შთამომავლობისათვის რაიმე სასიკეთო დაეტოვებინა. აქი დაუტოვა კიდევ — დავითს არ ექვევება, რომ სანამ წიგნი არ მოიშლება, ქრისტეფორეს სახელს ქართველი კაცი მუდამ მოწიწებით მოიხსენიებს.

— ძალიან ძვირი ჯდება წიგნის ბეჭდვა... — თქვა მკირუხნის დუმლილის შემდეგ გაიოზმა.

— ცხადია, ძვირი დაჯდება. სადღაც დასაკარგავში კი არა, შენს ქვეყანაშიაც ძვირი დაჯდება. ჭერ ხომ ეს ახალი საქმეა, თითქმის აუთვისებელი, მერე და მერე გაადვილდება, ალბათ.

იაფი რომ ჯდებოდეს, დავითი თავის ლექსებს დაბეჭდავდა და დარწმუნებულია, უცდაყვას გაიწადლებდა. მაგრამ

სადა აქვს იმდენი ფული, ამ დიდ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ფული რომ მისცა...

— ჩემი ფული რომ აღარ მეყო, ბატონიშვილმა სალაროდან მომცა.

— მართლა? — გაეხარდა დავითს.

— დიახ. დიდად განათლებული და მოჭირნახულე კაცი ბრძანდება.

— გავიგე, ლექსებსაც წერსო.

— წერს და პოეტებს განსაკუთრებულად მფარველობს.

დავითს გული ისევ იმედიანად აუძგერდა. მან უკვე მოჰპოვა თავისი წილი წუთისოფელი და არაერთი მფარველობა არ სჭირდება. მთავარია, ბატონიშვილმა წიგნს მიუხედოს, იცის დავითმა, თუ უფლისწულმა მისი თუნდაც ერთი ლექსი მაინც წაიკითხა (რაკი შელექსეა, წაიკითხავს კიდევ, ეს უეჭველია!), მის ნაწერს თვალისჩინივით გაუფრთხილდება. დავითს კი მეტი არაფერი უნდა, თავის ოცნებას ხორცშესხმულად ჩასთვლის და სიკვდილსაც დამშვიდებული შეხვდება.

მოუნდა, გაიოზისთვის გაემხილა კრემენჩუგს ჩამოსვლის მიზანი, მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა, მოერიდა.

— მახსოვს, თქვენც მშვენიერ ლექსებს თხზავდით, ბატონო დავით... — მორიდებულად უთხრა გაიოზმა, თითქოს იღუმალ ფიქრს მიუხედაო. — არასოდეს დამავიწყდება პეტერბურგის სალამოები, როცა ყველანი პირდაღებულნი ვისმენდით თქვენს ლექსებს...

დავითმა უხერხულად გაიღიმა და უცებ გადაწყვიტა, ეთქვა გაიოზისთვის, რა საქმეზედაც ჩამოსულიყო კრემენჩუგს.

— ჩემი ლექსები შეეკრიბე, გადაწერე და აქ ჩამოვიტანე... — ხელების ფშვინით უთხრა დავითმა. — მინდა ბატონიშვილს მივართვა... — და გაჩუმდა. — გაიოზს დამაბული მიაჩერდა, აბა, რას იტყვის, როგორ შეხვდება ჩემს ნათქვამსო.

გაიოზს კი კმაყოფილების ნიშნად თვალეზი აუკომკიდა. წვერზე ხელი ჩამოიხედა და უთხრა:

— ძალიან გაახარებთ შიშინას, თუ

წინააღმდეგი არ იქნებით, დღესვე მოვახსენებ უფლისწულს თქვენი მობრძანების მიზანს.

— მოახსენეთ. დიდი სურვილი მაქვს პირადად შევხვედე. ნუთუ ვერ მოიცილის? — თათოლვით ჰკითხა დავითმა.

— როგორ გეკადრებათ, — მიუგო გაიოზმა. — სიამოვნებით მიგიღებთ. მით უმეტეს, იცის, ვინცა ხართ.

დავითი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დნებარს გახედა. ჭორომთან, საცა გრანიტის ლოდები ეყარა, წყალი სარცარი სისწრაფით მიედინებოდა, იქორჩრებოდა, ცინცხალ ნაპერწყლებს ისროდა და მზის სხივებით განათებული ეს წინწყლები ნაპერწყლებივით ხტოდნენ.

შორს, დნებარის სიღრმეში, ნავი გამოჩნდა. ნავი თივით იყო დატვირთული და წყლის დინებას მოჰყვებოდა.

მაშ ასე, რაკი იცის დავითის ვინაობა, დიდი მიხედვრა არ სჭირდება იმას, რომ პირიანი გულისხმიერად მოეციდება. დიდება შენდა, ღმერთო, რომ ცხოვრების დასასრულს მაინც შეახვედრე ისეთ კაცს, ვინც დავითს ყურადღების ღირსად ცნობს, ვინც გულისკარს გაულებს და ცოტაოდენ მშობლიურ სითბოს მაინც აგრძნობინებს! ცხოვრება მუდამ დედინაცვალვით ეპყრობოდა გურამიშვილს, იმ რუა ათუელზე მეტი წლიდან, რაც ამქვეყნად იცხოვრა, ხუთიოდე წელიწადიც არ გაუტარებია მოსვენებით, თუ, რასაკვირველია, ბავშვობასა და ოჯახურ წრეში გატარებულ წლებს არ ჩაეგდებთ ანგარიშში. მუდამ რაღაც აწუხებდა, მუდამ რაღაც აკლდა, ტკიოდა, იწვოდა. უმეტესწილად დამაბული იყო. და, აჰა, ახლა უწია ამდენმა დავიდარაბამ — ცალ ზელს ზეირიანად ველარ ზმარობს, ცალი თვალით სულ ველარ ზედავს, მეორეშია დააკლდა სინათლე, მზრის ყრუ ტყვიელს გრძნობს, როგორღაც თავბრუს ეხვევა... თითქმის აღარ არსებობს დავით გურამიშვილი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კრემენჩუგს მისი ლანდი ჩამოხრიალდა. ვინმე ისეთთაგანი რომ ჰყოლოდა, ამ საქმის მიხედვრა შესძლებოდა, დავითი აზ-

რადაც არ გაივლებდა ამოდენა ზნის შეკიდებას, მაგრამ...

— უნდა დაგტოვოთ, ბატონო დავით. — მოუბოდიშა გაიოზმა. — ახლავე ნომრევენს გამოგიგზავნით. არ მოიწყინოთ. — კარი გააღო და გასვლა დააპირა, მაგრამ რაღაც გაახსენდა და მაშინვე უკან მოტრიალდა. — ის მობრძანეთ, ბინად სად გაჩერდით?

— აქვე, დნებარის ნაპირას, ეკვარ სოკოლოვის სასტუმროში, — მიუგო დავითმა.

— იქნებ ჩვენთან გადმობრძანდეთ...

— არა, — თავი გაიქნია დავითმა. — არ ღირს...

გაიოზმა კარი ფრთხილად მოხურა.

\*\*\*

ეკატერინეს ქუჩას მიჰყვებოდნენ.

ქუჩაზე ძელები იყო დაფენილი, ორსაკვე მზარეს თხრილი ჩასდევდა. ფიცრით შემორაგულ ეზოთა სიღრმეში ქვის ორსართულიანი კოპწია სახლები ჩანდა. სახლებს თუნუქის სახურავი ჰქონდა.

დავითმა იცოდა, უკრაინაში საერთოდ ნამჭით ხურაედნენ სახლებს, უკეთეს შემთხვევაში — ყავრით, აქ კი თუნუქით გადახურული გუმბათიანი სახლები ჩავმწყრივებინათ. სახურავები მწვანედ შეეღებათ, კედლები — თეთრად.

— ამ ქუჩას აქამდე მდიდართა უბანს ეძახდნენ, — აუხსნა ნომრევენმა, ძალზე ცნობისმოყვარე და ალღოიანი ყმაწვილი რომ აღმოჩნდა. — აქ თურმე მხოლოდ ვაჭრები და ქალაქის ცნობილი პირნი ცხოვრობდნენ. სულ რამდენიმე ღარიბი ოჯახი, აქ შემთხვევით რომ გამოჩნდებოდა, დედოფალ ეკატერინეს ჩამობრძანების წინ აუყრიათ და სხვაგან გადაუსახლებიათ, მათი ქონებიც მაშინვე აუღიათ...

ყოველი სახლის წინ ოთხი არშინი სიმაღლის საფარნე ბოძები იდგა. ისინიც ალუბლისფრად ან თეთრად შეეღებათ.

— აი, ამ ქუჩის ბოლოს პოტიომკინს



დედოფლისთვის ისეთი სასახლე დაუდგამს და ბალი გაუშენებია, ნახვად ღირს.

დავითს ის უკრაინელი გოგონა გაახსენდა, ადრე დილას დნებრის ნაპირას რომ ნახა, და კეთილად გაეღიმა.

— შორსაა? — ჰკითხა ნოშრევანს.

— აქედან ორიოდე ვერსი იქნება.

დავითს გული არ მიუწევდა ხალხის ნაოფლარით აგებული იმ სასახლის სახახვად, თორემ ახლა ისეთ ხასიათზე იდგა, მგონი ათი ამდენი გზის გავლასაც კი შეიძლება.

დავილაღე, ნოშრევან, — უთხრა მცირე ხნის შემდეგ. — ასე შორს ვერ წავალ, ის შირჩენია, დნებრის სანაპიროზე ჩაიღრმად და სადმე ჩამოვსხდეთ...

შემოდგომის შუე საშუალოდღოს უახლოვდებოდა, საამოდ თბილთა.

დავითი გრანიტის ვახურებულ ლოდზე ჩამოჯდა, ნოშრევანი გვერდით მოისუჯა. ერთხანს მდუმარედ გასცქეროდა დნებრს, მერმე კი, ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა, უნებურად დაიწყო საკუთარი ლექსის კითხვა:

გული ღონდება, ვიწყო ვოდება:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 ბორგნა-გოდება, რაც მავინდება:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 სული შშორდება, ზორცი შშორდება:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 რად მშეა დედამან, მშეამან ბედამან,  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!

ნოშრევანი მოჩადოებული უსმენდა მოხუცს, რომელსაც ყველა და ყველაფერი გადავიწყებოდა ამქვეყნად და მთელი სულითა და გულით საკუთარ ოცნებას მისცემოდა:

ზარ საძაგელი, არად საძაგელი:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 დასაჯარგველი, გარდასაგველი,  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 ვარგს არას გელი, ცხვარასა მშამ მგელი:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!  
 მიმამბ თუ მიდობ, მინც არ მიმდობ:  
 ვაი საწუთრო, ცრუი სოფელი!

— თქვენი ლექსებია? — ჰკითხა მცირე ხნის შემდეგ, როცა დავითი დადუმდა. — მან შენიშნა, რომ მოხუცს თვალები ცრემლით აესებოდა, და გული მოეწურა.

დავითმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და მარცხენა ხელი მხარზე მოახვიო.

— რამდენი ხანია საქართველოდან წამოხვედი?

— მეოთხე წელია.

დავითმა მწარედ გაიღიმა.

— არ მოგწყინდა? — კითხვა მოუნაცვლა მცირე ხნის შემდეგ.

— რას ბრძანებთ, — უმაღლ მიუგო ჰაბუცმა, — მეტი აღარ შემიძლია... თუ კიდევ დიდხანს მოგვიხდა აქ დარჩენა, ბატონიშვილს უნდა დავეთხოვო და შინ გავესწიო, თორემ ლამისაა გავვიცდე.

დავითი დუმდა.

იგი ისევე დნებრს გასცქეროდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა. მის ჩინდაჯარგულ თვალებს ახლა მშობლიური სანახები ელანდებოდა.

— მე კი თითქმის სამოცი წელიწადია სამშობლოს მომწყვეტეს. — ამოიხორა მოხუცმა. — სამოცი წელიწადი... — თავი ჩაქიდა, ჭიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, უნებური ცრემლი მოიწმინდა.

— სანამ ახალგაზრდა ვიყავი, კიდევ მქონდა იმედი, რომ მის ნახვას ველირსებოდი, აწი კი...

— განა არ შეიძლება, ადრევე დაბრუნებულიყავით უკან? — გაოცებას ვერ მალავდა ჰაბუცი. — ან ახლა რა გიშლით ხელს, რომ...

დავითმა თავი სინანულით გადააქნია.

— საქმე ის არის, — ოხერას ამოაყოლა მან, — რომ ემიგრანტებს თავიდანვე დაგვადებინეს ფიცი, რომლის თანახმადაც გვევალებოდა ოჯახებითურთ სამუდამოდ დეარჩენილიყავით რუსეთში და უპასპორტოდ საზღვარგარეთ არ წავსულიყავით...

— განა საქართველო საზღვარგარეთია? — აღმოხდა ნოშრევანს.

— იმ პირობებში საზღვარგარეთად სწორედ საქართველო იგულისხმებოდა, ჩემო ნოშრევან!

ნოშრევანს უფროსებისგან გაეგონა, რა ბედიც სწეოდა სამშობლოდან გადმობეწილ ვახტანგსა და მის ამაღას, ისიც იცოდა, რომ გურამიშვილი ერთი იმათგანი იყო, ვინც საქართველოს ძნელბედობას ემსხვერპლა, და უნდოდა სანუგეშო რამ ეთქვა გულაჩუყებული მოხუცისათვის, მაგრამ ენის დაძვრა ვერ მოეხერხებინა.

— ვახტანგსა და ბაქარს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, შეიძლება ჩვენი საქმე სხვანაირად წასულიყო, მაგრამ... — თითქოს თავისთვის თქვა დავითმა, ოდნავ რომ დამშვიდდა.

ნოშრევანი გაოცებული მისჩერებოდა გურამიშვილს — მას ვერ წარმოედგინა, რომ ხელმწიფეთა სააუგო ასე ხამამალა შეიძლებოდა თქმულიყო.

— მოსკოვსა და პეტერბურგს იმდენი ხანი დაუყავით და ისიც ვერ მოახერხეს, რუსთხელმწიფისათვის ჩვენი სურვილი ეცნობებინათ... ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური...

ღიახ, ეს ასე იყო. მართალია, ვახტანგი სწორ გზას ადგა, რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება სწორედ რომ ერთადერთი და ქვეშაირიტი გზა გახლდათ, მაგრამ მეფემ და უფლისწულმა საქმეს თავი ვერ მოაბეს. უამრავმა ცდამ ფუჭად რომ ჩაიარა, მამა-შვილს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ამან კი ვითარება კიდევ უფრო გაართულა. მერე იმ დიდი „ბოძის წაქცევა“, ქართველთ თავიანთ ბურჯად და იმედად რომ მიიჩნდათ...

შემდეგ ის სასტიკი სიღუბეობა, რაც რუსთა მთავრობის მხრივ ჯამაგირის შეწყვეტას მოჰყვა. ქართველთ მთელი წელიწადი გროშიც არ მიუღიათ... დედოფალმა რუსუდანმა, ვახტანგის მეუღლემ, მთელი თავისი ამაღა დაითხოვა, რადგან უსახსროს, ვალეზში ჩავარდნილს ამაღის შენახვის საშუალება არ ჰქონდა.

ემიგრანტთა უმრავლესობამაც რუსეთში დარჩენა გადასწყვიტა, ასე რომ, როგორც მერმე შეიტყო დავითმა, როცა ბაქარმა პირი საქართველოსკენ ჰქნა.

სულ ასიოდე სული ჰხლებიკა ექვს-მეცხრე ვიანად.

ცხადია, დავითმა რუსთა ქვეშევრდომობა არჩია. სამშობლოში დაბრუნებაზე უარი იმიტომ განაცხადა, რომ ბაქარის გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო — მემკვიდრეობით კუთვნილი ტახტის ხელში ჩასაგდებად ყაბარდოს, ჩერქეზეთსა და დაღესტანს მოვიშველიებო. ქართლის ტახტის მემკვიდრის განზრახვა თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ ებრძოლა, დავითს გულს უკლავდა. არ ძალუძდა ხელახალი „ცეცხლის კვერის დატრიალების“ — ძმათა სისხლისღვრის მოწმე გამხდარიყო და „საქმე ქმნა თავის ნებისა“ — რუსთა ქვეშევრდომობა მიიღო. მაშინ დავითი არც კი დაექვებულა, რომ შეიძლებოდა სამუდამოდ დარჩენილიყო უცხო მხარეს: გარემოება შეიცვლება და ჩემს მამულს დაუბრუნდებიო. მაგრამ...

— ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნაეარდისა... — წარმოთქვა გულდათუთქულმა მოხუცმა.

— ხუთი თვე გათავდა, ჩვენი ელჩიონი აქ იმყოფება და პოტიომკინისგან ჭერ გარკვეული პასუხი არ მიუღია, — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ნოშრევანმა. — ჩვენი ხელმწიფე ირაკლი და იმერთა მეფე დავითი უსტარს უსტარზე ჰგზავნიან — სთხოვეთ გრაფს. ხელები გაგვიხსნას, ჭარი მოგვაშველოს, რომ ურუმს ზურგში დაეკრათ და ყვენსაც საყადრისი პასუხი გავსცეთო, მაგრამ არაფერი გამოდის.

დავითი ნოშრევანს უსიტყვოდ მისჩერებოდა.

„შენ ამდენი საიდან იცი, კაბუჯო?“ ამოიკითხა მის გამოხედვაში ნოშრევანმა.

— მე მირიან ბატონიშვილის პირადი მდივანი ვარ... — უთხრა, რომ მოხუცის ეჭვი გაეფანტა.

ღიახ, მირიანი ნოშრევანს ყოველგვარ სახელმწიფო საიდუმლოს ანდობდა.

უფლისწულმა იცოდა, საელჩოს თარჯიმანი სიმონ ეგნატაშვილი, ვის ხელ-

შიც ყველა საბუთს უნდა გაეელო, მამისადმი გაგზავნილ მირიანის ყოველ წერილს ხსნიდა და მათ შინაარსს პოტიომკინს აგებინებდა. ამიტომ ბატონიშვილი საქართველოში გასაგზავნად საიღუმლო უსტარს მუდამ ნოშრევანს აწერიდებდა და საიღუმლო ხალხის ხელით ჰგზავნიდა. ეს კი ახალგაზრდა მდივანს იმის საშუალებას აძლევდა, რომ საელჩოს საქმიანობა დაწერილებით სცოდნოდა.

ცხადია, ყოველივე ეს გურამიშვილმა არ იცოდა, მაგრამ რაკი ნოშრევანმა უთხრა, მირიანის პირადი მდივანი ვარო, მიხვდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცისთვის საელჩოს ნებისმიერი საიღუმლო ხელმისაწვდომი იყო.

— ჩემი შეტუბობით, პოტიომკინი კვლავაც ასე გააქანჯლებს საქმეს, — თქვა დავითმა ჩაფიქრებით.

ღიასაც გააქანჯლებს. მუდამ ასეთი იყო რუსთხელმწიფის პოლიტიკა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა მიმართ — ხელჩასაკიდი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ არც იმედი გადაეწურათ სრულიად. ასე ორკოფულ მდგომარეობაში გავიდოდა გარკვეული დრო და მერე ისე გადაწყვეტდნენ საკითხს, როგორც იმპერიისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

უცებ საყვირის ხმა გაისმა.

— სადილობის დრო მოსულა, — უთხრა დავითს ნოშრევანმა და წამოდგა.

— ეს რა საყვირი იყო? — დავითმა იმ მხარეს მიიხედა, საიდანაც საყვირის დერი ისმოდა.

— ნავსაშენის მუშათა შესვენება იწყება... წვიდეთ, ბატონო დავით, დროა ჩვენც ვისადილოთ.

\* \* \*

კარგა ხანი იყო, ნოშრევანს ბატონიშვილი ასეთ ხასიათზე არ ენახა. ვანსაკუთრებით ბოლო დროს, რაკი დარწმუნდა, გრაფი პოტიომკინი ქართლ-კახეთის სამეფოს წარგზავნილებთან საქმიან საუბარს თავს განზრახ არიდებდა და მეფისა და საელჩოს მიწერ-მოწერას საიღუმლოდ ეცნობოდა, მირიანს საო-

ცარი ნერვიულობა დასჩემდა. უბრალოდ რამე აღიზანებდა და საელჩოს წევრებს, თვითონ ნოშრევანსაც კი, რომელიც უფლისწულის კილა და მასთან მმასავით თანშეზრდილი იყო, ისეთს აკადრებდა, ადრე მისგან არავის რომ არ გაეგონა.

მირიანი ისე გამოიცივალა, ნოშრევანი ველარ სცნობდა.

და დღეს გუნებაგამოკეთებული რომ ნახა, სიხარულით ცას ეწია.

— ნიჭიერი კაცია პოტიომკინი, — ეუბნებოდა უფლისწული ნოშრევანს, გულხელდაკრფილი რომ იქდა და მირიანს გალიმებული უცქეროდა, — სამხედრო ხელოვნებაში დიდად გარკვეული... ასეთ არმიას სასწაულების დატროილება შეუძლია...

მირიანი ელჩიონის წვერთა შორის ყველაზე უმცროსი იყო, თანაც თავისი მდგომარეობა აიბულებდა ზედმეტად თავშეკავებული ყოფილიყო, წინასწარ განუსჯელად ნაბიჯიც არ გადაედგა.

რუსეთში პირველად რომ ჩამოვიდა, თექვსმეტი წლისა იყო. მიუხედავად მცირეწლოვანებისა, იმპერატორიკამ დიდის პატივით მიიღო და პოლკოუნიკობა უბოდა. ჯერ ჩუგუევის კაზაკთა პოლკში მსახურობდა, შემდგომ კი ოზიუმის ცხენოსანთა პოლკში გადაიყვანეს. მართალია, ამ ორ წელიწადში დიდი სამხედრო გამოცდილება არ დაუტოვებია, მაგრამ შეეჩვია და შეესისხლხორცა მხედრულ ცხოვრებას. ისედაც დაუდგრომელი, მოუსვენარი და მუდმივი მოქმედების წყურვილით შეპყრობილი უფლისწული სწორედ სამხედრო სამსახურისთვის გახლდათ დაბადებული. ამიტომ იყო, როცა მამამ კრემენჩუგს მიმავალი ელჩიონის მეთაურობა დააეალა, ეს დიდ პატივად ჩასთვალა, გასამგზავრებლად საჭირო სამზადისს უმაღ შეუდგა და ნოშრევანსაც უბრძანა მომზადებულიყო.

ირაკლი მეორის ელჩი რუსეთის მეფის კარზე — ეშიკალასბაში თავადი გარსევან ჰავკავამე სასტიკი წინააღმდეგი იყო „გარეშე პირთა“, ამ შემთხვევაში

ნოშრევანის კრემენჟუს ხლებისა, მაგრამ უფლისწულმა თავისი გაიტანა — მირიანმა ნოშრევანი წამოიყვანა და მუდამ თან ახლდა.

ნოშრევანს ეგონა, რაკი უფლისწული ელჩის სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცა და თან იახლა, გარსევან ჰევკავაძე ამითვალისწინებდნო, და გულში შეპარული უნებური შიში არ ასვენებდა. მაგრამ მირიანის პირად მდივანს ბრწყინვალე თავადის ერთი უხეირო სიტყვაც არ გაუგონია, პირიქით, იგი მუდამ ღმობიერებითა და ყურადღებით ხვდებოდა ყმაწვილ კაცს.

გარსევან ჰევკავაძე ერთადერთი გახლდათ მთელ საელჩოში, ვისდამიც მირიან ბატონიშვილი განსაკუთრებული პატივისცემით იყო განწყობილი.

თუმცა უთანხმოება მასთანაც ხშირად მოსდიოდა.

დიპლომატიურ სარბიელზე დიდი გამოცდილების მქონე გარსევანი კარგად ერკვეოდა რუსეთის მესვეურთა პოლიტიკაში გარეშე სახელმწიფოთა მიმართ. ამიტომ ფიცხ ბატონიშვილს, ხშირად შეუფერებელ დროს ვადაშკრელ მოქმედებას რომ მოითხოვდა, სულგრძელობასა და მოთმინებას ურჩევდა. მირიანი კი ამდენი ხნის უმოქმედობას, ორჭოფულ მდგომარეობაში ყოფნას ვერ შერიგებოდა...

დღეს კი...

მირიანი სავარძელში ჩაეშვა, ყალიონი ნებიერად გააბოლა.

— ხომ საყმაოდ ხანდაზმული კაცია, წუთითაც არ დაგვასვენა, მთელი დღე სულ მოძრაობაში გავატარეთ... ან რა რკინისებური წესრიგი სუფევს არმიასი... ასეთი არმიით ნებისმიერ ბტრის ძლევა შეიძლება...

— ღმერთმა ჰქნას, რუსის ჯარი ურუმს ადვილად გამკლავებოდეს... — თქვა ნოშრევანმა. — იქნებ მერმე ჩვენთვისაც მოიკალონ.

მირიანი მოიღუშა.

როგორ არ მიუღდა პოტიომკინს, მაგრამ სიტყვაც ვერ დააცდენინა, რას ფიქრობდა რუსეთის მთავრობა, ბოლოს

და ბოლოს აპირებდა თუ არა <sup>ნუნდა წლის</sup> ტრაქტატის თანახმად გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას. ფელდმარშლის ორაზროვანი პასუხიდან უფლისწულმა მხოლოდ ერთი რამ გაიგო გარკვევით: იმპერატრიცასა და სენატს საქართველო იმიტომ აინტერესებდათ, რომ თურქთა და სპარსთა წინააღმდეგ საბრძოლო საიმედო ბასტიონად მიაჩნდათ. აქედან გამომდინარე კირუსეთი საქართველოს დასაცავად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიცილიდა, თუ იქ, აღმოსავლეთში, მის პრესტიჟსა და ინტერესებს შელახავდნენ.

— ვნახოთ, რაც მოხდება... — თქვა ცოტადენი ჩაფიქრების შემდეგ უფლისწულმა. — გაიოხმა მითხრა, მირგოროდში გურამიშვილი გაახლა და შენი ნახვა სურსო...

— დიხ, გელოდება.

— ნეტავ რომელი გურამიშვილია?

— ჰკითხა მირიანმა.

— დავითი ჰქვია. ვანა გეცნობა? — გაუკვირდა ნოშრევანს.

— არა, ცნობით არ ვიცნობ, მაგრამ გამიგონია, ერთი გურამიშვილი კარგი მელექსე იყო.

— დღეს სულ ლექსად მელაპარავებოდა, — გაიღიმა ნოშრევანმა.

— აბა, ერთი მიხზე!...

მირიანმა იცოდა, რომ ერთ დროს მოსკოვში ცხოვრობდნენ ძმები გურამიშვილები, რომელნიც ვახტანგ მეექვსის ამაღლაში ირიცხებოდნენ. ისიც გავგონა, რომ ერთი მათგანი პოეტი იყო, მეორე — მწიგნობარი და მისიონერი, მაგრამ სახელდობრ რომელი მოსულიყო მის სახანავად, არ იცოდა.

კარი გაიღო და ნოშრევანმა უცხო კაცი შემოიყვანა — მოხუცებული, სახედანაოკებული, ჰალარა, წელში მოხრილი, ცალმხარჩამოვარდნილი.

ბატონიშვილი რომ იხილა, მოხუცმა ჯონი და აბგა იატაკზე დადო, ორთავ მუხლებზე დაეცა და ზეცისკენ ხელაკურობილმა შეჰლაღადა:

— მადლობა, უფალო, შენდა, რომ დიდებული მეფის ირაკლის ძეს შემახ-

ვედრე! — მირიანს ჩოქვით მიუხალოვდა და მუხლებზე მოხვევნა დაუპირა, მაგრამ უფლისწული უმალ წამოდგა, მოხუცს მხრებში ხელი ჩაავლო და წამოაყენა:

— გამარჯობა, თავადო! — ისე მოეხვია, როგორც დიდი ხნის უნახავ მშობელს, სავარძელზე დასვა და თვითონ გვერდით მიუჯდა.

დავითი ღელავდა, ხელები უკანაღლებდა. უაზროდ გაღიმებული ხან უფლისწულს უცქერდა, ხანაც შორიახლო მდგომ ნოშრევანს.

— მე საგურამოელი გურამიშვილი ვარ, თქვენი ყმაყოფილი, — უთხრა ბოლოს მირიანს, დავითს ცნობისმოყვარედ რომ უცქეროდა. — ნატყვევარი და წუთისოფლისგან განაწამები... ახლა მირგოროდში ვცხოვრობ... —

გამიგონია, ორმოცდაათი წლის წინ ბევრნი დასახლებულხართ ამ მიდამოებში.

— დიახ. უმთავრესად მირგოროდში, ლუბნიში, პირიატინსა და პოლტავაში ცხოვრობენ ქართველნი.

— როგორ ცხოვრობენ? — დაინტერესდა უფლისწული.

დავითმა ჰაბუცს შეხედა, გაუღიმა.

— ზოგი კარგად, ზოგი ცუდად.

— გასაგებია, — თავი დაიქნია მირიანმა. — გამიგონია, ვახტანგ მეექვსეს ძმები გურამიშვილები ახლდნენო, თქვენ ზომ არა ხართ ერთ-ერთი მათგანი;

დავითს არ ესაიამოვნა უფლისწულის შეკითხვა. ვახტანგი თეიმურაზისა და ერეკლეს დაუძინებელი მტერი იყო და, ცხადია, ერეკლეს ძე ვახტანგის ერთგულ ყმას წყალობის თვალთ ვერ შეხედავდა. ამიტომ უცებ ვერაფერი უპასუხა. თუმცა ბოლოს მაინც სიმართლის აღიარება არჩია.

— დიახ, ლექთა ტყვეობას თავი რომ დავაღწიე, ამთარხანს ჩავედი, იქიდან მოსკოვს მივაშურე, საცა მეფე და მისი ამაღა მეგულებოდა... მალე ჩემი უფროსი ძმა ქრისტეფორეც ჩამოვიდა მოსკოვს...

— ისიც თქვენთან ცხოვრობს? — ჰკითხა ბატონიშვილმა.

— არა, — მიუგო დავითმა, — ორმოცდაცამეტ წელს გარდაიცვალა დედალეთში...

— შვილები თუ გყავთ, თავადო?

მოხუცი მიხვდა, რომ შეცდა, როცა დაეძვდა, ვაითუ უფლისწულმა ვახტანგის ნაყმევს ავი თვალთ შემომხედოსო. ეტყობა, მირიანს ამისთვის არც კი მიუქცევია ყურადღება.

— არა, არა მყავს, — ამოიოხრა დავითმა, — მაგრამ, აი, ეს ვიშვილე... — აცახცახებული ხელით აბგას მისწვდა, აუჩქარებლად გახსნა, „დავითიანი“ ამოიღო და სასოებით დახედა.

მირიანი და ნოშრევანი გაოცებული მისჩერებოდნენ მოხუცს.

დავითმა წიგნი ბატონიშვილს გაუწოდა.

— ეს ჩემი... ლექსებია...

მირიანმა წიგნი მაშინვე ჩამოართვა და თავფურცელს ცნობისმოყვარედ დახედა:

— ქ. წიგნი ესე, რომელსა ეწოდების სახელად დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, — წაიკითხა ტუჩების ცმაცუნით.

თავი ასწია და ისევ სტუმარს შეაუქერდა.

დავითი უძრავად იჯდა, თავის წიგნს მონუსხულივით მისჩერებოდა. კარგი, რომ ამ ერთხელ მაინც არ უმუხლთა ბედმა — ხელნაწერი ბატონიშვილს ჩააბარა, ვისზედაც ამდენ იმედს ამყარებდა. მაღლობა ღმერთს, არ მოსტყუვდა. გულქვა და უგრძნობელი ადამიანი კი არ დახედა, როგორც ხედებოდა ყველგან, საცა კი მისცემია საქმე, არამედ მოწყალე და მოჭირანხულე მამულიშვილი. დავითს სჭერა, წაიკითხავს მის ლექსებს, ჩეროვნად შეაფასებს და იქ ჩაიტანს, სამშობლოში. მაღლობა ღმერთს...

აი, უკვე კითხულობს... კითხულობს და დავითიც ასე ვასუსული იჯდომება, რომ მყუდროება არ დაურღვიოს, საშუალება მიეცეს კარგად გაერკვეს ლექსის დედააზრში.

მირიანი თავაულებლად განაგრძობდა კითხვას. წაიკითხა ერთი ლექსი, მეორე, მესამე...

დავითი ამჩნევდა, რომ უფლისწულს თვალელები ხან გაუბრწყინდებოდა, ხანაც სახეზე ბინდი გადაურბენდა.

პოეტი მისი სახის გამომეტყველებით ხედებოდა, რომელი ლექსის რა ადგილს კითხულობდა ბატონიშვილი.

უცებ მირიანმა კითხვა შეწყვიტა და წიგნის ბოლო გვერდები ჩაათვალიერა.

— ეგ რაღა არის? — გაუკვირდა, ნახაზებს რომ ჰკიდა თვალი.

დავითმა ჩაახველა — ხმა ჩაიწმინდა და თრთოლვით მოახსენა:

— შეგონა, თქვენს ნახვას ვერ მოვახერხებდი და არზა მოგართვით... აი, მანდვეა...

მირიანმა ახლა არზა წაიკითხა.

მერმე წიგნი მაგიდაზე დადო და შორიდან შეათვალიერა.

— თქვენს ყველა ლექსს მოუყარეთ თავი? — ისე ჰკითხა მცირე ფიჭრის შემდეგ მირიანმა, წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ახალგაზრდობაში შეთხზული უამრავი ლექსი ვერ აღვადგინე... მუდმივ ომსა და ლაშქრობაშიც ბევრი დამეკარგა... აქ ის ლექსები შევითანე, რაც მეხსიერებამ შემოინახა და რის დაწერაც ამ ბოლო დროს შეეძელი...

ბატონიშვილი შეწუხებული უცქერდა მოხუცს. მან სამიოდე ლექსის წაკითხვისთანავე იგრძნო, რომ საქმე დიდებულ პოეტთან ჰქონდა.

თავად მირიანი ლექსებს წერდა, ბესიკსაც ახლოს იცნობდა და მისი ნაწარმოებები ზეპირად იცოდა. ძალიან მოსწონდა ბესიკის პოეზია, მაგრამ ამ მოხუცის ლექსებს კი სულ სხვა ელფერი დაჰკრავს, მის ყოველ სიტყვას რაღაც სასწაულებრივი ზემოქმედების ძალა შესწევს. სული აუფთრიაქდა კაბუკ ბატონიშვილს, როცა დავითის ხელით დაბატული პორტრეტის ქვეშ მისივე მინაწერი წაიკითხა: ეს კაცი ასე ილოცავს:

ღმერთო, მაჩვენე ყანები,  
ამ სარწყავთ მონაყანები;  
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,  
ფეიქს, ამ წისქვილზე დაფქულსა.  
ყოვლად წმინდაო, დამადევ  
წყურებულ წამალი სამთელი.  
შემაძლებინე აღვანთო  
მე შენს წინაშე სამთელი.

და საოცარი რამ მოხდა: პირველი წაკითხვისთანავე მთელი ლექსი დაახსოვდა.

მირიანმა სახე დავითისკენ იბრუნა, თვალელები დახუჭა და ლოცვისასვით გაიმეორა:

ყოვლად წმინდაო, დამადევ  
წყურულზედ წამალი სამთელი...

დავითს გული ამოუჭდა.

აწი აღარა უჭირს რა, რაკი მისხალ-მისხალ ნაგროვები ნაყოფიერი თესლი ნოყიერ ნიადაგში ჩათესა და ისე უბრალოდ არ მოუბნევიან, ქარისთვის არ გაუყოლებია. დიდება უფალს...

ახლა დავითი ჰუმარობდა უბედნიერესი ადამიანი იყო მთელს დუნიაზე. არასოდეს ასეთი ბედნიერება არ ეგრძნო და გულიდან თავისთავად აღმოჩნდა:

მშვილდს მომიწვია მუხთალმა, ისარი გულში  
მამასო,

არ მომცა ძე, არც ასული, არენი მიძახის  
მამასო;

მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა  
მამასო,

დავამ და ლეშვა დავიწყე, ესოქვი თუ  
ვიშვილებ მამასო!

აღელვებული მირიანი წამოდგა, მკერდზე ხელუბდაკრეფილი ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა.

ჩამავალი მზე სხივებით დნებრს ისე დასცხრომოდა, თითქოს დასიცხული წყურვილს იკლავსო.

იქვე, ფანჯარასთან აღმართული სიყვითლეშუპარული აკაციის ტოტებს მდინარიდან მობერილი ნიაყი არხვედა და ფოთლები ისე ეახტახებდნენ, თითქოს დასაფრენად ვამზადებული ბარტყები



არიან, ცდილობენ და გადამწყვეტი კამარის შეკვრა ვერ გაუბედაეთო.

სიმაგრის თავმორღვეულ გალავანზე კეპების გუნდი დაეშვა. ერთხანს იყაშაშეს, იჩხაელეს, მერმე წამოიშალნენ და ჰაერში შავ წერტილებივით გაიბნენ.

— ბატონიშვილო... — მოწიწებით დაიწყო გურამიშვილმა. — მუხლმოდრეკით გვედრები, ჩემი წიგნი საქართველოში ჩაიტანო... იქნებ... — ენა დაეხა, ველარ თქვა სათქმელი, გულათრთოლებული, ცრემლჩამდგარი საღი თვალით მირიანს მიაჩერდა, რომელიც მისკენ მობრუნებულიყო და მოხტეს სიბრალულით უცქეროდა.

რამდენჯერ უფიქრია, უოცნებია ამ შეხვედრაზე, რა გეგმები არ დაუწყვია — რას ეტყოდა, როგორ შეევედრებოდა, ახლა კი სიტყვა გაუწყდა, გული ყელში მოებჯინა.

თუმცა, მადლობა უფალს, ეს უმაწვილი ძალზე გულმოწყალე ჩანს — სახის გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ კარგად ესმის დავითის გულისთქმა.

მერე ბატონიშვილი კარგა ხანს უსიტყვოდ დასცქეროდა ნაბაზებს, ბოლოს მინაწერი წაიკითხა:

„ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და დავხაზე, ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძღურებითა და ხელ-მოკლეობით,

და ამ ჩემს ნათქვამს ლექსის წიგნი მიტანებია. და ეს წიგნი ქართლ-კახეთის მეპატრონის მეფის ირაკლის ძის მირიანისთვის მიმირთმევია და იმას შევხვეწი-ნიეარ, რომ საცა ალაგი იყოს, იმან გამოაცხადოს.

ენიაზ დავიდ გურამოვი ხელს ეაწერა“.

— დამწვიდებული ბრძანდებოდეთ, თავადო, — ხავერდივით რბილი, საამოხმით უთხრა მირიანმა. — თქვენი ლექსები საიშედო ხელშია, წიგნს სამშობლოში ჩაეიტან და შეუეს მიეართმე... მამა ბატონი პოეტთა დიდი მოყვარული და ქომაგია. — მირიანი მავიდასთან მივიდა, გულმოდგინედ შეკინძული წიგნი ისევ გადაფურცლა. — პოტიომკინსაც უცილოდ მოვახსენებ თქვენს თხოვნას. — წამით დადუმდა და გაიმეორა, — პირველივე შესაძლებლობისთანავე მოვახსენებ...

დავითს უნდოდა მადლობა გადაეხადა უფლისწულისთვის, მაგრამ ენა ვერც ამჯერად მოიბრუნა და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ისევ ამოიღო, თუმცა ვერ მოასწრო — საღი თვალიდან მოწყვეტილი ცრემლი სახის ნაოქს ჩაჰყვა და შეჭალარაგებულ უღვაშში ჩაიკარგა.

კრემენტუგი-მირზორაღი-კიევი.  
1980 წ.



საკაპი მასაჰი

## ძველთბილისის გამწყვდარებულ უბნებით

ხარობს გული, ოდეს თბილისს აივლი  
გამწყვდარებულ ძველისძველი უბნებით,  
ძრავალ ცისფერ მოჩუქურთმულ აივნით,  
ფხო-პარმალ-კიბით ნაირნაირით,  
გორაკ-გორაკ, მიჯრით და სართულებით,  
აივლი და გალალდები მშვენებით,  
თქვას შეაწმამა სხვა, რაც მის გულს ენებოს,  
მე კი ვიტყვი:

— დრო დამდგარა შენების,  
განახლების, ახსნის და აღზევების  
და...

ველავ უფრო,  
უფრო მხნედ, ქართველებო!

გაიხსენეთ, კლდედ რად ჩადგა მეტეხი,  
ან სანთელად ვით იწვოდა ნიკალა,  
ქართლის სული მტერმა რად ვერ გასტეხა,  
ვით უძლებდა ეამთა შლეგთა ქართველის  
ანჩისხატი,

სიონი,  
ნარიყალა,  
ან რად გაჰქრა მტკვარის სანაპიროთგან  
ტატოს ლაგამ-აწყვეტილი შერნები,  
იეთიმ გურჯი თარს რა ხმით დაჰკიოდა,  
ან ილიას გული რაზედ სტკიოდა,  
ან რად დასკდა სირაჩხანას შარნები?!

სილამაზე განა შარტო სალხენად,  
განა ხოლო გულთა ჩვენთა ამებად,  
აღმართულა იგი უფრო — სახელად,  
სისხლთა ჩვენთა შართლისთვის დასანთხეველად.

ხსოვნად,

ლოცვად,

სიწმინდედ და

წამებად

და, თუ ეგე არა უწყის აღმდგენმა,

და, თუ უწყის —

მე ვიტყვოდი, ათასგზის

და ასეცად დაელოცოს მარჯვენა,

რომ სხვა გზნებით გაიხარა ქართველმა

ეკლავ მზილველმა ამ ცისფერ სილამაზის;

და თქვენ, ოდეს მომლიძარნი აივლით  
ძველთბილისის გამწყაზრებულ ქუჩებით,  
მრავალ ცისფერ მოჩუქურთმულ აივნით,  
უზო-პარმაღ-კიბით ნაირნაირით,  
გორაკ-გორაკ, მიჯრით და სართულებით, —  
თქვენც ხომ ხედავთ, ანთებულნო მშვენებით,  
სიყვარულში ჭერაც მოუღლულებო,  
დრო დამდგარა აღდგენის და შენების,  
განახლების, ახსნის და აღზევების  
და...

ცით ისმის:

— იმარჯვეთ, ქართველებო!

### კაცუნა-შენიქნი

ფიქრი ვერ იცილებს საზრუნავს —  
საშურო საქმე და, ქალები...  
ზიდიდან ვარდება კაცუნა  
და, ცრემლით ევსება თვალები.  
რამდენჯერ თავს იკლავს საბრალო,  
ამაო არის ეს მკვლელობა, —  
დილით ხომ საქმენი სადაო  
კურნავენ ჭადოსნურ ხელობით:  
დალეწილ ძელებს შეუხორცებენ,  
მორთავენ,  
გალამაზებენ,  
გადააიწყებენ ოცნებებს,  
ვარდა სამსახურის, ბაზრების...  
და, აი, ქალთანაც დენდივით  
გაივლის, სეამს დარდიმანდულად,  
და ნატრობს: — დღევ ნუ დალამძები!  
მაგრამ, ვაი რომ გასულა.  
და შინ მობრუნდება, ცოლ-შვილი  
შემოაშტერდება ყვედრებით  
და დენდიც, უნდილად მორჩილი.

თავის თავს სიჩუმეს ავედრებს,  
თან ფიქრობს: ცხოვრება რად მიჰქრის  
როგორღაც თითქოს დაძალებით,  
რად უნდა მაცდური ეს ტვირთი —  
საშური, ბაზრები, ქალები...  
და უცებ, გულგახეთქილივით, —  
ეგებ რამ მონახოს ნუგეში?! —  
ყელში გაგუდული კივილით  
გამოობის ცარიელ ქუჩებში  
და, როცა უსიტყვოდ დასტრგუნავს  
ეს ღამეც საზარის ხილვებით —  
ზიდიდან ვარდება კაცუნა  
და, წამით, თვით მოიხიბლება...  
მაგრამ თვითმკვლევლობა — ტყუილი,  
ტყუილი — ღამის თავგანწირვა,  
(ტყუილი, სუყველგან ტყუილი  
ალალი ფიქრების მაგიერად?!), —  
დილით ხომ საქმენი სადაო  
კურნავენ ჭადოსნურ ხელობით...  
და მაინც თავს იკლავს, საბრალო,  
ყოველღამ ოცნების მკვლელობით.

## იმ, სად ოცნების კრთიან ფიქრები

აბსოლუტური არის — სიმშვიდე,  
აბსოლუტური არის — ნათელი...  
მე სიცოცხლეში ხელს არ მიშლიან,  
ოღონდ — ინებეთ,  
ოღონდ — გასძელით.

მოუსვენრობა არის — ცალმხრივი,  
ნაწილობრივი არის — ხმაურიც...

რა ვქნა, ვერ ვცხოვრობ მე ამ  
ხალხივით,  
ცოტა-ცოტა და, შაურ-შაურიო,

და ზოგჯერ, ისე. შევეკითხები  
ჩემს ლამაზ გოგოს თვალმბვიწროიანს:  
— იქ, სად ოცნების კრთიან ფიქრები,  
სიკვდილში, ნეტავ, ხელს რად მიშლიან?

## შენ რაქად...

ეს რა სინაზე მაწვება გულზე,  
რა უცნაური მიტაცებს წამი, —  
ფიქრს სიბერეზე ვეჩვევი, ვუძლებ  
და, უცებ, შევთრთი როგორც ლერწამი.

ეს რა სინაზე მაერყოლებს, სულო,  
ან ეს ოცნება ისევ რად მმტერობს, —

რა დროს ქარია სასიყვარულო,  
ძვირფასო, რა ვარ? — ფიტულა ღერო.

განა არ იქცა ყველა წარსულად?  
შენ რაღად თეთრო, ლამაზო წეროვ?  
თვლემას არ მაკლი? გსურს სალამურად  
სიკვდილს ამართვა და ამამღერო?

## და მაინც, მაინც არ ვკარგავ იმედს

მე ახლა შენკენ ბილიყებს ვეძებ,  
ტყეში დაეძრწვიარ გზააბნეული, —  
ვაი თუ ამიკდა საშური გეზი,  
ვიჩქარი და თან მელევა სული.  
მაინც რამდენი გაუბამს ხლართი  
ძველი ზრუნვების სუროს და ეკალს,  
რამდენი ხრამი, აღმართ-დაღმართი  
და დაბურულში ცასაც ვერ ვხედავ,  
და მხოლოდ ნებზე მთრთოლავ გეშვივით  
ფრთხილად გატარებ — სასურველ ხსოვნას,  
შეჩერდები და...

— ხომ არ მეშლება? —

მოგაყურადებ, გულს ჩაგიკონავ;  
მაგრამ შენ ჩემი არ გესმის კითხვა,  
მხოლოდ შეუქივით მითრთიხარ ნებზე  
და ჩამჩურჩულებ:  
„სული ხსნას ითხოვს...  
შენ ხომ გახსოვარ... ხომ ისევ მეძებ...“  
და მეც მოვდივარ, — რა ალაღბედად  
შენს სხივს.

შენს სუნთქვას,

შენს ხსოვნას მიესდევ.

ამ უღრან ტყეში ველარას ვხედავ  
და მაინც, მაინც არ ვკარგავ იმედს.

## მ ი რ კ ა ნ ი

წიგნიდან „წუთისოფელი“

მირკანი მიზეზიანი  
მიდის და ღრუბლებს მიდენის,  
ყად უკვე ამომზიანდა  
მზე — ლამაზი და წითელი.

მწუანე მინდორი მარტეილის,  
ღმერთო, ცასავით ხასხასებს,  
სიხარულისგან ატირდა  
გული და გული ათასი.

მიდის და მიდის მირკანი,  
ცა ყვაეილივით იშლება,  
მწუანეზე თეთრი თიკანი  
თავის ლანდს ეთამაშება.

მირკანი მიზეზიანი  
მიდის და ღრუბლებს მიდენის,  
მზე უკვე ამომზიანდა,  
სიყვარულის მზე წითელი.

## გულამკაყარუი

„ბიჭებო, თითო ყანწი დავლიოთ“, —  
თქვა ვანომ, ვანო წიკლაურმა  
ალალად, ნალდი სიყვარულით.  
„არაო“, — ეთქვით ჩვენ — რეზომ,  
ალუდამ.

გზაზე ორთავემ  
ვინანეთ,  
თავი

ნეტა რად აღარ დავალოცვინეთ,  
სხვაგნით ნეტა სად მიგვეჩქაროდა.

„ბიჭებო, თითო ყანწი დავლიოთ“...  
ეპ, ვანო, ვანო წიკლაური  
რა თბილად, თბილად საუბრობდა,  
რა თბილად, თბილად უყურებდა  
მთებსა და პირიმზეს — სალოცავს.

სხვაგნით ნეტა სად მიგვეჩქაროდა:  
უთამაშებდა სინათლეს ტანი,  
როგორც არაგვს.

ღიმილი — შუბლის გაზაფხული  
თაფლისფერ ნიავს ტალღებივით  
ყვაეილებზე (ნისლის ყვაეილებზე)  
მიმოაფენდა.

ცას ეკვროდა ელვასავით ცხენის  
კიბენი,

(ცხენი იყო აჭაგვისფერი)

და ცა და ცხენი,

ღმერთო, ორივე

ერთმანეთის თვალებში ისხდნენ.

სხვაგნით ნეტა სად მიგვეჩქაროდა, —  
ქვა რომ ქვაა — შავი და თეთრი.

თითქოს ელოდა  
ყვავილების ნეტარ მარულას,  
სხივად იყო, იყო ჭკეული.

უთამაშებდა სინათლეს ტანი  
არაგვივით.

სხვაგნით ნეტა სად მიგვეჩქაროდა...  
სიზმარი არ იყო, ეხედავდით:

ნისლი მთებს,  
მთები, მთები — ნისლს  
ეხვეოდნენ და კოცნიდნენ,  
ისე ლამაზად კოცნიდნენ.  
როგორც მაისის ყვავილებს ცვარი.

„ბიჭებო, თითო ყანწი დაელიოთ“ —  
თქვა ვანომ, ვანო წიკლაურმა  
ალალად, ნაღდი სიყვარულით.

### იისფერი დები

ზღაპარს იისფერი დები,  
როგორც იებს, ისე კრეფენ,  
ცა თეთრია, როგორც გელი,  
ცა თეთრია, როგორც კრავი.

ზღაპარს ჰგევანან დები იით,  
დები იით ზღაპარს ჰგევანან...

(ქარი ლურჯი, ის უმგევანო,  
დაბრძანდება იმედით).

დღე ნათელით ინამცვრება,  
(დები იით ზღაპარს ჰგევანან),  
ცაე ქათქათებს, როგორც ცხვრების,  
თეთრზე თეთრი ქარავანი.

ზღაპარს ჰგევანან დები იით.

### ხსოვნის წყარო

მზე ჩაიფერფლა. გლოვის ტყე ჩემი, როგორც ცვარნამი  
ამღერდა ისე. მზე ჩაიფერფლა... ხსოვნის წყაროზე  
მზე ჩაეყინა თვალბში ირემს. მზე ჩაიფერფლა...  
საფლავი შენი მწვანე სინათლით გადაიბარდნა. მზე  
ჩაიფერფლა. საფლავი შენი ზეცაა უკვე, ზეცა უბადლო.  
უხარის მიწას შენი გაფრენა. შენ ხომ სხივი  
ხარ უკვე ლამაზი!.. მზე ჩაიფერფლა. თოვლი ამღერ-  
და — ერთ-ერთი სხივი იავნანასი... ო, მეც შენს  
საფლავს ზეცა მიქვია, ვარ მღუმარი და ძალზე მწუ-  
ხარე... ღმერთო მალალო, ისევ გვაფრქვევ სხივი ლა-  
მაზი და უტყუარი!..

მზე აყვავილდა, მზე აყვავილდა, მზე აყვავილდა, რო-  
გორც იმედი და... ამოფრინდნენ ხსოვნის წყაროზე,  
ხსოვნის წყაროზე მზე და ირემი!..

### თეთრი სიცილი

მოვეფერები მე შენს თეთრ სიცილს —  
თავდავიწყებულს, თბილს და ნერვიულს,  
მერმე ხელს, როგორც თანაშეზრდილს,

დაგადებ მხარზე...  
დავემგზავრები შენთან ერთად  
გაზაფხულის ხშირ და მოწყენილ წვიმებს.

მოვეფერები მე შენს თეთრ სიცილს —  
თაედაეიწყებულს, თბილს და ნერვიულს.

### გულყვითელი შვიმები

გადაირბინეს გულყვითელმა წვიმებმა  
ეს ცა,  
მწვანე ტყეები, მწვანე მინდვრები.  
ალარაფრით აღარ დაცხრნენ.

ხვალ უსათუოდ მათშალიები  
ესტუმრებიან ისევ სოფელს,

ესტუმრებიან,  
ღმერთმა ნუ ჰქნას აღარ ესტუმრონ —  
გულყვითელი წვიმებს შემდეგ.

გადაირბინეს წვიმებმა ეს ცა,  
მწვანე მინდვრები გადაირბინეს.

### ცაა ისეთი

უბრწყინავს ცრემლი თვალბში უფალს,  
ცრემლი — ზღაპარი, სიმღერა ყოვლის...  
მზე აღმოჩნდება ნელა და ჩუმად,  
დაიოუბება ლამაზად თოვლი.

გადინამქრება ცა იისფრით,  
გადინამქრება ნათლით სამარხი...

ჩემო ძვირფასო, ცაა ისეთი,  
მთელ დედამიწას რომ დაამარცხებს.

უბრწყინავს ცრემლი თვალბში უფალს,  
ცრემლი — ზღაპარი, ნათელი ყოვლის...  
მზე აღმოჩნდება ნელა და ჩუმად,  
ვით ყვავილების ლამაზი თოვლი.

### ს კ ხ ლ ი

ეს დღე დაღამდა.  
ჩემი საყვარელი თვის იენისის 15.  
აკაფდა ცაზე ვარსკვლავი.

როგორც ვიცი, ეს დღე არასოდეს მობრუნდება,  
რომც მობრუნდეს, შენ ვერ შეხვდები,  
ამღერებულხარ უკვე ნათელით  
და მე ვეჩევი (არ ვურიგდები) უკვე მომხდარს,  
(იმედის მზეს ვებლაუქები),  
ფიქრის ზღვაზე ისევ ენებიერობ.


ეს დღეც დაღამდა.  
 დაღამდება კიდევ მრავალჯერ.  
 წვიმა ცას ჩამოსწურავს.  
 თოვლი ცას ჩამობარდნის.  
 გათენდება მერმე ისევ.  
 მზე ამოვა.

ამღერდება ყაყაჩოს ტანი.  
 ყველაფერი კარგია, ღმერთო.  
 მაგრამ მუხის ღამაში სახლი,  
 სახლი უკარო, სახლი უფანჯრო,  
 რომ დაინგრევა.

ეს მკლავს ძალიან.  
 მე იმ დღეს გულის ერთი ძარღვი თუ არ გამიწყდა,  
 მაშინ

მე რაღა კაცი ვიქნები!

ეს დღეც დაღამდა.  
 ჩემი საყვარელი თვის ივნისის 15.  
 აკიაფდა ცაზე ვარსკვლავი.



## აზამათი

მოთხრობა

ციკლიდან „შე და მიგბა“

სრულიად შემთხვევით გაიცნო აზამათმა ქეთო, ჭრებაში, ბაზარზე. მან და დედამისმა ხუვანიამ რამდენიმე გოჭი და თხა ჩამოიყვანეს გასაყიდად. გოჭებზე რა ითქმის, გოჭი გოჭია, ჭყვილით აიკლეს მიდამო, სანამ ვილაცებმა არ იყიდეს... მაგრამ თხა! დასწყევლოს ღმერთმა... იმისთანა შარისთავი, იმისთანა რქენია თხა მეორე არ იქნება ქვეყანაზე. წარმოიდგინეთ, ყოველგვარი „მეე-ე-ე-ს“ გარეშე ყოჩებზეც კი მიჰქონდა იერიში. მე შენ ვითხრა, უკან დაიხვედა, ან შეეშინდებოდა! რასა ბრძანებთ? ბრძოლას თვითონვე ამწვავებდა. ეშხში შესული მეომრების რქების ჭახა-ჭუხზე საბალახოდ გაშვებული პირუტყვი შოშით ირინდებოდა.

ყველაზე საოცარი მაინც იცით რა იყო?! დალოსტიანთ ქოფაკი, სახელად ბურის რომ ეძახიან, სიავით არის განთქმული ხეობაში. ცხენიდან მხედარს ჩამოიღებს... ჰოდა, წარმოიდგინეთ, იმასაც კი სულთამხუთავივით აშინებდა ხილოი.<sup>2</sup> როდის და რანაირად შესძლო იმ უკულმართმა ეს, ეშმაკის მეტმა არა-

ვინ იცის. სოფელში ყველა იცინოდა — დაინახავდა თუ არა ბური ხილოს — მაშინვე შინისაკენ მოკურცხლავდა, კიბის ქვეშ ღრმად შეიკუნჭებოდა და იქიდან ყმუოდა.

მეზობლები დალოსტის დასცინოდნენ:

— ო, დალოსტი! — აუცილებლად შეეხშიანებოდა ვინმე ბურის პატრონს, — დალოსტი! სადა ხარ, კაცო!

ის კი გაისუსებოდა, იცოდა რისთვისაც ეძახდნენ. პირველი შემთხვევა იყო თუ?

— ო, დალოსტი! — არ ეშვებოდა ის ვილაც, — გამოიხედე, გარეთ, კაცო!

— რა დაგეცა, შე ოჯახდაქეულო, შენა! — ველარ მოითმენდა დალოსტი, მეტისმეტი სიბრაზით აკანკალებული, მწითურ ულვაშებგაფარჩხული ფანჯარაში გამოყოფდა თავს.

— ყრუ კი არა ვარ, რა გაღრიალებს, შე ოხერ-ტიალო, შენა!..

— რა და ისა, რომ შენი ძალღი გააჩუშე! არ გესმის ისე საცოდავად ყმუის, კაცს ეგონება, ქვეყანა იქცევაო, სოფელი მაგის ცოდვით იწვის.

— გეუბნები, მშვიდობიანად გამეცალე აქედან, თორემ... — სიმწრით გაიბერებოდა დალოსტი, ულვაშები აეჭაგრებოდა, — დაიკარგე-მეთქი აქედან.

1 ჭრება — ასე ეძახიან ოსები ჭ. ცხინვალს.

2 ხილოი — მანჭებარა თხის სახელია.

ოხერი ხარ, ვილაცა... ყმუილს გასწავლი შენა... ისეთ დღეს დაგაყრი, ისეთ დღეს რომა... ქვეყნის დაქვეყნამდე შენ გაგაქრობ! უყურე ამით! თქვენ, თქვენ ძალებს მოუარეთ, ჩემ ძალებთან არაფერი გესაქმებათ! როდის იყევებს და როდის იყმუელებს, ეგ მისი საქმეა, — კარგა ხანს იბობოქრებდა, მერე კიბეს ჩამოიბრებდა, ხელში აუცილებლად რალაც უნდა სჭეროდა, ჩექმა, ჯოხი ან ძველი კლიტე მაინც, ბრაზით აკანკალებული კიბის ქვეშ შემალულ ძალებს დაუცაცხანებდა:

— რა გაყმუელებს, შე სამგლევე! სატირალი და თავში საცემი მე მაქვს, შემარცხვინე, თავი მომპყერი ქვეყანაზე! ვის უნახავს, შე უპატრონოვ, რომ ძალებს თხისა ეშინოდეს?! ისიც მეწველი თხისა?!..

ძალებს პატრონის საყვედურზე კიდევ უფრო აეშლებოდა ბალანი და ყმუილს უმატებდა.

— ნუ ყმუი, გეუბნები, შე უპატრონოვ, თითით საჩვენებელი ნუ გამზადე! ხალხში ველარ გამოიყვია თავი...

მაგრამ ბური ყურს არ უგდებდა. ყმუოდა და ყმუოდა, სანამ კიბის ქვეშ შემალულს პატრონის ნასროლი ჩექმა, ჯოხი ან კლიტის ძველა არ მოხვდებოდა. მხოლოდ მაშინ ეკარგებოდა შიში ბურის და ყმუილს შეწყვეტდა.

ხუგიანასაც როგორ არ სწყინდა თავისი უკელმართი თხის ოინები, მაგრამ წველის დროს სიტყვას ველარ უბედავდა. წინათ ერთი-ორჯერ სცადა საყვედურის თქმა, მაგრამ ხილი მოხეზრდებოდა თუ არა დარიგებები, უკრავდა წიხლს და ცხვირწინ ამოუტრიალებდა ჭურჭელს.

— მგელმა შეგკამოს, მგელმა. ეშმაკეული ხომ არა ხარ, შე გასაგლეჯო, შენა, — მხოლოდ მაშინ მოჰყვებოდა ვიშვიშს ხუგიანი, როცა რძეს საიმედო ადგილზე დაბინავებდა. — ნამდვილად ეშმაკის ფარიდან ხარ, შე უპატრონოვ, შენა! ჰოდა გეუბნები, მოჰყვიანდი-მეთქი, თორემ ყელს გამოვაჭკრევიანებ შენთვის, ტყავს ვაგაძრობ და ასო-ასო აგ-

ქნი, თუ გინდა იცოდე, ბურისა და ველარ ვტოვებ უწილოდ! არა, შე თავმჯდარო, რა გესაქმება ვილაცის ძალებთან! საკვირველი არაა! — ტაშს შემოჰკრავდა ხუგიანა, — რაც ქვეყანაზე არ მომხდარა, ის ჩემს სახლში რად უნდა ხდებოდეს?! თხა ხარ, შე სამგლევე, ისიც მეწველი, რატომ უნდა მსაყვედურობდნენ ვილაცეები! ზასიონას ძროხა რომ გაბერწდა, შენ დაგაბრალებს, გვერდში ურჭინაო... თედოაანიც მე დამემდურნენ, დედალოერი შენმა თხამ გაგვიბერწაო. რა არის, შე სატიალევე, თხა ხარ თუ ყაჩაღი! აზა მათის მზე იფიცე, თორემ აქამდის შენი ძელებიც აღარ იქნებოდა — ცოდვააო, იძახის. მაგრამ იცოდე, აღარ მოგიტმენ, აივსო მოთმინების ფილა! ეს ეშმაკის არჩვი, შეხედოს კაცმა, თხა არის, თანაც როგორი მეწველი! რანაირად გავიმეტო დასაკლავად?.. არადა, რა ვუყო? სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვა, მისი შიშით ჩემი ძროხა წახოი, იმის ნახევარსაც არ იწველის, რასაც წინათ იწველებოდა! — შესჩიოდა ხუგიანა მეზობლებს.

შესაძლებელია ეს მართალიც იყოს, რადგან ხუგიანას ძროხა წახოი და თხა — ხილი ერთ ბოსელში ათენებდნენ.

...ხუგიანა ყოველდღე ასე უჩიჩინებდა, მაგრამ ხილი ყურსაც არ იბერტყავდა. ისევ ისე ყოყორობდა, ჰოდა, იმდენი ქნა, იმდენი, სანამ ერთ დღესაც ბურის პატრონი დალოსტი ხუგიანასთან არ მივიდა. ორიოდე ყანწი არაყი რომ გადაჰკრა. დარცხვენით, გაუბედავად წამოიწყო:

— ერთი სიტყვით, ხუგიან, ხომ იცი, მე და შენი მეუღლე, ნათელში ამყოფოს გამჩენმა, მძებვიით ტყბილად ვცხოვრობდით.

— ვიცი, დალოსტი, ვიცი. იმის მოსვლამდის ნურა გტყენია შენი ცოლ-შვილით.

— ჰო, ერთი სიტყვით, ხუგიან... თხა უნდა მომყიდო... ან გამიცვალო. მაგიერში ორსაც მოგცემ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა დალოსტი, — ერთი სიტყვით, ხუგიან, ბურის ნუ მომავლევიანებ, კარგი ძაღლია, დამიჭერე... მაგ-



რამ რა ლეთის რისხვა დაეცა, ვერაფერი გამოვიდა! შემარცხვინა... ერთი სიტყვით, ხუგან, ოსი ქალი ხარ და იცი, რომ სულ ერთია, გინდ ძალღოსათვის დაგიცინია და გინდ მისი პატრონისათვის.

ხილოს პატრონი გულსყურით უსმენდა დალოსტის და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, ვითომც ეგ როგორ არ მესმისო.

— ერთი სიტყვით, რაც გინდა მთხოვე, — ბურის პატრონი ოფლში იწურებოდა, — გამომიყვანე მდგომარეობიდან და სიკვდილამდის ამ პატივისცემას არ დაგივიწყებ. — ევედრებოდა დალოსტი.

— მაგრამ რომ გაგიცვალო, მერე რას უპირებ ხილოს?

— როგორ რას?! — გაიკვირვა დალოსტი. — დაეკლავ... სოფელს მოვიპატიებ... — და თვალები უცნაურად გაუბრწყინდა ბურის პატრონს. — თხის ხორცს რა სჯობია? — შეეკითხა ხუგანს და თვითონვე უპასუხა — არაფერი!

— მაპატიე, დალოსტი. მაგრამ მეწველ თხას დასაკლავად ვერავის მიეყიდი. მართალია, ძალიან უხიაგია, რქენიაა, ბევრ უსიამოვნებასაც მყენებს, მაგრამ სადანედ მიიწე არ შემეტება... რას ამბობ, დალოსტი! მე მაგ ცოდვას როგორ ვიტვირთებ!

ამ სიტყვებზე ბურის პატრონი შეკრთა. ხუგანს თვალი ააჩიდა და ერთხანს ასე გაშტერებული იდგა. მისთვის თვალბში რომ ჩაგხედა, მოგესმოდა: „ვაი, შენ ჩემო თავო, დაეიღუპე და ეგ არის“. წასვლა დააპირა... წავალ და ისე, რომ სანამ ცოცხალი ვიქნები, ამ სახლის კიშკარს არ შევალ... თავის სისხლსა და ხორცს, თავის მისხის-მისხსაც ანდერძად დაუტოვებ, რომ ამ ოქახის პურ-მარლი არასოდეს მიიღონ.

წავიდოდა კიდევ. წავიდოდა ხმის ამოუღებლად. გააფრთხილებდა თავის სისხლსა და ხორცს, მაგრამ სწორედ ამ დროს მოესმა:

— კვირას ჭრებაში წაიყვანე და წავიდე... დასაკლავად არა, დალოსტი, მეწველია არ შემეტება...

დალოსტი გამხიარულდა. ცხოვრებამ თავისი უამრავი სიყვითიდან უნაწილოდ არ დატოვა. სასიხარულოა ეს, აბა რა?..

— ხუგან, — ცარიელი ყანწი გაუწოდა დალოსტიმ, — კიდევ ერთიც დამისხი, — ამ ხეობაში შენზე ცხარე არაყს ვერავინ ხდის, ეს ყველამ იცის!..

...გოჭები ადრე გაყიდა, მაგრამ ხილოს, თითქოს მისმა ოინებმა ჭრებამდეც მოაღწია, — ყურადღება არავინ მიაქცია; ის კი არა, ისე ყასიდადაც არავინ შეხედა, მყიდველი არ ჩანდა... ხილი ხანდახან თავის ყვითელ თვალბს ხუგანს შეანათებს და თითქოს დასცინისო, წვერს აცანცარებს. მერე ამოიკოხნის და როცა დიდხანს და გულმოდგინედ ნაცონ ლუქმას ჩაყლავს, რქებზე მობმულ თოქს, რომლითაც მარგილზეა მიბმული, გაკიშავს, ხანდახან მარგილსაც გაეჭექება. პატრონს ედიდგულება.

— უყურეთ ერთი, მაშინებ არა?! — ჭაერობს ხუგანი, — შე უსინდისო, შენა, ნუ გგონია, რაკი მყიდველი არა გყავს. ისევე შინ წაგიყვან, მაშა, მეტი დარდი არა მაქვს! მაგაზე არც იფიქრო, იცი, რას გიზამ?

თხას თითქოს უნდა ეკითხა, თქვი, ნეტავი რას მიპირებო, — ცოხნას თავი ანება და ყვითელი თვალბი კითხვით მიაშტერა პატრონს.

— დიახ, დიახ, შენს ჭინაზე ფასს აღარ დავებებ, წახოის ცოდვისათვის, ორ შაურად გაგიყიდი. არ მინდა კარგი ფასი, ძალაა? ბოლოს და ბოლოს, გაგასაჩუქრებ მაინც! — ხილიმ ისევე დინჯად გააგრძელა ცოხნა, ვითომ პატრონს გაეპასუხა: „ნეტავი შენ, მოგცლიაო“. მერე პირი იბრუნა, თავისი მოკლე კლდი შალა აპრიხა, თითქოს ხუგანს დაუმიზნა.

ახამათი ხან დედას უყურებდა, ხან ხილოს და იცინოდა.

ხუგანს კიდევ რალაციის თქმა უნდო-

და, მაგრამ ბრაზი მოერია, ფეხი ასწია, რომ ხილოსათვის გვარიანად ამოეკრა, მაგრამ სანამ ამას მოიშოქმედებდა, ვილაკები წაადგნენ თავს და ქართულად ჰკითხეს:

— ყიღით თხას?

ხუციანმა გაკვირვებით შეხედა ქალს, რომელსაც გვერდით შეღერებული ქალიშვილი ედგა.

— ჰო, ვყიდი, — უპასუხა და თან თავისთვის ჩაიბუბბუტა, — მაშ რა, აქ რისთვის ჩამოვიყვანე? ჰკრებას ნახვა ხომ არ გვიწოდოდა?

— რას აფასებ?

— ძვირს არ ვაფასებ... შენ თვითონ ხედავ, ისე გაძვალტყავებულიც არაა. ახლა რა შეწველია?..

ქალებმა ვაჭრობა გააჩაღეს, მაგრამ აზამათს აღარაფერი ესმოდა... დაყრუვდა... მათ გვერდით იდგა, მათი ხმა კი არ ესმოდა. ის მხოლოდ გოგოს უყურებდა. უცნაური თვალები ჰქონდა ამ გოგოს... დიდი, ოდნავ მოგრძო... და ისეთი უძირო, ღრმა, ღრმა, რომ... აზამათმა როგორც კი დაინახა, თითქოს ძარღვებში სისხლის მაგიერ მდულარემ დაუარაო. გაქვავდა და გაშტერებული შესცქეროდა. რამდენ ხანს იყო ასე, აღარ ახსოვდა. გოგოც უყურებდა... თუმცა, პირველად მათი მხერა ერთმანეთს რომ შეხვდა, გოგომ თვალი აარიდა, თითქოს რაღაც დაევიწყდა, და ახლა აუცილებლად უნდა მოიგონოსო, მალალ შუბლზე გაწოლილი შავი წარბები შეიკუმუნხა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით... — მერე თითქოს მოიგონა, რის ვახსენებასაც ასე ცდილობდა, შეტრიალდა და აზამათს თვალებში ჩახედა... ჩახედა მხოლოდ ერთი წამით... მხოლოდ ერთი წამით, მაგრამ თვალებმა თავიანთი სათქმელი თქვეს. აზამათი მათ სიკვდილამდის აღარ დაივიწყებს.

ერთი წამი... მერე ქალიშვილს სახეზე ცეცხლი წაეკიდა... თვალები კი, თითქოს საცაა ატირდებოდა და ცრემლი ითქრიალებსო, რალაცნაირად დაეწურა... და ესეც ერთ წამს. მერე ქალიშვილი თითქოს ღრმა ძილიდან გამოერეკვაო,

შემკრთალმა დედას შეხედდა, შეტრიალდა და მის ზურგს ამოეფარა.

წახდა კაცი, გაქვავდა, თავჩალუნული მიწას დააჩერდა.

ვილაკამ მხარზე ხელი დაჰკრა.

— ბიჭო, რა მოგივიდა, ხომ არ დაყრუვდი? — აზამათმა აიხედა, დედა ელაპარაკებოდა, — არიქა, შეილო, მიეხმარე... არ მისდევს, ეს სამგლე. ახლოს არიან, გუჯაბაურში, აქვე, ქალაქის განაპირას. წააყვანიხე, დედა გენაცვალოს, თორემ გააწვალებს ეს საოხრო... ცოდონი არიან... მე ბეჭუანთას დაგელოდები.

...ხილოი მართალია გაყიდეს, მაგრამ ის ისევე ის ხილოია. თავისას არ იშლის. სულაც არ აწუხებს, რომ დღეიდან ახალი პატრონი ეყოლება და ვალდებულია მას დაემორჩილოს. წინა ფეხები მიაბჯინა მიწას და აბა, კაცი ხარ და ადგილიდან დასძარი. ახალი პატრონი რაც ძალა და ღონე აქვს თოქს ეჭაჩება, მაგრამ ხილოი დაძრას?! აბა-ბა-ბა!

— ქეთო, რას ვაჩერებულხარ, გოგო, მომეხმარე, — ეუბნება ერთიანად სახე-ალეწილი დედა თავის საოცარ ქალიშვილს. ქეთო შეკრთა. დედისკენ წაღვა ნაბიჯი, მერე აზამათს შეხედა... ისევე აელანდა ფიქალი... თვალები დახარა... ისევე გადადგა ნაბიჯი და იმანაც თოქი მოქაჩა... ეწვეიან, ეწვეიან ორნი, მაგრამ ხილოის ძერაც ვერ უყვეს. ახალ პატრონებთან წასვლას არც ფიქრობს.

— არ უნდა და რა ვქნა! — თქვა შეწუხებულმა ქეთომ და თოქს ხელი გაუშვა.

— რას ვაშტერებულხარ, ბიჭო, — მოესმა აზამათს დედის ხმა, — მიეხმარე, შე უხეიროვ!

აზამათი ახალა მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან. მაშინვე ქეთოს დედასთან მივიდა და ბაწარი გამოართვა.

— აბა, ხილოი, წავიდეთ, — ხილოი თითქოს ამას ელოდა, მორჩილად მიჰყვა პატრონს.

— ლმერთმა გიშველოს, შეილო! — ლაპარაკით მიჰყვა აზამათს ქეთოს დე-

და, — კი მაგრამ, ასე ჭიუტი რატომაა შენი თხა?

ახამათმა არ უპასუხა, ისეთი რიდი დაეუფლა, ისეთი, რომ დალაპარაკებას კი არა, შეხედვასაც ვერ გაუბედავს ქეთოს ღედას.

— ახამათ, ბეუქანთას დაგელოდები, — გასძახა ხუგიანმა შვილს. არც იმას უპასუხა ახამათმა, მიდის, თხა უკან მისდევს... გვერდით კი ღედა და მისი საოცარი ქალიშვილი მიჰყვებიან... ქალაქს რომ გასცდნენ და გუჯაბურელთა სახლის სახურავები გამოჩნდა, ქეთოს ღედამ ბიჭს თოკი გამოართვა:

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს. დიდად დაგვავალე, შვილო, ახლა ჩვენ თვითონ წაიყვანთ... შენი სახელი, კეთილო ბიჭო?

— ახამათი...

— მე მარო მქვია... ჩემ გოგოს ქეთო, ქეთევანი!

ახამათმა ქეთოს შეხედა და დაინახა, რომ ისიც ცერად უყურებდა და იღიმებოდა. ბიჭის ძარღვებში კვლავ იფეთქა სისხლმა, თავი ჩაღუნა, რადგან იგრძნო როგორ წაეკიდა ცეცხლი, ხმის ამოუღებლად გამობრუნდა უკან. ათი ნაბიჯი არ ექნებოდა გამოვლილი, რომ ქეთოს ღედის ხმა დაეწია:

— ახამათ, შვილო, არ მოგვდევის, ეს...

ახალ პატრონთან ხილოი ისევ გაჩქარდა. ადგილიდან ვერ დაძრეს.

ახამათი მობრუნდა. ქეთოს ღედას თოკი გამოართვა.

— გვეცი პატივი, აგრემც გაახარებ ღედას, შინამდის მიგვაყვანინე. სიკეთე სიკეთეა და... არა, მაინც რატომაა შენი თხა ასე ჭიუტი და თავნება? — ეკითხება ქეთოს ღედა ახამათს.

— არ ვიცი, — ძლივს ამოღერდა ბიჭმა.

რა იყო ახლა აქ სასაცილო?! მართლაცდა საიდან უნდა იცოდეს, რატომაა ხილოი ასე ჭიუტი? როგორიც დაიბადა, ისეთია! რა თქვა სასაცილო! არაფერი! არაფერი, მაგრამ მისი „არ ვიცი“ შემდეგ ქეთომ გადაიხარხარა, ამ-

დენი იცინა. მერე რა ლამაზად დაეწაფა ახამათის სულში ამ ზაფხულის დღის სინათლე უფრო მეკვეთრად შეიჭრა, თითქოს ცხრათვალა მზე იღიმებოდა. ლამაზად ისე ეადვილა, ისე, რომ წვიმის წყალოვით თავისთავად წამოვიდა სიტყვები.

— ამაზე რქენია და რჩოლია თხა ჩვენს სოფელში არ იყო. ყოჩებსაც კი ეომებოდა. ის კი არა, ერთი დიდი ძალის ამის შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა!

ისევ გადაიხარხარა ქეთომ, ახლა ახამათი ცხრა შთას იჭითაც იცნობს მის სიცილს.

...იცინის ქეთო; ღედამისი კი შეაჩერდა და შემკრთალი შეეკითხა ბიჭს:

— ვაიმე, მართლა?!

— ჰო, მართლა, აბა, კი არ ეხუმრობ?.. ჩვენ სოფელში დალოსტის ბურჩიხე დიდი ძალის არ არის, მაგრამ ხილოის რომ დაინახავდა, კუდამოძებულს გარბოდა.

— მოიცა, მოიცა! შვილო, ხუმრობ, თუ მართალს ამბობ? — ახლა კი მართლა შეფიქრიანდა მარო.

— არა ეხუმრობ. კობეთში, ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, — იღიმება ახამათი, — თუმცა რატომ მარტო კობეთში?! — ახსარჩინშიც იცნობენ ჩვენ თხას, ხუდისანშიც...

ქეთოს ღედა გაფითრდა.

— ვაიმე, გოგო ეს რა ვიყიდეთ? — შეხედა ქეთოს საწყალობელი თვალით.

— როგორ რა ვიყიდეთ?! — იცინის ქეთო, — კარგი თხა ვიყიდეთ, ძალიან კარგი თხა! ისეთი კარგი, რომ მთელ გუჯაბურში ამისთანა არაეის ეყოლება! შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ღედა. აი ნახავ თუ ყველაზე კარგი არ იყოს! — ამშვიდებს ღედას ქალიშვილი, მაგრამ ის მაინც შეშფოთებულია.

— მოიცა, მოიცა, ბიჭო! შეშფოთებულმა თვალი თვალში გაუყარა ახამათს. — ხალხს როგორღა ეტყევა? იმათაც ერჩის, — შეეკითხა ახამათს და ეჭვით შეხედა ხილოის.

— არ-ა-ა, რას ბრძანებთ?! მხოლოდ თხებს, ყოჩებს... სიმართლე რომ არ და-

ვმლო, საერთოდ პირუტყვემა, თუ აწყენინა, არ დაგიდევს, ძალი იქნება თუ მოხვეერი, მაშინვე იერიშზე გადადის. ასეთია, წყენას არავის შეარჩენს.

— არ ვიცი, არ ვიცი, — შფოთავს ხილოს ახალი პატრონი, — ეს რომ მკოდნოდა, ახლოსაც არ ვაგვეკარებოდი... ახლა რაღა?! ფული დედაშენს მივუთვალე... თორემ თოკს მოგვემდი ხელში და მშვიდობით.

— მე არ ვაუშვებდი! არ ვაუშვებდი! — იცინის და იცინის ქეთო, — იმიტომ, რომ ამ თხაზე უკეთესი მთელ ქვეყანაზე არ იქნება!

სახლამდის მიუყვანა აზამათმა ხილო, მარგილზე გამოაბა და მაშინვე წამოვიდა. გიორგიმ, ოჯახის უფროსმა, ქეთოს მამამ შეიპატიჟა შინ, თითო ტიქით დავილოცოთ, მაგრამ აზამათი არ გაჩერდა.

— კარგად იყავით! — დაემშვიდობა ის.

— გზა მშვიდობისა, — მოესმა ქეთოს ხმა... და მერე მოჩვენა თუ მართლა ხილოს მე-ე-ე-ე-ე მიჰყვა უკან.

\* \* \*

ამ დღეებში მზე ისევ გაფიცდა, რომ სოფელ გოროთის თავზე წამომზობილმა უძირო ლურჯმა ცამ, თითქოს, დადალესო, ფერი იცვალა, გაფითრდა. ხოლო ღამით ცის სიღრმე ამოავსეს მნათობებმა, მთვარე უდარდელად გაგორდა მთების თავზე, და ვარსკვლავები ერთბაშად აბრიალდნენ. ისინი თითქოს კუდაროს ბეობას მიუახლოვდნენ, ძალზე მსხვილები ჩანან. გათენებამდე მზიარულად უპუტავენ თვალს დედამიწას... იცინიან და იცინიან... არა, როგორ არ იცინონ, როცა ხედავენ როგორ ერიდებიან ერთმანეთს დაისი და ღამე... ვერ ახერხებენ ერთმანეთთან შეხვედრას... ცდილობენ, ისწრაფვიან, მაგრამ ვერა და ვერ შესძლეს ურთიერთის გაცნობა. როგორღაც შეუძინველად აუვლიან გვერდს ერთმანეთს... ჰოდა, როგორ გაიცნო? როგორ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა ასე საოცარ ღამეს ისინი ორი

ტუპი ცალი ძმასავით ერთმანეთს სვავსენ.

მიდამო დღითაც და ღამითაც საოცრად ნათელია. შუალამისას რომ გაიხედო გოროთის სოფლიდან, მდინარის გაღმა, ხუდისანის გვერდით, მთისკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს გააჩრჩევ, თეთრად რომ ქათქათებს, თითქოს მთიდან რძის ჩანჩქერები იღვრებო.

— ბიჭო, ხომ არ დაგაიწყდა, ხეალ კრებაში რომ ხარ წასასვლელი? — შინიდან გამოსძახა ხუგინამა შვილს. — გვიან არის შვილო, შუალამე გადავიდა. არ გეძინება?!

აზამათი კი ზის ეზოში, კუნძზე და სევდა მოსძალებია. ხილი რომ გაყიდეს, მას შემდეგ რაღაც დაემართა. ქეთოს თვალებმა მოსვენება დაუკარგეს — ერთავად თვალწინ უდგანან. ღამე, ვინ იცის, რამდენჯერ აღვიძებს იმ ქართველი გოგოს სიცილი; და რაც უფრო ხშირად იცინის ქეთო, ბიჭს მით უფრო და უფრო ერევა ნალველი. ცხადია, შეუყვარდა, ან რა არის საეჭვო!.. მისი კობეთელი მეზობელი, დაგვალული ჩიფა, ერთთავად ეშმაკობაზე რომ უტირავს თვალი, ლაზღანდარა და მასხარაა, თუნდ მოკალი, ოლონდ ვინმე აიგდოს მასხარად... ჰოდა, ისიც კი... დონიფარსელი ქუბის ქალიშვილი ზარე რომ შეუყვარდა, თითქოს დამუხჯდა, ხმას აღარ იღებდა. აზამათი და მისი ახსარჩინელი მეგობარი ძიბილი ჰკვირობდნენ, როგორ?! სად ჩიფა და სად ენის დადუმებო? როგორ არ ჩააცივდნენ, რა დაგემართაო, მაგრამ პირი გაიყრა. მხოლოდ ხანდახან ისე ამოიხრებდა, რომ ორივეს ღამის ეტირათ. მერე, როცა გაამზილა გოგო შემიყვარდაო, მაშინ ძიბილმა გაკვირვებით შესძახა:

— აი საკვირველება! მერე მაგისთვის იკვავ თავს?! მეც არ მეგონა, მართლა რაღაც დაემართა-მეთქი!

ჩიფამ საყვედურით შეხედა მეგობარს, არაფერი თქვა, მაგრამ უფრო ძლიერ ამოიხრა. მაშინ კი ვეღარ მოითმინა ძიბილმა:



— რა ვქნა, შეყვარებული ხარ, თუ მოგიკვდა ვინმე?! — უყვირა, — შეგიყვარდა და ითხოვე! ეს კი დამჭდარა და დაპირილი დათვივით გმინავს!

ჩივამ წესითა და რიგით მოიყვანა ზარე, შარშან ჰქონდათ ქორწილი, წელს კი გოგო და ბიჭია ჰყავთ. ტყუულები...

...ორი თვის შემდეგ ახლა ძიბილი გამოიჩნურდა. ხუდისანელმა ოლამ დაუყარა მოსვენება. წარმოიდგინეთ, ისიც დაღონდა?! მეტისმეტი დარდით ცხვირი დაუგრძელდა. მხრებში მოიხარა, ზომაზე მეტად აწოწილ ძიბილს ძალიან შეეტყო სიყვარულის სიმძიმელი.

— ნუ დარდობ, ძიბილ! — უთხრა ერთხელ ჩივამ, — დამიჭერე დარდს ჭერ ერთი საქმეც არ გამოუსწორებია. გოგოების მეტი რა არის ქვეყანაზე, სხვას გიშოვით!

ძიბილი გვიან მიხვდა, რაც მისმა დავალულმა, ყალთაბანდმა და ლაზღანდარა მეგობარმა უთხრა. თავის მძიმე ფიქრებში ისე იყო ჩაძირული, რომ ჩივას მხოლოდ უაზროდ უყურებდა: როცა მიხვდა, რასაც ჩივა ურჩევდა, წამოხტა და სიმწრით გაფითრებულმა იყვირა:

— ვითომ?! რატომ სხვა?! მე ოლას მეტი არაეინ მინდა!

— მეც ბევრი რამ მინდა, მაგრამ სად არის?! — მოუჭრა ჩივამ.

— შენ რალაც იცი, — გული გადაუქანდა ძიბილს. — იმიტომ მელაბარა ები გადაკრულად?! მე მოგიკვდე, ჩემი კუბო ასწიე, თუ დამიძალო რამე! — შეეხვეწა ძიბილი.

— მაგას რა ცოდნა უნდა, ბიჭო? არ გამოგყვება ოლდა, ვიცი, გირჩევენია დაწყნარდე... ამ ქვეყნად ქალი იმად არა ღირს, რომ თავი დაიტანჯო.

ძიბილი გაშრა, კიაზის ბიჭი ჩივა არა ხუმრობდა. ძიბილი ენაჩაყლაპულივით ხან ჩივას უყურებდა, ხან აზამათს გვიან, როცა ცოტათი დაწყნარდა, თვალები დაუბრიალა ჩივას:

— ვითომ, რატომ არ გამოიყვება?! —

— იმიტომ, შე ოჯახდაქცეულს, რომ შენ საკონცელად განსაკუთრებული კო-

ბე უნდა გააყვებინოს, — უნდა უთხრობდა ჩივა. ძიბილს ზედაც არ უყურებდა, ან კი რა საჭირო იყო შეხედვა, ერთხელ და ორჯერ უნახავს, რა სასაცილოა ხალმე ჰიაყელასავით წაგრძელებული ხეცას ვაეი!

— ქალის თვალის ახვევა ადვილი როდია, მეგობარო, — სარეკელსავით არაკუნებს და არაკუნებს ჩივა, ელოდება, მისი ანგარიშით, როდის მომწიფდება ძიბილი, — არიან ისეთები, ვისაც ყველაფერი ეხერხებათ... მაგრამ შენი მდგომარეობა... რა ვიცი, რა ვიცი! ოლდა ბრმა რომ არ არის, იცი ეს შენ... ხედავს, ბიჭო, ასე უსარგებლოდ რომ აიუღარწე... ვაი, ვაი, ჩამოიქცეს ის ღმერთი, ჩამოიქცეს, რომელმაც შენ ამ დღეში ჩავაგდო!

...„ახლა კი ეყოფა“, — გაიფიქრა ჩივამ და თავის წეროსავით აწოწილ მეგობარს ქვევიდან შეხედა. შეხედა და ელდა ეცა. ბრაზით ანთებული თვალეზის ნაცვლად, საყვედურით სავსე, ნაღელიანი თვალები საწყალობლად დაჰყურებდა. ჩივას არ გაუჭირდა მათში ამოეკითხა: „ჩივა, ძმაო, რა დროს ხუმრობაა, ცეცხლი მიკიდია, ბიჭო და თქვენს თვალწინ ვიფერფლები. მეგობარი არა ხარ, რა დროს მიყვლე?! ხომ ხედავ, დალუპვის გზაზე ვდგავარ? შენ კი?“

— იცი, როგორ მტკივა გული?

— ვიცი, ძიბილ, მაგრამ ეგ ტყვილი არ არის... ტყვილი ბევრად უფრო ადვილია.

— მაშ რა ემართება ჩემს გულს?

— რა და, ის რომ ახლა უფრო ძალიან უნდა სიცოცხლე და იცი რატომ? იმიტომ, რომ მისმა პატრონმა ოლდა ამოირჩია.

— კი მაგრამ, მე ხომ ამ ჭიუტი გულის სურვილს დაეყე და მაშ რატომ ვიტანჯები ასე? მოსვენება დაკვარვე, გულის ალაგი აღარა მაქვს, ღამეებს თერთად ვათენებ.

— გაჩქარებს, ძიბილო, გაჩქარებს! გემღუროს. — იმის მაგიერ რომ ქალს შეამავალი გაუგზავნო, შენ ცხვირი დაგიშვია მხოლოდ.

ჩივამ და ძიბილმა ერთხანს ხმის ამოუღებლად უყურეს ერთმანეთს. მერე ძიბილი გაბრუნდა. ცოტა მოშორებით რიყის ლოდი ევლო, მივიდა და იმ ლოდზე დაჯდა.

— ძიბილ! — დაუძახა ჩივამ, მაგრამ ხუცას ბიჭს ვითომც არ ესმის, თავის წინ რიყეს დასცქერის.

— ძიბილო! — კვლავ ეძახის ჩივა.

ძიბილმა თავი ასწია, შეხედა, მაგრამ ჩივას კი არა, აზამათს და უთხრა:

— მე კიაზის ბიჭთან დაუბრებელი ვარ, აზამათ, შენ შეეკითხე, რა უნდა ჩემგან?!

— შენსა მზესა, აზამათ, უთხარი ხუცას ბიჭს, — ჩივამაც აზამათი ამოირჩია შუაკაცად, — კიაზის ბიჭმა შემოგითვალა, სანამ ოლღას არ მოიყვან, კლიტეს დავიდებ პირზე-თქო...

— წადი ახლა და ნუ დაელაპარაკები ასეთ ძალს! — გაიცინა ძიბილმა.

...მოიყვანა ძიბილმა ოლღა. იმის ქორწილიც შარშან იყო. ქალიშვილი ეყოლა.

სიმართლე თუ გინდათ, სანამ ხილოის გაყიდდნენ, აზამათმა ვერაფერი გაიგო, რატომ იფერფლებოდნენ მისი მეგობრები სიყვარულის ცეცხლში? ახლა კი მისი ჭერი დადგა და არ იცის, რა ქნას? ჩივას და ძიბილს რა უქირთ?! იმათი საქმე ბევრად იოლი იყო. თავიანთივე ხეობიდან აირჩიეს გულის სწორები. მან კი?! ახლა რომ თავი გამოიდოს და შუამავლები გაუგზავნოს იმ შორეულ ბარის სოფელ გუჯაბურში, ნეტავ რა ხასიათზე დადგება ქალის მამა გიორგი?! იტყვის: „საიდან სადაო, სად ჩემი ქალი, სად გორეთელი ბიჭი?! ქეთოს აქაც საკმაოდ კარგი მთხოვნელები ჰყავს. ან არადა, რისთვის გაისარჩეთ ამ სიშორეზე, როცა ჩემი ქეთო დიდი ხანია დანიშნულია. ბიჭი ისეთია, როგორიც უნდა იყოს. შემოდგომაზე ქორწილი მექნება...“

ამის გაფიქრებაზე აზამათს ისე მოეწურა გული, რომ ფეხზე წამოვიარდა. ეზოში ბოლოს ცემას შეუდგა.

დღეს კრება იყო. თიბემ მოატანა და

სათიბები განაწილდა ბრიგადებში. მათმა რომ დამთავრდა, კოლმეტირების კანტორის წინ ჩაფიქრებული იდგა აზამათი. უცბად მეგობრები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ხალხს მოაცილეს, მოშორებით გაიყვანეს.

— ბიჭო, შენ თავს რაღაც ამბავია და უცხოები ხომ არა ვართ, რატომ არაფერს გვეტყვი, თქვი რაშია საქმე? — ჩააცივდა ჩივა.

— ჰო, ფერი რატომ დაგიკარგავს?... რა დაგემართა, აღარ იტყვი?! ბრმები ხომ არა გგონივართ? — ფიცხობს აქეთ ძიბილი.

— დაჯექი, დაჯექი, უნდა მოვილაპარაკოთ! — და ჩივამ ქვაზე მიუთითა აზამათს.

დასხდნენ.

— არაფერი, რა უნდა დამმართოდა! — იცინის აზამათი, — მოგეჩვენათ...

— იცი რა, ზღაპრები სხვებს მოუყევი! — ახლოს მიუჩონდა ჩივა, — თუ შენთანებად ვეთელი, მიკითხულ-მოკითხულს მოეშვი... გვითხარი...

— ღმერთი, რჯული! — იცინის აზამათი, — გულებშით არაფერი-მეთქი. არა-ფერი... თავი დამანებეთ!!! — გაუდიდგულდა მეგობრებს აზამათი, — მაგრამ ისევ ჩქარა მოლბა, — ცოცხალი ადამიანი ვარ... ცოცხალი... მკედარი აღარაფერს გრწმობს, თორემ ცოცხალს რომ რამე ეტყინოს, ეგ რა გასაკვირია?... არ ვიცი, ბიჭებო, ვერა ვარ კარვად...

— ო, ო, ო, — გაწეღა „ო“ ჩივამ, — ეგ შეიძლება... ბოლოსდაბოლოს, ადამიანს სიკვდილიც სჩვევია. მაგრამ საინტერესოა, შენ რა გტკივა?

— რა და... — აზამათი ჩაფიქრდა, მერე გაბრაზდა. — რა გინდათ ჩემგან, რას ჩამაცივდით? — თუ ხათრი გაქვთ, თავი დამანებეთ... — ვითომ შემოუტია, მერე ხვეწნაზეც გადავიდა, მაგრამ ვინ მოეშვებოდა, განსაკუთრებით ჩივა...

— ვინ არის? — ადგა და თვალბში ჩახედა მეგობარს, — აქ არა ვართ? თუ ნებით არ გამოგყევება, მოვიტაკებთ... შენ მხოლოდ გვითხარი ვინ არის, სად ცხოვრობს? აი ჩემი ხელი. თუ მე და

ძიბილმა აქ არ მოგვევართ... შენი საცო-  
დაობის ცქერა აღარ შეგვიძლია...

— დამეხსენით! გეუბნებით, თავი  
დამანებეთ! — ბარემ ბევრი იკინწყულა,  
არ უნდოდა მისი საიდუმლო გამქლავნე-  
ბულოყო, მაგრამ ვინ მოეშვა. მაინც ათ-  
ქმევიწნეს...

— ქართველია, თქვენ არ იცნობთ...  
— სად გაიცანი? — შეეკითხა ძიბი-  
ლი.

— იმ დღეს... კვირას... ბაზარში...  
იმან და დედამისმა ჩვენი ხილოი იყი-  
დეს.

— მერე?... ელაპარაკე?...  
— არა...

ძიბილმა და ჩიფამ ერთმანეთს შეხე-  
დეს.

— ალბათ ძალიან ლამაზია?  
— ო, ო, ძალიან...

— როგორ ფიქრობ, გამოგვეება?  
— არ ვიცი... — ხმადაბლა, თითქმის

ჩურჩულთ თქვა აზამათმა და გულის  
სიღრმიდან ამოიგმინა. — არ ვიცი...  
მაგრამ ისე საოცრად იცინის, ისე, რომ

როგორ ვითხრათ... — ჩიფამ და ძიბი-  
ლმა ისე გაკვირვებით შეხედს ერთმა-  
ნეთს, — მე რალაცა ვთქვი... აღარც მა-  
ხსოვს რა... — ისევე ღრმად ამოიხრბა

და ხელი ჩაიჭნია, — მიუტრებდა ის და  
ისე ლამაზად იცინოდა, ისე...

ჩიფამ და ძიბილმაც ამოიხრბეს, თა-  
ვები გააქნიეს... დადუმდნენ.

— აქ საქმე მთლად გარკვეული რომ  
არ არის, ცხადზე უცხადესია. — მოგვი-  
ანებთ წამოიწყო ჩიფამ. — გასაგებია,

შენ რომ გიყვარს... მაგრამ გოგო? —  
თავი ექვით გადაიქნია, — ეგ კარგია,  
ლამაზად რომ იცინის, — ჩიფა ადგა,

გაიარ-გამოიარა, მერე აზამათის წინ შე-  
ჩერდა, — მეშინია, მართლა მოტაცება  
არ დაგვეკირდეს!

— შოიცა, ჩიფა! — შეაჩერა ჩიფა ძი-  
ბილმა, — აქ საქმეზეა ლაპარაკი, დიდ  
საქმეზე. შენ კი შენებურად გააჭენე! აქ

თავით უნდა იფიქრო, შენ კი, კიაზის  
ბიჭო, შენებურად გააფრინე.

— ძიბილ, შენ იცი ვინა ხარ? — მი-  
უბრუნდა ჩიფა შეგობარს.

— ვინა ვარ და, შეილი ჩემი ცნობა  
მისა!

— ვიცი, ძიბილ, ვიცი... მაგრამ შენ  
შენის საწყალი დედამისის უთაყო შეი-  
ლი ხარ... ჰოდა, ბოლოსდაბოლოს, ერ-  
თხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე,  
როცა ჩიფა ლაპარაკობს, გულისყურით  
უსმინე და შენც გამოგებმევა თავი!

— ო, ო, ო! კიდევ არ გააფრინა ამ  
გიემამ! — ხელი ჩაიჭნია ძიბილმა და ად-  
გა, — რამდენიც გინდა იმდენი ირატ-  
რატე! სიმაართლე თუ გინდა იცოდე,  
ძალადაც არ ვაგდებ! არც გისმენ!

ჩიფა და ძიბილი ერთმანეთს არაფერს  
უთმობდნენ. ყველაფერი ბოლოს ჩხუ-  
ბით მთავრდებოდა... მაგრამ საკვირვე-  
ლი იყო, უერთმანეთოდ ერთ დღესაც  
ვერ სძლებდნენ, ალბათ იმიტომ, რომ  
იმ დღესაც ისევე წაჩხუბებულოყვნენ...  
აზამათი იმათ შერიგებას უნდებოდა და  
ძალიან წუხდებოდა... სიმაართლე რომ  
ითქვას, ჩიფასთვის ლაპარაკში ძიბილის  
დამარცხება სულ უზრალო რამ იყო.

— გეყოფათ, რა ბიჭებო, სულ უნდა  
იჩხუბოთ?

— მე რას მეუბნები, აზამათ?! მე რა  
შუაში ვარ, აგერ ხუცას ბიჭმა დაიწყო...  
ჩერ ხეირიანად არ იცის რაშია საქმე,  
ისე მეცემა ხოლმე ყელში, გამოვიდა  
ჰკუის დამრიგებელი!

— შენმა მზემ?! — ისევე წამოდულდა  
ძიბილი, — სისულელეების მეტი რა  
იცი. ეგ არის შენი საქმე! ერთთავად ლა-  
ზლანდარობ, სხვა რა... რა იცი?...  
— კარგი, ძიბილ, კარგი, — მოლბა

ჩიფა, — აღარაფერს გეტყვი. არ გინდა  
და ნუ მომისმენ... შენი ნებაა! ვინ გაძა-  
ლებს, ხუცას ბიჭო, ვინ? მითხარი, რო-  
დის დაგაძალე, გინდა თუ არა მომის-  
მინე მეთქი?! ჰა, თქვი, რას გაჩუმდი?!  
— თავი დამანებე, კიაზის ბიჭო! არ

მინდა და არ გელაპარაკები! ეს რა  
ლეთისწყრომაა ამის თავს?! ძალად არ  
ვაგდებ და მაინც არ მეშეება!

— გეყოფა ძიბილო, კარგი რა, აღარც  
მე გელაპარაკები... აი მოწამე, — მიუ-  
თითა აზამათზე.

— ჰო, მართლა, აზამათ შენი თბა დასაკლავად იყიდეს, თუ შესანახად!

— შესანახად... დედაჩემი პირველად მაგას შეეცოტა. დასაკლავად არას გზით არ გაყიდოდა... მაშინ ხომ ჭრებაშიც აღარ წყვივანდით? დალოსტიც ყიდულობდა, მაგრამ დედაჩემმა ხმაც არ ამოაღებინა.

— შენ ამბობ, რომ სახლამდის მიუყვანე ხილოი...

— ჰო, ეზოში შევიყვანე და ბოძზე მე თვითონ მივაბი...

— ეგ კარგია... — ჩაფიქრდა ჩიფა, მერე ასეთი კითხვა დაუსვა აზამათს: — როგორ ფიქრობ, ხილოს ახალ პატრონებს სხვა საქონელიც ჰყავთ, თუ?..

— მე რა ვიცი, რა...

— ან ბოსელი არ დაინახე, ან სალორე...

— რა ვიცი, იქნებ სახლს უკან იყო რამე, მაგრამ ეზოში ეგეთი ვერაფერი შევნიშნე.

ძიბილმა ველარ მოითმინა და ჩიფას გასაკონად ეუბნება აზამათს:

— მე ამას აღარ ველაპარაკები, მაგრამ შენ უთხარი, ეყოფა ამდენი მაიმუნობა! დამიწყო, ბოსელიო, სალორეო... აბა აქ რა შუაშია ბოსელი და სალორე?

ჩიფას არც გაუხედავს ძიბილისაკენ. იმანაც აზამათს მიმართა:

— მე არ ველაპარაკები, მაგრამ შენ უთხარი, ვაგებინე, რომ ყველა გიქმნათვის ადვილი რომ იცოდეს, ცხვირს რომ არსად სჩრიდეს, მაშინ ჰკვიანები-სათვის უფრო ადვილი იქნებოდა მართო თავიანთი კი არა, უხვიროების ცხოვრების მოწყობაც... ჰო, აუხსენი კიდევ, რომ მე რომ ხილოს ვიყნობ: თუ ის ახალ პატრონებთან, გუჯაბაურ-შიც ისე იქცევა, როგორც აქ იქცეოდა, მაშინ ალბათ მისი პატრონები, მილიციისთან ერთად, სანთლით დაეძებენ აზამათს... ასე, ჰე... თუ იმათ სხვა პირუტყვიც ჰყავთ, აქამდის ხილოი რამდენს მიაქვლურდა კედელზე... მიუნგრ-მოუნგრეუდა იქაურობას. ჰოდა, ასეთ სასიძოს ჭალს კი არა, თავის წამალს მისცემენ.

აზამათი გაშრა. ამაზე არც უფიქრობდა... ძიბილსაც კრიკა შეეკრა... ისიც კარგად იცნობდა ხილოს... ასე შორსმკვრივად რომ არის მისი დალეული მეგობარი, ესეც ვინ იცის, უკვე მერამდენედ დაიჭერა... აზამათის ცოდვით დაიწვა, დაიდაგა ვაჟაკი...

— მაშ როგორ მოვიტყეო? — შემფოთდა აზამათი, — აღარ ვიცი რა ექნა?... მაშ როგორ, ახლა?..

ჩიფამ ულვაშებში ჩაილიპლა და ძიბილს მიუბრუნდა:

— შენ რას იტყვი? მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავ?

— რა გითხრა... არ ვიცი... ის სამგლე ხილოი რომ არ გამომტყვარალიყო, მაშინ წესითა და რიგით ვიმოქმედებდით... შუამავლებს მივეუბნავდით...

— რის შუამავლები, ბიჭო?! — სიტყვა გააწყვეტინა ჩიფამ. — რაც სიგრძე გაქვს, იმდენი ჰკუთხე რომ გქონდეს, რა ბიჭი იქნებოდი?!... — ხელი ჩაიქნია, — მაგრამ ღმერთი ორ საჩუქარს ერთად იშვიათად იმეტებს... მე, მაგალითად, ჰკუთხა მაჩუქა...

— მოჰყვა, მოჰყვა თავისებურს, — საყვედურით გადააქნია თავი ძიბილმა.

— შენ, ბიჭო, დაჩვეული ხარ ტყუილ-უბრალო რატრატს და ველარც გადაეჩვევი.

ჩიფამ მისი ლაპარაკი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა, სიტყვა გააგრძელა:

— შუამავლებამდე გოგო უნდა ნახო, ელაპარაკო... ვაიგო, რას ფიქრობს, როგორ?.. რა არ ხდება...

— ეგ ბარემ კარგი აზრია, მაგრამ როგორ? სად?.. — დაიბნა აზამათი.

— როგორ სად?! — თვალეზი დაჭყიტა ჩიფამ — სადა, ბიჭო და სადაც ცხოვრობს, იქ!.. თავის სოფელში... გუჯაბაურში...

— როგორ, როგორ?! — თანდათან უფრო იბნევა აზამათი, — რანაირად შეეხედე?

— დიდება შენთვის ღმერთო! — ხელი ხელს შემოჰკრა ჩიფამ. — მეც ვიყავი შეუყარებულო, მაგრამ კი არ გავ-

საქართველო  
საქართველო

გივებულვარ! რანიარად, და, ხვალ ან ზეგ, სამივე წავალთ ჭრებაში... ჰო, საქმეც გვაქვს, ახალი ცვლებია შესაძენი... ხსარჯინელ ლადის ეყიდნა იმ დღეს... კარგი პირი აქვს... მაშ ასე. მივიღივართ გუჯაბაურში, იქ მოვიფიქრებთ რამეს... — აზამათს გვერდით მიუჭდა, ჩაფიქრდა. ისევ ალაპარაკდა. — ჰო, ხუმრობა გაშვებით, თუ მართლა ასეთი კარგი გოგოა, არ შეიძლება მთხოვნელები არ ჰყავდეს... იქნებ შენ გგონია, მეგობარო, რომ შენს მეტს თვალები არავეისა აქვს?! ისეთი კამეჩისთვალეა ქართველ ბიჭებს ვიცნობ, რომ... ალბათ კეფიდანაც კი ხედავენ... შეიძლება გუჯაბაურელმა ბიჭებმა კარგებიც წაგვითაქონ... ასეა თუ ისე, შეუთანხმდით... მივიღით... ვასთირჯიმ! გადაგვაფაროს წყალობის კალთა, ავი საქმისაგან დაგვიხსნას... — მოკლედ მოსჭრა ჩიფამ და თავის მეგობრებს ამაყად შეხედა. მერე ემაყოფილმა სიმღერა წამოიწყო:

თხილს ფოთოლი არა ჩჩება,  
ეს სიცივის ბრალია,  
ღამე ძილი რომ გამოკრთა,  
სიუვაბულის ბრალია...

... — რაღას უზიხარ, შეილო?! რატომ არ დაწეები?! — დედის ხმა მოესმა აზამათს. — მიდიხარ ხვალ ჭრებაში?!

— მივიღივართ, დილაზე ადრე ჩიფა და ძიბილი გამომივილიან... ერთად წავალთ... — შეშის საჭრელი კუნძიდან ადგა, ისევ ფიქრში გაერთო, მერე მოულოდნელად დედას ჰკითხა:

— ნეტავ, ჩვენი ხილოი რასა იქს, როგორ შეეწყობოდა ახალ პატრონებს?

— როგორ იქნება?! იქაც რას დაიშლიდა თავის ოინებს. ალბათ ქართველები ჭოქში გვიღებენ... ო, ის სამგლე, ისა?! ნამდვილად ეშმაკეული იყო, წარმოიდგინე, რაც ის გავყიდეთ, ჩვენი წაბოი გამოკოცხლდა, ორი-სამი ჯამით მეტს იწველის.

აზამათმა არაფერი თქვა. გაღიმილი შევიდა შინ.

\*\*\*

ექ, დეუპატიეებელი სხვის მიწაზე, სოფლის განაპირასაც კი, ძნელია იდგე. მაგრამ მეტი რა გზა აქვთ. სამი კულაროელი — აზამათი, ჩიფა და ძიბილი მზეერავებივით ამოეფარნენ გიორგის ეზოს ღობეს და თვალს არ აცილებდნენ იმ სახლს, სადაც აზამათის გულისსწორი ეგულბათ. საფარი კარგად შეარჩიეს. თუ ქალი შინ არის, აუცილებლად დაინახავენ, ეზო, შესავალი, კიბე ხელისგულივით მოჩანს.

როდის აქეთია აქა დგანან. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, მაგრამ ეზოში სულიერის ჰაქანება არ არის. ლოდინი მობეზრდათ. შიშვილომაც შეაწუხათ. განსაკუთრებით ძიბილი. წეროსავით გრძელი კანკები დაეღალა და იქვე ლობის ძირში კუნძზე ჩამოქდა.

— სანაძლეოს ვეღებ, რომ შინ არ არიან! ვითთუ ბაღში ან ვენახში არიან, ჩვენ კი...

აზამათი ხმას არ იღებს. ლობის შიგნით იყურება დაეინებით. იქ არის მისი გული, ჩიფამ თავისებურად ჩაიღიმილა და თავის აწოწილი მეგობარი ვითომ დაამშვიდა:

— ნუ ლელავ, ძიბილ...

— კი მაგრამ, მე რად უნდა ველელავდე? აზამათმა ილელვოს... ის არის შეყვარებული?!

ჩიფამ ვითომც ვერ გაიგონა მისი ნათქვამი, ისე გააგრძელა:

— ნუ გეშინია, ძიბილ, ჩიფა ცოცხალია! — გულში მჭილი ჩიბარტყუნა ჩიფამ.

— კაცო, თქვენზე მეტად მე რისა უნდა მეშინოდეს?!

— რისა კი არა, რატომ?

— ჰო, მითხარი, რატომ უნდა მეშინოდეს?

— რატომ და მაგ გრძელ ცხვირში რომ მოგხედეს, იმიტომ!

— ვითომ?..

— „ვითომ“, „ვითომ“ — გააჭავრა ჩიფამ. — ვითომ კი არა, ამ გოგოსათ-

1 წმინდა გიორგი.

ვის, — ქეთოს სახლზე მიუთითა, — აქაური ბიჭები რომ დაგვერიონ, მაშინ იმ ჩხუბში ხუცას ბიჭის ცხვირს არაფერი დაუშავდება.

ძიბილი გაჩუმებულია და ტუჩაკვრიით უყურებს ჩიფას, თავისებურ რატრატს მოჰყვავს ისევ. ეე, თუ როდისმე კუზიანი გასწორდება, მაშინ ჩიფაც მოიშლის ლაზღანდარობას. მაგრამ მაინც ველარ მოითმინა.

— მაინც ვერ გამიგია, თქვენზე მეტად მე რატომ უნდა დამინდონ?

— მაგხელა აქლემს ვინ შემოგწვდება! ძიბილმა აღარაფერი თქვა, ხელი ჩაიქნია, ერთი შენც მოგცილიაო და ღობეს მიეყრდნო...

ჩიფას რა გააჩერებს!

— ყური მიგდებ ხუცას ბიჭო... ჰო, იმას გუუბნებოდი, სანამ ფეხზე იდგები, მანამ ვერაფერს დაგაკლებენ, თუ გუჯაბაურელი სასიძოვები დაგესივნენ, რაც ძალა და ღონე გაქვს, გაიჭიმე...

ძიბილს ვითომც არ ესმის ჩიფას ლაყბობა.. ის კი მაინც არ ისვენებს.

— ხომ გამიგე? — ჩაეკითხა ძიბილს, — შენ იცი, ნამდვილი ვაეკაცივით გამაგრდი, მანამ იქნება გამშველებლებმაც მოგისწრონ... ჰო, მართლა, კინალამ არ დამავიწყდა?!.. თუ დარწმუნდი, რომ ჩხუბი არ აგცდება, ქამარი შემოიხსენ და რაც შეგიძლია, შორს გასტყორცნე. ო, ო, ქართველმა თუ ქამარში ჩაგავლო ხელი, იცოდე, ფეხები ჰაერში გაივლეებს და ძირს მოადენ ბრაგვას.

ძიბილი როგორც იჭდა, ისევ ისე ზის ღობის ძირში და უხალისოდ ისმენს მეგობრის უბედობას... ფიჭრობს. მერამდენედ დარწმუნდა, რომ ჩიფა ღმერთმა მის საუბედუროდ გააჩინა, ნეტავ რისთვის დასაჯა ასე?! ღმერთი, რჯული, ცოდვა არ ჩაუდენია და მაშ რას ემართლება ის დალოცვილი?!

...დრო გაიწელა... მზე უფროდაუფრო სწრაფად ეშვება გუჯაბაურის თავზე წამოპირქვევებულ ცარგვალზე. აზამათი, ჩიფა და ძიბილი მაინც ელოდებიან. გოგო არა ჩანს... ეზოში სულიერის ჰაერს არ არის... ძალიან დაილა-

ლენე.. მაინც ღმერთს მადლობას სწავს რავენ, რომ ქეთოს სახლი სოფლის განაპირას არის, თორემ ხალხს აქამდისაც მოხვდებოდნენ თვალში... ჰკითხავენ, დილას აქეთ რას ატუზულხართო?!..

.. მაინც ელიან... ჩიფა და ძიბილი აქედან ფეხს არ მოიცილიან, სანამ აზამათი გოგოს არ შეხვდება, არ მოელაპარაკება.

„ო, ოსო ვასტირჯო! — გულში ლოცულობს ჩიფა, — ო, თეთრწვერა მეგობარო, ოქროს ვასტირჯო, გულთამხილავი ხარ და იცი ყველაფერი, დილას ვახსენეთ შენი სახელი, ვთხოვეთ, წყალობის თვალთ გადმოგეხედა. რატომ არ მოილე მოწყალება, რატომ არ გვატარე კეთილ გზაზე?!“

ცდებოდა ჩიფა. აჩქარდა, როცა ოს ანგელოზთა შორის ყველაზე ცხოველს — ვასტირჯის საყვედური აღუვლინა... რა იცოდა, მოგზაურთა შემწე ანგელოზი თავის კეთილ მარჯვენას ამ ბიჭებსაც გაუწვდიდა. არ იცოდა ასეთები... საყვედურს გააგრძელებდა, მაგრამ უეცრად ვილაყის ხმა შემოესმათ:

— გამარჯობათ, კეთილო ხალხო!

მიბრუნდნენ სამივენი და დაინახეს: მათ წინაშე შუახნის კაცი დგას, ქართველი. ჩვეულებრივად, ულვაშებიანი. სასიამოვნოდ იღიმება და ბიჭებს ეუბნება:

— ცხინვალიდან გადევნებთ თვალს.. მოვლივარ და ეხედავ, დგას სამი ვაეკაცი. არც იქით მიდიან, არც აქეთ! ეძებთ ვინმეს?

...აზამათმა როგორც კი დაინახა, გული შეუტრთა. ის იყო, ქეთოს მამა... გიორგი!

— მოიცა, მოიცა! შენ, ბიჭო, თითქოს სადღაც მინახიხარ, — აკვირდება გიორგი აზამათს, — კი, განხე, სადღაც... მაგრამ სად?..

— თქვენთან ვარ ნამყოფი, — ძლივს ამოღერა აზამათმა

— მომაგონდა, მომაგონდა! — იცინის გიორგი, — თხა ვიყიდეთ შენგან. დიდი პატივი გვეცი, აქამდის მოჰყე...

— ო, მე ვიყავი.



ჩიფა და ძიბილი ერთმანეთს უყუბრებენ. ორივე გაფითრდა. სიმართლე რომ ითქვას, ძიბილი უფრო მეტად. აზამათს ჰირის ოფლმა დაასხა... ეს დაგვალული კი, თითქოს ელოდა ამ მოულოდნელ შეხვედრას, სულაც არ დაიბნა. ჯერ თავისებურად გაიღრჩია, მერე ძიბილს თვალიც ჩაუყრა, ვითომ ნუ გეშინია, კი-აზის ძე ჯერ ცოცხალიაო!

— ბიჭო, — მიმართა გოგოს მამამ აზამათს, — რად მოგვეყიდე ისეთი რქენია თხა?!

აზამათი უხერხულობის გამო მიწას დააჩერდა. ძიბილი კიდევ უფრო გაფითრდა, ჩიფამ კი იმარჯვა

— ჩვენთან, კულაროს ხეობაში რქენია თხებს არ იწყუნებენ... რძე უყეთესი აქეთო... — ჩამოარაკრაკა ჩიფამ და გაიფიქრა, ბარელ ქართველს თხისა რა გაეგებო?!

— შენა, ბიჭო, ეგეთებს თავი დაანებე, — თითოთ დაემუქრა გიორგი ჩიფას, — მე ისეთი ოსი არ ვიცი, რომელიც თავის კარგ თხას გაიმეტებდეს...

— ჩიფას ხასიათი წაუხდა. დაღონდა. ისევ გიორგიმ იხსნა...

— ეგ არაფერი... გეხუმრებით. არა, ისეთი არაფერი ჩაუღენია... მხოლოდ პირველ საღამოს დედაკაცს საწველელი წაუქცია. თოკი გაწყვიტა და ეზოში გავარდა, თანდათან მოშინაურდა... — იცინოდა გიორგი, — არა, კი არ გემდურებით... ჰო, ელოდებით ვისმე? შეეკითხა აზამათს, — რატომ დგახართ აქ?

რა უპასუხოს აზამათმა? როგორ გააგებინოს?! მაგრამ პასუხი აუცილებელია... აუცილებელია... ჰოდა, იმანაც რალაც მიჩნაბ-მოჩნაბა:

— ვიფიქრე ჩვენი ხილოი... ჰო, ხილოი რქენია... — აღარ იცოდა თვლები სად დაემალა, — ვიფიქრე, როგორ იქნება-მეთქი... ვთქვი... ვაითუ შეაწუხოს ის პატიოსანი ხალხი... თანაც ძალიან მომენატრა...

გიორგიმ არაფერი თქვა... ბიჭს დააკვირდა... დაინახა, როგორ გაწითლდა და თვალბიცი დახარა.. ჩაფიქრდა გიორ-

გი. თავი მძიმე-მძიმედ გადასჭნის მისი კვირის წინანდელი ამბავი გაიხსენა...

მაშინ, ეს მორცხვი ბიჭი, ახლა რომ მის წინ თავდაბრილი დგას... არა, ეტყობა, ზრდილი, წესიერი ბიჭია. ეზოში შემოპყვავა თხას, ბოძზე მიაბა და წავიდა, მასპინძელი არ უშვებდა, პური გავტეხოთ ერთადო... ეს არ გაჩერდა.. წავიდა, დედაკაცი შინა ტრიალებდა... ეზოში თვითონ და ქეთო იყენენ მხოლოდ...

— მაშეო, ხომ ძალიან სასაცილოა ის ოსი ბიჭი? — ჰკითხა ქეთინომ მამას, როცა ბიჭი წავიდა..

— რა ეიცი, შეილო, მე იმას სასაცილო ვერაფერი შეეამჩნიე, შენ რატომ მოგეჩვენა ასე?

— არა, არა მაშელო, ძალიან სასაცილოა! თავის თხაზე გვიყვებოდა რალაცას და იმდენი ვიცი, იმდენი...

— მაგ ლაპარაკს არა სჯობია, დედას სადილის მომზადებაში მიეხმარო? შიმშილით სული მიკაწკაწებს, — სხვა აღარაფერი ახსოვდა გიორგის. ჰო, მართლა, ქეთო მაშინვე როდი გაიქცა დედის მისამარებლად... ჯერ თხასთან მივიდა... დაიხარა და თვალბში ჩახედა. შეეკითხა:

— ვითომ შენი პატრონი რატომაა ასეთი?! — საკვირველია, რომ იმ რქენია თხამ არ ურქინა?! — იქნებ გოგომ ისეთი რამ უთხრა, რომელიც მამამ ვერ გაიგონა, მაგრამ თხა ნამდვილად დამშვიდდა.. ვინ იცის?... ან არადა, როცა ქეთინო წველის. რატომ არის წყნარად?!

...გიორგიმ აზამათს შეხედა. ბიჭს თავი გვერდით მოებრუნებინა და საღლაც შორს იყურებოდა, ისე ლელავდა, რომ ხელები სად წაეუღო, აღარ იცოდა. ხან გულხელს დაიკრეფდა, ხან კი ჩამოუშვებდა.

გიორგი კი სამივეს აკვირდებოდა. მერე შავ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ბიჭებს კითხვა დაუსვა:

— დიდხანს იდგებით ასე? — აზამათს მხარზე ხელი მოუთათუნა. აბა, ბიჭებო, რაკი აქამდის მოხვედით, პურ-მარილს ნუ დამიწიხლავთ... შინ მობრ-

დანდით. — აზამათი უფრო დაიბნა, ხმა ვერ ამოიღო. ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა. ნაბიჯის გადაგმა ვერ შესძლო.

— გადმოდგი ფეხი, ბიჭო, — მკლავში ხელი მოკიდა გიორგიმ აზამათს, — სადაც შენ, ესენიც იქ. — თვალთ აჩვენა ჩიფა და ძიბილზე — ასე არ არის, ბიჭო?

— ო, ასეა... ჩემი მეგობრები არიან ჩიფა და ძიბილი.

...გიორგიმ ჰიშვარი შეაღო და შორიდანვე დაიძახა:

— რა იქნენ, ქალო? გარეთ აღარ იხედები?

შინიდან ქეთოს დედა მარო გამოვიდა.

— რა გაყვირებს, კაცო?... აგერა ვარ ..

— გაუპასუხა ქმარს და დაკვირვებით შეათვალეირა სტუმრები... ვინ არიან?... — გაბრაზდა...

— ჩამოიქცეს ის ღმერთი... ჩამოიქცეს, რომელმაც ქართველ მამაკაცს ასეთი უხიავი ხასიათი დაიხათლა... არც გააფრთხილებს, არც არაფერი, მოვა და მოგაყენებს სტუმრებს... ეს კიდევ რა!... ქალი ხარ და სცადე თვალისდახმამებამში წესითა და რიგით გაშალე სუფრა?! სცადე!... ვირომ ქალი ჭადოქარი იყოს! — დამცაადე, გიორგი, დამცაადე! დამცაადე თუ ერთხელაც სტუმრებთან არ შეგარცხენო! იქნებ მაშინ მაინც ისწავლო ჰკუა, წინდაწინ გამაფრთხილო, რომ სტუმრები გვეყოლება!

ბრაზობს მარო. მაგრამ სტუმრებს ღიმილით ხედება. გიორგიც უღვაშებში იცინის... ცოლს ეკითხება:

— თხა რასა იქს, ქალო?

— რა უჭირს იმ სასიკვდილეს! — უპასუხა და შემკრთალმა გაიფიქრა, — ვაიმე, მთვრალი ხომ არ არის... სტუმრებთან რეებს მეკითხება?! —

— სანახაუდ ჩამოვიდნენ მისი ძველი პატრონები.

მარო დააკვირდა მომსვლელებს და იცნო თხის პატრონი... რაღა თქმა უნდა, ბრაზი მოერია... დოინჯი შემოიყარა და:

— კი მინდოდა მაგის ნახე... მინდოდა ვეიდე, ბიჭო?... ის არის... არა ეშმაკის კერძია, რაღაც...

— გეყოფა, ქალო. — იცინის გიორგი. — შენ არ იცი, თორემ მაგანიარ მოჩხუბარ თხას არავინ იწუნებს... რამდენად უფრო რჩოლია და რქენიაა, იმდენად ძვირად ფასობს... მართალს არ ვამბობ, ბიჭო? — მიუბრუნდა ჩიფას და თვალი ჩაუკრა. ჩიფაც რა, მე შენ გითხრა, დოკლაპიაა და პასუხს დააგვიანებს:

— მე თვითონაც ბევრი მყავს თხები... ვაკვირდები და ყველაზე ჰკვიანი რომელიც არის, იმას დაეკვლავ ხოლმე... აბა რა... მწვადებს ავაშიშინებ, ხაშლამას მოვხარშავ... ჰკვიანი თხა სხვა არაფრად ვარგა...

უსმენს გიორგი ჩიფას და გულიანად იცინის. და ფიქრობს, ერთი უყურეთ ამ კურკა ოსს! როგორ უჭრის ენა?... ყოჩაღ, ბიჭო! ილაპარაკე, ილაპარაკე... მე რაქველი ვარ, ვერ მომატყუებ... მაგრამ კახელ ქართველს რა გაეგება თხისა?!

მარომ ექვის თვალთ შეხედა ჩიფას. მერე აბუზღუნდა:

— შენი არა ვიცირა... მაგრამ იმ თხის ამბავი რომ მოკდნოდა, ახლოსაც არ გავეკარებოდი.

— დედაკაცო! — წარბი შეიკრა ოჯახის უფროსმა. — რა დაგემართა?... თუ ვერა ხედავ, სტუმრები რომ გყავს?... სტუმრე-ბი! ცუდ-უბრალო ლაპარაკს არ აჯობებდა, სუფრის თადარიგს შესდგომოდი?...

— ნუ იცი ხოლმე. — კაცო?... ორი-სამი კაცის დახვედრას რა დიდი თადარიგი უნდა? — დაუტყბა ქმარს მარო, — სტუმრის მისაღებად რომ ყოველთვის მზად ვარ, იცი შენ ეს...

— კარგი, კარგი... დაჩქარე ცოტა!... ქეთო სადღაა, რატომ ვერა ეხედავ?

— შინ არის. კაცო, სად იქნება? რაღაც წიგნსა კითხულობს... — უპასუხა ქალმა და მერე სტუმრებს მიმართა, — დაბრძანდით! გენაცვალეთ!... დაბრძანდით... როგორც თქვენი ოჯახი...

ეზოში დიდი კაკლის ქვეშ საგანგე-

ბოდ გამართულ მაგიდას შემოუსხდნენ. მასპინძელიც გვერდით მიუჯდა...

— რას დალევთ, ლეინოს თუ ჭაჭი-სას? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— ეგ რა საკითხავია, ქალო?... შენ ორივე მოგვიტანე და არჩევანი ჩვენზე იყოს... მოვიფიქრებთ...

— კარგი, კარგი.. სასმელს შენ მოუარე. მე კი სუფრის თაღარიგს დავიჭერ...

— დედაკაცმა სასმელისა არც არაფერი იცის და ვერც ვერაფერს გაუგებს! — ამ ლაპარაკით წამოდგა გიორგი... — ორნარი ლეინო მაქვს... ორივე კარგია... მაგრამ ერთი სულ ცოტათი სჯობია მეორეს.. მე თვითონ თუ არ მივხედუ, დედაკაცმა შეიძლება მეორე ქვევრისა ამოიღოს... — და გიორგი მარანში შევიდა.

...ახამათი და მისი მეგობრები კაცლის ქვეშ სხედან. ხმას არ იღებენ, ყოველივე ეს სიზმარი ჰგონია ახამათს. გულიდან ჯანდი გადაეყარა და ისეთი შვება იგრძნო. ისეთი, რომ რა გითხრათ! ქეთოს რომ აუცილებლად შეხედება, ამაზე სულაც აღარ ექცობს. ან კი რატომ არ შეხედება! ეტყობა, გიორგი ასე იოლად არ გაუშვებს... პურობა გაუგრძელდებათ.. როგორ შეიძლება, რომ ქეთომ ერთხელ მაინც არ გამოიხედოს გარეთ.

— შენი სასიამაო, ეტყობა ძალიან კარგი ადამიანია, — იდაყვი გაჯკრა ჩიფამ ახამათს, — მართალია, სასიდედრო მთლად ანგელოზი არ უნდა იყოს... თუმცა მაგის ფიქრი ნუ გაქვს... აქედან კობეთამდის ოთხმოცი კილომეტრი მაინც იქნება... ჰოდა, სად მოგწევდება... ბრალი ჩემი.. ერთი საათის სავალზე არიან ჩემი მოყვრები... როცა მოეპრიანება, მაშინ ამობრძანდება სიდდერი... გოგოს დაეარიგო...

თუ ღმერთი გწამს, ჩიფა... გეხეწები, დღეს მაინც დაიმოკლე ენა. არ გეწყინოს, ამას რომ გეუბნები... ხომ ხედავ, საქმე ისე კარგად წაიდა, თითქოს ვასტრეჯი მოგვეყოლოდეს თან...

ოლონდ საქმე არ ჩავეიშალო ჰმსმელნი და გავიხდები.

— კარგი ერთი, ახამათ! — იწყინა ჩიფამ, — როდის იყო, რომ მე საქმე ჩავშალე?!

— არც როდის, ჩიფა, არც როდის! მაგრამ, მე მოგიკდე, თუ დღეს შენ ისე არ მოიქცე, ვითომ ჩიფა არა ხარ!

— რა მოხდა, რა არის?! — წყენა დაეტყო ჩიფას, — მაგდენი ხეყწნა რა საჭიროა?... აუ, ოსი არა ვარ! ნუთუ მასპინძელთან თავის დაქერას ვერ მოვახერხებ?

— მართალს გეუბნება ახამათი და რას იმცხეთე ჩიფა? — სიტყვა ჩაურთო ძიბილმა, — რა დასამალია, გიყვარს სხვების გაჭილიკება.. ლეინოს რომ მიერთმევე, შეიძლება დაგავიწყდეს ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზეზი...

ჩიფა გაფითრდა. როგორაო?! ძიბილის დასარიგებელიც გახდა?! აუ, ასე დაეცა კიანის ბიჭი ჩიფა?! მიწასთან გაასწორეს?! უყურეთ ერთი ყანჩას?!.. ამან როგორღა გაუბედა? გაფითრდა, გაფითრდა, თითქოს სისხლი გაუშრა... და გადაწყვიტა ხუცას ბიჭისათვის ისეთი მწარე სიტყვა ეთქვა, ისეთი, რომ ახტეს და კი არ დაეცეს, რომელი კაცლის ქვეშაც სხედან, იმის ტოტს ჩამოეკონწილოს... ამას იზამდა კიდევ. გაუჭირდება თუ?... ვინა, ვინა და ამ ჭიყყელას არ უყურებთ? რეები უთხრა, კაცო... საცაა გულზე გასკდება ჩიფა?!

მაგრამ წადი და ახამათს აწყენინე! ჩიფამ ენას კბილი დააჭირა...

მანამდე ულაპა ნალეღგარეული წყენა, სანამ გული არ დაიშოშმინა.

.. მიუხდნენ ბებერი კაცლის ქვეშ სტუმრები. სახლში კი მასპინძლები ხორავს ამზადებდნენ.

— რომელ ლეინოს ასმევ, კაცო?

— უკეთესი რომელიც დადგა.

— ვითომ მეორე რითია ცული?

— იმით, რომ კარგი ლეინო მაინც კარგია! — ამ წმინდა ქალურმა შეკითხვამ უღვაში აუთამაშა გიორგის.

— არ ვიცი, რაც გინდა ისა ქენი! — უთხრა მარომ და მღულარე ჭეაბიდან

მრგვლად მოხარული დედალი ამოი-  
ლო, — ოჯახის უფროსი შენა ხარ და  
შენ იცი... ჩემთვის რომ ვისმეს ეკით-  
ხა...

— რას იზამდი?

— რასა და, უკეთესს შევიხანავდი...  
ოჯახში ვართ... ვინ იცის, როგორ დაგ-  
ვეკირდეს!

— თუ ქალი ხარ, მაგეთი სიტყვა აღარ  
გამგონო! — და ახლა მარტო უღვაშე-  
ბი კი არა, წარბებიც შეიკმუხნა... თვა-  
ლები დააბრიალა, — და საიდან იცი,  
რომ დღევანდელი დღე ჩვენს ცხოვრე-  
ბაში ყველაზე უკეთესი არ იქნება?!  
...ესა თქვა და როგორღაც დალონდა. —  
ყური მიგდე, ქალო, — ალურსით მი-  
მართა მეუღლეს და ნაღველშერეული  
ღიმილი მოეფინა სახეზე... უღვაშის  
ბოლოები როგორღაც აეპრიხა და ყუ-  
რებამდის გაექცა. ჭარბად მზემოკიდე-  
ბული სახე თითქოს ორად გაეყო, უც-  
ნაური სიყვარული და სურვილი აღიბე-  
ჭდა მის ღიძრონ თვალებში.

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა?! —  
დაირცხვინა ქალმა ქმრის უცნაურ შე-  
მოხედვაზე.

— არაფერი, მარო, არაფერი... — გა-  
ისმა გიორგის დათაფლული ხმა. და მა-  
რომ იგრძნო მისი მძლავრი მკლავების  
სითბო. გიორგი უჩვეულო სინაზით  
ეფერებოდა თანამეცხედრეს. ის კი გაო-  
ცებული შეპყურებდა ქმარს და თვალე-  
ბით ეკითხებოდა: „რა იყო, კაცო, რა  
დაგემართა?!“ გიორგი კი მკერდზე იყ-  
რავს ცოლს და ყურში ეჩურჩულდა: —  
არაფერი მარო, არაფერი! რაღაც უცნა-  
ურმა ნაღველმა დამრია ზელი და ახლა  
რომ არ გაკოცო, მოკვდები ნამდვი-  
ლად.

— უი, ქა, გავიედა ეს კაცი! — თავის  
განთავისუფლება სცადა, — რა დროს  
ეგ არის, მართლა ჰქუა ხომ არ გამოგე-  
ცალა, კაცო! გამიშვი! გამიშვი-მეთქი,  
გუუბნები! — ხმას აუწია მარომ, კოც-  
ნას თავს არიდებს. ჩხვლეტია უღვაშებს  
იცილებს, მაგრამ რას ვახდება?! გიორ-  
გის მოლაურ მკლავებს აგრე იოლად ვერ  
დაუძვრება! უფრო მაგრად მოიკრა ჰე-

რდზე და ხანგრძლივი კოცნის შემდეგ  
ცოლის ტუჩებზე. მარომ გაიბოროლა  
და ხელიდან დაუსხტა.

— უსირცხვილო! — მიადახა გააღმა-  
სებულმა, — დღისით, მზისით!.. სტუმ-  
რები იქ გელოდებიან, შენ კი?! — არა  
გრცხვენია?

— რისა, ჩემო მარია, რისა?... —  
და ისევ ამოიოხრა, — რას ვაკეთებ სა-  
სირცხვილოს?.. — გაეპასუხა ცოლს და  
იქვე ცარიელ გოდორზე ჩამოჭდა. მუხ-  
ლებზე იდაყვდაყრდნობილმა სახე ხე-  
ლისგულეებში ჩამალა, — ძალიან და-  
ნაღვლიანებული ვარ, მარია, ძალიან?!  
ჩერ კიდევ დილით რა მხიარულად ვი-  
ყავი... ხალისიანი წავედი ცხინვალში...  
ჩემი საქმეც გავაყეთე... მაგრამ ისეთ  
გულზე დავბრუნდი, თითქოს გუჯაბაუ-  
რში ერთი სახლიც აღარ დამხვდა, ერ-  
თი სულიერიც არსად ჰაჭუნებს... თით-  
ქოს აღარც ბაღები, აღარც ვენახები...  
არაფერი, სულ არაფერი აღარ არის.  
ტრიალ მინდორზე მხოლოდ ჩვენი სახ-  
ლილა ეფლი. სახლში მარტო მე და შე-  
ნა ვართ... სხვა არავინ... არც ბავშვე-  
ბი... იმიტომ ვარ დანაღვლიანებული...  
ძალიან, ძალიან რაღაცას ვანვიციდი, მა-  
რო... რომ იცოდე როგორ მიძიმს!..

— კაცო, აღარ იტყვი, რა დაგეცა? კი  
მაგრამ, რა დაღე, რა შექამე იმ ცხინ-  
ვალში?..

გიორგი ისევ ისე დარჩა, როგორც  
იყო. თავი გააქნია, არც არაფერი და-  
მილევია და არც არაფერი შემიქნამიარ.

— აჰა, ახლა კი მივხვდი!.. კიდევ არა  
ვთქვი, რაზე გავარუღდა-მეთქი... გე-  
თქვა, შე კაი კაცო, თუ ასე გეწყინა  
ვახტანგის კახეთში წასვლა, რა შორი-  
დან მივლი? რა არაკებობთ მელაპარაკე-  
ბი?! პირდაპირ სიტყვას რა სჯობია?..  
რაზე იტანჯავ თავს? — საყვედურობს  
მარო ქმარს, — ის ერთი და მუავს ცასა  
და დედამიწას შუა, იმას ვენაცვალე-  
მერე როგორ ვუყვარვართ, ნამეტნავად  
ჩემი ვახტანგ... ცოტა ხნით წაიყვანა...  
სწავლის დაწყებამდე მეყოლება, გაერ-  
თობა ბავშვიო... რა მეთქვა? ბიჭი თა-  
ვისიანებს არ უნდა იცნობდეს?! რა არის

აქ დასალონებელი? — ლამის ატირდეს მარო, ჩქარა-ჩქარა ლაპარაკობს და თან ტაბაქზე ხორავს აწყობს.

— ქალო, უი შენს თავს! — ნაღელიანი თვალეები შეანათა გიორგიმ მეუღლეს, — და ვი ჩემს უიღბლო თავსაც... ერთად ვებერდებით და გაგებით კი ვერასოდეს გამოგე, ქალო?!.. — წამოდგა და ისევ მოეფერა ცოლს.

— დამეხსენ, კაცო! დღეს რა ეშმაკები შეგიჩნდა... ხატის ღვინო ხომ არ დაგიღვია?! დამაცალე, ადამიანო, სუფრა გაეშალო, სირცხვილია სტუმრებისა! როდის აქეთია ცარიელ მაგიდას უსხედან!... შენ კი აქ ხელს მიშლი... გამოშვი-მეთქი, გუბნები!... ძაან სიყვარული დაგიმეავდა, აი!

— დამიშეავდა კი არა, ქალო, დამიშაქრდა. — ეჩურჩულება გიორგი. თან ნიკაპით თავსაფრის ნაპირს აუწევს, მერე თითქოს ტუჩების დაწვისა ეშინიაო, ნაზად ეამბორა კისერში.

— გიეი! ნამდვილი გიეი! — აღარ უჯერდება მარო, — დამეხსენ, გეყოფა ღლაბუცი, კაცო... სტუმრებს გახედე. პირველ რიგში, შენი სირცხვილია, შენ მოიყვანე!

— სტუმრები მე მომანდე... ის მინდოდა მეთქვა, რომ ისინი ახლა დროს ვერცა გრძნობენ... სალაპარაკოც ბევრი აქვთ და საფიქრებელიც, — და ისე ამოიობრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლო, მერე მაროს ჩემად თავი რადაცნაირი სინანულით გადააქნია და ისევ ფიქრს გაპყვია...

მარომ სუფრაზე პური, ყველი, მწვანილი, ქორფა კიტრი და პამიდორი დაახვევა და ისევ მარანში შებრუნდა, გიორგი ისევ გოდორზე იჯდა.

— რა ვქნა, რა ღვთისწყობმა ჩემს თავს, რა დაგემართა, გიორგი? ვაიმე, დაღუპულს, ხომ არაფერი გტყვია, კაცო? — მარომ შუბლზე ცივი ხელი დაადო, — შენ ეგეთები რომ არ იცოდი?

— მტყვია კი არა... — დაამშვიდა გიორგიმ ცოლი, — მარომ, ჩემო მარომ, ახლა ვახი აქ რომ იყოს, იცი რას ვიზამდი?

— რასა? — ბრაზობს ქალო. ქართული  
ენების  
საქართველო

— რასა და კალთაში ჩავისვამდი... აი ასე... ისე რომ ერთიმეორისთვის თვალეებში გვეცქირა... დიდხანს, დიდხანს ვიქნებოდით ასე, მერე ვკითხავდი:

— ბიჭო შენი სახელი მაჩუქე!

— ვახო, ვახტანგი! — მეტყოდა ის, მარომ ტუჩები აიბზუა, მეც არა ვთქვი რას იტყვისო! და კიდე რალაცები გაიტანა სუფრაზე.

გიორგიმ ლაპარაკი განაგრძო.

— მაშ, ვახო არა?

— ჰო, ვახო, ვახტანგი!

— ასეთი სახელი იმიტომ გქვია, რომ ვეჯეკი ხარ! ჰო, ეს კარგია, მაგრამ რა გვარი ხარ?

— ჩამბურიძე.

— ვაა! ჩამბურიძე?!

— ჰო, რა იყო, ჩამბურიძე ვახო!

— დიდება შენდა ღმერთო! ახლო მოდი, მოგვეფრო? მეც ხომ ჩამბურიძე ვარ!

— მამილო, განა ეგ გასაკვირია? შენ ჩამბურიძე ხარ, მე შენი შვილი ვარ და რაღა თქმა უნდა, მეც ჩამბურიძე ვიქნები, აბა, რა?

— მართალს ამბობ, შვილო, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი საოცარია. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ერთ ჩამბურიძეს მეორე ჩამბურიძე კალთაში უზის და ერთმანეთს თვალეებში უყურებენ.

— რატომაა ეს საკვირველი, მამა?

— რატომ?! იმიტომ, რომ ეს თუ ყოველთვის ასე იქნება, როცა მე და დედაშენი ოჯახს მოეცილებდით, მაშინ შენ დარჩები აქ... ვინმე რომ გამოივლის, იკითხვენ, აი იმ კაცლის ქვეშ რომ სახლია, ვისიაო?! იტყვიან, — ის სახლი გიორგის ბიჭისა ვახტანგ ჩამბურიძისააო!

— არა, ასე არ იტყვიან!

— მაშ როგორ?

— ისინი იტყვიან, ის სახლი გიორგი ჩამბურიძისააო.

— მაგრამ მე ხომ ვითხარი, როცა ვი-

ლაცა ვილაცის ჰეობხავს, მაშინ მე და დედა აქ აღარ ვიქნებით... წავალთ...

— სადა?

— ვახო, როგორც ვხედავ, შენ ვაქციაცი არა ხარ?

— რატომ არა ვარ ვაქციაცი?

— ცხვირი ნუ ჩამოუშვი და მისმინე. ვაქციაც ერთხელ რომ ეტყვიან. ვაიგებს... შენ კი... გუუნებნი მაშინ მე და დედა აქ აღარ ვიქნებით... შორს წავალთ... ჩვენი წასვლის მერე შენ კი აქ დარჩები, შინ...

— მერე, დიდხანს დარჩებით იქ?

— დიდხანს, ვახო, ძალიან დიდხანს...

— როგორ დიდხანს? ლამემდეგ?...

— ჰო, ვახო ლამემდეგ... შენ იქნები სახლში... სტუმრები რომ გეწვევიან, ქვევრს მოუხდი...

— მე ვიცი, რასაც ვიზამ... მამილო!..

— მითხარი, მაინც რას იზამ?

— სტუმრებს კაცლის ხის ქვეშ გავუშლი სუფრას... ღვინოს დალევენ და მერე სუფრულს იმღერებენ... და იცი, მამიკო, ყველაზე კარგად ძია გერონტი იმღერებს „მრავალყამიერს“.

— არა, შეილო, მაშინ ძია გერონტიც არ იქნება გუჯაბაურში... ისიც ჩვენ გამოგყვება... სხვაგან ვიქნებით ერთად, ძია გერონტი იქაც იმღერებს... ვაიგონებ მის სიმღერას და მეც აღინება, რომ ჩვენ კაცლის ხის ქვეშ, ვახტანგ ჯამბურაძის ოჯახში სამხიარულო სუფრაზე ბევრი, ძალიან ბევრი სტუმარი პურობს და ღვინობს... იმიტომ, რომ გიორგის შვილი ვახტანგი თავის წინაპრებით პურადია, კაცური კაცია... ვახო, შეილო, რატომ დაღონდი?...

— ისე... ძია გერონტი რომ არ იქნება, „მრავალყამიერს“ ვინ იმღერებს მასავეთ?

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ვახო... სანამ ჩვენი სოფელი იარსებებს, ვინ იცის რამდენი მომღერალი გამოიზრდება... მერე კიდევ, მაგას რად ამბობ? ძია გერონტიმ მითხრა, მის გიგლასაც ძალიან რაკრავა ხმა აქვს თურმე... შენ და გიგლა იმღერებთ. ხომ ხართ მეგობრები?..

— ვიყავით, მაგრამ ახლა...

— რატომ, რა ბზიკმა გიკბინათ?

— არაფერი, ისე... ყოყოჩაა, ჰოდა, მივყალღე კარგები...

— ერთად აღარა სხედხართ კლასში?

— ესხედვართ, მაგრამ... არ ვლამაობთ.

— ჩხუბი არ ვარგა, შეილო... თემცა ეგ არაფერი, ისევე შერიგდებით. პატარაობისას მე და გერონტიც ვჩხუბობდით, მაგრამ ხომ ხედავ, ახლა რა ხშირად მღერის ჩვენი კაცლის ქვეშ...

— გიგლაც არ არის ცუდი... მაგრამ ტრამბახა. მე შენზე ღონიერი ვარო, აიხირა... ჰოდა, მეც მეტი რა გზა მქონდა, კარგები წავუთაქე და ცხვირიდან სისხლი ვადინე...

— მერე, გიგლამ თავზე ხელი გადაგისვა?... იმანაც ხომ გითაეზა საკადრისებში... ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ორივე ძლიერები ხართ... ჰოდა, ორი ძლიერი, აუცილებლად მეგობრები არიან ხოლმე, თუ არა, კაცლის ხის ქვეშ არავინ იმღერებს და ვახმეზა. იმიტომ, რომ ეს ხე ადამიანებით ჰკვიანია... გულის ტყვილიც იცის...

— არ ვიცი, თუ ხეს გული ექნებოდა!

— ეგ იმიტომ, რომ ჯერ პატარა ხარ... როცა გაიზრდები, ვაიგებ, ქვეყნად უგულოდ არაფერი იზრდება... ვინახავს, თქვენი სკოლის ქვემოთ კაცლის ხე რომ ხმება?

— როგორ არა... ჩვენ კაცალზე პატარა არ იქნებოდა!

— პატარა კი არა, უფრო დიდიც იყო... ახლაც ყიდშანიძეების კაცალს ეძახიან... ლამაზი ვარჯი ჰქონდა. ის რომ მწვეანედ გაიფოთლებოდა... სხმა იცოდა... სხმა, რომა... ფოთოლზე მეტი კაცალი ესხა... ერთი ამბავი იყო ხოლმე, როცა ბერტყავდნენ. წვიმასავეთ წამოვიდოდა დაკროლილი კაცალი. კაცლის ქვეშ უხარმახარი მაგიდა იდგა, იქიდან მთელ გუჯაბაურს ეფინებოდა ყიდშანიძეების სტუმრების სიმღერა... დიდხანს ისმოდა ის სიმღერა, სანამ უფროსი ყიდშანიძე, ზურაბი ერქვა, სადღაც არ წა-

ვიდა... როცა გაიზრდები, მაშინ მიხვდები, ვახო, რომ როცა უფროსები დიდხანს ცხოვრობენ, სხვა ადამიანებს სისხლით უნათესავდებიან, უახლოვდებიან და უმეგობრდებიან... და ასე სიყვარულითა და სიხარულით ცხოვრობენ, მანამ, სანამ ყველაზე უფროსს კაკლის ხის ქვეშ, სუფრაზე, ღვინით საესე აზარფეშით ხელში, ძალზე არ მოეწონება თავისი სისხლი სისხლთაგანში, რომელნიც დიდი ხნის წინ წასულან... ისე მოუწდება მათთან შეხვედრა, ისე, რომ ველარაფერი შეაყვლინებებს გადაწყვეტილებას — წავიდეს, ნახოს ადრე წასული თავისიანები... ასე დაემართა ზურაბ ყიფშანიძესაც... წავიდა... შორეულ გზაზე დიდი პარტივით ვააცილა სოფელმა ვალმოხდილი კაცი, ლევანი, ზურაბის ძე ქალაქს იყო სასწავლებლად წასული... იქ დარჩა საცხოვრებლად... ერთხელ ჩამოვიდა, ვილაცას მასალად მიჰყიდა მოუველელობით დაქცევის პირად მისული სახლი, ზურაბის საყვარელი მაგიდაც თან მიაყოლა და ისევე ქალაქს გაბრუნდა... აღარავინ ჰქანებდა კაკლის ქვეშ, აღარც სიმღერა მოჰქონდა იქიდან ნიავს. აღარც თონიდან ამოყრილი შოთების სურნელი ეფრქვეოდა არემარეს...

ერთხელ, შემოდგომით, გამოჩნდნენ უცხო ადამიანები, კაკლის დასაბერტყავად ჩამოვიდნენო. მაგრამ სადღა იყო ყიფშანიძეების მსხმოიარე, ვარჯგაშლილი კაკალი... აჰა-იქ ეკონწილა უდროოდ წენგოშემხმარი, ნიგოზჩამქნარი ნაყოფი.

ვენახიკ კარგი ჰქონდათ ყიფშანიძეებს... ახალი პატრონის ხელში აღარც ვენახმა იხიერა... ხელახლა მოუხდათ ვაზის ჩაყრა... ამ ქვეყნად ყველაფერი ადამიანს ეჩვევა, ის ენატრება, იმისი ტყიერი სტკივა, სანამ გული მოკვდება... ჰოდა, ვახო, გახსოვდეს ჩვენი კაკლის ხე გამბურძიანთია, ვენახიკ...

მამილო. დოესვე შეუპოვდები გიგლას.

სწორედამ მოიქცევი!

როცა ის ძია გერონტივით ლამაზ

სიმღერას ისწავლის, მოვიყვანე მისთვის თო სუფრას გაგვიშლის კაკლის ქვეშ...

— შეილო, ვახო, როცა შენ გიგლას მოიპატიებ, ქეთო აქ აღარ იქნება... ვილაცა წაიყვანს თავის სახლში...

— რაღა, მამილო?

— იმიტომ, რომ შეუყვარდება ვილაც ბიჭს და წაიყვანს... წაიყვანს ამ სახლიდან...

— ნუ გავუშვებთ, მამილო!

— რატომ? ქალის წესია, სხვაგან ეძებს ბუდეს?!.. ჰოდა, შენი დაც გაგვიფრინდება.

— არ მინდა, მეც მიყვარს ქეთო!

— შენი დაა და უნდა გიყვარდეს... მაგრამ იმ ბიჭსაც ხომ უყვარს... ქეთოსაც...

— მერე, მე აღარ ვუყვარვარ?!

— ვახო, ხარ თუ არა ვაჟაკი?

— ვარ!

— აბა, რეებს ამბობ?! — შეიძლება დას ძმა არ უყვარდეს!

— მაშ რატომ მიღის ჩვენი სახლიდან?!

— წესია ასეთი. ქალი მამის სახლიდან მიღის... ასეა ცხოვრებაში, ვახო, ასე... ეშმაკურ შეკითხვებს შეეშვი... ვაჟაკს ბევრი ლაპარაკი არ შეშვენის... ხედავ შენი დაუფიქრებელი ლაპარაკით რა ჰქენი, გაგვიფრინდება და, როცა შენ ასე ბევრს ლაპარაკობ, ქეთო ჭავრობს, იმ ბიჭისა კი არაფერი სწყინს... უციინის... ძალიან სასაცილო ბიჭიაო... ამბობს, რა ვიცი, მე სულაც არ მენჯენება სასაცილოდ. დღეს დაუუკირდი, მაგრამ ისეთი ვერაფერი შევაძინე, ძალიან ჰყვინი ჩანს, თითქოს ლაპარაკისაც სცხვენია...

— მაშინ, აქ, გუჯაბაურში აიშენონ სახლი, ახლოს იქნება ჩვენთან.

— ბარემდაც, ვის არ უნდა თავისი სისხლი და ხორცი გვერდით ჰყავდეს, მაგრამ არც ეგ შეიძლება...

— რატომ?..

— იმიტომ, შეილო, რომ ბიჭი მთაში ცხოვრობს. თავისთვის სახლი აქვს, ეზოში მუხაც უდგას... ჰოდა, იქიდან რომ წამოვიდეს, მაგის მამა-პაპის ნაშენ

სახლ-კარს ვინმე მასალად იუდიის... მუხაც გახმება, ისე როგორც ყიფშანიძიანთ ზურაბის კაკალი გახმა...

— თუ ასეა, მამილო, მაშინ აღარაფერს ვიტყვი, წავიდეს ქეთინო... რომ არ დაემალო, ძალიან გამიძნელდება უიმისოდ ცხოვრება, მაგრამ...

— მეც ვაზო... მეც ძალიან მიმიძის... ასე მიმიძის, რომ... შვილო, დღეს უფრო შემოიყვარდი... ისე ძალიან შემოიყვარდი, ისე, თითქოს დღეს პირველად ვიგრძენი, რომ ჩემი ხარ, ჩემი ფესვი. ახლო მოიწიე, ვაზო, გულში ჩავიკრა, ჩავკოცნო...

— წვერები მჩხვლეტავს, მამილო!

— მამიკედეს სიყმე, ვაზო! ცხინვალში ჯერ საქმეებს გავყე, მერე სადალაქოში შევედი, საესე იყო ხალხით... აღარ გავჩერდი, ვიფიქრე, შინ გავიპარსავ-მეთქი... ვაზო, შვილო, სტუმრებს თუ მიესალმე? ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?

— ვინა და ნიკოლოზი. ჩურჩხელები მომიტანა...

— მე იმათზე კი არ ვეუბნები... მოიცა, მოიცა! შენ ალბათ ეზოდან არ შემოხვედი, ისევე ფანჯრიდან ვადმოძვეარი? რამდენჯერ ვაგაფრთხილე, როგორც ხალხი დადის, შენც ისე შემოდი სახლში-მეთქი?! დედასთან დაგაბეზლო?

— დამაბეზლე, თუ ასეთი ხარ!

— კარგი, ამჯერადაც ასე იყოს! მაგრამ პატარა აღარა ხარ! კაცო, კაცლის ხის ქვეშ სტუმრები სხედან, შენ კი ფანჯრებში დაძვრები... გვეყოფა, არა, ვაზო? სიტყვა ვაგვიერძელდა, სტუმრები გველოდებიან. ღვინო არ მიმიტანია სუფრაზე. ვაზო, ხომ გახსოვს, ორ ქვევარში რომ დავაყენე ღვინო. შემთხვევით ერთში უკეთესი დამდგარა. რას იტყვი, სტუმრებს რომელი მივართვა.

— რა თქმა უნდა, უკეთესი!

— შენ გენაცვალოს, მამა შვილო, ეგ სიტყვა ნამდვილად ჩემეულია! მოდი ერთიც გაკოცო, მამა გენაცვალოს. ხედავ? დეიდაშენი კი ამბობდა, დედეულთა ჰგავსო... დედის ხასიათი გამოჰყვაო... როგორ არა! არაფერი შეგეშა-

ლოს ქალბატონო რუსიკო! ნამდვილი! ასე არ არის, შვილო?

— ასეა, მამილო, ასე!

— კმარა, თორემ... დედაკაცმა თუ ისევე ამ ოხერა გოდორზე მჭდომარეს მომისწრო, კაი დღე არ დამადგება... წამოდი, შვილო, სტუმრებს სალაში უთხარი... არ გინდა გაიცილო?

— ჯერ არა მცალაია, მამი, გიგლას შევურიგდები და მერე მოვალ... გავიცინობ კიდევ.

— მაშინ აი კარის ღრიჭოდან გაიხედე... ხედავ? მალაღს მარცხნივ რომ უზის?

— ვხედავ.

— ის არის, ქეთინო რომ ხუმარას ეძახის... იცანი? თხა რომ მოგუყიდა, ის ბიჭია! ჰო, მართლა! შენ მაშინ კახეთში იყავი! არ იცნობ ჩვენს ხილოს, იცი რა რქენია! კარებამდის მოგუყივანა და თავისივე ხელთ მიიბა ბოძზე... ახლა კი ქეთინოს წართმევას მიპირებს... ასე, ჰე, ვაზო... ასე... იმას ჰგონია მე მისი ჩანაფიქრისა არაფერი გამეგება... ასე, ე ჩემო ვაჟკაცო... მოიცა! მოიცა ბიჭო, მე შენ გელაპარაკები, შენ კი როგორ?! ისევე ფანჯარაში მიძვრები?

— ფანჯრიდან გიგლას სახლი ახლოსაა, მამილო?

— დამაცადე, თუ დედას არ ვუთხრა, ის მოგივლის!

— უთხარი, თუ ეგეთი ხარ!

...ფიქრებში გართული გიორგი ფანჯარასთან მივიდა. გაიხედა და რაც დაინახა, თითქოს იმისი შეეშინდაო, უკან დაიწია.

კოტა ხანს გაოგნებული იდგა, მერე ისევე მიუახლოვდა საარქელს, მძიმე-მძიმედ გადააქანია თავი და ამოიგმინა:

— მიყურე, მიყურე თითქოს ჩემი სიხარული და სევდა შენგან არ მჭირდეს...

ხილოი, რომელიც სახლის უკან, ჰან-ჰურზე იყო მიბმული, აშვებულყო. თოყის ბოლო იქ, სადაც დარჩა, თვითონ კი ფანჯრის წინ ჩრდილში იწვა და უღარდელად იცოხნიდა. პირდაპირ გიო-

რგის უყურებდა თვალბში... თითქოს  
პასუხობსო:

— რა სევდაზე ლაპარაკობ?! გასათ-  
ხოვარი ქალის მამამ ნუთუ არ იცოდი,  
რომ დღეს თუ ხვალ ის ბუდეს სხვაგან  
მოძებნიდა?... მტრედი ცაში რომ აფრი-  
ნდება, განა პატრონმა იცის, ვის სახუ-  
რაზე დაფრინდება!

— ვიცოდი და არც ვიცოდი...  
ვგრძნობდი, რომ ერთ დღესაც მტრედი  
ცაში აიჭრებოდა, ვიცოდი, როგორ არ  
ვიცოდი, მაგრამ ის კი არ წარმომედგინა,  
ასე თუ გამიჭირდებოდა მამას ქალი-  
შვილის გვერდიდან მოცილება!..

...გიორგიმ შეშხუნა ღვინით საცხე  
თუნგი მიწაზე დადგა, კვარტიანი ბოთ-  
ლით ჭაჭა კი — სუფრაზე. თუნგიდან  
ხელადაში ჩამოსახა ღვინო, სუფრაზე  
თავის წინ ხორაგი მისწი-მოსწია და სვე-  
ლი ხელადა ჩადგა. ქარვისფერი ღვინით  
შეავსო სასმისები და დაილოცა:

— პირველად ხართ ჩემს ოჯახში და  
ღმერთმა ბრძანოს, რომ კვლავაც არ  
დაგზარებოდეთ აქ მოსვლა... — გიორ-  
გიმ სასმისი ბოლომდის გამოკალა.

დაიწყო პურობა.

— ქეთო! — გასძახა გიორგიმ მალლა  
სართულში, როცა სამიოდე ჩამი დაამ-  
რო, — ქეთო, შეილო, აქ მო!... ქეთო!...  
ქეთინო!..

— რა გინდა, კაცო, რად ეძახი? გოგო  
შეუძლოდა, დაეხენი, წამოწოლილია  
და წიგნსა კითხულობს... — ხელები გა-  
ატატანა მარომ.

— ქეთო!.. რა იქენ, გოგო?..

— შეუძლოდ არის-მეთქი, გითხარი...  
რად იცი ატეხვა, კაცო!

— ქეთო! ქეთინო, შეილო! — უფრო  
ხმაშალდა გასძახა გიორგიმ შეილს.

— რა ამბავი ყვირილია, გიორგი,  
სტუმრებისა მაინც მოგერიდოს, დაგა-  
ყრუოს დედა ღვთისმშობელმა.

— აქა ვარ, მამი, — მოისმა მალლი-  
დან ქეთოს ხმა. — აქა ვარ, რა არის?

— ჩამოდი, შეილო... თუ გცალია...

ახამათს გული გადაუქანდა.

— მაინც თავისი გაიყვანა! — ბორო-

ტი მზერა ესროლა მარომ მეფე...  
შეუძლოდ ყოფი ბავშვი წამოატუნა!...  
ნეტა რისთვის. თუ რაზე ვინდა, აქ არა  
ვარ?... — საყვედურობს მარო ქმარს.

ვიორგიმ ნაღველჩაბუდებული თვა-  
ლები შეანათა თანამეცხედრეს და იდა-  
ვეით ვაზზე უბიძგა:

— ახლა, მარო, შენ ყველაფრის მყო-  
დნედ რომ მოგაქვს თავი, გამგებიანი  
ვარო, რომ ტრაბახობ ხოლმე, მართალი  
გგონია ეგ? ორი ჩამი ღვინო დაველიე  
და შენ გინდა სთქვა, რომ მე ჭეუაზე  
აღარა ვარ, ასე არ არის? მაგრამ გიყუ-  
რებ და ვრწმუნდები, რომ დედაკაცი  
ვერც რაიმეს ხედავს და არც არაფერი  
იცის... მართალს არ ვამბობ, მარო?

— სრულ ჰეშმარიტებას ამბობ, გიო-  
რგი! ხომ იცი, შენი ნათქვამი ეჭვის  
ქვეშ არასოდეს დამიყენებია... რას ამ-  
ბობ, გიორგი?... მე ვარაფერს ეხედავ,  
არაფერი ვიცი... არც მჭირდება... მხო-  
ლოდ შენ ხედავდე, შენ იცოდე, ჩვენს  
ოჯახს ეგეც თავსა სდის, — კვერს უკ-  
რავს ნათქვამზე მარო, — მაგრამ სტუ-  
მრებს თვალთ ანიშნებს, ასეთი რამ  
არასოდეს დამართვია და არ ვიცი, რას  
მივაწერო ამის ასე ამჩატებო...

ამასობაში ქეთომ კიბე ჩამოირბინა  
და მამასთან მივიდა.

— რა გინდა, მამილო? — ჰკითხა მამას  
და ბიჭებს თვალი მოაელო... ახამათსა ველა-  
რაფერი მოახერხა და თვალი აარიდა.  
შერცხვა, ჩაიფერფლა ბიჭი.

ჩიფამ ძიბილს გაკურა იდაყვი, მართ-  
ლაც ანგელოზი ყოფილაო. ორივე ქე-  
თოს უყურებდა და კმაყოფილებით იღი-  
მებოდნენ. გიორგი ისევ საფიქრებელმა  
წაილო. პატარა წვერს თითებით აწვა-  
ლებს და სადღაც შორს გაუშტერდა  
თვალი...

— რად მეძახდი, მამა? — ჰკითხა ქე-  
თომ გიორგის, მაგრამ წელანდელივით  
კი არა, ახლა 'ძალზე დაბალ ხმაზე.

— ქეთო, შეილო, — გვიან-გვიან მო-  
ახერხა ხმის ამოღება გიორგიმ, მერე  
თითქოს რაღაც დაეიწყდაო, წუთით  
ჩაფიქრდა და შეილოსკენ არ გაუხედავს.

ისე ჰკითხა: — ჩვენი თხა სად არის?

ქეთომ თავი ჩაღუნა, კითხვაზე არ უპასუხა, ისევ მარო აუყაყანდა.

— გადაგრიოს ღმერთმა, მაგისტვის ექახლი ბავშვს? არ იცი სადაც არის?! სახლს უკან ზეზეა მიბმული, ის მგლის არჩვი!.. ველარ გავიგე, დღეს რა დაგეცა, რა ლეთისრისხვია შენს თავს? — წიწმაცობს მარო, მერე ქეთოს მიმართა, — წადი, შვილო, წადი, გენაცვალოს დედა, შენ საქმეს მიხედე, ნუ უსმენ ამას, დღეს რალაც დაემართა, აღრე ადგა და უქმური თუ აპყვა... წადი, ქეთინო, წადი!..

მაგრამ ქეთო ადგილიდან არ დაიძრა...

— დაანებე თავი, ქალო, თვითონ იცის! — აბილპილდა გიორგი, — დაეხსენს ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს მყოლებია შინ... შენ, მარო, ნუ ხარ ჯიუტი! ქეთო როგორც შენია, ისე ჩემია! ჰოდა, აცალე... მინდა ვუყურო ჩემს თვალმახარა გოგოს, ლამაზსა და წმინდას... ხომ გამიგე, დედაკაცო! დეე, იდგეს, არაფერი უშავს. მამა ვარ და ასეთია ჩემი სურვილი, მინდა დიდხანს ვუყურო!... — ამოიხზრა გიორგიმ. ისევ ჩაფიქრდა, მერე ძიბილს უთხრა:

— დაასხი, ბიჭო, დავლით თითო. შენ კი, შვილო, წადი, თხას გადაუნაცვლე. აქეთ გადმოაბი. მინდა, რომ კაკლის ქვეშიდან ჩანდეს... წადი, ახლა! მხოლოდ აი იმ მარგილზე გამოაბი... გაიგე, მხოლოდ იმ მარგილზე.

— გავიგე. მამილო, — თითქმის ჩურჩულით თქვა ქეთომ და თავჩაღუნული, ნელი ნაბიჯით წავიდა, — ახამათმა თვალი გააყოლა... სანამ არ მიიმალა... გიორგის შეხედა, ისიც ქეთოს უყურებდა. ნაღვლიან თვალებში სითბო და სინაზე ჩასდგომოდა.

დიდხანს გაგრძელდა პურობა, კარგა ხშირი ვახშობა გადავიდა, როცა აიშაღუნენ... აღარ გაუშვა გიორგიმ, ცალკე ოთახში მოასვენეს სტუმრები... ახამათს რული არ მიჰკარებია. ბურანში მყოფს, ყოველივე ეს თავის სიცოცხლეში ყვე-

ლაზე გრძელი და ლამაზი სიზმარი გეგონა.

არც გიორგის ეძინა. ეზოში მიდი-მოდიოდა.

— რატომ არ დაწვები, კაცო?! რა სიკვდილი დაგეცა?... თქვი მაინც, რა გაწუხებს? რამ გადაგრია? დღეს მთელი დღე ნერვები რომ აღარ შემარჩინე! თუ გაგიყდი?!.. თუ არა, აღარ ვიცი, რა ვიფიქრო... — ისევ აბუზღუნდა მარო.

გიორგიმ თვალეზი მიაშტერა ცოლს.

— რასა ქაჩავ თვალეზს, კაცო, წადი, დაწეტი, დაიძინე, — წინ დაუდგა დონჯშემოყრილი მარო ქმარს. ხმა არ ამოიღო გიორგიმ, მხოლოდ ხელით ანიშნა ცოლს, მომიახლოვდით.

— რა გნებავს, — ტუჩი აუბზუა მარომ. — თუ რამე გინდა, შენ თვითონ მოდი!

— შენ გეუბნები, დედაკაცო! — წარბი შეიკრა გიორგიმ. — მე მგონია, ამ სახლში ჯერჯერობით უფროსი ვარ... რასაც გეუბნები, გააკეთე, წადი, შენი ქალიშვილიც თან წამოიყვანე და მოდი თ ჩემთან.

— ის რალად გინდა?... ხომ ხედავ, არა გეცალია, სუფრა ასალაგებელია, ჭურჭელი გასარეცხი.

ქეთოს მართლა არ ეცალა — თხასა წველიდა... ხილიო ჰქვიანად იყო. მძიმე-მძიმედ იცოხნიდა და თითქოს რალაცაზე ფიქრობდა. ალბათ იმაზე, რომ ასე გვიან რა დროს მოწველააო.

— მე გეუბნები, წამოიყვანე გოგო და მოდი აქ!

— გავიგედა კაცი! ჯადო ხომ არავინ გავიკეთა, გიორგი?! — ახლა კი ნამდვილად შეშფოთდა ქალი, — ქეთო! — ეძახის შეილს, — მოდი, შვილო, მამაშენი აღარ გვასვენებს დღეს. მოდი, გეძახის! გიორგი კაკლის ხის ქვეშ, სკამზე იჯდა.

— ჰა, რა გინდა, კაცო, აი ეს მე და ეს შენი ქალიშვილი! — თქვა დაბლვერილმა მარომ, — თქვი, თუ რამე გაქვს სათქმელი!

— დასხედით... შენ აქეთ გვერდზე დამიჯექი, შვილო, შენ კი აქეთ, ქალო.

ამ კაცის ქვეშ ჩერ არავის უჩხუბია. შენ კი, კახელო, სულ ჩხუბის ხასიათზე ხარ...

ალარაფერი თქვა მარომ, გვერდით მიუჭდა ქმარს. იმანაც ხელი გადახვია და ქეთოს უთხრა:

— შენ მართალი იყავი, ქეთო!..

— რაზე ამბობ, მაგას, მამა?!

— რაზედა, აი ის ბიჭი მართლა სასაცილოა.

— რომელი?..

— რომელი! რომელი და ის, თხა რომ მოგვეცია.

ძალუმად შემოჰკრა ქეთოს გულმა... წამოწითლდა გოგო... მაგრამ არავის დაუნახავს... გუჯაბაურის თავზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ზარფუშვით წამოპირქვეყებულყო ღამე.

— მე რატომ ვერაფერი შევამჩნიე, პირიქით, ის სხვები უფრო... მაგრამ ის... რა ვიცი, რა ვიცი... — თავი გადააქნია მარომ.

ეგ, ჩემო მარიამ, პირველად მეც ასე მომეჩვენა... მერე კიდევ თხასაც შევეკითხე, შენი პირველი პატრონი ასეთი რატომ არის-მეთქი? — ლაპარაკობს გიორგი და თავის ქალს თვალს არ აცილებს.

შერთა ქეთო. მიხვდა, რომ მამამ მის გულში ჩაიხედა და ყველაფერი დაინახა... ცეცხლი წაეკიდა... ადგა... სახე ხელებში ჩამალა:

— ნუ ამბობ, მამილო, ნუ! — და გაიქცა.

— ო, ღმერთო, დიდებულო, ჩემს სახლში რაღაც ხდება და მე არ მესმის! — და გაოგნებული მარო გაოცებული უყურებს ქმარს.

— ისეთი არაფერი, მარო... — ვითომ ამშვიდებს გიორგი ცოლს. — მხოლოდ ჩვენს ქეთოს შეუყვარდა...

— რაო?

— შეუყვარდა-მეთქი!

— ვინ?

— ბიჭსაც უყვარს...

— ვინ არის?

— ვინ და აი ჩვენი თხის ძველი პატრონი!

— რაო! — შეხტა მარო.

— აი იმ თხის ძველი პატრონი-მეთქი... დაურუედი, თუ რაშია საქმე?! — მარო გაშტერებული დარჩა. ბოროტი მზერა ესროლა თხას... მერე, როცა ყველაფერს მიხვდა, მიეჭრა და ლანძღვა დაუწყაო:

— ოი, შენ კი დაიხრჩე, შენა, ძალღებმა შეგკამონ, შე უსულადო, შენა... რა ეშმაკის ფეხით შემოხვედი ჩემს ოჯახში, შე მგლის ლუკავ, შენა?! დამლუპე და დამაქციე! ამიწიწი-დამიწიწი ოჯახი, შე დასაწევაო, შენა!

პირველად თხას თითქოს შეეშინდა ყვირილისა. უკან დაიწია... მერე როცა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მოაგონდა, რომ ის ისევ ის ხილი იყო! თავი დახარა, ისე, რომ წვეტიანი რქები მთელი მშვენიერებით გამოუჩნდა და ახალი პატრონისაკენ გაიწია...

მარო გაშრა. შეშინებული გაიქცა:

— მიშველე, გიორგი, არ აიწყეტოს ამ სამგლემ.

— ნუ გეშინია, მარო, — იცინის გიორგი. — მაგრად არის დაბმული. აბა რად გააბრაზე?... ახია შენზე! ხომ ხედავ, უსამართლოდ დაჩაგვრას არავის აპატიებს! — იცინის და იცინის გიორგი.

ხილი მართლაც მკვიდრად იყო დაბმული, ვერ აიწყვეტდა. მაროს გული მოეცა. შორიახლოს დაუჭდა და ისევ გამოელაპარაკა თხას:

— რაზე მემდური? როგორ ფიქრობ, მე კი არა ვარ შესაბრალისი? დედა ვარ. დედა?! გესმის დე-და? რქენას თავი დაანებე და მითხარი, არის ისეთი დედა, რომელსაც არ უნდა, რომ ქალიშვილი თავისთან ახლოს ჰყავდეს გათხოვილი?! დაფიქრდი, იქნება ასეთი დედა? — ხილი მართლა ჩაფიქრდა, დაწყნარდა. — ვფიქრობდი, აქ გუჯაბაურში გავათხოვებდი... მიხაროდა, გვერდით მეყოლე-ბა-მეთქი შევილი... მთხოვნელებიც ჰყავდა, ნიკოლოზის დურმიშანი, ჭკუას კარგავდა ჩემი ქეთოსათვის... სოგრატის ბიჭი კარლოც... მთელი სოფელი ლაპარაკობდა... მე თვითონაც ვიცოდი... — ხილი სრულიად დამშვიდდა. ბოძთან

მიწვა, იცოხნის და უსმენს ქალის აღსარებას. — შენ გგონია, ძველ პატრონს გიწუნებ?... აბა რას ამბობ? ეგ რამ გაფიქრებინა?! თვალტანადობით კარგია, ღურმიშხანსაც და კარლოსაც ბევრად სჯობია... მაგრამ წადი და ერთადერთი ქალიშვილი გულიდან მოიწყვიტე და ცხრა მთის იქით გაათხოვე.

— ო, ო, ო, ცხრა მთას იქითო! — სიტყვა ჩამოართვა გიორგიმ. ქალო, შენ კახეთიდან აქამდის სირბილით მომდევნდი, ერთხელაც არ მიგიხედავს უკან და ახლა კუდაროს ხეობა გეშორება?

— გიეი ვიყავი და გამოგეკიდე, — მიახალა გაჭაერებულმა მარომ ქმარს — მერე კიდევ, შენ არ გელაპარაკები და თავი დამანებე, სანამ მთელი ბოლმა შენზე არ გადმოვანთხიე.

— მაშა გიეი?! — კარგი გიეი იყავი!

— ანგელოზივით ქმარი გამორჩევი გიეიო, — იცინის გიორგი.

...იმ ღამეს ნახევრად მოსაწყველი დარჩა ხილო. დედამ რამდენჯერმე შესძახა ქეთოს, მაგრამ რცხვენოდა დედამისა და ვერ ვაბედა გამოჩენა... რცხვენოდა, თითქოს სიყვარული სათაკილო ყოფილიყოს.

\*\*\*

აზამათმა სამი თვის შემდეგ შინ წაიყვანა ქეთო. დიდი ქორწილი გადაიხადეს გორთანთმა... კუდაროს ხეობაში ისეთი სოფელი არ დარჩა, საიდანაც აზამათისა და ქეთოს ქორწილში არ მოსულიყვნენ.

ქორწილის ავან-ჩაგანი კი ჩიფა და ძიბილი იყვნენ.

ოსურიდან თარგმნა ელენე ზაზარულმა



სოსო მავარაშვილი

### ხსოვნის ნათება

მოაგორებდნენ ქარიშხლები  
დაჭრილ ეპოქას  
და სასახლეში  
შეშლილივით ბორგავდა ქამი...  
იყო დიადი მოვლენების  
ქვეყნად მოდება,  
მაგრამ მსოფლიოს შეექვსედზე  
დახეადა მძაფრი

ლეღა, ქაოსი.  
უძლეველმა იქუხა ვაშამ  
და ისტორიის  
სამართალი ჩამოხსნეს ჯვარზე.  
აგვირგვინდება  
საუკუნის ბედნიერ ნატერას  
გონი, რომელსაც  
უწოდებენ ლენინის სახელს.

### ნიღაბისათვის

ო, გთხოვთ მაშორით  
მე შებრალება,  
ქვეყნად ამიტომ არ ვარ წვეული...  
არც სიძულელით  
მინდა ავსება,  
არც დიდებისთვის  
ვარ კურთხეული.  
და მენატრება

სივრცე იგივე,  
ბავშვობასავით  
მზით მონაქსოვი,  
ყველა ნიღაბში  
ატანს სიცივე,  
როცა მწვერვალებს  
ვხედავ დათოვლილს...

### სანამ გადარჩენა ღირს

სულს ღარავს მსუბუქი  
სიმღერის მოტივი,  
და სიო აღურსით მღლის.  
ყველა მოგონება იოლი როდია,  
სიამეს სიავე ცვლის.

მიწა მადიდებულებს,  
და მიწა მაკნინებს,  
ხანდახან ოცნებაც ჭირს...  
მინც ვეჭიდები  
ხავსიან ბილიყებს  
სანამ გადარჩენა ღირს...

## თეთრი სურათი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხსოვნიდან გრძობით  
 მოდენილ ფიქრებს  
 ჰგავს ღამეების  
 ველური ჯოგი...  
 ზოგი ხმაურით  
 ატარებს კირთებს,  
 კუდსაც იშვენებს  
 ბორკილით ზოგი.  
 ცივი გონების  
 ვარსკვლავი ბრწყინავს  
 და სიჭიუტე  
 მაქეზებს ცოდნის,  
 დილას ეუწოდებ  
 უსიზმრო დილას,  
 ლოდინს ვერ ვარქმევ  
 უიღბლო ლოდინს.

და ერთნაირად  
 ნაცნობ სახელებს  
 დიდებულების  
 ჩრდილი ამშვენებს,  
 ეუახლოვდები  
 უცხო ნაპირებს  
 სად ფერადებში  
 ჩანს სინამდვილე.  
 მაგრამ იმედის  
 სხივებდაფენილს  
 ღიმილს ღიმილი  
 უხდება მხოლოდ,  
 ვგავარ მწვერვალზე  
 მარტო დარჩენილს  
 და საოცრებებს  
 არ უჩანს ბოლო.

\* \* \*


როცა პოეზია  
 ისე იღვიძებს  
 სულის წიაღში,  
 როგორც ჩვილი  
 აკვანში,  
 ქვეყნად ყველაფერი  
 მგონია ზღაპარში.

\* \* \*

ვიდრე ბუნება  
 მეტ-ნაკლებად მწყალობელია,  
 ბედნიერება მესახება  
 იმგვარ წყალობად,  
 რომელიც ყველას  
 შეიძლება არ გვიწყალობონ.

## ქამის ბილიკი

ვით მოსყიდული  
 ლამის სიზმარი  
 დილის სისაესემ  
 გაააშკარა,  
 ყველა კეთილში  
 ღმერთი იმარჯვებს,  
 ყველა ბოროტზე  
 მეფობს სატანა.  
 რა ბედენაა  
 ბედის ძაგება,  
 ან მონანიე  
 სახის ნიღბები,  
 სანამ ქარონი  
 ჩამოგვიქროლებს,  
 სანამ ბოლომდე  
 გამოვიცლებით...  
 შეუსვენებლივ  
 აღმა მიეყვებით  
 ზავსმოდებული  
 ქამის ბილიკებს,  
 ვიდრე ახალი  
 ათასწლეული  
 შეუბრალებლად  
 გაგვაქილიყვებს.



ალიკო გიგითაშვილი

ქ ლ რ ი

ნიკო სამადაშვილას ხსოვნას

ქორმა არ იცის რა არი პოზა,  
ისე ყიალებს მშობლიურ ცაზე,  
უცოდველობით ის შეიმოსა,  
რომ გაიაროს ცოდვილ მიწაზე.

მე კი დღეს მგესლავს საამოდ შორი  
ტრფობა და ვამსხვრევ ცარიელ თასებს,  
გვრიტთა ჭალიდან ვეება ქორი,  
მეც ცად ამაფრენს და ამიტაცებს.

გადამატარებს მიზაანთ ახოს,  
იქ გამოჩნდება ჩემი ბიჭობა,  
ვშიშობ დღეს ვინმემ არ დაინახოს,  
ოცნება, როგორც უსინდისობა.

წამილოს, რაღას მემათხოვრება,  
ცრემლი, ვით ღვინო, შესევას უპებით,

იქ, იმ ტატნობზე მინდა ცხოვრება,  
სხვაგვარად ვკვდები და ვიღუპები.

მაგრამ ვაითუ უკვე შემქამა,  
არ მიმანარცხებს საყვარლის კარებს,  
ბუსუსიც ჩემი თუყვი ეამა,  
მშობლიურ ზეცას არ მაზიარებს.

თუ უცაბედად გაუჩნდა რწმენა,  
იგრძნო სინდისის ტოტის შეხება,  
დაავიწყდება მაშინ მას ფრენა,  
და ჩემთან ერთად გადიჩეხება.

რადგან არ იცის რა არი პოზა,  
ისე ყიალებს მშობლიურ ცაზე,  
უცოდველობით ის შეიმოსა,  
რომ გაიაროს ცოდვილ მიწაზე.

ზ ი ზ მ კ რ ი

ძილში, ვით არსაიდან, მესმა საგალობელი,  
სულში მეტი სითბოთი, მზე-ნათელი მოვიდა,  
საღამოს შეებინდა ღიმი დამამზობელი  
იისფერ მანანათა უკანასკნელ თოვიდან.

იქ თურმე საღბინებელს ბოროტებზე დაობენ,  
მე ველად მეძახიან, ტრფობის ურცხვი მონები,

სად ცბიერი ხარობენ, ანები ტატანობენ  
და ჭალებში დაჰქრიან ფერმკრთალი მადონები.

კვლავ უშენოდ... და ყოფა ისევ ისე ძნელია,  
მიდის წუთისოფელი, ქრება წამიერება,  
ჩაივლიან რიგები, ვისთვის სანატრელია  
სისპეტაკე, საყუთარ სულის თვალღერება.

მინახლდები, თვალებში ამღვრეულა ქუჩები,  
ინთებიან შუქები, ანა უკვე ქალია,  
ყველგან, სადაც ქარია, ხარხარებენ ურჩები,  
ანა ჩემი თვალების წყეული უფალია.

ვის შერჩება დროებით სუნთქვა ნაზი წამების,  
ყოფნა ყოველ ნათელში ახალ სიბრძნით ბრწყინდება,  
და მოილტვის შორეთი ვარდების წამწამების,  
და სულშიც სიყვარული ეღვით აგიზგიზდება.

შეირხევა გრაციით შენალამი მინები,  
გრძნებით აღმსარებლურით, გრძნებით სულზე ძლიერით,  
შელამებას ელიან ქერა მაგდალინები,  
ვიცი მომევიწიები, ღვთაებრივი იერით.

როცა ოქრომჭედელი გასთლის ფირუზ ზარნიშებს,  
ზედაშე მომანიჭეთ, სულთა ცოდო-მადლია,  
უჩინ მანდილს ვინც ჰპოვებს, ვნებით დააჰაშნიკებს,  
ყინწვისს ცისფერ ანგელოზს ბავშვი მოუნათლია.

სად ქვეერისკენ მუსიკობს წინამძღვრიანთ ბადაგი,  
ფუძის ანგელოზების ვეწვიეთ სამალავთა,  
თავდებოდა ჩვენება, როგორც სისხლის ქადაგი,  
როგორც უხმო ღაღადი, წინაპრების საფლავთა.

ეს სიზმარი მართალი არვის მონაგონია,  
ფიქრთა ფიქრში წავედი, თავი რით მოვაწონო,  
— აიტანე ძამიკო, ბედი კარგი გქონია,  
ო, მიმყევით ანასას, გალაკტიონ ბატონო.

მელვიძება ცრემლებით, ქრება ყველა ჩვენება,  
ქრება ყველა ჩვენება და ხილვები მთავრდება,  
ისევ იქ ვარ, ჩამესმის თუ ცხადში მეჩვენება,  
შენ თუ იცი კეთილი ჩვენთან წამობრძანდება.

ძილში, ვით არსაიდან, მესმა საგალობელი,  
სულში მტეი სითბოთი მზე ნათელი მოვიდა,  
სალამოს შეებინდა ღიმი დამამზობელი,  
იისფერ მანანათა უკანასკნელ თოვიდან.

ჯიშალ რაბიანი

• • •

უნდა აკეთო ქვეყანაზე  
სიკეთე ბევრი...  
ყანაში ქარი მიმოფანტავს  
ოქროს თავთუხებს.

• • •

მასწავლებელი  
ყოველდღე ახალ გაკვეთილს გვიხსნის,  
ჩვენ კი...  
ვხმაურობთ კვლავ ძველებურად.

• • •

თოვლის საბანი  
აფარია დღეს საქართველოს,  
გადავშლი წიგნს და...  
...ია ამოდის.

• • •

პატარა ტირის გაუთავებლად....  
...მღერის აკვანი,  
ზარობს ყვაილი.

\* \* \*

ვერ შევაჩვიე ნელ სიარულს  
მე ჩემი ბავშვი...  
ნეტავ ვიციოდე  
სად ეჩქარება?

\* \* \*

ო, როგორ მაკრთობს სიმაღლეები,  
ჩემო ლექსებო!  
შემასხით ფრთები,  
— დაეიკარგები...

\* \* \*

უნდა დაეხუნძლო ჩემი ნატერის ხე  
ტკბილი ნაყოფით,  
მე, რომც შეშწაროს.

\* \* \*

როგორ გგონიათ  
თვითმფრინავი ზეცას რომ კვალავს,  
ჰაერს არ სტკივა?...  
...

\* \* \*

იყო ზღაპარი,  
ახლა ცხადია...  
რა შეედრება სიზმართა წყებას!

\* \* \*

ვაშენებთ ტყეებს, შევხარით ხეებს,  
და არც ისინი გვალაატობენ  
სიცოცხლის ბოლოს.

\* \* \*

ჩემი ბავშვები მეკითხებიან:  
 რატომ არ ვაღობს ზამთრობით შაში?  
 რა ვუპასუხო?  
 და ვგრძნობ გაზაფხულს, ყვავილთა  
 მეჭლისს,  
 ახალ სიცოცხლეს უგალობს შაში.

\* \* \*

სიკვდილო!  
 მარტო შენ იტყვი მართალს,  
 მჭერა შენს შემდეგ  
 საიდუმლო არ იკარგება.

\* \* \*

საკვირველია კაცის ბუნება,  
 ბედნიერებას და მწუხარებას  
 ცრემლებით ხატავს.

\* \* \*

დღეს  
 გავურბივარ დაბადების დღეს,  
 ბავშვობაში კი  
 ცაში ვფრინავდი.

\* \* \*

დილის ლაყვარდმა  
 ზეცა გაავსო ლურჯი იეზით,  
 მინდორში ბავშვი  
 გვირილებს კრეფდა.

\* \* \*

ცა ვარსკვლავებით მოშედილიყო,  
 წყაროს ბუტბუტი  
 აკრთობდა მთვარეს,  
 გზას მინათებდა ციცინათელა.

## იყო ერთი კაცი

ნამდვილი აზგავნი

პროფესორი ვალენტინა კოვალენკო ოპერაციის შემდეგ უზომოდ დაღლილი დაბრუნდა თავის კაბინეტში. ასეთ დროს მასთან არავის უშვებდა მორიგე ექთანი, ქალს სიმშვიდე და დასვენება უნდოდა.

პროფესორს პატარა, მაგრამ მყუდრო კაბინეტი ჰქონდა. განმარტოებული იჭარებდა ოპერაციით განცდილ მღელვარებასა და დაძაბულობას, ნელ-ნელა მშვიდდებოდა და თუკი საჭირო იყო, ახალი ოპერაციისათვის ემზადებოდა.

მისაღებშიც სიწყნარე იყო. გოგონას წიგნი გადაეშალა და დროს არ კარგავდა. მის მაგიდაზე ტელეფონის პარალელურმა აპარატმა რამდენჯერმე დაიწვრილა. ეტყობა, პროფესორმა სადღაც დარეკა. რამდენიმე ხნის მერე ტელეფონი გაბმული ზარით აწვრილდა. ზარის ხმა რომ შეწყდა, პროფესორის ხმა ჯერ გაურკვეველად გამოდიოდა, მერე კი გაისმა მისი სასოწარკვეთილი შეძახილი:

— რას შეუზნებთ?!

ქალმა შეჰკივლა და რალაცამ-გაიბრახუნა.

გოგონა უმალ წამოვიარდა და კაბინეტის კარს ეცა.

გულშელონებულ ვალენტინას დიუნის საზურგეზე გადაეგდო თავი. ზონარდაკიმული ყურმილი იატაკზე ეგდო.

— ვალენტინა ვასილევნა! რა მოგივიდათ?! — ექთანი გონდაკარგულ ქალს მივიარდა, წყალი აკურთა, ყურები მოუსრისა. პროფესორმა საოცრად უაზროდ შეხედა შეშინებულ გოგონას.

— ვალენტინა ვასილევნა!.. მალე პროფესორის კაბინეტში ექიმებმა მოიყარეს თავი. ვალენტინა სასომიხდილი და ფერმკრთალი იწვა ტახტზე.

ვილაცამ იატაკზე დაგდებული ყურმილი აიღო და აპარატზე დადო. ისევ გაბმული ზარი.

— გისმენთ!.. — უპასუხა ახალგაზრდა ექიმმა.

— ელაპარაკეთ? — იკითხა ტელეფონისტმა გოგონამ, სადღაც სატელეფონო სადგურში რომ იჯდა.

— ალბათ... არ ვიცი... — დაბნეულად უპასუხა ექიმმა და მორიგე ექთანს ჰკითხა, — რა მოხდა? ვის ელაპარაკა?

— არაფერი ვიცი... არაფერი! — თვალკრემლიანმა ექთანმა ხელეხი გაასაესაყა.

ვალენტინა შინ გადაიყვანეს.

— ვალია, ვალიუშა, რა დაემართა,

რა? — ფერი დაკარგა იური ალექსანდროვიჩმა, როცა სულიერად განადგურებული მისი მეუღლე საწოლზე დააწვინეს. უაზროდ წრიალებდა, ხელებს იფშენებდა, ცოლს ეფერებოდა, მერე ერთს ნაღვლიანად შეხედავდა ექიმებს და ისევ ხელით თავისსავე ხელს ჩააფრინებოდა. დიდი ხანია ასეთი სიმწარე არ განუცდია. საქმე ის იყო, რომ ეს ყველაფერი ვალენტინას ვილაცასთან ტელეფონით საუბრისას მოუვიდა, ხოლო სასოწარკვეთილების მიზეზი არავინ იცოდა. ქალს კი ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და ახლა იგი მწუხარებით ისე იყო შეპყრობილი, ალბათ, დიდხანს ვერ გამოუნელდებოდა ეს წუხილი.

ექიმებმა ნემსი გაუკეთეს, გულის გასამაგრებელი საშუალებები მისცეს და გვიან ღამით დაიშალნენ. ვალენტინა თავისთვის ჩუმად, ძალიან ჩუმად კვნისოდა და ალბათ არავის შეხედვია არ უნდოდა, თვალს არ ახელდა.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს იურის, ცოლის სასთუმალთან სკამზე მჯდომარემ გაათია. დილით ვალენტინამ ქმარს ცრემლიანი თვალებით შეხედა. მთელი ღამის უძილობით გაბრუებულ და ცოლის ავადმყოფობით შეწუხებულ კაცს რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ენა ვერ დასძრა.

ვალენტინამ თვალები მოხუტა და ცრემლი ჩამოუცივებდა. იურის ამან უფრო მეტად დაუწვა გული.

— ვალია, ჩემო კარგო... ვალიუშა!

კაცმა ხელი გაუწვდინა და ვალიას შუბლზე შეახო. ქალს გაბურებული შუბლი ჰქონდა და ეამა ქმრის გრილი ხელი.

დილით რამდენიმე ექიმმა შემოიარა. კიდევ გაუკეთეს ნემსი. პროფესორმა ამჯერად მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს და სთხოვა, დიდხანს არ დარჩენილიყვნენ მასთან, საავადმყოფოში წასულიყვნენ. ეს იყო და ეს. ესეც ძალზე სევდიანი ხმით, ავადმყოფი ადამიანის მინავლული ხმით უთხრა და თვალები ისევ დახუტა.

ექიმები იურიმ ვააცილა.

— არაფერი უთქვამს? იურის.

— არაფერი. მთელი ღამე ჩუმად კვნისოდა... ტირის... ნეტავი სად დარეკა!.. გაგება რომ შეიძლებოდეს... ან რა შეიტყო ისეთი?! ცხადია სამწუხარო... მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ემართებათ ის, რაც... — იურიმ ოთახისკენ გაიხედა და ხელები ისევ ნერვიულად გადაიფშენიდა.

— ნახვამდის. მოგეხსენებათ, დრო მწუხარების ყველაზე კარგი მკურნალია! იურიმ კარი მიხურა და შინ ფეხაკრეფით შევიდა. მაგრამ, როგორც კი საწოლი ოთახის კარი შეაღო, ვალენტინამ იხმო.

ქალი ამჯერად ცოტა ყოჩაღად გამოიყურებოდა. არა, იურის არ ეგონა თუ მისი მუდამ მამაცი და ვაჟკაციური ვალენტინა ასე დაეარდებოდა, ასე დაეცემოდა, ცრემლად დაიღვრებოდა... ეს მოულოდნელი დარტყმა იყო და სწორედ ეს აწინებდა და აფიჭრებდა კაცს...

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვალენტინამ მოიხედა. იურის სიხარულისაგან ქვედა ყბა აუთრთოლდა და იგრძნო თვალბეჭეტი როგორ მოაწვა ცრემლი.

— გისმენ, გეთაყვა... მითხარი, რა გინდა...

— შეკვეთა მიეცი... მე ხვალვე უნდა გაფრინდეს თბილისში.

— ვალია!.. ვალიუშა!.. შენ ასეთ დღეში ხარ... შეუძლებელია შენი სადმე წასვლა... იქნებ გავიდეს დრო და მერე...

— იური, შეუკვეთე ბილეთი!.. — გაიმეორა ქალმა და მის ხმაში მუდარასთან ერთად იყო რაღაც ჭიუტი, მკაცრი ადამიანის ცივი კილოც.

დაბნეულმა კაცმა აზრი მოიკრიბა.

— რატომ თბილისში? ასე სასწრაფოდ რა საქმე გამოჩნდა ისეთი?.. რა დაგემართა, მითხარი... იცი, მე ქალიან ვწუხვარ, ვალიუშა...

ქალს არაფერი უთქვამს. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ვალიამ გამშრალი ტუჩები გააცმაცუნა და თითქოს ქალის ამ მოქმედებამ გაახსენა იურის, ეგებ

ჩაი ესია მოვინოსო. მაშინვე შესთავაზა.

— მომიტანე... ოღონდ ძალიან არ დაატყებო, — სთხოვა ქალმა. იცოდა, რომ იურის ძალიან ტყბილი ჩაი უყვარდა.

კაცმა ცოტა ხანს სამზარეულოში იფუსფუსა. თავსატეხი გაუჩნდა, ცოლის მწუხარების მიზეზს ვერა და ვერ მიმხედარიყო, ან რა უნდოდა ვალენტინას ასე სასწრაფოდ თბილისში. თბილისში ვალიას შორეული ნათესავიკ კი არ ჰყავდა. ნაცნობი ქალი კი ეგულეობდა. ერთხელ ვალენტინა თბილისში მედიკოსთა სიმპოზიუმზე იყო მიწვეული და რამდენიმე დღე სწორედ ამ ქალის, ნინო ლაკაბიძის ოჯახში დაჰყო. იქნებ ნინოს დაემართა რამე? სხვა რა უნდა მომხდარიყო თბილისში?! ვალია ისეთი მგრამობიარეა, ნამდვილად ვერ აიტანა ნინოს უბედურება! როგორც იქნა, ამოხსნა ვალენტინას მწუხარების მიზეზი იურიმ და ამასობაში ჩაიდანაც ათუხთუხდა.

ვალენტინას ჩაი ისე დაუტყებო, როგორც მას ესია მოვინებოდა, ორი ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი ჩაყარა ჭიქაში და კარგად მოურია.

ვალენტინას ეამა ცხელი ჩაი. რამდენიმე ყლუპი ხარბად მოსვა და ამოიოხრა.

— ნინო მიხაილოვნასთან დარეკე? — გაუბედავად ჰკითხა იურიმ.

ქალმა ისე უცებ და ჩქერ შეხედა, თითქოს, საწოლთან მისი მეუღლე კი არა, ვიღაც უცხო მამაკაცი იჭდა.

— ნინო მიხაილოვნა? — ქალმა ისე იკითხა, ისე უცხოდ და გაკვირვებით, იურის წელანდელი დასკვნები საპნის ბუშტივით გასკდა და გაიფანტა.

ვალენტინამ ნახევარი ჭიქა რომ დალია, სახე შედარებით დაუწყნარდა, თითქოს შეეგუა ყველაფერს, მაგრამ ქალი ფიქრითა და გონებით რომ სხვაგან ტრიალებდა, ამას ნათლად ხედავდა და გრძნობდა იური.

— არა, ნინო რა შუაშია, იური... — თქვა ბოლოს ვალენტინამ.

— თუ საიდუმლო არ არის... მე მგო-

ნი, ჩვენ ყოველთვის ვუგებდით... ნეტს, ვალიუშა!..

— ცხადია... — წაიჩურჩულა ვალენტინამ და კიდევ მოსვა ჩაი, — ბილეთის შეყვება ხომ არ დაგაეიწყა?

— არა, არ დამეიწყებია, მაგრამ... — მხრები აიჩეჩა იურიმ.

მერე ისევ დუმილი ჩამოვარდა. ქალი რალაც ფიქრობდა, ხოლო კაცი მისჩერებოდა და ელოდა რას იტყოდა იგი.

— იური, — დაიწყო ვალენტინამ და ფანჯრისკენ გაიხედა. ადრეული გაზაფხული იდგა და დილით ყველაფერი ისე იყო გაკაშკაშებული, თითქოს ახლად დაბადებულ ქვეყანას მზე სხივებით ბანდა.

— ღმერთო, ღმერთო, რა კარგია სიციცხლე! — ნაღვლიანად წამოიძახა ქალმა, ისე, თითქოს სიციცხლეს ეთხოვებაო.

— რალაც უნდა გეთქვა, ვალიუშა, — მოაგონა ქმარმა.

— ჰო, რალაც უნდა მეთქვა... იყო ერთი კაცი... — თქვა ვალენტინამ და შეყოვნდა. კარგა ხანი დასჭირდა, სანამ დაწყებულ აზრს განავითარებდა, — მაშინ იგი ოცდახუთი წლის იყო, ახალგაზრდა ქირურგი ფრონტისპირა ჰოსპიტალში. სიტყვით ვერ გადმოსცემ მის ვირტუოზულ ხელოვნებას. ის რომ ოპერაციას აკეთებდა, დამსწრენი მოჯადოებულნი შეჰყურებდნენ, შეჰყურებდნენ მის საოცრად მომხიბვლელ ხელებს, რომლებიც თითქოს დაჭრილს კი არ შეველოდა, არამედ ქმნიდა რალაც ახალს... ერთმა ექიმმა მისი ხელები პიანისტის ხელებს შეადარა და ეს არ იყო მკდარი. ყველას ასე ეგონა, რომ დაჭრილი საოპერაციო მაგიდიდან მაშინვე სალი და განკურნებული წამოდგებოდა... ოპერაციას იმდენ გრძნობას აქსოვდა, ალბათ, განცდებით უფრო იღლებოდა. ერთხელ ვიღაც ახალგაზრდა ჩარისკაცს უკეთებდა ოპერაციას. ისედაც ფერდაკარგულ ქირურგს, ფერი უფრო დაეკარგა. მოულოდნელად შეწყვიტა ოპერაცია და სასოწარკვეთილი გაჩერდა. ჩარისკაცი მძიმედ იყო დაჭრილი, მის

გადარჩენას ისედაც არავინ ელოდა. ქირურგი სიყვილილს ებრძოდა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ყველაფერი ამო იყო. „წყალი!“ — დაიძაბა ვილაცამ, რომ ქირურგი მოებრუნებინათ. ოპერაციას ერთი გოგონა ესწრებოდა... მგონი ტანია ერჭვა... ზო, ტანია... გვარი აღარ მახსოვს... ტანიას ვერავინ მიასწრებდა ექიმისათვის ამ სასოწარკვეთილების ვაშს წყალი მიეწოდებინა... კი არ მიეწოდებინა, თავისი ხელით დეველივინებინა, ისე, როგორც ასმევეან პატარა ბავშვს, ანდა სასთუმალზე მიჭაქვეულ ავადმყოფს. ქირურგმა წყალი ნელ-ნელა მოსვა, თითქოს ძალას იკრებდა, თითქოს შარბათს იწოვდა და ახალი შეტყვისათვის ემზადებოდა. ტანია ჭიქას ნელ-ნელა სწევდა, ჭიქა იცლებოდა და მის მკერდში გული გამალებით ძვრდა. გოგონა მოჯადოებული იყო ამ ექიმით და ეს წუთები საკმარისი აღმოჩნდა, რომ...

ვალენტინა გაჩუმდა, კვლავ ფიქრებში წავიდა. ხოლო დუმილი იურიმ დააჩრდივა.

— და მათ შეუყვარდათ ერთმანეთი...

— ეს უბრალო სიტყვებია... ასე ზერელედ ვერ გამოხატავ იმ გრძობას, რამაც ეს ორი ახალგაზრდა დაახლოვა ერთმანეთთან... ეს იყო ძლიერი, უნაზესი და უსპეტაკესი სიყვარული... კიდევ დამისხი ერთი ჭიქა ჩაი...

იური ისევ ჩაეარდა საგონებელში. რატომ ყვებოდა ცოლი ვილაც ტანიანზე, როცა კაცი უმალ მიუხვდა, ვინც იყო ეს ტანია! ტანია — იგივე ვალენტინა კოვალენკოა. ეჭვი არ არის. ვალია მაშინ კიევის სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე იყო, როცა გერმანელებმა უკრაინის დედაქალაქს შეუტეეს. მობილიზებული სტუდენტები ჰოსპიტლებში განაწილეს. იურიმ ისიც იცის, რომ ჰოსპიტალი, სადაც ვალენტინა მუშაობდა, ერთ დღეს გერმანელებმა ძლიერ დაბომბეს. ახალგაზრდა ფერწალი მძიმედ დაიჭრა და კარგა ხანს შუა აზიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მკურნალობდა. ნაჭრილობები ახლაც ატყვია.

კაცს ნაღვლიანად ჩაეციხუნა და დასაძინებლად აღმოჩენამ, ქალის მიკიბულ-მოკიბულმა, მაგრამ გულწრფელმა აღსარებამ, ღრმად ჩააფიქრა. ამბავის დასასრული აინტერესებდა და ამ თავსატეხ ფიქრში ისე გაერთო, დაავიწყდა რამდენი კოვზი შაქრის ფხვნილი ჩაყარა ჭიქაში.

ვალენტინას არ გამოერჩა კიდევ ერთხელ მოეთხოო იურისათვის ჰოსპიტლის დაბომბვის ამბავი, მაგრამ იქ ამჯერად მთავარ როლს ტანია თამაშობდა თავის შეყვარებულ ვაჟთან, ქირურგ გიორგი ხარაძესთან ერთად. მათ თავდაუზოგავად გამოჰყავდათ დუქრილები ცეცხლწაკიდებულ შენობიდან. ეს იყო ჯოჯოხეთური წუთები. სწორედ ამ დროს დაიჭრა ტანია. როცა გონს მოვიდა, იგი სამშვიდობოს იყო, ჰოსპიტალში იწვა. ჭრილობამ კარგა ხანს აწამა. მერე მიუყრდა, მაგრამ მის მოშუშებას, ტანიას ფეხზე დადგომას საკმარისი დრო დასჭირდა, სადღაც შუა აზიის ერთ პატარა ქალაქში...

„ვალენტინაა, — ფიქრობდა თავისთვის იური, — ადრე ამ თავგადასავალში არ ჩანდა სიყვარული...“

ვალენტინამ ეს ეპიზოდი რომ მოათავა, მერე, ერთხანს ჩაის სვამდა. ალბათ გონებაში კიდევ და კიდევ უბრუნდებოდა მონაყოლს, ვილაც ტანიას ბედით შეწუხებული.

— და მას შემდეგ გავიდა ოცდაცამეტი წელიწადი, მთელი ცხოვრება... ტანია სხვას გაჰყვა... ნუ ვაგვიკვირდება, იური, რასაც ახლა გეტყვი... ადამიანთა ბედი ზოგჯერ წყლის წვეთებივით გავს ერთმანეთს... ტანია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახდა, ისევე, როგორც მე... გესმის, რეები ხდება ქვეყანაზე?

— გესმის, ვალიუშა... თუმცა ამაში არაფერია მინცდამინც საკვირველი, რადგან შენ ბევრი კოლეგა ქალი გყავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი... ლიდია ალექსანდროვნა, პაშა მიხაილოვნა... სხვებიც, ბევრს ვიცნობ პირადად, — თავი გადააქნია იუ-

რომ, — შემდეგ, შემდეგ რა ხდება? საინტერესო დასასრული უნდა ჰქონდეს ამ შენს ამბავს.

— თუკი საინტერესოა, — ნაღვლიანად ჩაიკინა ქალმა და თვალები კვლავ ცრემლით აევსო, — განვაგრძო?

— გისმენ. მთელი გულისყურით გისმენ და ძალიან მაინტერესებს...

— იმას ვამბობდი... დოქტორი, პროფესორი... ჰო, ეს დოქტორი ერთ დღეს თბილისში მიიწვიეს ქირურგთა სიმპოზიუმზე. ამ ქალაქში პირველად იყო და მოძებნა ნაცნობი ქართველი ქალი, რომელთანაც სამი დღე დასაუბრა. სიმპოზიუმის პირველ სხდომაზე, სადაც უამრავმა სწავლულმა მოიყარა თავი, ტანიას ყურადღება უნებლიედ ერთმა მამაკაცმა მიიპყრო, რომელიც შორიახლო იქნა და სახის ნაკეთები რატომღაც გიორგის აგონებდა. ეს იყო მოუსვენარი და გულის ამაფორიაქებელი წუთები. აღელვებულ ტანიას არ ეყურებოდა, რა ხდებოდა სხდომაზე, რას ლაპარაკობდა მომხსენებელი, მისი გონება შორეულ სივრცეს, შორეულ დროს, იმ ტიბელ-მწარედ გაფრენილ წუთებს დასტრიალებდა, ახალგაზრდობის შორეული მოძახილი აღელვებდა და გული ყელში ამოსდიოდა. როდემდე გინდა ითმინო, როდემდე!.. აი, სადაცაა გასკდება გული!..

„ბოდიში, — მიმართავს ტანია გვერდში მჯდომ კოლეგას, — იქნებ იცნობთ აგერ იმ მამაკაცს, ცისფერზოლებიანი პერანგი რომ აცვია?“ „დიახ, როგორ არ ვიცნობ. პროფესორი გიორგი ხარაძე ვახლავთ“. „გიორგი!“ სასოწარკვეთით, ჩუმად, თავისთვის ამოიკვნესა ტანიამ და ლამის გული შეუღონდა... მოამწოდე ჭიქა, იური!..

ვალენტინამ ჭიქაში დარჩენილი ჩაი მოსვა, ჭიქა ქმარს დაუბრუნა და თავი ბალიშზე მიღო...

ისინი ერთმანეთს შეხედნენ, — ველარ მოითმინა ვალენტინას წუთიერი გაჩინდება იური.

— შენ ყველაფერს ხედე... მაგრამ იმას მაინც ვერ წარმოიდგენ, როგორ შეხედნენ ერთმანეთს. ჩვენ ეტროდით,

სიხარულით, ცხარე ცრემლით დით...

— ეინ თქვენ?! აი, ტანია, ვალიუშა? — აწრიალდა იური.

ქალმა თვალები დახუჭა და გაიჩინდა.

— მაპატიე, რომ შეგაწყვეტიე! — მოიბოდიშა კაცმა. მაგრამ ქალი ერთხანს ხმას არ იღებდა. თვალმინაბული იწვა.

— შემდეგ, ათასში ერთხელ, ტელეფონით მოვიკითხავდი ერთმანეთს. ზოგჯერ ის პატარა საჩუქარს გამომიგზავნიდა, მეც, რასაც მოვახერხებდი... ორი თვე არაფერი ვიცოდი მისი... მერე, ესე იგი გუშინ, დავერეკე... — ვალენტინას უცებ ტირილი აუფარდა, ხელები სახეზე მიიფარა და აქვითინდა.

იური შეწუხებული დაძყურებდა და სასუგეშებელს ვერაფერს ეუბნებოდა. ქალმა უცებ მოიკილა ორივე ხელი და ცრემლიანი თვალებით ქმარს შეხედა.

— მაპატიე, იური... მე თბილისში უნდა წაყიდე და აუცილებლად ვნახო მისი საფლავი...

— იცი, ვალია... — უხერხულად შეიშუშნა იური და ხელები რამდენჯერმე გადაიფშენიდა, — თუ წინააღმდეგი არ იქნები, წაველ, ორ ბილეთს შევეყვებით.

\* \* \*

გაფრენის წინა დღეს ვალენტინა ტელეფონით დაუკავშირდა ნინოს, შეატყობინა, ორი დღით თბილისში მოედინვართო.

ნინო და მისი ვაჟი თემური, მანქანით აეროპორტში დახედნენ სტუმრებს.

პირველი, რაც თვალში მოხვდა ნინოს: ვალენტინას კაეშანი ეტყობოდა. ამ ქალს ნინო მოსკოვში ხედებოდა ხოლმე ცნობილ მხატვარ ეპრობოვიცის ოჯახში. სლავა ეპრობოვიცს ვალენტინას და, ნატალია, ჰყავდა ცოლად. ნინო და ნატალია ძველი მეგობრები იყვნენ. დები ერთმანეთს არ გაედნენ. რამდენადაც ვალენტინა ვაკეაქური ქალი იყო, იმდენად ნატალია დუნე და უგერგილო. ხშირად დის წყრომას იმსახურებდა, ვა-

ლენტინა არავისთან ზოგავდა დას. მუდამ შემართული და სიცოცხლით სავსე ახსოვდა ნინო ვალენტინას. ახლა კი დავგაღული ყვავილივით მოუწყენია. არც იური გამოიყურება ხალისიანად. ეტყობა რაღაც ძალზე დამაფიქრებელმა საქმემ ჩამოიყვანა ისინი თბილისში. და ეს სულ მალე შეიტყო ნინომ, როცა ვახშმის შემდეგ იური და თემური ლოჯიაში ტელევიზორთან განმარტოვდნენ, ხოლო ქალები ოთახში დარჩნენ.

ვალენტინამ ყველაფერი გულახდილად უამბო მეგობარ ქალს. ნინო თვალცრემლიანი და აღელვებული შეპყურებდა და ალბათ, პირველად თავის სიცოცხლეში, თავიდან ბოლომდე ისე მოისმინა ამბავი, ერთი სიტყვა არ დაუძრავს.

ვალენტინამ თბრობა დაამთავრა და თვალში მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

— გიორგი, გიორგი, — ამოიოხრა ნინომ, — მთელი ქალაქი იცნობდა... ხვალ ერთად წავიდეთ სასაფლაოზე. ვიცი, სადაც არის დაკრძალული, აი, საიდან სად, რას არ უნდა მოელოდე ადამიანი! მან ყველაფერი იცის? — და ნინომ ლოჯიისკენ მიანიშნა, სადაც იური თემურს ელაპარაკებოდა.

— იცის. იური ადამიანი კი არა, ჩემი სულია, — თქვა ვალენტინამ, — ახლა ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

გვიანობამდე ისხდნენ. დილით, სტუმარიცა და მასპინძელიც განსაყურებულ მღელვარებას შეეპყრო სასაფლაოზე გასვლის წინ. ნინო დარწმუნებული იყო, რომ იური მეუღლეს სასაფლაოზე არ წაპყებოდა, ვინაიდან მისი მეგობარი ამჭერად ნინო იყო და, სხვა რომ არაფერი, იური თავისი იქ ყოფნით ქალის გრძნობებს ერთგვარად მაინც შებოროტავდა. მაგრამ ნაშუადღევს, როცა წასასვლელად გაემზადნენ, იური ყველაზე უწინ გამოეწყო და სარკეში თავი ისე შეამოწმა, თითქოს სასაფლაოზე კი არა, სადმე წვეულებაზე მიეშურებო. ისედაც ფაქიზი და ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი, რატომღაც მონდომე-

ბული იყო ვილაცას უფრო რამდენიმე სიმპათიური სჩვენებოდა.

ვალენტინა ღელავდა. თავს იკავებდა, თორემ ცრემლი ყელში ებჭინებოდა და ლამის დაეხრჩო. იმ დღეს ცოტას ლაპარაკობდა.

ყვაილებს ცეცხლის ფასი ედო ბაზარში. მაგრამ ვალენტინა არავის შეეპყრებოდა, ისე აარჩია წითელი ტულიპების დიდი თაიგული. იურიმ სთხოვა, ყვაილებს მე დავიკავებო, მაგრამ ქალმა არ დაანება.

— იყოს, იური... შენ ხომ იცი, როგორ მიყვარს ყვაილები... უკეთესი იყო ვარდები... — თქვა ქალმა და ყვაილები დაყნოსა, მაგრამ ტულიპებს სურნელება არ ჰქონდა.

სასაფლაოსთან რომ მივიდნენ, თემურიმ მანქანა პანთონის ჭიშკართან გააჩერა. ვალენტინა, ნინო და იური მანქანიდან გადავიდნენ და ჭიშკრის კუტიკარიდან მოასფალტებულ ბილიკს დაადგნენ. იური ისე დაწინაურდა, თითქოს იცოდა, სად იყო დაკრძალული პროფესორი გიორგი ხარაძე. კაცი ნელა მიდიოდა და აქეთ-იქით მარმარილოთი და ძვირფასი ქვებით მოპირკეთებულ საფლავებს ათვალიერებდა. ქალები უფრო ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ.

— მუხლები შეკვეთება... არ ვიცი როგორ უნდა დაეხედო მის საფლავს, — ცრემლშერეული ხმით ჩემად თქვა ვალენტინამ.

აპრილის მზე ღბილად ათბუნებდა გარემოს.

ზოგიერთ საფლავს ჭირისუფალი დასტრიალებდა. ვინ ყვაილებს რწყავდა, ვინ გრანიტისა თუ მარმარილოს ფილებს წმენდდა, ვინ დაღვრემილი იჭდა და მიწას დაპყურებდა.

გიორგი ხარაძის საფლავს რომ მიუახლოვდნენ, აქ ცოტა მეტი ხალხი შენიშნეს. საფლავთან რამდენიმე კაცი და ქალი იდგა. ამ პატარა ჭგუფს ერთი მამაკაცი გამოეყო, ვალენტინას შეეგება. დიახ, პირადად მას.

— ვალენტინა ვასილენა! — შესძახა კიდევ.

ვალენტინამ შეხედა მამაკაცს, მაგრამ უცებ ვერ მოიხზრა ვინ იყო იგი. როგორც კი დააკვირდა, გაიხსენა, რომ ეს კაციც ესწრებოდა თბილისში გამართულ მედიკოსთა იმ დაუეიწყარ სიმპოზიუმს.

— გამარჯობათ, — მიუგო ვალენტინამ და ხელი ჩამოართვა მელოტ მამაკაცს, რომელიც უმალ მოტყდა, უმალ გაუქრა აღფრთოვანება, თვალები ცრემლით ავესო და ქვედა ყბა აუქანალდა.

— აი, რა დაგვემართა! — თქვა და საფლავისკენ გაიხედა, — კარგ დროს ჩამობრძანდით... ალბათ იცოდით, რომ დღეს ორმოცს ეიხდით.

ვალენტინა უცე აღარ უსმენდა მელოტ მამაკაცს, იგი საფლავისაკენ გაეშურა, უნდოდა გრანიტის ფილაზე ყვავილები მიმოეფანტა, მაგრამ ელდანაკარავს ყვავილები ხელიდან დაუცვივდა და გაქვავებული მიაჩერდა საფლავის გადასწვრივ მდგარ ქაბუქს.

ქაბუეი კი პირწაქარდნილი გიორგი იყო. სწორედ ისეთი, იმ ქარიშხლიან დღეებში ასე ძლიერ რომ შეუყვარდა ვალენტინას.

ქაბუეის დანახვამ დააბნია, კიდევ გაახარა, ამ ბედნიერმა გაეღეებამ ლამის გონება დაუქარგა, უცებ ყველაფერი ცრემლის წვეთებში აერია და აებლანდა.

ვილაკამ ხელი მოკიდა და განზე გაიყვანა. ცხვირსახოცი თვალებზე მიიფარა და ერთხანს თავისთვის ჩუმად ქვითინებდა.

ამასობაში ხალხი მოგროვდა.

ვალენტინამ ცრემლი მოიწმინდა, ცოტათი დაშოშმინდა. იმ მელოტმა კაცმა დრო იხელთა და სტუმრებს გიორგის ცოლ-შვილი გააცნო.

ვალენტინამ შეხედა ქაბუქს და ლოყაზე აკოცა. ქაბუქმა დაიმორცხვა, თავი დახარა. „როგორ გავს მამას! გიორგიმაც ხომ ასე იყოდა დამორცხვება!“

ხალხი მოდიოდა და მიდიოდა. ჰირი-უფალს ხელს ართმევდნენ, საფლავზე ყვავილებს აწყობდნენ, განზე დგებოდნენ და მღვთმარებაში იძირებოდნენ.

მელოტმა კაცმა, რომელსაც მტკიცედ ეძახდნენ, შენიშნა, რომ ვალენტინა თვალს არ ამორებდა გიორგის შვილს, ისეთი ნეტარებით, ისეთი სასოებით შეჰყურებდა და იმდენი სევდა იხატებოდა ქალის გამოხედვაში, რალაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა, რომ ქალი ამ მდგომარეობიდან არ გამოეყვანა.

ხალხი ემატებოდა და ემატებოდა.

პანაშეიდი მალე დამთავრდა. მიხეილი არ მოეშვა სტუმრებს.

— გიორგის მეუღლე უღრმესად გთხოვთ, წამობრძანდეთ შინ და შესანდობარი უთხრათ...

— უხერხულია... — თქვა ვალენტინამ. მაგრამ როცა თვითონ გიორგის მეუღლე, წარმოსადეგი, შაოსანი, დასევილიანებული ქალი მიუახლოვდა და სთხოვა, აუცილებლად უნდა წამობრძანდეთო, ვალენტინას აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ნაზად შეაელო მის მხარს ხელი და თვალებში ჩახედა, თვალებში, სადაც მწუხარებას ეშხის ნაპერწკლები ჩაქრო და ახლა მხოლოდ და მხოლოდ სევდა ჩამდგარიყო.

\*\*\*

ოთახში, სადაც სუფრა იყო გაშლილი, გიორგის სურათი ეკიდა. ეს იყო ალბათ მისი უკანასკნელი სურათი. სათნო, გადამდები ღიმილით გადმოჰყურებდა ოთახში მყოფთ.

ოჯახში ღრმა მწუხარების ატმოსფერო სუფევდა.

ვალენტინა გამშრალი იყო და ხმას არ იღებდა.

ყველა განზე ვადგა და სუფრასთან ჭერ უცხო სტუმრები დასხეს.

გიორგის ვაჟის, ლადოს ყოველ გამოჩენაზე ვალენტინას ცრემლის კურცხალი ადგებოდა თვალებში, მაგრამ თავს ისე ვეჯეკურად ებრძოდა, ცდილობდა მეტისმეტად არ აღეღვებულყო. არადა, სურათიდან გადმოშხირალი გიორგი თითქოს ეუბნებოდა კიდევ: „იტირე, ვალია, იტირე, იტირე ჩვენი იმ ტკილმწარე წარსულისათვის მაინც!“

ხალხი ბევრი არ იყო, სუფრა ლოჯი-

ამიც ჰქონდათ გაშლილი. ყველა ცდილობდა უხმაუროდ დამჭდარიყო.

ეკამ დრო იხელთა და უკრაინელ სტუმრებთან მივიდა, ვალენტინასკენ დაიხარა.

— გვაპატიეთ, — მოკრძალებით მოუბოდიშა. მაგრამ ვალენტინა ვერ მიუხედა, რატომ ებოდიშებოდა გიორგის მეუღლე. ეს ალბათ წუთიერი გამოლაპარაკების საბაზი იყო.

— თქვენ ერთად ყოფილხართ ფრონტზე... მიხეილმა გვიამბო...

ვალენტინა შეერთა, ქალს ქვეშ-ქვეშ შეხედა და ერთი დიდი გაბრძოლება კიდევ დასჭირდა, რომ ქვითინი არ წასკდომოდა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩამობრძანებისათვის... — უთხრა ეკამ, ქალს მხარზე შეახო ხელი და უმაღლესი გასცილდა, რადგან ძლიერ ღელავდა.

სუფრას მიხეილი გაუძღვა. ეს იყო გიორგის ყველაზე ახლო მეგობარი და პირველი სიტყვაც მას ეკუთვნოდა. სრული მდუმარება სუფევდა, როცა იგი გიორგიზე ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ვრცლად და მგრძნობიარედ, როგორც ცოცხალს, ისე ადღეგრძელებდა. ბოლოს ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ისე შესვეს პირველი სასმისი.

კიდევ ითქვა რამდენიმე სადღეგრძელო და როცა ჯერი კიეველ სტუმრებზე მიდგა, მიხეილმა ომის დრო გაიხსენა. ვალენტინა თვალს არ ამორებდა მიხეილს. ყვებოდა იმ ძნელბედობის ეამზე და აღნიშნა, რომ ფრონტელ მეგობარს სულ სხვა, განუმერებელი ძალა და სილამაზე ჰქონდა.

და თუ სიყვარულიც იყო?

მაგრამ სიყვარულზე ერთი სიტყვაც არ თქმულა, იმ დიდ და სწორუპოვარ გრძნობაზე, რომელიც უბერებელი, უჭკნობი და უკვდავია, რადგან ეს ყოფილა ამა ქვეყნის ფესვი ფესვთაგანი და ის მასაზრდოებელი წვენი ცხოვრების დიდსა და მშვენიერ ხეს რომ აცოცხლებს.

ვალენტინა თვალს არ ამორებდა მიხეილს. ქალს კი სუფრაზე მსხდომნი ისე

უყურებდნენ, თითქოს პირველად შეხვედნენ. ლოდ ახლა შენიშნეს.

მიხეილი ლაპარაკობდა დინჯად, ლაპარაკობდა დიად მეგობრობაზე, მაგრამ ქალი ატყობდა, რომ მან უფრო მეტი რამ იცოდა, ვიდრე ამბობდა.

სტუმარს მეუღლე უდღეგრძელა, ხალხი და სამშობლო უდღეგრძელა, მწუხარების ეამს კი თბილისში ჩამობრძანებისათვის მადლობა მოახსენა.

ახმაურდა სუფრა. აქეთ-იქიდან გაისმა:

— იდღეგრძელებთ, ვალენტინა ვასილიევიწა!

— თქვენი გამარჯვებისა იყოს, იური ალექსანდროვიწა.

შესვეს. დასხდნენ. ვალენტინას რაღაც უნდა ეთქვა. წამოდგა. ღელავდა.

— მეგობრებო! — თქვა ეს ერთადერთი სიტყვა და უცებ თავი ვერ შეიკავა, ქვითინი აუვარდა და დაჭდა.

და სანამ არ დაშოშმინდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცო.

ვალენტინას არაფრის თქმა შეეძლო. იური წამოდგა. სადღეგრძელოსთვის მეუღლის მაგივრადაც დიდი მადლობა გადაიხანდა და მერე ისე გაკვრით გაიხსენა ომის დრო, მაშინდელი მეგობრები... მერე ცოტა ხანს დადუმდა, სუფრაზე მსხდომთ თითქმის სათითაოდ ყველას შეხედა და თქვა:

— მეგობრებო, მე მოწინებით ვხრი თავს იმ დიადი გრძნობის წინაშე, რამაც მე და ჩემი მეუღლე თქვენთან ჩამოგვიყვანა...

იურიმ თავი დახარა და მერე უცებ დაჭდა. როცა ჭიქა პირთან მიიტანა, ვალენტინას ჩურჩული გაიგონა:

— გმადლობთ, იური!..

კიდევ კარგი, მალე დამთავრდა ყველაფერი.

ხალხი წამოიშალა.

მასპინძლები სტუმრებს ისეთი გულსტიკივლით ეთხოვებოდნენ, თითქოს კიდევ რაღაც ძვირფასს კარგავდნენ.

ვალენტინა აჩქარდა. მან სწრაფად და მხურვალედ აყოცა გიორგის ვაიჟივილის.

მერე ეკას მოეხეია. ეკა რალაცას ჩურ-  
ჩულედა, მაგრამ ვალენტინამ არ მოუ-  
სმინა, გასცილდა და კიბეზე დაეშვა.

მიხეილი ფეხდაფეხ მიჰყვა სტუმრებს,  
დიდს მოწიწებით გამოემშვიდობა.

ნინო და ვალენტინა მანქანის უკანა  
საეარძელზე დასხდნენ. ვალენტინას  
თვალებში არ შეშრობია, ცრემლი  
ცრემლს ემატებოდა. ნინო ხელზე უაღე-  
რსებდა და ამშვიდებდა.

იური თემურის გვერდით იქდა, ჭალე-  
ბისკენ არ იხედებოდა, ქუჩას გაჰყურე-  
ბდა და თავის ფიქრებში ჩაძირულიყო.  
თბილისს აპრილის ღამე სწევოდა.

\*\*\*

მას მერე ვადის წლები.

ყოველ ცხრა მაისს გიორგის საფლა-  
ვზე ვარდების დიდი თაიგული მიაქვს  
ვალენტინას. იგი კიევიდან წინა დღით  
ჩამოფრინდება, ღამეს ნინოსთან გაა-  
თეეს, დილით ბაზარში გაივლის, იყი-  
დის ყველაზე ღამაზე, ყველაზე ხასხასა  
ყვავილებს, წავა მეგობრის საფლავზე,  
ორ წვეთ ცრემლს დააპყურებს და იმა-  
ვე საღამოს ისევ მიფრინავს კიევში.

ნინომ იცოდა, რომ ვალენტინა წელ-  
საც ჩამოვიდოდა თბილისში, სტუმრის  
დასახვედრად თადარიგს შეუდგა.

ვალენტინა პირველ ხანებში თუ წი-  
ნასწარ რეკავდა, ბოლო დროს აღარა-  
ფერს ატყობინებდა, ისე მოფრინავდა.  
კიევიდან მოსულ თვითმფრინავს, რო-  
გორც წესი. აეროპორტში ხვდებოდა  
თემური.

მაისს ერთ დღეს ნინო კიევმა გამო-  
იძახა.

— ელაპარაკეთ! — ჭერ ტელეფო-  
ნისტ გოგონას, შემდეგ ვალენტინას ხმა  
ვაისმა.

— ნინო, ძვირფასო! — მკვეთრად  
ისმოდა ყურმილში. — რეაში მინდა ჩა-  
მოვფრინდე...

— გელოდები, გელოდები! — სათქ-  
მელს არ აცლის ნინო.

— თბილისში წამოსასვლელი ბილე-  
თი მაქვს... ეგებ უკან დასაბრუნებელი  
ბილეთი მომიხერხო. საქმე იმაშია, რომ

მე თერთმეტში გადაუდებელს  
ცია მაქვს დანიშნული და აქ უნდა ვი-  
ყო... ევლი შენს სიგნალს.

სიგნალი კი არასაიმედო იყო, რადგან  
იმ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყა-  
ნას გამარჯვების ოცდათხუთმეტი წლის-  
თავი უნდა ეხეიმა, დაიძრნენ ომის ვე-  
ტერანები. ზოგი საით მიემგზავრებოდა  
შეხვედრებზე, ზოგი საით. ბილეთის  
შოვნა გაჭირდა.

ეს ამბავი რომ შეატყობინა, შეწუხდა  
ვალენტინა. მაშინ კი ნინოს შესთხოვა.  
ცხრა მაისს უთუოდ გასულიყო ბაზარ-  
ში, თავისთვის რომ იყიდა ყვავილებს  
საფლავზე წასაღებად, ეყიდა ერთი თა-  
იგული მის ნაცვლადაც, ეყიდა ყველაზე  
კარგი, ხასხასა და ღამაში ვარდები, და  
წასულიყო გიორგის საფლავზე.

ცხრა მაისს დილიდანვე წვიმდა. და  
არც აპირებდა გადალებას. რა ექნა ნი-  
ნოს! რადაც არ უნდა დასკდომოდა, მე-  
გობარი ქალის თხოვნა უნდა შეესრუ-  
ლებინა.

როდემდეს ელოდოს წვიმის გადაღე-  
ბას? შეადღეს მოატანა. კვლავ წვიმდა.  
თემურიმ სადარბაზო კართან მიაყენა  
მანქანა, დედა ჩაისვა და ბაზრისკენ გა-  
სწია.

„ამ თქეში იქნება კი ყვავილები?“  
დარდობდა ქალი, იცოდა, რომ ვალენ-  
ტინა ყოველთვის მხოლოდ და მხო-  
ლოდ ვარდებს ყიდულობდა და ახლაც  
საგანგებოდ დაუბარა, რაც შეიძლება  
ბევრი და ხასხასა ვარდიო...

მიუხედავად წვიმისა, მეყვავილეები  
მინც გამოსულიყვნენ ბაზარში. ვინ  
ფარდულს შეფარებოდა, ვინ ბაზრის ჰი-  
შკართან წრიალებდა საწვიმარმოსხმუ-  
ლი.

თვალმისატაკი სანახავი იყო ნაწვი-  
მარი ვარდები. მუშტარი რომ დაინახეს,  
წამოესივნენ გამყიდველები.

ნინომ შეარჩია მართლაც ბევრი, მარ-  
თლაც ღამაში, სურნელოვანი, ხავერ-  
დოვანი, ხასხასა ვარდები. სველ ყვავი-  
ლებს ცელოფანი შემოახვია და თაიგუ-  
ლი მანქანის საეარძელზე დადო.

სასაფლაოზე კაციშვილი არ ეგულე-

ბოდა. მაგრამ პანთეონის ჭიშკრიდანვე შენიშნა, რომ აქა-იქ ადამიანები ტრიალებდნენ. ზოგიერთი საფლავი ცოცხალი ყვაილებით შეემკოთ.

ასეთივე მეტრითა და ფორმითაა დაწერილი ბესიკის მეორე ლექსი ამე მიუხვდი მაგას შენსა ბრალესა", რომელშიაც თითქმის ვარიაციული სახით მეორდება პირველი ლექსის თემა, სახეები, პასაჟები. აქაც ათმარცლოვანი ალეგორიული ლექსია, ზეუთი ხანაა, თეთიფელში 9-9 სტრიქონია, ოგივე პრობლემა უნდობლობისა, ვაღტუნლობისა, ვერაგობისა, მოკმდელებენ ვარღ, ბუღბუღი, იუბი, ნარგიზი, ერთი სიტყვით, ეს ორი ლექსი, რომლებმაც ათმარცლოვან ბესიკურ ლექსს არსებითად სათავე დაუდვეს, მართალია შენდება ვარღბუღბულიანის ტრაფიკურულ სიუჟეტზე. მაგრამ თავიდან ბოლომდე ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებებად უნდა მივიჩნიოთ. მართო ამ ორი ლექსით შეეძლო ბესიკს დარჩენილყო ჩვენს ლიტერატურაში, როგორც სრულიად ახალი პოეტური სიტყვის შემომტანი.

მაგრამ ბესიკმა ძლიერი პოეტური ხმით დაიმდერა მისამდე ლექსიც — „ბუღბუღი მოდის მწუხარებით“, რომელიც წინა ორისაგან განსხვავებით თოთხმეტმარცლოვანია, თუმცა თემა ისევე და ისევე ვარღბუღბულიანისაა, ოთხ სტროფში სულ თექვსმეტი სტრიქონია, ამ მხრივ ჩვეულებრივი ფორმა დარღვეული არ არის, მაგრამ რითმითაა განწყობა სულ სხვანაირია: პირველ სტროფში ოთხივე სტრიქონი გარითმულია, მეორეში — მხოლოდ სამი, მესამეში — ისევე სამი, ხოლო მეორისა და მესამის სტროფების მეოთხე სტრიქონები ერთმანეთს ერითმებიან, მეოთხესაც სამი სტრიქონი აქვს ერთიფული, ხოლო მეოთხე-მეორე-მესამე სტროფების მეოთხე-მეხუთე სტრიქონებს ერთმება. ამგვარად ეღბუღბუბით მშინდა ბესიკური წყობის სრულიად ახალ ლექსს, რომელიც გარითმით: 1-4, 1-3, 1-3, 1-3, 2-4, 3-4, 4-4. მთელი ლექსის შინაარსს რაც შეეხება, აქაც ყველაფერი ალეგორიულია. სატრფო-

საგან შერისხული პოეტი გვეხატება მუხრანის მებაღის მიერ დატყუხული ბუღბუღი, და იმედების ვარღება სულ ბოლოს, როცა სასიება ამოწურულია, გულმოკლულ პოეტს მწარედ თქმევენებს:

სიკვლიო, მოდი, მიიბარე ბუღბუღის სული:  
მებაღემ დასწულა და დაკოდა ბუღბუღის გული!  
მკვლარი ზეხსიკი, მოდი, მნახე, ჩამიდგი სული,  
თუ ვინღ მიწასაც მიმბარე მოყურის ენითა!<sup>15</sup>

შინაარსით თითქმის ანალოგიურია ლექსიც — „ბუღბუღის შურსა“, უშველად ერთ-ერთი მშვენიერი ნაწარმოები ბესიკის შემოქმედებაში. აქაც ბუღბუღი და ვარღია, გულს დასობილი ეკალი და დამხხვრეული იმედებია, ვარღბუღბულიანის თემა, მაგრამ ისევე და ისევე ახალი ასპექტებით წარმოდგენილი. როცა ყველაფერი დამთავრდა, როცა გულის სრულად შეწირვას არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყვა, პირიქით, პოეტი იტუღბუღბულია სიტყვას: „შენ ჩემი ჭირი გიბარია, მე ვსტირ დღე, ღამეც“, ფინალი აღარ აუყოვნებს მთელი თავისი ტრაგიკული სახით გამოჩნდეს. თუ რა მძიმე სურათია უიმედო ტრფობისა, განსაკუთრებით სჩანს ლექსის ბოლო სტროფებში:

თუ სამართალი არის სადმე, გეზიანების,  
ყელი გამოშქერ, პირი დამჩრა შენის  
დანების.  
შენგან მოკლული ბეერი ვინმე  
გაიმეღვენების,  
შენი ბრალეობი ჩინუმაინის გაიჯავენების.  
კაი და მორჩი, ჩემუხედ ნუ ხარ თვისის  
მეხაველი!  
მღიშარის პირით წამეპარე, დამიდგი მახე,  
სხე შეგონა, შემჩნებოდა ეგ შენი სახე,  
ანთებულს ცეცხლსა შესწველად ხელი  
შეგახე.  
დამწვარი მაინც შემებრაღე, ზეხსიკი ნახე!  
ეაა შენი ბრალი, ჩემო თავო, ღრუბელს  
შახველი!<sup>16</sup>

როგორც ლექსში — „ბუღბუღი მოდის მწუხარებით“, ისე აქაც თეთიფული სტრიქონი თოთხმეტმარცლოვანია. ოდნავი განსხვავება აქ ისაა, რომ რითმები ზეუთივე ხანის ბოლო სტრიქონებისა ერთმანეთს ესადაგებიან, მაგრამ შემდეგი სახეცლოვანობით: პირველი ხანის ხუთივე რითმე ერთია — მძახველი, მსახველი, პირგამმძახველი, მნახველი, ახ, ველი, დანარჩენი ხანის ოთხივე სტრიქონი გარითმულია, ხოლო მეხუთე, დაწყებული პირველიდან, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ახ, ველი (1), მნახველი (2), მძახველი (3), მფახველი (4), მახველი (5). ესეც უშველად იყო ბესიკის ახალი სიტყვა ქართული პოეტური მრეველებს

ისტორიაში, უცნობი ფორმების აღმოსაჩენად მისი დაუცხრომელი ძიებები პირდაპირი შედეგა.

ჩვენ ოდნავაეც უკვირ არ გვეპარება, რომ ისეთი პოეტი, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძეა, თავის განთქმულ ლექსში — „სახე შენი მემსახვეა, მუხადა“,<sup>17</sup> შთაგონებული იყო ბესიკის სტრიქონებით — „დაშიღვი მახე“, „გვ შენი სახე“. საერთოდ, ბესიკმა საკმაოდ ძლიერი გავლენა იქონია ქართული რომანტიზმის დამწეებ პოეტზე, არანაკლები — გრიგოლ ორბელიანზედაც. მათ დროს, ალბათ, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ცოცხალი სხაემა ბესიკის სიმღერებისა საყრავი ინსტრუმენტის თანხლებით, ისიც უდავოა, რომ თითოეულ მაიგანს ბესიკის ლექსის წმინდა მუსიკალური ნივანები უფრო სრულად ჰქონდათ შეცნობილი, ვიდრე ჩვენ — „ტანო ტანანოს“ ავტორისაგან დაახლოებით 200 წლით დამორეზულუმს. დრო თითქოს დიდი არ არის, მაგრამ ბესიკსა და თანამედროვეობას შორის ამ საკითხში უფსკრულის გახობრა არა ამ ფაქტორმა, თვით მუსიკალური ფენომენების დაკარგვამ გაზოიწვია.

მაგრამ ახლა ამაზე დარდი ან სინანული დაგვიანებულა, ვეღარაფერს გავაწყოთ, იმით უნდა დაგვყოფილდეთ, რაც გვაქვს და რაც ჩვენიამდე მოღწეულა.

ზუსტად იმ ფორმით, რომლითაც დაწერილია „ბუღბუღის შერსა“, გამოირჩევა „მე შენი მგონე“, უიმედო სიყვარულის ეს კიდევ ერთი მშვენიერი ბესიკისეული საგალობელი. ლექსი თითხმებმარცვლოვანია, თითოეულ ხანაში ხუთხუთი სტრიქონია, რითმები ისევე განლაგებულა, როგორც უკვე ენახეთ, მაგრამ აქ აღარ არის აღეგორიულობა, აღარ ჩანან ბუღბუღი, ვარდი, ნარგისი, ია, ეკალი, მუხადა; პოეტი თითქოს დაბრუნებია უშუალობას, ის უკვე პირდაპირ ესაუბრება სატრფოს, რომელიც მას არ წყალობს, რომელმაც მიკრმად დასწეა და მისი ცხოვრება სავალალო გახადა.

და აქ არის ერთი ხანა, მესამე, რომელშიაც ვგრძნობთ მოტაცს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ შემდეგ ასე ძლიერი პოეტური მგზნებარებით რომ ამატყვევია ლექსში „სიყვარულო, ძალსა შენსა“.

მაგრამ ჯერ გავცნოთ თვით ბესიკის ლექსი: როს მოგიხილე, მყის შევიქენ თავისა მტერი: რად არ ვიცოდი, არა გვეანდა შენი საფარი? ყოვლი მოყვარე შენგან ჩივის — ყმაა თუ ბერი: რა გაამების, არეინ იყის; ვსცან ვერა ვერი! დროა, თუ მოჰყავ შენ, სიყვით დაუთვალო!<sup>18</sup>

ახლა გავიხსენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა“, რომელშიაც სულ სხვა რანგის გრძობაა გამილილი, უფრო ამაღლებული, უფრო ნათელი, უფ-

რო ფილოსოფიურად გააზრობებული, უფრო სია, სადაც ბესიკის უიმედო, პესნიმისტურ მოთქმა-გოდებას სცვლის რაღაც აღზევებული პატივისცემა თუ პანეგირიული მოკრძალება ადამიანური არსების ამ უძლიერესი ტრანსტილადმი:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს, ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხერას ხარკად არა გცემდეს? შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს, და ბუღბუღსა რად ეძრახვეს, რომ შენგამო ვარდს შეჰყვოდეს!<sup>19</sup>

ბევრია აქ საერთო ბესიკსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს შორის. ცალკე გამოთქმებიც მიგვანიშნებენ, რომ ძალიან ახლოს ხედვებთან ერთმანეთს სიყვარულის მომღერალი ორი გამოჩენილი ქართველი პოეტი, რომლებსაც ტრადიკია რუსთაველიდან მოღვამთ. ვინაიდან ქართულ პოეზიას ნამდვილი, ჭეშმარიტი, ამაღლებული, ნაზი, თავდადებული სიყვარული „ეფესისტყაოსანმა“ ასწავლა, ხოლო სპარსულში ლირიკამ მართოდენ სევდიანი ვარდებულებიანი გაეცნო.

ის ფორმალური გზა, რომელიც ბესიკმა აიღო თითხმებმარცვლიანი, ხუთხანანი, ხუთსტრიქონიანი ლექსებით, მან გააგრძელა ისეთ პოეტურ ნაწარმოებებში, როგორიცაა „ცრემლთა ისხარნი“<sup>20</sup> „ვარდო სასურო“, რომლებშიც მისი განთქმული სინარჩაუ და სინატრეე ქებას იმსახურებს. აქ უკვე სულ სხვა თემაა, ან ვარდებულებიანისა, არამედ, საერთო მოთქმა-გოდება ცხოვრების უცუღმართობასა და ვერაგობაზე. პოეტი ღრმა პესნიმისტური განწყობლებით აფასებს რეალურ სინამდვილეს, ოხრავს, ცრემლსა პღერის, სწორედ ისე, როგორც ვერობელი, რუსი, ქართველი რომანტიკოსები, მანამდე კი ბატონიშვილეთ თავიანთ ლექსებში.<sup>21</sup> მართო ამ ორი ლექსითაც შეიძლებადა კარგად დაგვეჩახა, თუ რა გააკეთა ბესიკის პოეზიამ ქართველი რომანტიკოსებისათვის, როგორ გადატყვა მათ წინამორბედად და ხელი შეუწყო უფრო ძლიერად შედგომოდენ თავიანთი ისტორიული მისიის შესრულებას.

ეს დებულება რომ ეკუმპიტანლად მივიჩნიოთ, აგრეთვე სრულიად წარმოვიდგინოთ ის პოეტური ფორმა, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ, საქმარისი იქნება ბესიკის ხსენებული ლექსები გავცნოთ. მაგრამ უმჯობესია ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, „ცრემლთა ისხარნი“ მილიანად წავიკითხოთ.

დააკვრდით მიველ ლექსს, მის შინაარსს, მის მხატვრულ-იდეურ კრდოსს, თვითველ პოეტურ ფრაზს, რომელსაც პოეტი ხმარობს:

1

სრულთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არებით,  
იღმენით გულნი, ჭირნახუნნი,  
უცხონი თემით სოფლის ცეხით  
გავიჯარენით,  
უქნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი,  
დავიბძარენით,  
არ ითქმის ენით, არცა სმენით, — ეს  
იკმარენით!

2

როს გვაგონდებით., შევლონდებით,  
ლომლო ყმა-ძმანო,  
თანზრდილნი სწორნი, განა შორნი,  
საყვარლადყვანო!  
ვა კიდევანთა, ესდენ ხანთა გლოვისა ხმანო,  
ატადინ კალოს, სავალალოს, სადა ხართ,  
თქმანო?!

დაგვებრან ქარმან დაუწენარმან, ზღვად ვიფარენით!

3

დაბერდა უფრო, სვედის ჭური, რა პოვა სოფლით.,  
დაბინდნა თვალნი, შეუმკრთალნი,  
სრულთა და ოფლით,  
დაგვეცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი,  
შორნი საყოფლით,  
ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით  
გამყოფლით,  
ჭირსამცა თქვენსა, თუ გაღებნა,  
მოიხმარენით!

4

დღე ვნატრით მზესა, ხაიამესა, დილა თქვენ განებნს,  
ლამე მოთვარე, ქველმოთარე, ხასიათ გვარებნს,  
ცისკარ-მოთებნი, სხვა ციხეები პირველ გვახარებნს  
და მერმე ჩრდილოს სასიყვდილოს  
ღრუბელს დაჭარებნს.  
ამ დღე-ღამეთა და ეპითთა დავიწარენით!

5

სიზმარს ვემონეთ ძილშეკონეთ, ნუთუმცა განახუ,  
სახე უსახო, სავახახო, — ეს განვიზრახეთ,  
სხვაშეცა პატრონი, ანუ დრონი, ვერღა დავსახეთ,  
ყარიბთა ბანი, გზის საბანი, ველით შევსჩახეთ.  
მოყვასთა სრულნი სწიხმით ცხელნი,  
მტკრთ იხარენით!22

მარტო ხაზგასმული ორი პოეტური ნაშრომით  
თქვენ აშკარად ვაგრძობინებთ ქართული რომანტიკოსების იმ ლექსებს, რომლებშიაც ანალოგიური გამოთქმები გვხვდება. ლექსშიაც — „ეარღო სასურო“ ნახშირის ფრაზა, ასე ნაცნობი რომანტიკოსებისათვის — „მედება ალი, გულსა...“ და ასე შემდეგ, რაღა ღირს თუნდაც გამოთქმა — „სვედის ყამი ესე, გულს დავისვი ვკალთა ხარო“, მაგრამ, კიდევ უფრო მეტი თანმხვედრი წერტილებია თხოვთმეტმარცვლივან, რთხხანოვან (ზუთ-ზუთ სტრიქონიან) ლექსში — „მოყედ აჲ, ძმანო“, რომელშიაც ასეთი პოეტური ფრაზებია: „ეზი ჭირთა მთქმელად“, „მწვანეს ცეცხლი ძველი“, „არ მიქვს თბინება“, „ამაღ ვრბი ველად“, „მოიტაცა გული, მსწრაფლ დაგულნი“, „მტუორქნა ისარი, წამ ის არი“, „იმღენა გონება, სურს მონობა“, „თვალნი ლამაზად ეწყის სიმდიდრით მიმოთარებნი, სუმბულ-კნამო, ვარდ-ყვარ-მინამო, მჭვრეტნი ხარობენ“, „ვფიცავ, იგ მზეა“, „მიმხადა ენობა, არა მიკნობა...“ (გვ. 50-51).

ბესიკის როლი ქართული რომანტიზმის წარმოშობა-განვითარებაში იმდენად აშკარა ფაქტია, რომ მთელი გამოკვლევა დაიწერება თუმაზე — „ბესიკი და ქართული რომანტიზმი“. ეს გარემოება სრულებით არ ამკვირებს არცერთ ჩვენს რომანტიკოსს, რომელიც არ უნდა იყოს იგი — გენიალური ბარათაშვილი, თუ ალექსანდრე კეჭევიძე ან გრიგოლ ორბელიანი — ბრწყინვალე წარმომადგენლები თავიანთი ლიტერატურული მიმდინარეობისა. მათ დროს, უაქვევლოა, ოქაბებში კითხვობლდნენ პატრიარქების პესიმისტურ-რომანტიკული ხასიათის ლექსებს, მაგრამ შეუდარებლად პოპულარული იყო ბესიკის პოეზია, სრულად ახალი, ორიგინალური, ლამაზი, მიმზიდველი ფორმითაც და შინაარსითაც. ეს პოპულარობა ორ საუფუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თითქმის აღარ შეწყვეტილა და ჩვენს დრომდე ვაგრძელდა. ევეკი არ გვეპარება, რომ ბესიკი სამუდამოდ შერჩება ქართული ლიტერატურის ისტორიას, როგორც მისი ერთ-ერთი დამამშვენებელი დავით გურამიშვილთან ერთად. მის გვერდით მდგომი, თუმცა ასე განსხვავებული ჩვენი დიდი ტრაგიკული პოეტისაგან, მის როგორც ფორმით, ისე შინაარსით.

მაგრამ ეტყობა ჩვენ უკვე გადავხვიეთ კონკრეტულ თემას, ამიტომ ისევ უნდა მივუბრუნდეთ ბესიკის ლექსების ანალიზს.

ახლა საჭიროა განვიხილოთ სხვა ზომისა და სხვა ფორმის ლექსები, რომლებშიც ბესიკის ლიტერატურულ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. პირველ ეოვლისა, ეს არის ბესიკის ყველაზე სახელგანთქმული, ყველაზე პოპულარული, ყველაზე ორიგინალური, ლამაზი, მიმზიდველი ლექსი, რომელშიაც პოეტმა მთელი თავისი მშვენიერების იდეით განხორციელდა. ეს იღვრა უფრო ადრევეტურ პოეტურ სახეებში ბესიკის არსად ისე ძლიერად არ გამოუხატავა.

გარეგანი

როგორც ნამდვილად უცხო შედეგში, რომელსაც „ტანო ტატანო“ უწოდებდა. დღეს არ არის არცერთი ქართველი კაცი, რომელსაც ეს ლექსი არ წაეცოდა, მისგან დიდი ესთეტიკური სიამოვნება არ მიეღოს, მისი პირველი ხანა მინც ზემოთ არ იცოდეს. ამიტომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ამ ლექსის შინაარსი არ გადმოვკეთოთ ან უფრო ხანის ციტრუსებს აღარ მოვახდინოთ და მთელი ნაწარმოები ისე განვიხილოთ.

როცა იწყებთ ბესიკის ამ ლექსის კითხვას, პირველ ყოვლისა, გრძნობთ მუსიკალური პანაგის პრეკლარებას, თითქმის მთავარი ელემენტობა, ხმების პარამონიული წყობა იყოს და არა სხვა რამე. ეს მუსიკალობა მიღწეული ზედა აღიერიტებით, კერძოდ, ბგერები — ტ, ა, ნ, ო, რითაც ლექსის პირველი სიტყვა იწყება, მეორედხან მომდევნო სიტყვებშიც — „ტატანო“, „გულწამტანო“, „უცხოდ მარებო“. შემდეგ ახალი ბგერები გამოდის თითქმის იყენენ კონტრაპუნქტის რუბები — ზ, რ, კ, ი, ბ, და, ლ, წ, ზ, თ და ქმნიან ერთმანეთთან მიჭრილ ალტერაციებს. პარალელურად, ძლიერი, თითქმის ყოველი ერთი ან ორი სიტყვის შემდეგ შინაგანი რითმები — „ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო, ხოლგო კავებო, მომწავეებო, ვერსარებო“, მომდევნო ხანებშიც, იშვიათი გამოწკილისს გარდა, უფროგან ისევე შინაგანი, ჩაროული რითმები — „თვალთა ნარგისი, დამდაგისი“, „ყელსა ბროლებსა, უტოლებსა“, „გუქნენს ხალეობი, მაყრამლები“, „ნარინენი ორნი, ტოლინი, სწორინი“, „შენად შესამკობლად“, პლიუს ყოველი სტრიქონის მართიშვა — მარებო (1), ვერსარებო (2), შემაზარებო (3), ხელნარებო (4), დარებო (5), წველადა (6), მკაედა (7), ველად (8), ხელად (9), დამაწარებო (10) ქმნიან პარამონიულად დამატკობელ მუსიკალურ გამას და მკითხველი მოყადობებული რჩება მთელი ლექსის ამგვარი, შანამდე უნრობი მდინარებით. უფლაფერი ეს დამშვენებულთა იმ შესანიშნავი, ულამაზესი ასულის პორტრეტით, რომლის მსგავსს მხოლოდ რენესანსული ფერწერა და ქანდაკება თუ გვაძლევდნენ ანტიკურის ბუნებრივი რემინისცენით. ბესიკი ხატავს უმშვენიერეს ქართველ მადონას, რომლის მიწერილი სილამაზე მარტოოდენ ტიციანის ან პუსენის მიღონებს თუ შედარება. ეს უცვე ისეთივე მძლავრი მხატვრული ყალმის მოსმია, როგორიც ეხერხებოდათ კლასიკური ხანის დიდოსტატებს. ეს უცვე იყო ბესიკის პოეტური იდეალის კონკრეტულ მშვენიერ სახეში განსტეულება.

მაგრამ რად გვიჩნდა უცხო პარალელური ვეძიოთ, როცა ბესიკის მადონა, თავადვე ბილომდე ულამაზესი ქართველი ქალი, უფლაზე უმაღლ მოგვაგონებს ტარიელის ნესტანასა და ავთანდილის თინათინს, „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ქალებს, რომელთა სახეებშიაც რუსთაველის გენიამ აამეტყველა ქართველი კაცის იდეალი სილამაზისა და ქართველი ქალის ოლითვე განთქმული მშვე-

ნიერება. რუსთაველის ქალთა უფლებადი უფლებები რომ არ ყოფილიყო, ბესიკის „ტანო ტატანო“ ვერ დაიწერებოდა. გარდა ამისა, განა ჩვენ კოტა გვაქვს ბესიკის შემოქმედებაში წმინდა რუსთაველური რემინისცენიები? რამდენიც გინდით: „ვარდასა ბალი გაეწითლა“, „არ უყვოდ“. „მიწურვალდა ზამთრისა ეამი“, „მელნის ტბა“ და სხვა არაერთი.

მაგრამ უფრო ღრმად დავაკვირდეთ იმ პორტრეტის განუმეორებელ სილამაზეს, რომელსაც პოეტი თავისი ოსტატური მხატვრული აღწერათ გვაძლევს. თქვენს წინაშეა ბესიკის სატრფიალ უმშვენიერესი, სათნოებით აღსავსე, ნატიფად ჩამოქნილი სახე, პოეტური იდეალი, რომელიც ზორაკელიცა და სულაერიც, მიწერიცა და ზეციერიც, შეხედეთ ამ ღვთაებრივად გარდაქმნილ უმაღლეს ადამიანურ სახეს: წერწერი ტანი, ზვეული თმა, საუბროთ თვალწარბი, ძირნისა და ლაღისფერი ბაგეები, თინათინ-ნესტანივით მთვარისა და მზის მსგავსი სილამაზე, ნარგისივით მიშხილველი თვალები, ბროლის ყელი, წითელ ლოყებზე მოკრძალებული ხალები, მკერდზე ორი, ეთნობარი, ფორთოხალის მსგავსი კოჭრები, აღვისტური მალაღ სტეული, ნატიფი მიხერა-მოხერა, მომაკედინებლად ლამაზი მკლავები, თლილი თითები, კვლდუი წელი, — და პოეტის აღტაცებული წამოახება — „ოდეს გნახვილი, შევიმარტი ათასნი წელინი“, ან კიდევ, სასუბითი ბუნებრივი განცდა, როცა ვხედავთ არადამიანურ სილამაზეს:

ბავშვდღმობიად ვიადურსებ, ბაგეო ვარდო!  
 თვალთა სურთან ხილვა შენი, კველა  
 მარდო!  
 გულსა სწუერიან დამაშვარალსა, რას  
 შეგაფარდო?  
 თუცა შენ დაგთმო, ვინდა ეკოვო, სად  
 გავიზარდო?  
 უშენოდ ხილვა არაეისი მსურს,  
 შევიზარებო!  
 შენმა გონებამ მიამსგავსა მილდულს  
 მთვარეს,  
 სიკოცლის ნაცვლად მოვინარტი სიყვდილსა  
 მწარეს,  
 მიოდით, მიჯნურნი, შემობრალეთ, მოკლეთ  
 ჩემს არეს,  
 მკედარი მიწერი დამიტრებთ, დამფლთ  
 სამარეს!  
 ვაჰ სიკოცლეთ უქუდმართო,  
 დანაცარებო!<sup>24</sup>

ამგვარი ამაღლებული, სულის სიღრმემდე ჩამწვდომი, უძლიერესი განცდები მართლაც დიდიფლდება უნაზესი პოეტური სულის იდამიანს, როცა ზედანს ეღწენსა თუ ვენერას, ნესტანისა თუ თინათინის მსგავსი სილამაზის ზორაშვსხმას. ამ დროს მართლაც დუმდება ბაგე, როგორც ტარიელისა, სულ გვიჩნდა ვუცქიროთ და ვუცქი-

რომ ღვათაბრივ შეენებას, დრმა განცდებით უკვე დაღლილ გულს წყურვილი ჰკლავს, სხვისი თება ან კიდევ პოენა აღარ შეუძლია, ტარეულივით ვემსგავსებით „მიღუელს მთვარეს“ და „მოვინატრით სიკვდილსა მწიარს“, ერთი სიტუვით, ხდენა ყველაფერი ის, რაც სტოკოვანაში არაერთგზის გვიჩანავს და მსოფლიო ლიტერატურასაც, როგორც „ტანო ტატანოში“ ბესიკს, არჩვეულებრივი ოსტატობით გამოუხატავს.<sup>25</sup>

მთელი ლექსი, როგორც წინათ განხილულნი, თოთხმეტმარცვლოვანია, აქაც ხუთი ხანაა, რომეზბეც ისევე გაწყობილი. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ბესიკის „ტანო ტატანო“ თავისი პოეტური იდეალით სიღამაზისა და მაღალოსტატური შესრულებით პირდაპირ შედევრია არა მარტო მისი ავტორის შემოქმედებაში, — ეს სოტაა ითქვას, — მთელი ქართული პოეზიისა, რომლის საუნჯესაც ასე დიდხანია ეს მარგალიტი ამშვენებს.

არის აქ კიდევ ერთი მომენტო, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მუდველობაში გვექვს ზოგადი ხასიათი ბესიკის ლექსებისა. პოეტის თოთქის ყველა ლირიკული ლექსი მინორით, მინორული ტონალობით გამოირჩევა. მაგორს, ამ სიტყვის პირდაპირი აზრით, ბესიკი არსად მიმართავს საესვებით გასაგები მიზეზის გამო: იმ გვარის ლირიკული ლექსები, ბესიკი რომ წერს, მინორის უფრო იმშვენებენ. უფრო მაგორთან რაიმე კავშირს. ბარათაშვილი, ქავჭავაძე, ორბელიანი ამ მხრივ საესვებით გამოირჩეულნი არიან. პარალელურად მინორისა, მათ აქვთ მაგორული ტონალობაც. საჭმარისია დავსაბელოთ „გარანი“, „სიფვარული, ძალსა შესსა“, „საღამო ვაგოსალმეზბისა“. ბესიკთან უკვე ასე აღარ არს, მისი პოეტური იდეალი სხვაგვარად წარმოგვიდგება. ბესიკთან დომინირებულაა მინორი, გარდა ერთი შემთხვევისა. ეს არის „ტანო ტატანო“, რომლის ყველა ხანა უფრო მაგორია და მინორული ტონალობა მხოლოდ შინაგან არსებაშია მიმდებარე, იქიდან იხედება, როგორც მაგორისადმი პოლარული ფენომენი.

IV

დიდხანია ცნობილია, რომ ქართულ პოეზიაში ბესიკი, გარდა იმისა, რაც საკუთრივ ლირიკის შესახებ ითქვა, ზემების ერთ-ერთი უდიდესი ოსტატია. ზემებით ლექსების წერა, საერთოდ, ნიჭთან ერთად, პოეტისაგან მოითხოვს ენის უღრავსად დიდ ცოდნას, ფართო განათლებას, ერობად, საჭიროა მას ჰქონდეს უმდიდრესი ლექსიკური ფონდი. ბესიკის ლიტერატურული შემკვიდრება ჩვენ უკვე უდიდეს ვეანკიფრებს ქართული ენის ლექსიკური ფონდის მთელი იმდროინდელი სიმდიდრის არჩვეულებრივი ცოდნით. „ესეებით სწორი ჩანს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ბესიკმა ქართული ენის ლექსიკონი ზეპირად იცოდაო... როგორც იოანე ბატონიშვილი

„კალმასობაში“ ამბობს: „მოუთხოვრებლად აწიფვის, რომელ სკოლნიდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული“.<sup>26</sup> სხვაგვარად პოეტი ვერ შეიძლება ის გავეყუთებინა ენობრივი ექსპერიმენტების დარგში, რასაც მისი ლიტერატურული შემკვიდრება შეიცავს.

თუ რა მაღალი აზრისა იყვნენ „ტანო ტატანოს“ ავტორზე მისი თანამედროვენი, კარგად ჩანს იოანე ბატონიშვილის სიტყვებიდანაც: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პოიტკოს-მოშაირე, მგავსი რუსთაველისა, რომელმანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერელო ქართულისა ენითა, და აგრეთვე სხვანიცა ლექსნიო“.<sup>27</sup> შედარება რუსთაველთან, როგორც ზემოთ ვავე ვთქვით, გადაჭარბებულია, მაგრამ ამათ ყველზე უკეთესად შეღავნდება ბესიკისადმი თანამედროვეთა უღრავსად მაღალი, შეკრეს მხრივ, შეიძლება ითქვას, მოკრძალებული დამოკიდებულება.

ახლა მოკლედ განვიხილოთ ბესიკის ზემური ლექსები.

თითქმის მთლიანად, მხოლოდ პირველი და მეორე სტროფების ჩათვლელად, ზემებით არის დაწერილი მშვენიერი ლირიკული ლექსი „დედოფალს ანაზედ“. ლექსალური ფორმის მხრივ იგი არის პირველ ნაწილში (1, 2, 3, 4, სტროფები) **ტავარცვლოვანი** — „ვარ ვინცე უცხო ყარიზი“, ხოლო შემდეგ (5, 6 სტროფები) **ათავარცვლოვანი** — „მიმილო ცნობა — არ ძალმომს მკობა“. ზმა გვხვდება არა მარტო დანარჩენ ოთხ სტროფში, არამედ, თითოეული მთვანის რამდენიმე სიტყვა ზმას წარმოადგენს: ანაო, ჩემისთანაო, თანისთანაო, განაო (მეორე სტროფი); ანამან, მიმოსთანამან, ანამან, ამისთანამან (მესამე სტროფი); ლამაზთანამან, პაჟიწანამან, შანამან, ამისთანამან, (მეხუთე სტროფი); შენთანა ბმული, წყალობიანად, შენთანა ხლების (მექვსე სტროფი).

თუ „დედოფალს ანაზედ“ კლასიკური ზმაა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ჩვენამდე მოღწეული დანარჩენი ზემური ლექსებიც ბრწყინავენი გონებამახვილობითა და ორიგინალური მიხვედრებით. ზემში ბესიკი ყველგან რჩება თავისი პოეტის ერთადელი. იმგვარ ზემურ ლექსებს წარმოადგენენ პოეტის შემდეგი ნაწარმოებები: „მობრნი ბატონიშვილებე“ (გვ. 87), რომელიც თორმეტმარცვლოვანია, სულ შეიცავს 5 სტრიქონს და ხუთვე ზმაა; „ანტონი კათოლიკოსზედ“ (გვ. 94), ერთადერთი ზმა რომ არის, აგებული **ლავანტიზე** — „საკვეველ სასუნელზე“ და წარმოადგენს ანტონ პირველის არა მარტო დღეარქონილი ენის, არამედ მთელი მისი არსებისა და ყოფის მომაცდინებელ სატირას.

დააკვირდით ზემებს ლექსში „მობრნი ბატონიშვილებე“: **მობრნი, გმობრნი, ზმობრნი, თქვენდა-მი რაან, გამგმობრნი, თანამედროვე მკობხველი-**

სათვის აქ ყველა სიტყვა გასაგებია, ერთის გარდა — ესაა ზიზიანი, რაც ნიშნავს გუნდურუკანს, როგორც ვარლამ თოფურია განმარტავს.<sup>28</sup>

გარდა ამ ლექსებისა, ბესიკის „ნარდზედ ზმები“ (გვ. 113) და „ქუარაკზედ ზმები“ (გვ. 114) ისე საინტერესოა გონებამახვილობით, რომ გვიინდა მკითხველმაც უშუალოდ გაიცნოს.

რამდენი გონებამახვილობაა, მაგალითად, „ქუარაკზედა ზმებში“:

„ნაზედ რა კობარ უკარად მე ფერხნი  
შვესლდგენ ღონითა,  
ვიღ ზღაზი ერის მეტ ლიზღით დამხმედ არ  
იყოს ხსონითა,  
ღიატურ კუდის კაპაი კიდედ ვერ განვლის  
ფონითა,  
აქ იში ითქმის, აქ ვაში, მათი რიდი მკაც  
წონითა“.<sup>29</sup>

ჭადრაკი, რუკა, მეფე, ლაზიერი, ებღო, მზედარი, კუ, პაიკი, ქიში, შაშათი — საუბარაკო თამაშის ამ სიტყვებზეა აგებული მთელი ლექსი და არა მგონია მისი დამწერა შეძლებოდა ადამიანს, თუ ქართული ლექსიკური ფონდის მთელი აღმრონდელი მარაგი კარგად არ ეცოდინებოდა. ბესიკის ეს დიდი ცოდნა, მისი სითამამე ნეოლოგიზმების შექმნაში, აგრეთვე, ისეთი სიტყვების ხმარება, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის განთქმულ ლექსიკონშიც არ გვხვდება, ხოლო არაერთი მათგანი დღესაც გუფგებარია და ასწლილი არ არის, დამაჩერებლადაა ნაჩვენებია აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მოკლე წერილში ბესიკის ლექსიკონის შესახებ.<sup>30</sup> ჩვენს დიდ, ცნობილ მეცნიერს ბესიკის შემოქმედებაში ნახშიარი ძნელად ვისაგები სიტყვების მის მიერ შედგენილი ლექსიკონი წიგნისათვის რომ არ დაერთო, თანამედროვე მკითხველს ბევრი რამ ამოუცნობ რეზუსად გადაეჭყუოდა, ხოლო თვით პოეტის ზოგიერთი ლექსი, მით უფრო ზმებით დამწერილი, სულ დაკარგავდნენ ესთეტკურ ღირებულებას. სამწუხაროა, რომ არაერთი გუფგებარია სიტყვა ლექსიკონში განმარტებული არ არის, მაგამ რაც არის, უეჭველად დიდი სარგებლობის მომტანია. მკითხველი აკადემიკოს ვარლამ თოფურისას მიერ შედგენილი ლექსიკონით უფრო ახლოვებს პოეტის შემოქმედებას და უფრო ღრმად იჭრება ბესიკის ორიგინალურ პოეტურ იდეალთა სამყაროში. ისიც ვასათვალისწინებელია, რომ „ტანო ტატანო“ ავტორი არქაიზმების, კომპოზიციების, ნეოლოგიზმების ხმარების გარდა, სიტყვის ხშირად შეარბილებას ხოლმე მორე სიტყვას და ჩვენ დაკვირვება გვპირდება როგორმე მიუხედავდეთ პოეტს: ბარე, ბარა ნაშნავს ბარს ანუ ვაე ადვილს, მისცარი — მისის, მშიათს — ხმას, დგმათს — დგას, ვაიოს — ვაის, ტენევა — ტენეს, ლენევა — ლენეს და არაერთი სხვა, როგორც ამის შესახებ ვარლამ თოფურისას წერილშია ნათქვამი. მას არც ის დამუშავებს, რომ „ვანუმარტავი დარჩა ანანთქე-

ბაში ნახშიარი ასეთი სიტყვები: **სამარტავი მამარტავი**  
**ფარბითი, უქს ფერქრობით, ჰამედ** და მისთანანი“. ქართული ენის ლექსიკის ცოდნაში ბესიკი მართლაც ენციკლოპედიატი ჩანს, მისი პოეტუკალიცენცია სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

V

ბესიკი პოეტურ შემოქმედებაში პოლემიკის, კამათის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელია. კრიტიკის ეს ფორმა ცნობილია ცერ კიდევ ანტიკური ლიტერატურიდან.<sup>31</sup> ამგვარი კრიტიკის ცენტრალური ფიგურა ბესიკის პოეზიაში მხევებზე ორბელიანია, რომლის შესახებაც „თანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ ამბობს: „...კაცი შესახედავად მსგავსი ესთავსი (მამასადამე, გონჯი, მხანჯი, როგორც) უნევენადმცველი დიდი ეხოზე იყო — გ. ჩ.), და ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწევნილი, ღვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი, და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარსიტყვაობასა შინა მარჯვე და პასუხის უცხოედი მიმგება, მესტიხეობასა შინა ქეხბული, და მსაჭურლოსა საქმეთაჲსა შინა გამოცდილი. მან აღზარა რიოდენიმე მოწაფენი. ამაწვე სთარგმნა ძველი საფილოსოფოსო წიგნი, „პერიარმენიად“ წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მეფეთაგან მიჩნეულ, რომელიცა შეაქუცვდის ხუმარსიტყვაობითა, რომლისა ანეგდოტნი მრავალნი, მისგან ნათქვამნი, უწყიან ქართულთა“.<sup>32</sup>

აი, ამ ტანად ბატარა, სახით მახინჯ კაცს, მაგრამ ჭკულითა და ცოდნით ძლიერ მოღვეწეს, სამეფო კარზე დიდად მიღებულ აღამაზის ბედმა შეაქაზა ბესიკი, უფრო სიღამაზის მოტრიალელ პოეტი, ვიდრე ამ რანგში ამაღლებული, როგორც მის სახელგანთქმულ მოწინააღმდეგეს ჰქონდა. მაგრამ ბესიკს არ უყვარდა უყნადხევა, იგი მთელი ძალით ეძვრა თავის მოპირდაპირეს შემდეგი გამანადგურებელი სატირაული ლექსით „მზეჭაბუკ ორბელიანს“:

დამპალე ლეშო, თვალებენეშო,  
გულდადარაო,  
ემშაკო ბედო, ბეჭმარედო, კერპო  
სადარაო...  
ვინი დაგინახეს, ესრეთ იტყვის:  
„აი ჰაბუაო!“  
ვინი კარგად გიცნობს, გაიღმებს:  
„დიდი ცრუაო!“

ამგვარი მოუტიოდებელი, გამანადგურებელი, პირადად შეურაცხყოფილი სიტყვა-ეპითეტებით „ამკობს“ მოთმინებიდან კამოსტული პოეტის თავის საშინო, ძლიერ მოწინააღმდეგეს მიუღ ლექსში და დაუფარავად გამოაქვს სააშკარაოზე მისი არაერთი ნაკურ. როგორი ვადამარტავებელი არ უნდა იყოს ეს უბარესად დამამკურებელი სიტყვები, მათში უაქველად არის გარკვეული სიმართლეც.

პარალელურად ბესიკი მიძღვნილია და პანე-გორიელი ლექსების ავტორიცაა. ამჟამად ჩვენი დიდი ინტერესის შემკველია დავით ორბელიანისადმი ბესიკის ერთ-ერთი მიძღვნა, რომელშია პოეტი გვაძლევს მნათობთა რიგის თავისებურ, უფრო სწორად, ტრადიციულ ვაგებებს. ამ ლექსის ასტრალური საფუძვლი პრინციპულად განსაზღვრავს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ მნათობთა რიგისაგან და ძირითადად იმეორებს პტოლემეოსის „ალმაგესტს“. ჩვენ ეს საკითხი — პტოლემეოსისა და რუსთაველის ასტრალური კონცეფციები დასაბამებული გვაქვს სხვა ნაშრომში.<sup>34</sup> ამიტომ დაწერილობით აქ აღარ შევხვებით. ბესიკის ლექსში მნათობთა რიგი ასეა წარმოდგენილი: პირველი ადგილი უჭირავს მთვარეს, მეორე — ოტარიდს, მესამე — ასპიროზს, მეოთხე — შუეს, მეხუთე — შარბის, მეექვსე — მუშთარს, მეშვიდე — კრონოსს, მერვე — ზოდიაქოს — „ეს კარავო სეპტრო, რიქვ ათორმეტრო“, მე-9 — ცისკრის ეარსკლავს — „მთივ ცისკარო, თუნა მიმყარ“. ეს არის ბესიკის ასტრალური კვებათა რუსთაველთან ერთ მნათობთა შემდეგი რიგი გვაქვს: პირველ ადგილზეა შუე, მეორე უკავია ზუალს, მესამე — მუშთარს, მეოთხე — შარბის, მეხუთე — ასპიროზს, მეექვსე — ოტარიდს, მეშვიდე — მთვარეს, პტოლემეოსის „ალმაგესტში“. სამყაროს ცენტრად დედამიწა რომ არის წარმოდგენილი, პირველ ადგილზეა მთვარე (ბესიკი ასე იქცევა). მეორეზე — შერკურო, (ანუ ოტარიდი — ბესიკთანაც იგივე სურათია), მესამეზე — ენერა (იგივე ასპიროზი, როგორც ბესიკი ხმარობს), მეოთხეზე შუე (ბესიკთანაც ასეა), მეხუთეზე — შარბ (ანუ შარბი — ბესიკთანაც ასეა). მეექვსეზე — იჰპიტერი (ანუ მუშთარი — აქაც ბესიკი არ არღვევს პტოლემეოსის ტრადიციას). მეშვიდეზე — სატერნი (ანუ კრონოსი, როგორც ბესიკთანაც).

როგორც ვხედავთ, ბესიკი უცვლელად იმეორებს პტოლემეოსის „ალმაგესტში“ მოცემულ მნათობთა რიგს. ამას აკეთებს ჩვენი პოეტი მე-18 საუკუნის ბოლო წლებში, როცა კოპერნიკის, გალილეის, ვეზულის, ბრუნოს ასტრონომიულ პელიოცენტრისტულ თეორიებს უკვე ჩამდენივე საუკუნის ასტრონომი აქვთ. მართლაც რა დიდია რუსთაველი, რომელიც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის მიწურულს, ზემოთხსენებული დიდი მეცნიერების დაბადებამდე საუფუნეობით ადრე, აღარ მისდევს „ალმაგესტს“ და იძლევა მნათობთა პელიოცენტრისტულ სურათს.

და მაინც ბესიკის შემთხვევა გასაკვირი არ არის, ვინაიდან არა თუ მე-18 საუკუნის ბოლო წლებში, დღესაც კოტა როდია შიოფლიოში ადამიანი, რომელიც ჩიუტად იმეორებს პტოლემეოსის გეოცენტრისტულ თეორიას. ბესიკი, დიდი განათლებული მოხუცდავად, როგორც ვხედავთ, მნათობთა რიგის წარმოდგენაში არ მიხვედბოდა რუსთაველის ვხსს, თუმცა მისი პოეზიის არამ-

ტრო პათივისმკველი, უპიკვალად შეზღუდული იყო.

ამ ასპექტში შემდეგი რამ უნდა გავიხსენოთ: ბესიკი, როგორც უაღრესად განათლებული კაცი, შრავალმზრები შემოქმედია არამარტო თავისი ფორმებით, პოეტური იდეალებითაც. ამის დამადასტურებელია ის ვარაუზობა, რომ ჩვენი დიდი რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ფეშანგის, ნოდარ ციციშვილის, გურამიშვილის შემდეგ ქართულ პოეზიაში ბესიკი ომონიმებს, მამასადამე, მაქაშების ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატია. მისი პოეტური შემკვიდრების საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი მაქაშური ხასიათის ლექსებისაგან შედგება. რუსთაველის შგავსად, ბესიკთან გვხვდება როგორც სრული, ისე საშუალო და არასრული მაქაშები.<sup>35</sup>

მაგრამ ახლა შევეხებით გრძელ ლექსს „ასპინძისათვის“.

როგორც პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, ბესიკს ძალიან უყვარებია დავით სარდალი, რომელსაც მიძღვნა პოემა „ასპინძისათვის“ და სულ მაქაშებით დაწერილი ორსტროფიანი ლექსი „აწ აჯა-ქენვით“. თუ რა ხასიათი სქონდა ბესიკის მაქაშებს, რომლებშიაც ის უველგან ცდილობს იყოს ორიგინალური და არ დაეშვავს ქართული პოეზიის ტრადიციულ მაქაშებს, მოულოდბელს რუსთაველის დროიდან, თეიმურაზ პირველისა და მისი მომდევნო პოეტების ჩათვლით მე-18 საუკუნის 80-იან წლებამდე, კარგად ჩანს ზემოხსენებულ ლექსშიც. დაეკირდით მის აღნიშვნას, ომონიმური რითმების მიჭრას, საერთოდ, ლექსის მთელ კონსტრუქციას:

„აწ აჯა-ქენვით ჩემს კალამს  
 ვარქვ, რათა გძღვნიდეს შენ საღამს,  
 სიტყვით მართვიდეს თეთრს ალამს,  
 უღწვიდეს ჩემს ველს დღეს მაღამს;  
 სადა ყარბი ჰგებს და ლამს  
 სათხარად მიწას, მტყერს და ლამს,  
 მოხედვა ვალად სძევს ალამს;  
 სიკედილი პარსა მცემს, მაღამს!“

აქ უველაფერი გასაგებია, თუმცა ბესიკის პოეზიისათვის ეს ლექსი არ არის ისე მსუბუქი, როგორც ზოგიერთი სხვა ნაწარმოების ბუნებრივი მდინარეა მკითხველს ხიბლავს და ატყუებს.

რით იყო გამოწვეული არამარტო ბესიკის, საერთოდ, მე-17-18 საუკუნეების პოეტების ასე გატაცება მაქაშებით, კერძოდ, რუსთაველისა და თეიმურაზის შემდეგ?

სამართლიანად წერს პოეტი გიორგი ლეონიძე, რომ მაქაშის გამოყენება „იმ დროისათვის, როგორც მოდა, მაღალი პოეტური ტექნიკის ნიშნად ითვლებოდა“.<sup>36</sup> ეს სრული სიმართლეა და ბესიკიც ამიტომ უძალეობდა ომონიმებს, რაც ზოგჯერ მის ლექსებს ხელოვნურობის ბეჭედს ასე ვამდა, მოხუცდავად გონებაშევიღერი მიგნებო-

სა აღელი წარმოსადგენია, თუ ასე დავმართო ბესიკს, პოეტური ნიჭით სავსე კაცს, რა მდგომარეობაში იქნებოდა „შანაფაზიანის“ 90 მაჟამა, გიორგი ლეონიძეს რომ გამოუთვლია და თან აღუნიშნავს: „მართალია, ფეშანავის მაჟამებზე, ისევე როგორც სხვა პოეტებისა, უმეტეს შემთხვევაში სუშპურულია და შინაგანი სიკარბელის მანკვენებელი, მაინც თავისებური ცდაა ოსტატობისაო“. ბესიკის ცდები კი ნამდვილად ოსტატურია და ერთბაშად კიდევ გვიდასტურებს, რომ მაჟამა „ჭარბოდ ზმასთან ერთად, სასახლის ლხინების ერთი სამკაულთაგანი იყო. მაჟამას „იკითხავდნენ, და თარგმნიდნენ“, იგი „საძებარ სთარგმანებელი“ იყო და, ცხადია, უველაზე მეტად მაჟამის მოძებნაში ანუ „თარგმანში“ კარის მგოსნებზე უნდა ყოფილიყვნენ დახელოვნებულები, როგორც განუშორებელი მონაწილენი სასახლის მეფლისებისა და ნადიმებისა“.<sup>67</sup>

უპირველად სწორი მიგნებაა და არავითარ დამატებას ან განმარტებას არ საჭიროებს.

### V

ლექსებთან ერთად ბესიკმა დავვიტოვა პოემები, მიძღვნები, რომლებსაც ჩვენ დაწერილებით არ განვიხილავთ. ამ პოემებში და მიძღვნებში ბესიკის პოეტური იდეალი ლარიკიდან ეპოსზე გადადის. ტანატო თავის თავს არც აქ ღალატობს, რასაც მიძღვნა „ასპინძისათვის“ ერთბაშად კიდევ გვიჩვენებს.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ერეკლე მეფის სამხედრო გენის ერთ-ერთი დამადასტურებელია 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ომი ოსმალთა წინააღმდეგ. მტრის დიდი ჯარის წინაშე მარტო დარჩენილი მეფე, შედარებით მცირერიცხოვანი ლაშქრით, როცა იგი ვენერალმა ტოტლებენმა ვერაგულად მიატოვა აწეურთან, ბრწყინვალედ იმარჯვეს ოსმალებზე და თბილისში მშვიდობიანად ბრუნდება. მდგომარეობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში დამახული იყო: არც ერეკლეს, არც სოლომონ პირველს, რომელიც იმერეთის ტახტზე 1751 წელს ავიდა და 33 წელიწადი გონივრულად უძღვებოდა თავის ხალხს, მოსვენება არ ჰქონდათ. საგარეო მტრებს ემატებოდნენ შინაურები, აღზევებული მსხვილი ფეოდალების სახით. ჯერ ხრესილში 1757, შემდეგ ჩხერში 1774 წელს სოლომონ პირველის მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი ოსმალებზე, ისევე როგორც ერეკლეს საარაყო გამარჯვება ასპინძის ომში 1770 წელს, შიველი საქართველოსათვის დიდი შვების მომცემი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქვეყანა ისე შეაიწროვეს ლეკებმა, ოსმალებმა, სპარსელებმა, რომ მას თითქმის განუწყვეტელი ომები ჰქონდა მომხდურ მტრებთან. ამ დროს ბესიკი სულ ახალგაზრდაა, როგორც პატრიოტი, მწვავედ განიცდის სამშობლოს აწეწილ მდგომარეობას, რასაც აძლიერებს პირადი

ხედრაც — ოჯახის აწიოკება, დაწინაურების ვარულშიც გაუტანლობა, და მას სწავლება, ვის წაუფლავს ახარებს ასპინძის ომში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება, მით უფრო, რომ ამ დიდ ისტორიული აქტის მონაწილე იყო დავით სარდალი — ერეკლეს სიძე და პოეტის ახლო მეგობარი, უფრო მეტიც — ჰეცენატი პირდაპირი გაცემით.

პოემა „ასპინძისათვის“ დაწერილია თექვსმეტ-მარცკლოვანი ლექსით, სულ 28 ხანაა, თითოეული ოთხი სტრიქონისაგან შედგება. მასშალადად, შიველ პოემაში 112 სტრიქონია და თითოეული მათგანი შერითმულია, როგორც აქ პირველსავე ხანაში:

ასპინძის მიწა გიწამებს, ურგებ არს  
ჩემგან თქმულები:  
რეს-ქართველ-კახნი მოადგნენ აწეურსა  
დაჩაზმულები,  
მენით წყალს — ლენი ჩაქულნი,  
დალისტრის ბიჭად თნულები,  
და ოსმალთ რაზმი ურბიკვად, მითთანვე  
შენართულები“.<sup>68</sup>

ასე შედარებით ნათელი, მსუბუქი ენითაა დაწერილი შიველი პოემა.

მაგრამ ვინ იყო დავით სარდალი, რომელსაც ბესიკმა შიველი პოემა მიუძღვნა? იგი იყო ერეკლეს დროის ერთ-ერთი გამოჩენილი პირი, სახელოვანი მოღვაწე, რომელიც სამხედრო ტანატოს გარდა, დაჯილდოებული ყოფილა პოეტური ნიჭითაც. მას სპარსულიდან უთარგმნია „უხარამინიანი“, როგორც კორნელი კეკელიძე შენიშნავს, ყოფილა „ქველი, მამაკი და გმირი“. ბესიკის ახლო მეგობარი, დავითს პოეტმა „ასპინძის“ გარდა მიუძღვნა სამი ოდა: „მნათობთაღმი“, „რაც მიირჩეა სოფელმან“, „კრებლთა მღინარე“.<sup>69</sup> როგორც კეკელიძე ამბობდა, მაგრამ ჩვენს დღე მკვლევარს ვერ შეუნიშნავს, რომ დავითს ეძღვნება ამ ოდების გარდა, ლექსები: „ბედისაღმი“, „სხვისაღმი“, „ეტრზედა“, „აწ ავა-ქვენი“, ბესიკს მეტისმეტი ძლიერი გრძნობით ჰყვარებია დავით ორბელიანი — განთქმული სიძე-სარდალი ერეკლე მეფისა. მაგრამ, როგორც ზნორად ხდება ხოლმე, ნიჭიერი და გამოჩენილი მოღვაწე სასახლის ინტრიგების მსხვერპლი გამხდარა, თანამდებობრივად დაუქვეითებლად, შესაძლოა, შურისა და მეტისმეტი პოპულარობის გამო.

ბესიკს რომ დავით სარდალი — ორბელიანი ძალიან ჰყვარებია, ნათლად ჩანს იმ თხზულებებშიდან, რომლებშიც მოვიხსენიეთ.

ვიღებ „ასპინძისათვის“ ანალიზს გავაგრძელებდეთ, უმჯობესია ოდები განვიხილოთ, რომლებშიც შექმნილია ქართველთა სარდალი, კერძოდ, ლექსში „მნათობთაღმი“, რომელიც მანვე იტყობს პარალელურად ჩანს, რომ დავითს რაღაც საფრთხე თუ უბედურება ემუქრება და

პოეტი გულმოდრულად ეაჩება ციერ მნათობებს, შესთხოვს მოწყალებასა თუ შეწყენას. მსგავსად ავთანდილის მიმართების ასტრალური სამყაროსადმი. მთელი ლექსი არამარტო ოდაა, პირველყოელისა ლოცვა და ევდრებაა, რომ სამსონის ძალის გმირი, შეუდარებელი ლომი სარდალი, რომელსაც სავსეო ბრალდებები აქვს წაყენებული, ოთხჯონს წულელითაა განწირული, სიკვდილს ნატრულობს, ბნელში წევს, ბედკრულია, მწარედ გლოვობს, შესაბრალოსა მზისადარი, რომელსაც გული უკედება, სიციოცლის დღეები აკლდება, ავმართ ტანჯვა-ვაება, ვანუ-ღოთ ვარი და ჩვენც გაგვახარეთ მისი ხილვის მონატრულებით.

ეს ლექსი, ეიფორიებით, მარტო ოდა კი არ არის, როგორც დღემდე იხსენიებენ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ, ლოცვა-ევდრებაში გადასული ენკომია, რომელიც პოეტურად გვიხატავს დავით სარდალს — დავით ორბელიანის პირად ტრაგედიას.

რაც შეეხება დავით სარდალისადმი მიძღვნილ დანართენ ლექსებს, ისინი თითქმის იმავე ხასიათსაა, რაც „მნათობთადმი“, და სამწუხაროა, რომ არცერთ მათგანს, როგორც ბესიკის ლექსებს საერთოდ, თარიღი არ უხვია, რის გამო მოკლებული ვართ სიამოვნებას ზუსტად ვიცოდეთ, თუ როდის დაიწერა ისინი, რომ ისტორიულ მოვლენებს შეეუფარდით. მაგრამ ერთი რამ ცხადი ხდება: პოემა „ასპინძის“ გამოკლებით, ყველა ლექსი, რომლებიც მიძღვნილია დავით ორბელიანისადმი, ერთი ძირითადი თემის ირგვლივაა დაწერილი და ეს თემა — შეუდარებელი, ლომის მსგავსი სარდალის უბეში ცილისწამებით დასჯის გამო პოეტის ურცა-წუხილი.

განვიხილოთ ზოგიერთ მათგანი ცალ-ცალკე. ლექსი „ცრემლთა მდინარე“, რომელიც „თქმულა სპარსთა ზმის რასტის გეზაზედ: კილი გლოვისა“, აქვს ეპიგრაფი, რომელიც წინასწარ ზოგადად გვაუწყებს თემის არსებას და გვამზადებს მთელი ნაწარმოების შინაარსის გასაგებად. ვიდრე თვით ეპიგრაფს ვავეცნობოდეთ, ყურადღება გვინდა მივაქციოთ გამოთქმის — „სარდარო! (რაც წიწნავს სარდალს, ამ შემთხვევაში დავით ორბელიანს — გ. ჯ.) რუსეთით ყარობი“ წესს ამ ლექსით, — გვიუბნება პოეტი. უნდა ვთვლით იმით, რომ ალბათ ეს არის 1778 წელი, როცა იმერეთს გადაეცვიწილი ბესიკი სოლომონ პირველმა სპარსეთში გადაგზავნა სპეციოდური მისიით და იგი რუსეთის გზით, ასტრახანიდან ზღვაზე ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ჩავიდა დანიშნულების ადგილზე. მთელი ლექსი, როგორც პოეტი აღნიშნავს, დაწერილია გლოვის ხმაზე, შაშისადამე, მარტო ოდა კი არა, თავიდან ბოლომდე მოთქმა-გოდებაა.

თ, მთელი ეპიგრაფიცი: „სარდარო! რუსეთით ყარობი ხადელისა მელნიით აღწერი შეფართოკანისა კალმისა შეეწეველდე გულსა სახმლისა ევლით და მერით გამო ზმამწერევილი, ა.ა.

სადაით სად, სიხარულო, შენ გაიყვანე სიყვარული შენი, შენგან კიდევან ქმნილი“.<sup>40</sup>

ახლა ვნახოთ რა არის თვით ამ ცხრაშეგმარცვლიან ლექსში, რომელიც ასე კარგად ამართლებს სახელწოდებას — „ცრემლთა მდინარე“. აქ მართლაც ცრემლების ისე ძლიერი დენია, რომ მდინარედ არის ქცეული.

გულმოკლედი პოეტი ასე მიმართავს უბედურებაში ჩავარდნილ დავით სარდალს: როგორღა გიხილო, როცა სისხლიან ცრემლთა მდინარეს მიუყურია ჩემი ზედეა, ამქვეყნიური ბრკვალი, როგორც ვრიგალი, ჩემს ბუდაც მისწულა, მზის ფერი დრო, ბნელს რომ ათენებდა, სად გაქპრა, ნუთუ ბოროტმა გველმა ცილი დაგვამა უებრო გამოს, და შენც სვედა შეგვარაო.

ბესიკმა პოემებში — „რუხის ბრძოლა“, „სამძიშარი“, „რძალდემამთილიანი“ თავისი პოეტური იდეალი განაბორცელო ეპიკური ვანრიით. პირველი პოემა ეხება 1780 წელს მოშდარ ისტორიულ ბრძოლას რუხის ციხესთან; წარმოადგენს ფორმითაც ორიგინალურ ნაწარმოებს — პოეზიაში შეჭრილია პროზა, რომელიც ისტორიულ ფაქტებს განმარტებდ ემსახურება. მეორე — თავიდან ბოლომდე პატრიოტული ნაწარმოებია საქართველოს უყდმართ ბედზე მგლოვიარე პოეტისა, რომელმაც 1781 წელს დაკარგა შეგობარი ლეონ ბატონიშვილი. მესამე — ყოფაცხოვრებითი ხასიათის პოემაა, რომელიც გურამიშვილის „ქაცვია მწეუმთან“ ერთად ქმნის ამ ეანრის თხზულებათა ძლიერ ტრადიციას ჩვენს ლიტერატურაში, რძალ-დემამთილის ცნობილი დამაბული ურთიერთობა აქ მრავალმხრივია ნაშევენბო.

ამ პოემებშიც ბესიკი, როგორც ლექსის ოატატი, გვიბილავს თავისი ორიგინალობითა და პოეტური განსწავლელობით.

VII

ბესიკის პოეტის შესაბე კონრელი კეკელიძე ამბობს, რომ პოეტი გამოირჩევა „სალექსო ზომათა მრავალგვარობითო“. ეს საესებთ მართალია. ძნელია მოინახოს მე-18 საუკუნის მწერალთა შორის მეორე პოეტი, გარდა დავით გურამიშვილისა, რომელსაც ლექსის ამდენი ფორმა და გვარი ჰქონდეს გამოყენებული. ქართული პოეტის ისტორიაში ბესიკს ამ მხრივაც თვალსაზრის აღვილი უეყია. იგი „...ხმარობს: 1. ოცმარცვლიან ჩახრუხაულ ლექსს, რომელშიაც სტრიქონის პირველი ხუთი მარცვალი ერთიშებმა იმავე სტრიქონის მეორე ხუთ მარცვალს, ხოლო დანარჩენი ათი მარცვალი შედგენს სტრიქონთა თ მარცვალს, ანდა სტრიქონების შინაგანი რითმებით ტაეში იძლევა შემდეგ კომბინაციის: 5-5, 7-7, 8-8; 2. ცხრაშეგმარცვლიანს, რომელშიაც თითოეული სტრიქონის პირველი ხუთი მარცვალი ერთიშებმა იმავე სტრიქონის შემდეგ ოთხ მარცვალს, ხოლო ტაეისი ყველა

სტრიქონში მოცემულია რითმების კომბინაცია დანარჩენი 10-14 და 15-19 მარცვლებისა; 3. **თექვსმეტმარცვლიანი რუსთველურის...**; 4. **თხუთმეტმარცვლიანი**, რომელშიც ხანდახან შინაგან რითმათა შემდეგი კომბინაცია გვხვდება: 10-10, 5-5; 5. **თოთხმეტმარცვლიანი**; 6. **თარმეტმარცვლიანი**; ერთ შემთხვევაში... ჩვენ გვხვდება ძველი ვალესური 12-მარცვლიანი იამბიკი შპოლოდ რითმითაი, ამს გარდა, მას აქვს აგრეთვე 11, 10, 8, 7-მარცვლიანი ლექსები; წინა დროის შელექსებებთან შედარებით, მას ახლად შემოულია 19-მარცვლიანი ლექსი<sup>41</sup>.

სამწუხაროდ, კეკელიძეს არ აღენიშნავს, თუ გამორჩენია ეს გარემოება, რომ ბესიკის ლექსებს არამარტო ზომათა მრავალგვარობა გამოარჩევს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვათა ხელოვნური კმანდობაც. გაოცებული რჩებით, როცა მშენიერი, ნაკადღლივით ბუნებრივად მოზღინარე ლექსების პარალელურად ცვათხლობით ძალდატანებულ, თვითმზიზნობრივად შედგენილ, ერთმანეთთან მიჯრილ ფრაზებს, გამოთქმებს, უაღვლოდ ნაზარ კალკულ სიტყვებს. იტყობდა ფორმით, ორიგინალივით. ექსპერიმენტით მეტრისმეტრ გატაცება ისეთ უნიჭიერს პოეტსაც კი დაახინებს ზოლზე, როგორც ბესარიონ გაბონ-ვაბაშვილია.

ამ საკითხს უნებლიედ მივეყვებით პოეტია-ლიცენციასთან, რისაც ასე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ანტიკურ ლიტერატურაში, კერძოდ, პლატონი და არისტოტელე.

თუ რომელიმე ქართველ პოეტს ყველაზე მეტად გამოუყენებია პოეტია-ლიცენცია, ამ მხრივ ვსჯებით ბესიკი უძველად გამოირჩევა. ამ ვერ ვხვამ მისი ვერცერთი ლექსი, ვერცერთი პოემა, რომელშიაც ლიცენცია-პოეტია არ გვხვდებოდეს. თითოეული ლექსიდან მარტო თითო-თითო შემთხვევა რომ ამოეწერათ, საკმაოდ ბევრი მაგალითი დაგიგროვდება. ეს მაგალითებია: **დანახსოვნები** („სვედის ბაღს შეველ“), **დასახინარე** („მე მივხვდები მაგას შენსა ბრალესა“), **კრაზნს ევაღრა** („ბუღბუღი მოდის მწუხარებით“), **მღუმრიად** („ტანო ტატანო“ — ეს ლექსი ხომ პოეტია-ლიცენციის კლასიკური ნიმუშია, ის ხომ თითქმის ყველა სტრიქონშია), **ვკლა გარეს** („მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“), **უკვათა** („დედოფალს ანახედ“), **მე ვტიარ** („ბუღბუღსა შერსა“), **დაუთვალილი** („მე შენი მგონე“), **გამოიფლით** („კრემლთა ისხარნი“), **გზარადდეი** („უარდო სასურო“), **მჩან** („მიწურვილობდა ზამთრისა ეამი“), **იგ მზეა** („მოვედ აქ მშობი“, სხვაგან ბესიკი ხმარობს ნორმალურად — იგი), **იღრიდი** („რა გული დავაგე შენად სარებლად“), **მშვენს** („შავ გლახ გულო“, **შევეხით** („ხმა სირინოს“), **ამატინანანი** („შენი შაშენი“), **გშვენს** („იადონს ის ვვარდა“), **შეაშავა** („სტეცენს ბუღბუღი“), **მოლოდანი** („საერი ციხამიანი“), **უკან** („პირველსიმდაბლეს ადუკარ“).

როგორც ვხედავთ, ბესიკის ყველა ლექსში

გვაქვს პოეტია-ლიცენცია. ჩვენ, მართლაც, თითო მაგალითი ამოეწერეთ თითო ლექსიდან. მაშინ, როცა ყოველ მათგანში ამგვარი შემთხვევა 1-დან 4-მდე გვხვდება. მიძღვნება, პოემებსა და ოდებშიც იგივე მდგომარეობაა, მაგრამ ჩვენ მაგალითებს აღარ ამოეწერთ. შეითხველს თვითონვე შეუძლია ბევრი მათგანი ადვილად შეამჩნიოს. ბესიკი ისე სრულყოფილად ფლობს ქართული ლექსიკური ფონდის მთელ სიმდიდრეს მე-18 საუკუნის ზონაცემების ჩათვლით, რომ მისი თხუთმეტმეტრიანი ამოწერილი სიტყვებით თავისუფლად შეიძლება ქართული ენის ლექსიკონი შეგვედგინა. ენის საუნჯის ასეთი ცოდნა პოეტს აძლევს დიდ სითამამეს სიტყვების თავისუფალ ხმარებაში, გარდა ამისა, შესაძლებლობას ნებისმიერად მოიმარჯვოს თითოეული მათგანი, მისწი-მოსწიონს, დააბოლოავს, როგორც დაჭირდება, ჩატეხოს, ჩაამატოს, მიუმატოს, გამოაყლოს, სახე შეუცვალოს, შექმნას კომპოზიტებისა და ნეოლოგიზმების საესე არსენალი. უმეტეს შემთხვევაში პოეტი ამ მიმართულებითაც უძველად გარკვეულ ფაქტს აღწევს, მაგრამ ბევრგან მისი ლექსი ენობრივი ექსპერიმენტების შედეგად მშობდება, რებუნად იქცევა, შეითხველი კარგავს აზრისა და გრძნობის თანამდევრობას, გაკვირვებული რჩება, რომ საამერი, სასიამოვნო, მაღალმუსიკალური პოეტური სიმღერების გვერდით უხდება მძიმე, ზოგჯერ გაუგებარი, ბესიკის სინარნარისათვის შეუფერებელი სტრიქონების წაკითხვა. კონკრეტულ მაგალითებს აქ არ მოვიტანთ, თავთავს ადგილზე თითოეულ მათგანს ცალკე გამოვყოფთ, როცა ჩვენს ნაშრომს პოეტური ენის შესახებ გამოვაქვეყნებთ.

სრულიად ნათელი ხდება, რომ თვითმზიზნობრივი ენობრივი ექსპერიმენტები, მეტრისმეტრ და-წოლა ორიგინლობაზე და საკუთარი ხმის გდამკარბებელი ძიება ისეთ ტლანტსაც მიაყენებს ზოლზე ზიანს, როგორც ბესარიონ გაბაშვილია. ხალდე ბესიკი ბუნებრივად წერს, იქ ის შეუღარებლად ლამაზ, მიმზიდველი და აღმფრთხივანებელია, ხოლო სადაც ენას ან მხატვრულ სახეს მეტრისმეტრად აწევათ თავისი ძლიერი პოეტური ნიჭით, იქ კარგავს ყველა საკუთარი ღირსება ძირითად შემადგენელ ნაწილებს. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, იქნება სჯარაზე შესრულებით ეს მძიმე, ზოგჯერ ტლანქი ლექსები ბრწყინვადენ, როგორც სხვა „დაუმღერებელინი“, მაგრამ სიტყვებს ხომ მსმენელები ვერ გაიგებდნენ? იესუცა, რომ ჩვენ ყარგი მუსიკის მოსმენის დროს თუ ზოგიერთი სიტყვა არ გვემისს, დიდ სინაულს არც ვანიციდით. რაი თვით კარგი მუსიკა ახდენს გაუგებარი სიტყვის კომპენსირებას.

როგორც პოეტს, უკვე აღნიშნული გვაქვს. ბესიკს იმდენად დიდი სახელი ჰქონდა თანამედროვეთა შორის, რომ ზოგჯერ რუსთაველთან ერთადაც კი იხსენიებდნენ, როცა ამბობდნენ — „რუსთველისებრ ხმატბილობით“ გამოირჩევა. რა თქმა უნდა, ეს მეტრისმეტრ იყო, მაგრამ აქ

უძველად ორი რამ თამაშობდა გადამწყვეტ როლს: „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის აშკარა რემინისცენციები ბესიკის პოეზიაში და საყოფთაოი ლექსების არამეფლებიერი ოსტატური ხმით დამღერება. ერთობა, ის უძველად იყო საუკეთესო დეკლამატორი, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის გავლენას მკითხველებსა და მსმენელებზე, აგრეთვე პოეტური ავტორიტეტის ამაღლებას თანამედროვეთა თვალში.

მაგრამ, ქება-დიდებას პარალელურად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და კრიტიკაში არაერთხელ გამოითქვა შენიშვნებიც ბესიკის პოეზიაზე. კორნელი კეკელიძე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში — „ქართული მწერლობის ისტორია“, წერს: „თუ ბესიკის სემინანობის ეს მხარე (აშუღობა — გ. ჯ.) მის თანამედროვეთა გარკვეულ წრეს ძალიან მოსწონდა, ჩვენ ვერ გავიხიარებთ მათ აღტაცებას და, ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, სინანულსაც გამოუქვამთ, რომ ბესიკი, თავისი ბჭყინავა ნიჭს იმისთვისაც არ იშურებდა, რომ ჩვენს მწერლობაში გაეძლიერებინა აშუღური პოეზიის ტრადიციები და ქართულ ცხოვრებაში შემოეტანა აღმოსავლეთის ხაზრის მელოდიები, შეგნებულად „სპარსთა ხმათა ზედა“ წერდა და მღეროდა აშუღური პოეზიის მუხამბაზებს, მუსტაზადებსა და ბაიათებს. ეს აშუღური „სპარსული ხმა“ არ იყო დამახასიათებელი წმინდა ქართული პოეზიისა, რომლის ბრილიანტები უხედადა მიმომხვეული თვით ბესიკის ლიტერატურულ შემოქმედებაში. როდესაც პოეტი ვახტანგ ორბელიანი ამბობდა: „აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ცოტრას“, — აღმათ, გელისხობდა ბესიკის წმინდა ქართულ „მღერას“ და არა მუხამბაზურს, რომელთა შესახებ ის გვეუბნება: „მე არ მყავარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შევაზრისა“.<sup>42</sup>

როგორი მწარეც არ უნდა იყოს, ამ კრიტიკულ მისაზრებას ჩვენს სახელგანთქმულ პოეტზე შეუძლებელია არ დავეთანხმებით. ყველას, ვინც ბესიკის ლირიკულ ლექსებს კითხულობს, აღტაცებაში მოდის, უყვარს მე-18 საუკუნის ეს გამოჩენილი ოსტატ მხატვრული სიტყვისა, მაგრამ ყველა, ოდნავ კულტურული მკითხველი, სინანულსაც გამოუქვამს მისივე ზოგიერთი ნაწარმოების მიმართ.

ბესიკის პოეზიაში კრიტიკული შენიშვნების პარალელურად, კორნელი კეკელიძე დასაძნედა, რომ „ტანო ტატანოს“ ავტორი „...მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან, შეიძლება ითქვას, დაასრულა ამ ლიტერატურის დინება და, რაც კარგი ჰქონდა, ახალ თაობას გადასცა. მისმა პოეზიამ გამოხატა პოეზია არა მარტო ე. წ. გარდამავალი ხანის ეპიგონების, არამედ ისეთი ნიჭიერი პოეტის შემოქმედებაშიაც კი, როგორც იყო აღტაცებულად კავკასიე, რატომ? იმიტომ, რომ მომავადობებელია მისი ლექსის (უფრო სამიწერო)

მუსიკალობა, ამოუწურავია მხატვრული გამოხატვის საშუალებანი, საოცარია რიტმისა და სტროფის ნაირნაირობა, განსაკვირვებელია მისი რითმის სიმდიდრე“.<sup>43</sup>

სწორია თუ არა ბესიკის პოეზიის კვალიძისეული ეს შეფასება? პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ საკუთებით სწორი და უტყუარია.

ბესიკი მართლაც არის ჩვენი ძველი ლიტერატურის „მნიშვნელოვანი ფიგურა“, იგი მართლაც ზურავს მე-18 საუკუნის ქართული მწერლობის დიდ კარს, ასრულებს მის დინებას, გავლენას ახდენს მომდევნო თაობების მწერლობაზე, ეწრბოდ, აღესმანდრე კავკასიის შემოქმედებაზე. ლექსებში მომავადობელი მუსიკალობა აქვს, ამოუწურავი გეგნებები მისი „გამოსახვის საშუალებაში“, გომეუნებ ბესიკისეული რიტმის, სტროფის, აგრეთვე რითმის სიმდიდრე. ბესიკი მართლაც უნიჭიერესი ქართველი პოეტია!

ამ უნიჭიერესი პოეტის მეცნიერულ შესწავლას დიდი ამაგი დასდო თვითონაც უნიჭიერესმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

თავის ფილოლოგიურ გამოკვლევებში გიორგი ლეონიძე, როგორც მკვლევარი-მეცნიერი, გველენება კორნელი კეკელიძის ღირსეულ მოწაფეზე, მისი გზის ერთგულ მიმდევრად. მხედველობაში გვაქვს, პირველყოფისა, კვლევას ის შეთოდა, რომლითაც ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერი ხელმძღვანელობდა. ეს შეთოდი დამახასიათებელი გვაქვს ნაშრომში „ქართული ფილოლოგიის პატრიარქი“<sup>44</sup> და აქ აღარ გავიგორებთ. ის სიხუსტე ფაქტების ანალიზში, მზოლოდ ფაქტებიდან გაომოდინარე დასკვნები და არა ფაქტებზე გარედან ძალად მოხვეული სასაიამფერო დეფინიციები, შემდეგ, პროგნოზები, მაგრამ ძალიან ფრთხილნი და ისევე ფაქტების შეჩერებიდან მიღებულნი, ყველგან ნათელი სტილი, ანალიზში ღრმად აზრებთან ასოცირებულად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნები, წყაროების ძიება, გამოვლენა და უზადო შესწავლა — ყველაფერი ეს, კიდევ ბევრი სხვა რამ, კორნელი კეკელიძის კვლევა-ძიებას სახელს რომ მატებს, ხელშეხსებად ჩანს გიორგი ლეონიძის ფილოლოგიურ ნაშრომებში, რომელთა ერთი დიდი ნაწილი — „იოსებ ტფილელი და „დიდმოურავიანი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „შანავაზიანი“, „ბესიკი“, „მგოსანი საათოვა“, „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწიერი“ შესულია წიგნში — „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.<sup>45</sup> ყველა ეს ნაშრომი ფუნდამენტურ გამოკვლევათა რიგს განეკუთვნება და ყოველთვის იწუნება ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ფასდაუღებელი შენამენი.

\*\*\*

როგორც დაინახეთ, ბესიკის პოეტური იდეალი ლექსებში, პოემებში ცხოვრებისეულია და არ არის განყენებული, თეიმინუნური. ზოგიერთი მათგანი, თუ ფორმისადმი მგტისმეტე გამო-

დევნებით იქცეეს ყურადღებას, იქაც კი პოეტი თავს ვერ აღწევს ცხოვრებისეული ტალღების ღელვას. ეს არც შეეძლო მას გაეკეთებინა. იგი ზომ მთელი არსებით ცხოვრების მოკვარული შეიღო იყო.

ბესიკს სურდა ეოფილიყო თავისი დროის მომღერალი, შეექმნა პოეტური სიმღერები, რომლებიც უკვდავად შერჩებოდნენ ქართული ლიტერატურის ისტორიას. ეს იმედი პოეტს გაუშვართლდა, თუმცა სამშობლოსადმი სიყვარული უცხო მიწაში ჩაიტანა — მოლდავეთის ქალაქ იასაში დაიბარბა. გაქტარა მისი საფლავიც. ზოლო ქვა, საფლავზე რომ ედგა თანამემამულეებისაგან, ჩვენ ვიხილეთ იასის ლაპიდარიუმში, როცა რუმინელი კოლეგების მიწვევით იასისა და ბუქარესტის უნივერსიტეტებში ლექციები წაგიკითხეთ. ეოცხალი ყვაილებს გვირგვინით შევამ-

კეთ ბესიკის ეს ერთადერთი შემორჩენილი ფონზე სურათიც გადავიღეთ.

რუმინეთში გამქარალია მეორე დიდი ქართველის ანთიმოზ ივერიელის საფლავიც. ანტიმ ივერიანეს, როგორც მას რუმინეთში უწოდებდნენ, საფლავი არც ჰქონია. იგი უცხოელმა ფუნატიკოსებმა აქუწეს და მდინარეში გადააგდეს. მაგრამ ბუქარესტში არის ივერიელის დიდი ქუჩა, მისი სახელიც განდიდებულია, არის მისივე განთქმული მონასტერი. როცა იქ ვიყავით, როგორღაც მძიმედ განვიცადეთ ტრაგედია სახელგანთქმული ორი ქართველმა — ანთიმოზ ივერიელისა და ბესიკ გაბაშვილისა, რომლებსაც უცნაურმა ბედმა აღზევების თითქოს საზღაურად სამშობლო მიწაში განსვენება მუხანათურად წაართვა.

### შენიშვნები:

1. კორნელი კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, 1952 წ., ტ. II, გვ. 547.
2. იქვე, გვ. 549.
3. იქვე, გვ. 548.
4. უფრო დაწვრილებით ბესიკის დაბადების საკითხები გაშუქებულია შესანიშნავ ვრცელ გამოკვლევაში გ. ლეონიძისა „ბესიკი“, 1932-1940; აგრეთვე შ. ბურჯანაძის („ბესიკის დაბადების თარიღი“, 1951 წ., „მომომხილველი“, წიგნი მეორე) ნაშრომში. გ. ლეონიძის „ბესიკი“ იხ. მისივე წიგნში „ძიებანი...“, 1949 წ., I, გვ. 170-261.
5. „ბესიკი“, 1948 წ., ლ. ასათიანის შესავალი წერილი, გვ. VI.
6. იქვე, გვ. III-IV.
7. გიორგი ლეონიძე, „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1949 წ., ტ. I, გვ. 199.
ლითაც გამსჭვალულნი არიან არსენის ვმარები და წებისპოფის ის უდრეკედობა, რომლითაც იტანენ საშინელ ტანჯვას, რათა არ დასთქონ თავისი პრინციპები. არსენ კათალიკოსი ამით ცდილობდა მაგალითი მიეცა ქართველი ხალხისთვის, არ დაშორებოდნენ შტერს და თუ ვინაურთადაც არა, სულთერად მაინც ევროპით მისთვის.

„ბალოზანი წიგნის მემკვიდრის ნინოსი“.

ეს პოეტური ქმნილებაა სასულიერო-საბოტ-ბო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში. ძველი შედეგაა რვა საგალობლისაგან, რომლებშიაც ტოლად სტროფთა რაოდენობა, განსხვავებულია მარცხენადაა რაოდენობა ტაქტში. თუმცა, ძირითადად, იგი 12 მარცხენაა იამბიურა ტაქტებით არის დაწერილი. არსენი იყენებს მასში აკროსტიქს. ლექსის კიდურწერალობაში ამოიკითხება: „ქებით უგალობს ხასისა ჩემსა ნინოს, არსენი“. აქაც მოხერხებულად არის გამოყენებული შედარებები, ეპითეტები და სხვა პოეტური ხერხები. სტილი საგალობლისა ამაღლებულია და გამიწვლელი იმისთვის რომ საგალობლის გმი-რაც ამაღლებულად წარმოუდგეს მკითხველს.

არსენი უდავდის მოწინააღმდეგე არსენის ნინოს დიდ ღვაწლს ქართველი ერის წინაშე: უწოდებს მას „ბრძენს“, რომელმაც „თავი თავისი უმსხვერ-ქლა“ დიად საქმეს. მას გარდა, იგი წოდებულია „ხნელის განმუთუთელად“, „განმანათლებლად“, „მხსნელად“, „მოძღურად“, „ბელოვან მკურნალად“, „ცხოვრების მამარობლად“, „ბრძუთა მხსნელად“, „ქადაგად“ და სხვ.

ნინოს დამახსოვრებათა შორის არსენი, პირველ უოვლასა, იხსენებს ნინოს ბრძოლას ეკრძათე-ვისმცემლობის წინააღმდეგ, არმაზის კერპის დამ-სხვრევას და ქრისტეს მადიდებელი, ძველების, ეკლესიების აღმართვას. არსენი აღწერს, რომ ნინოს მოხელისთანავე „არმაზს... შეეღვა ძრწო-ლია“. და არა მხოლოდ არმაზს, ნინოს მოღვაწე-ობის შედეგად „აღაფხურნეს ეკრძანი საფარვე-ლითურთ შაითი და აღმართნეს ქრისტეს ეკ-ლესიანი, ჭურთა ქრისტისსა ეურთისა თანა და სუტისა, ნაცვალად არმაზ ხელისა, უგალობნენ შეიღნი სიონისანი, შენგან განმანათლებლნი“

ნინომ სძლია არა მხოლოდ ეკრძანი და ეკრძ-თაუვანისმცემლნი, არამედ ქრისტიანობის მო-წინააღმდეგეც: „უკუნე აქცურნ შტერნი, დასცენ ჭურთისა ქრისტისისა მგომარისნი, მკიი, ღირსი ნინო და სცვიდ საწყისისა შენსა“. მის შედეგად „განდებულ იქნა ქუესკენილისა ბჭეები“ — ამ-ბოხს მხატვრულად არსენი, — და ქართველი ერის დახსნილ იქნა „ქუესკენილისა ტუფობითა“. ამიტომაც ქართველი ხალხი ნინოს უნდა უმაღ-ლოდეს ქრისტეს საჩუქრობისთვის შემოატანას: „მკიი, მეფობაო, ქართველთაო, იხარებდ ჩამეთუ ნინო დაგადაგა შენ გვარგვინი ქრისტის შტერი“.

პოეტ არ იშურებს საღებავებს და ორიგინა-

ლურ მეტაფორებს ნინოს შესატყვისად. „ლომბერს ახოვან იყავ, ბრძენო გულთაო არა გრცხუნეოდა ქადაგებად ქრისტისისა, პართნი აღავსენ სასწულთა ელვითა“ ნინოს მოღვაწე-ობით განცდილობდა არსენი პათეტიკურად მიმართავს მას: „რამაშ რამე არს ხსენითა ესე შენი, რამაშ საკურთველ მოქალაქეთა შენი და უოვლევე სიკეთითა აღსავსე, ქაღწურებოთა შემკობილო, მკიი, ნინო!“

სხვა მრავალ დადებით თვისებებთან ერთად ავტორი ნინოს მამარს ფართო ცოდნას: „ორ-ბებრს გუგასა შენა მხედველობისა შეურბივე შენ სიყრცელი სოფლისაო, ნინო!“ ავტორი ნინოს მამარს იმ ენის გაგების უნარსაც, რომელიც არ იცის და იმართვის თავისი აზრების გადაცემის უნარს, რომელიც არ იცის მისი ენა. ეს უკვე ნინოსთვის ზებუნებრივი თვისებების მიწერას ნიშნავდა.

როგორც საგალობლიდან ირკვევა, არსენს ასეთი დახვეწილი, საღებავსაწარმო და ამაღლე-ბული ბოტისისა იმდენად სარწმუნოებრივად ინ-ტერესებოდა ეს ამომჩაგებად, რამდენადაც პარ-ტიკულარად, ერკვრული. ამით აგი შეფარავით მო-უწოდებდა ქართველ ერს თვითმყოფობისაკენ, დამოუკიდებლობის შენახუნებისაკენ, ნინოს სახელს კი იყენებდა, როგორც ერის თავისუფ-ლების, თუ განთავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოს. ამიტომაც მიმართავდა მას: „უოვლე-ლიერი ქართველთაო გიწმინთ და ვიძარებით ვხმობთ: ძვირნი თანაწარგუზადენ, დასცენ ეშმა-კნი მჭებრეველნი ჩემნი!“

არსენი ღვთისმშობლის ავტორიტეტსაც ერს სულიერო განმტკიცებისა და მასში შტრის საწე-ნაღმდეგო შემართებელი ძალების გადვიძების-სათვის იყენებს: „ისმინე ჩუენი ღოვანი ღმრთისმშობელო, მეოხებოთა ღირსისა ნინოსისი-თა, თანაწარგუზადენ უოვლნი განსაცდელნი და მომადლე ჩუენ წყალობა შენმერი და ძლევი მტერთა მეუხისა ბუნისა მოცი!“

არსენს აქვს დაწერილი საგალობლები ავტო-რულ ანტიმარტოროლოგულ, შიოს ცხოვრებაზე: „უფალო ღაღაღაჟევი“, „ქებელით“, „ზღუთი მეწაფელი“, „შენდა აღვიშთობით“, „მკიი სასწა-ლთა“, „უკაცრულთაგან“, „ნუ მტირ მე დედა“ და სხვ. თვითერთი საგალობელი შედეგად სამი ან ოთხი სტროფისაგან, ხოლო „გალობანი“ რვა ან ცხარამეტი საგალობლისაგან. არსენის საგა-ლობლები ურითმოა, მაგრამ რეფრენი, აკროს-ტიკი და სხვადასხვა მხატვრული ხერხები მის ლექსს მუსიკალობასა და ემოციურობას ანი-ჭებს.

„საერთოდ, საგალობლების მხედვეთ არსენი თავისი ქვეყნის მოსიყვარულე ადამიანად გვესა-ხება, რომელიც ქვითა და კლდით თანხარად იბრძვის რწულის, ქვეყნისა და მეფის საკეთილ-დღეობად. რელიგიის ქადაგებით იგი ცდილობს წეფის ეკრძობის ქვეშ გააერთიანოს ხალხი, რა-დგან დარაწმული მასა, მისი გაგებით, შტრის-

თვის უფრო საზოგადოებას წარმოადგენს. არხე-  
 მის ინტელექტუალური სწორედ მიწოდება ხალხის

გაერთიანებისა და გამხსნელების სწორედ მიწოდებაა.<sup>17</sup>

### შენიშვნები

1. თ. გორდანიას კრიტიკები, I, 1893, გვ. 79, 81.
2. იქვე კრიტიკები, II, 1897, გვ. 97.
3. ს. კაცაძე, XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, ტფ. 1973, გვ. 3-5.
4. იქვე, გვ. 4.
5. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირთ ფეოდალურ საქართველოში. იხ. ენიშკის „მოამბე“, V, VI, 1940, 409 გვ.
6. გ. მიქაძე, არსენ ბელმაისის ძე, ლიტერატურული ძეგლი, X, V, 1964, 118 გვ.
7. „კალმასობა“, II, 1948, გვ. 165-166.
8. ანტონ ბაგრატიონი, წყობილისიტყვაობა, 657 სტროფი.
9. პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ტფ. 1898, გვ. 75.
10. თ. კუკავა, იოანე პეტრიწის წიგნი, ათორთეთისა, თბ. 1978, გვ. 37.
11. იქვე.
12. ძველი შიოს ცხოვრების შესახებ გამოაქვეყნა ი. აბულაძემ წიგნში „ძვერელ მოღეაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბ. 1955 გვ. 69-143. ძველის სათაურთა „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღირსისა მამისა ჩუენისა შიოსი და ვეაგრესი“.
13. იხ. აბულაძე აბულაძის შრომა, სადაც დამოწმებულია არსენის ეპისტოლე, გამოქვეყნებული აქვს ლ. მუსხელიშვილის წიგნში „აბულაძე ტბილი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუა-რეკლში და აბულაძის ძეთა საგვარეულო მათიანე“. თბ. 1941, გვ. 25-27.
14. გამოაქვეყნა ს. უზბანიშვილმა წიგნში „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I თბ. 1946, გვ. 388-380 და გ. მიქაძემ ზემოდასახელებულ ნაშრომში.
15. ხელნაწ. 1427, მინაწერი თებერვლისთვის კალენდრით.
16. თ. გორდანიას კრიტიკები, I, 1893, გვ. 81.
17. გ. მიქაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.



# რუსთაველის ნატურფილოსოფიური შეხედულება

შოთა რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს, რომელშიც, სხვათა შორის, ნაწილობრივ განხილულია გენიალური პოეტის ნატურფილოსოფიური შეხედულებანიც. მიუხედავად ამისა, რუსთაველის ნატურფილოსოფიური იდეები თითქმის არავის არ გაუხდია სპეციალური კვლევა-ძიების საგნად. ამ სფეროსთან შედარებით უფრო ახლოს დგას აკად. ი. ბერიტაშვილის წიგნი „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში“ (თბ., 1957), აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ავტორების საბუნებისმეტყველო-კოსმოლოგიური გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ გამოკვლევებში ნატურფილოსოფიური პრობლემები მაინც უკანა პლანზე დგას, ვინაიდან მათ შიგნის სულ სხვა რამ წარმოადგენს.

ასე უდავოა, რომ ნატურფილოსოფიური იდეები თვითონ რუსთაველას პოემაშიც შეორე და შესამბარისხვანია; ეს იდეები „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ იმდენად აისახა, რამდენადაც ამ პოემის იდეური შინაარსი მთელი წინა ეპოქების (განსაკუთრებით ანტიკური) ფილოსოფიური აზროვნების ღრბზეული მემკვიდრეა. ამ აზროვნებისა, რომელშიც ნატურფილოსოფიის ღირსეული ადგილი ეკირა.

ანტიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით არისტოტელეს გავლენა რუსთაველის ნატურფილოსოფიურ შეხედულებებზე აშკარად აისახა, უწინარეს უკვლახა, მატერიალის გაცემის საკითხში. ცნობილია, რომ მატერია, არისტოტელემ მხედვეთ, არას უფორმო, განუსაზღვრელი, უსახსრულო, მარტოოდენ ქმნადობის მასალა, რომელიც მოკლებულია უკველგვარ ფორმასა და ფორმადობას. ამ მასალისათვის ფორმის მიანიჭება არის მატერიალური ხავენებისა და, სერ-

თოდ, მთელი სამყაროს ქმნადობა. ფორმა იდეალურია, აზრბეულია, ღვთაებრივია. აქედან გამომდინარეობს მისი მარადიულობა. მაგრამ მარადიულობა არა მარტო ფორმა, არამედ მატერიაიც, როგორც ქმნადობის მასალა. მატერიის მარადიულობის პრინციპს იცავდნენ ანტიკური ფილოსოფოსები არისტოტელეს ჩათვლით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ოთხი ელემენტი, რომლისგანაც სამყარო შედგება, მარადიულად იყო მიჩნეული. ეს იდეა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაშიც დამკვიდრდა და პეტრიწის მსოფლმხედველობაში სამყაროს მარადიულობის მტაცების ფორმა მიიღო!

სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მატერიის მარადიულობის იდეას შოთა რუსთაველიც იზიარებს. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში იგი წერს:

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენს  
სახე ყოვლისა ტანისა.

„ტანი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს სხეულს, სახეღობს, ნივთიერებას, როგორც მასალას, რომლისგანაც სხეულები შედგება. ღმერთი ქმნის „სახეს უკვლახს ტანისა“, ე. ი. უკვლახ სხეულს ფორმას და არა თვითონ სხეულს, უფრო უნებად. მის შემადგენელ მატერიას, ნივთიერებას. მატერია მარადიულია, რომელსაც ღმერთი ფორმას უერთებს და მატერიალურ სხეულებს ქმნის (ვინაიდან სხეული ფორმისა და მატერიის ერთანობაა). ამრიგად, ბუნება ფორმისა და მატერიისგან შედგება, რომელთაგან პირველი იდეალურია, ხოლო მეორე — მატერიალურია. ამასთანავე, მარადიულია ფორმაც და მატერიაც. მართალია, ფორმას („სახეს“) ღმერთი ქმნის, მაგრამ ფორმის შექმნა უკველა ცალ-

კომუნალური შემოსევებში სხვათა არაფერს ნიშნავს, თუ არა მატერიაში ფორმის შეტანას, მის გაფორმებას, თვითონ ფორმა კი, როგორც იდეალურია, მარადიულია. ნამდვილი ფორმა (წმინდა ფორმა) ანუ ფორმის ფორმა თვითონ არის ღმერთი და, ცხადია იგი მარადიულია. ასეთია არისტოტელის თვალსაზრისი, რომელსაც რუსთაველი იზიარებს.<sup>2</sup>

რუსთაველი თვლის, რომ ვეპოლაფერს აქვს ფორმა, ხან, „ვეფხისტყაოსანში“ ხან ფორმის და, მისხანადმე, სასრულიც. გარკვეულია მნიშვნელობითი ახმარება, ხოლო უსახო, უფორმოს, უსასრულოს, ვაურკვეველს აღნიშნავს, ეს თვალსაზრისი არისტოტელურია და არისტოტელის ფილოსოფიის არის გამოხატავს. ამის დახადასტურებლად მოვიტანიე რამდენიმე ადგილს პოეშიდან:

ანდა ლაშქარი უსახო,  
ესაკვირველა მე, დია.

ე. ი. ლაშქარი იყო უამრავი, უსასრულო, რამაც იგი ვაკვირვავო.

ტარებლმა და წესტან-ღარქანს ქორწინების დროს უამრავი, ურაიბვი, უსასრულო რაოდენობის ძღვენი მიართვეს:

მოიღეს ძღვენი უსახო  
ფრიდონის არა-აქცისა.

ახვე ტარიელს, ავთანდილმა და ფრიდონს „უსახო მოუფიადის ძღვენი“, ე. ი. მათთვის უამრავი უსასრულო რაოდენობის ძღვენი მოჰქონდათ.

როდესაც ავთანდილმა დახნილი ტარიელი ნახა, უთხრა:

ვინ არ ყოფილა მიქნური,  
ვის არ სახილნი სდებიან?  
ვის არ უნახეან პატყინი,  
ვისთვის ვინ არა ზნდებიან?  
მითხარ, უსახო რა ქნილა,  
სულნი რად აღმოვხვდებიან?  
არ იცი, ვარდნი უმკლოდ  
არავის მოუკრებიან?

ჩვენი სიტყვებით: მიქნური ბევრი ყოფილა და მის გამო მწუხარება ბევრს უნახავს, მაგრამ უსასრულო სხვა რა არის, რომ ეს მწუხარება იყოს ზღვნიერებას გაეჭრებების გარეშე ხომ ვერ მიადწევო.

ტარიელი ავთანდილს ეუბნება, რომ მისი ხევატარული „უსახო“, ე. ი. უსასრულოა. უსახო, ე. ი. უფორმო რუსთაველისთვის უსასრულო ნიშნავს. ამ გამოჩნდა ანტიკური ფილოსოფიის უარყოფითი დაშლაიებულება აქტუალური უსასრულობისადმი.

რუსთაველის მიხედვით, სამყარო კი არ არის

უსასრულო და მარადიული, უსასრულოების მისხლა — მატერია. მატერიის მარადიულობა არ ნიშნავს სამყაროს მარადიულობას, რადგან სამყარო ფორმისა და წინაარსის (მატერიის) მქონე სხვენებისაგან შედგება, ხოლო ფორმა კი ღმერთის მიერ შეტანილია სამყაროში. ამრიგად, სამყარო, როგორც სხვენების ერთობლიობა, შექმნილია, დროში სასრულია. შექმნილია იმთავითვე სასრულობას ნიშნავს, ვინაიდან შექმნი მხოლოდ სასრულისა შეიძლება. ამ დებულებას რუსთაველი შეხავლის პირველადე სტრიქონში ამბობს:

რომელმან შექმნა სამყარო  
ძალითა მით ძლიერითა.

ფორმის შეტანა მატერიაში და მის ხელქვეულზე სამყაროს შექმნა შესაძლებელია მხოლოდ „ძალითა მით ძლიერითა“. ამრიგად, სამყაროს შექმნა (რაც იმაში გამოიხატა, რომ ღმერთმა მატერიაში ფორმა შეანერგა), მის სასრულობას აქციავენს. მართალია, ფორმის მრავალგვარი ხის ხელქვეულზე სამყარო არის „უთვალავი ფერითა“, ე. ი. თვისებრივად მრავალფეროვანი, მაგრამ საზოგადოდ მანც სასრულია.

ანტიკური ნატურფილოსოფიის ტრადიციებს რუსთაველი იმთავ აკრძლებს, რომ მისთვის მხოლდმდელი არააობიდან სამყაროს ქმნადობის იდეა.

რუსთაველი ერთმანეთისაგან განსხვავებს „სამყაროს“ და „ქვეყანას“. სამყარო, ტრადიციული წარმოდგენების მიხედვით, რომელსაც რუსთაველიც იზიარებს, არის მთელი მატერიალური ხანაშდელივ. უნივერსუმი, ცოტრი სხეულებს ჩათვლით. „სამყარო — წერის სულმან სახა ორბელიანი — ესე ცაი არს უძრავი და მყარი ვარდგან სხვათა ცათა“.<sup>4</sup> მაგრამ „ქვეყანა“ ნიშნავს სამყაროს იმ ნაწილს, რომელსაც დედაშიწა წარმოადგენს და სადაც ადამიანები ცხოვრობენ. ასეთი განსხვავება „სამყაროს“ და „ქვეყანას“ შორის რუსთაველს პოეტში აშკარა:

რომელმან შექმნა სამყარო  
ძალითა მით ძლიერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვეცა ქვეყანა  
გვაქვეს უთვალავი ფერითა.

როგორც ვხედავთ, აქ რუსთაველი ამბობს, რომ ღმერთმა თავისი ძლიერებით შექმნა სამყარო, ხოლო ჩვენ — ადამიანებს — მოგვეცა ამ სამყაროს ნაწილი — ქვეყანა — რომელიც „უთვალავი ფერისა“, ე. ი. მრავალფეროვანია. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს ის ნაწილი, რომელზეც ადამიანები ცხოვრობენ, არის ქვეყანა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყანა არის დედაშიწა.

„ქვეყნის“ ამგვარი გაგება სრულიად ეთანხმება ტრადიციულ მოძღვრებას ობოა ელემენტის



შესაბამის, რომლის მიხედვით „ქვეყანა“ (ანუ „ქვეყანა“) არის მიწა (დედამიწა). ამიტომ ამბობს ხანა, რომ „ქვეყანა ერთი არს იხიბთა კავშირთაგანს“. ე. ი. ქვეყანა არის ერთ-ერთი ელემენტადანო (მიწა, წყალი, ჰაერა და ცეცხლი).

ქვე ივლინებენ, რომ ქვეყანა, ე. ი. დედა-მიწა არის სამყაროს, უნივერსუმის ნაწილი. ამიტომ ღმერთმა ადამიანებს მისცა სამყაროს ეს ნაწილი (13) და არა მთელი სამყარო. ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში რუსთაველი ქვეყანას ქვეს გულისხმობს არა იმდენად მიწას, როგორც სამყაროს შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტს (ბერაქონს), არამედ დედამიწას, როგორც ადამიანთა ადგილსამყოფელს. რასაკვირველია, დედამიწა ისევე მიწა, სამყაროს შემადგენელი ელემენტია, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასმულია არა კოსმოლოგიური ასპექტი, არამედ ანტიკოსმოლოგიური, სახელდობრ ღამაჩაქია დედამიწაზე, როგორც ადამიანების ადგილსამყოფელზე.

ამოღებს რა სამყაროს შექმნის იდეიდან, რუსთაველი იტყობს, რომ ღმერთი არის ამქვეყნიურს არსთა შემოქმედი, რომელიც უკველგვარ ქმნადს ვანავებს, იგი არის „ძალი უზაღლი შემწიდე ურულთა მიწიერთად“. ღმერთი ქმნის სამყაროს საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვნებას, „იგი ვახდის წამის — უოფთი ერთხა ასად ასხა ერთად“. ამასთანავე, სამყაროში შკაცონს ღვთაებრივი დეტერმინაცია არსებობს. („ვის გვიჩინებენ ციერჩხა ერთის იტის წამისად“). რუსთაველი შკაცრა დეტერმინისტია. ამგვარი დეტერმინიზმი კ, როგორც ცნობილია, ხშირად ფატალიზმი გადაიღობდა. ახე მოხდა რუსთაველთანაც. მის მსოფლმხედველობაში არააშვათად ნატურალისტური დეტერმინიზმი ფატალიზმის სახეს იღებს („არ გარდვა გარდუღუღელად მოშავებთა ხაქმე შენა... არვის ძალ-უც ხორციელსა ვანავებთა გარდავლენა“).

ზოგიერთი რუსთაველოლოგი მეთითებებს პტოლომეოსის გეოცენტრული სისტემის გავლენას შესაბამის რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. სახელდობრ თვლიან, რომ რუსთაველი ასეთი-ნებელ იხსენებს შვიდ ცას („მთვარე უქდა კიდონანსა, ცა მეშვიდე მასხა ვეცო“). ამასთანავე ცნობილია, რომ პტოლომეოსის ღამაჩაქობდა შვიდი ცის შესაბამის, რომლებიც დედამიწის გარშემო ვარსკვლავთაზე ბრუნავენ. ცების მარაგოდ ბრუნვას რუსთაველიც აღნიშნავს („არ ვიცო, ღმერთი რას მიწამს, ანუ ცა მიწაჲ მბრუნავი“). ამასთანავე უნდა ბრუნვა თანხანობა, არ იტყვება. რისთვისა ვრუნება თანხანონს, რომ

ბრუნვას კონცეფცია ქერ კიდევ ასეთი-ნებელთა ვხვდებთა. გამორჩეული არ არის, რომ რუსთაველის შეხედულებას წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა პტოლომეოსი, არამედ არისტოტელე.

რასაკვირველია, უნდა ვთავაზდეთ, რომ რუსთაველი პტოლომეოსის გეოცენტრულ სისტემას იზიარებდა, ვინაიდან შუა საუკუნეებში სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიც კი იყო. მაგრამ ისიც უნდა ვთავაზდეთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ პელიოცენტრული მსოფლმხედველობას მძლავრ ნაკადს ვხვდებით. არამეტყობრავად დიდი უარადლება შინადაში, შინა დაუენება ვეგლო სხვა პლანეტაზე მალა (მაგ., ავთანდილის მიმართვა შინადაში, როგორც „უშმდღესთა მძღვთა მძღვსადაში“), გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველი პტოლომეოსის გეოცენტრულ სისტემის ორთოდელსაღურა დაწყველი არ იყო, როდესაც ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს ტაბტივანზე დასმული ნესტანი მიშაუთ, მაშინ მას რუსთაველი ადარებს მთვარეებს (ე. ი. ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს) შუა შუოფ მზეს:

მას ჰგვანდეს, თემცა სამყაროს მზე უქდა შუა მთვარეთა.

აქ თითქოს მინიშნებულია შინა ცენტრალურ მდებარეობაზე სხვა პლანეტათა შორის და, ამასთანავე, ხაზგასმულია მისი უპირატესობა. ეს კი არაერთარ შემთხვევაში პტოლომეოსის სისტემას არ უთავსდება.

სრულიად არ უნდა ვაგვიკვირდეს, რომ რუსთაველის პოემაში სამყაროს პელიოცენტრული სისტემის ელემენტებს ვხვდებით. ხომ ცნობილია, რომ პტოლომეოსის გეოცენტრული სისტემის ჩამოყალიბებამდე ვარსკვლავთა იყო „ძველი დროის კაპრინიის“, არისტარხს შკოტელის (დაახლ. 320-240) კოსმოგონიური სისტემა, რომელიც სამყაროს ცენტრში მზეს ითვლიდა, რომლის გარშემო პლანეტები (მთ შორის დედამიწაც) ბრუნავს? არისტარხს საიხიბელი პითაგორელებს მოძღვრებას იზიარებდა, რომლებიც, როგორც არისტოტელე ვაღმოგვეცემს, სამყაროს ცენტრში იტყობს ათავსებდნენ და, მაშინადაში, ვარსკვლავი აზრით, პელიოცენტრულ თვალსაზრისს ვამოთქვამდნენ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ შოთა რუსთაველი, რომელიც დრმახა იყო დაუფლებული ანტიკურ ფილოსოფიასა და მეთოდურებას, პელიოცენტრული სისტემისაკენ იხრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქაში უკველგვარი ასეთი ვაღაბრა მწვალებლობად (ერესად) იყო მიჩნეული.

სწორედ ამიტომ ვერ ვაუთანხმებთ პროფ. შ. ხიდაშელს, რომელიც თვლის, რომ „მნათობთა რიგე „ვეფხისტყაოსანში“ შეეხება მძღვთა პტოლომეოსის სისტემას, სადაც მნათობთა ვანდაგება მათი დედამიწიდან დაშორებას მიხედ-

ცამცა ნუ შეგცელოს, მოფხებდების თეთი მისებრ შეუცვლელიობა.

ე. ი. ისევე უცვლელი იყავი, როგორც ცის ბრუნვა. ცური სხუელის (ცების) მარადული

საქართველო  
საზღვარი

ვით არის წარმოდგენილი" 6 მართალია, ავტორი იქვე მითითებს ამ წესიდან გამონაკლისზე შპის სახით, მაგრამ თუკი შპეს სხვა პლანეტათა შორის (მაშინ შპეც პლანეტად ითვლებოდა) უპირატეს არა მხოლოდ, არამედ პირველი ადგილი, მაშინ პტოლომეოსის ცეხის განლაგება დარღვეულია და, ცხადია, რუსთაველისა და პტოლომეოსის სისტემების შესაბამისობაზე ვეღარ ვილაპარაკებთ. უოველივე ამას ისიც ემატება, რომ შპე, რუსთაველის თანხმად, პირველია არა მხოლოდ მისი ადგილის მიხედვით, არამედ დიარეზულუბად მიხედვითაც (შპს რუსთაველი ღმერთის „ხატად“ თვლის); ასეთ შემთხვევაში კი უდავო უნდა იყოს შოთა რუსთაველის დაცლილება პტოლომეოსის კოსმოლოგიური სისტემიდან და მისი დაახლოება არისტარხე სამოსელის მელოცენტრულ სისტემასთან.

შპის უპირატესობა სხვა მნათობთა მიმართ აშკარად მაჩვენებელია „ვეფხისტყაოსანში“. შპე სხვა მნათობებზე უფრო ძლიერია, რაც ამაში გამოიხატება, რომ ისინი მის მჭურვალუბას ვერ უძლებენ:

შპემან დაეწნა და დაგადანა  
ცისა მნათობნი ზენანი.

კიდევ მეტიც, შპესთან შეპირისპირებაში მნათობები ბრწყინვალეობას ჰკარგავენ და კრებიან.

შპე უჩინო იქმს მნათობთა,  
რა ახლოს შეიურებიან.

შპის პრაქტიკული მნიშვნელობაზე აიანე პეტრიწაც ლაპარაკობდა, სახელდობრ, იგი შპეს სხვა პლანეტების წინამძღოლად თვლიდა. შებამლებულია ამ შეზღუდულების უშუალო გამოახილს წარმოდგენს ავთანდილის ლოცვა, როდესაც იგი პირველ რიგში შპეს მიმართავს და მას „მძლითა მძღებს“ უწოდებს.

ამის საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერი შოთა რუსთაველს შპის გაღმერთებას მიაწერს; მაგალითად, გამოჩენილი რუსთაველოლოგი პ. ინგოროვსა უქარბს, რომ რუსთაველი სიღარიშის დამცველია, იგი მატერიალურ სნათობებს — შპეს — დვთაებრად სარწისად აღიარებს. 7 მაგრამ რუსთაველოლოგთა უმრავლესობა ამ არს არ იზარებს. მაგალითად, პროფ. მ. ვოგინბერგი ამტკიცებდა, რომ „შპე რუსთაველიანთის არავითარი დვთაება არ არის“, 8 იგი მარტოდენ მეტაფორულად სახეა დვთაების აღხანიშნავად და შტეტი არაფერია. შპის გაღმერთება დამახასიათებელი იყო წარმართული მსოფლმხედველობისათვის. სწორედ ამიტომ აკად. კ. კეკელიძეს შოთა რუსთაველს ჩაუღია სიღარიშის დამცველად გენიალური პოეტის დამცირებად მიჩნა. 9 ჩვენ არ ვცით — წერს იგი — რა წარმოდგენის უნდა იყოს ადამიანი რუსთაველის განათლებისა და მისი დროის საქართველოს კუ-

ლტურის შესახებ, რომ ის დავახლოდ წარმოადგენლად ისეთი შეზღუდულებისა და რწენისა, რომელიც მატერიალურ შპეს დვთაებად აღიარებს და რომელიც დამახასიათებელია პირველყოფილი ადამიანის არკონებისა“ 9

დვთაებად შედარება შპესთან ნეოპლატონიშში კარგად ცნობილი ამბავია. ნეოპლატონიკებმა — წერს პროფ. ა. ლილაშვილი — შპე დვთაების სახედ აღიარებს და დვთაებრივი ტმანცთა შედარებს შპითრ სხვითა ვადმოფრქვევას. თეოლოგიაში ეს მოსაზრება განავითარა დონისე არეოპაგელმა. 10 მართლაც, დონისე არეოპაგელი — პეტრე იბერი წერს: „რამეთუ სახიერებისაგან არს წათელი და სახე არს სახიერებისა. ამასათვის წათელ-სახელებითი ავლობების სახიერებაა, რომელმაც შპისა შორის, ვითარცა სახისა შორის, აჩუნა პირმშოდ ხატი თვისი“. 11 შეიძლება რუსთაველის უშუალო წინაპრს ამ შემთხვევაში პეტრე იბერი წარმოადგინდა.

მართლაც, შპე „ვეფხისტყაოსანში“ დვთაებს კი არ წარმოდგენს, არამედ მარტოდენ მის ხატს.

იტყვის: „ე, შპეო, ვინ ხატად  
გოჭვეს შვიანისა ღამისად,  
ერთ-არსებინა ერთისა,  
მის უცამოსა ეამისად.

კიდევ მეტიც, ერთ ადგილზე რუსთაველი შპეს ღმერთისაგან შექმნილად თვლის:

ცელაკა ჰადარა: „აა, შპეო,  
რადგან ღმერთმან შპედ დავხადა.

აქ უკვე სრულიად წათელია, რომ შპე არ არის დვთაებისთან გაიფავეული, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსთაველი მას ღმერთისაგან შექმნილად ვერ ჩათვლიდა.

მაშასადამე, უნდა მივიღოთ, რომ შპე „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია როგორც მატერიალური ცოფრი სხეული, რომელსაც სხვა მნათობებთან შედარებით პრაქტიკული მნიშვნელობა მთეწერება.

რუსთაველი ღამარაკობს მნათობთა ცის შესახებ და ცის რიცხვს მნათობთა რაოდენობას უკვშირებს. ამასთანავე, მნათობთა რიგი კშნის ცათა რიგს, ბილი ცა მრგვალად (სფეროვებურად) არის წარმოდგენილი.

მიიხარა: ღმერთმან სიმგრგველე ცისა  
ჩვენთვის რისხვით წამოგრაგანა.  
მათვე რისხვით გარღებურღდა  
ბორბალი და სიმგრგველე ცისა.

ამასთანავე, რუსთაველი ღამარაკობს ცის ბრუნვის შესახებ, რაც უცვლელად, თანახმად მიმდინარეობს. უოველივე ეს მეცნიერებს აფი-

ქრებიანებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი კარგად იცნობდა შუა საუკუნეების ასტრონომიასა და ასტროლოგიას.

ესეც ცნობილია, რომ სხვადასხვა რელიგია ცის სხვადასხვა რივს ასახელებდა. კერძოდ, ლაპარაკობენ ზეთ, შვიდ და ცხრა ცაზე. ქრისტიანული რელიგია ჭერ შვიდ ცას აღიარებდა (რომელიაგან მუშავებდა უმაღლესი იყო), ზოლო შემდეგ ცხრას. სულხან-საბა ორბელიანი სწორედ ცხრა ცას ასახელებს. „ვეფხისტყაოსანში“ კი დასახელებული ერთიც და მეორეც.

რისხვით მოპარუნდა ჩვენზედა  
ბორბალი ცისა შეიღისა.  
ტარიელი ეფიცება ნესტანს;  
გუერუო, ღმერთმან მიწა მქნას,  
ნუცა ცხრითავე ეზი ცითა.

ე. ი. თუ მოვატყუო, დაე მოვკვდე და ხამოთხე არ შედარბოსო (მეცხრე ცა წმინდანთა ცა იყო).

შუა საუკუნეების ასტროლოგია პლანეტებს აღმიაინების ბედთან აკავშირებდა. მაგალითად, მარსი (მარსი) მიჩნეული იყო ომის ღმერთად (ამიტომ წითელია). მერკური (ოტარიდი) — პარ. მოინების სიმბოლოდ. ვენერა (ციხკარა) — სიყვარულის დედოფელი; სატურნი (კრონოსი) — უბედურების მოამაწყებლად, ზოლო აუბატურის (მუშორის) და სატურნის (წულის) შეხედრა ბედნიერებას ნიშნავდა. ამიტომ ტარიელისა და ნესტანის შეხედრა ქაქეთის ციხის აღების შემდეგ რუსთაველმა მუშორისა და წულის შეხედრას შეადარა, ზოლო ქაქეთის ციხის დაწვრება — კრონოსის რისხვის შედეგად მიიჩნია.

მაშინ ქაქეთს მოიწია  
უსაზომო რისხვა ღმრთისა;  
კრონოს, წყრომით შემშდეველმა,  
მომორა სიტკბო მზისა.  
მათვე რისხვით გარდებრუნდა  
ბორბალი და სიმგრგველ ცისა,  
ველნი შედართა ვერ ოტეედა,  
გადიადდა ქარი მტრისა.

არსებობს ამ სტროფის ასეთი ინტერპრეტაცია: ქაქეთი ღმერთმა გასწირა და დაღუპვის განაწინი გამოურტანა; ამის შემდეგ კრონოსი (სატურნი) იწევს ღვთის ნებით მოქმედებას, მისი გადაწყვეტილების შესრულებას. ამისათვის იგი, უწინარეს უოღლისა, ქაქეთის ციხეს მზის სხივებს მოაწირებს, რადგან მზე ბედნიერების სიმბოლოა, მის სხივებს „სიტკბო“ გაიწინა. ამის შემდეგ კრონოსი საშინელებას დაატარებებს: ცის ბორბალსა და ცის სიმგრგველს გადააბრუნებს და მიადგურებს მკვდრებით აყვებს. რუსთაველის ასტროლოგიური თვალსაზრისი აქ თითქმის უდაუო უნდა აყოს.

რუსთაველი აღიარებს ციური მქნებულები (ცეხის) მარადიულ ბრუნვას, მოძრაობას, მაგალითად, მთვარე (პირველი ცა) განუწყვეტლად მოძრაობს.

ერთა მთვარე დაუღვრომლიდ  
იარებოს, არ დადგებოს.  
ასევე სხვა მწიგნობებიც  
მზე, ოტარიდი, მუშორი და წული  
ჩემთვის უნდებებან,  
მთვარე, ასპიროზ, მარსი მოვლენ  
და მოწმულ მყვებიან.

აქ ჩამოთვლილია შვიდივე ცის მარადიული მოძრაობა. ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოძრაობა წრიულია; რუსთაველი იზიარებს არისტოტელეს კონცეფციას ციური მოძრაობის წრიულობის და, მაშასადამე, მარადიულობის შესახებ.

„ვეფხისტყაოსანში“ ოტარ ნახსენებია ერთი, რომელსაც რუსთაველი მზის გვერდით აყენებს, ციურ ნივთიერებად წარმოუდგენია და უაღრესად მიმზიდველად თვლის. ავთანდილი უამბობს ტარიელს, რომ მის საქმებად გამოგზავნა თინათინმა, რომელიც მშებსა და ეთერზე უმჯობესია: „აქ გამოგზავნა, რომელსა მზე ვერ ჰგავს, ვერ ეთერია“.

როგორც ვხედავთ, აქ ეთერი წარმოდგენილია როგორც მატერიალური ნივთიერება, რომელსაც დააბოლებით მზის ეკვადალენტური ღირებულება აქვს. ცნობილია, რომ ეთერი, არისტოტელეს ნატურფილოსოფიის მიხედვით, სამყაროს შემადგენელი მუხუთე ელემენტი იყო; რომელიც დანარჩენი ოთხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ციური სამყაროს შემადგენელ ნივთიერებას წარმოადგენდა. რუსთაველის პოემაში ზანგან-მულია სწორედ ეს მომენტი. ეთერი არის ციური სამყაროს შემადგენელი ნივთიერება, ამიტომ იგი უფრო ფაქიზი და აღმატებულია, ვიდრე ოთხი სამყაროსეული ელემენტი (მიწა, წყალი, ჰაერი და ცეხელი).

ამასთანავე, ეთერი რუსთაველს ესმის როგორც არე, რომელშიც ციური სხეულები მოძრაობს. ტარიელი უამბობს ავთანდილს, რომ როდესაც მან და ნესტანმა ერთმანეთს სიყვარული შეფიცეს, მან

ჩემად ჩნდა იგი სინათლე  
ეთერით მზედ ნაჩინისა.

ე. ი. ნესტანი ჩემად მიმჩნია, რომელიც ეთერიდან გამობრწყინებულ მზეს ჰგავდაო. ეს ნიშნავს, რომ მზე, ისევე როგორც სხვა ციური სხეულები, ეთერში დაუტრავენ. ეთერი არის ის გარემო, რომელიც მოიცავს ციურ სხეულებს. ზოგიერთი არსთველოლოგი ანალოგიურ აღვას პროდებს ნაწრეველიც კოლოლოს.

სტრულიად ბუნებრივია ამის დაშვება, რომ

რუსთაველი კარგად იცნობდა თავისი ეპოქის ასტრონომიულ მიღწევებს და, კიდევ მეტად შეთვისებული მქონდა იმდროინდელი ასტროლოგია. ცნობილია, რომ თბილისში ჯერ კიდევ 1258 წელს ასტრონომიული ობსერვატორია არსებობდა.<sup>12</sup> ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს ასტრონომიული და ასტროლოგიური მოღვაწეობის მიანც და მიანც დაფარვაეტიკობული არ ყოფილა. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა იცოდა „ზეცი-სა (ცისა) მოძრაობისა ასურასტანელი (სიარული) ზნობისა (ასტროლოგია) და ეთოზიდ (ზოდიაკოთა) კრებას, სვე და ბედი და შობის დღე“. როგორც ვხედავთ, აქ თანაბრად მოხსენებულია დავით აღმაშენებლის განსწავლულობა ასტრონომიასა და ასტროლოგიაში. ამიტომ სრულიად დანაშაუვია, რომ ქართველ ერში დამკვიდრებული არაბული ასტრონომიული და ასტროლოგიური წარმოდგენები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ასტროლოგიურ, პოეტურ, მ. გოგინბერიძე მართებულიად აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ასტრონომიული ცოდნა, „უსათუოდ არაბული საზღუნებისმეტყველო განათლების შედეგია“.<sup>13</sup>

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა პეტრიწისა და რუსთაველის მსოფლმხედველობრივი განსხვავება; რუსთაველი ასტრონომიაში განსწავლულია და ამ ცოდნის თავის პოემაშიც კი ავლენს. პეტრიწისათვის კი ასტრონომიული ცოდნა მიუღებელია და მის წინააღმდეგ მკაცრად იბრძვის.<sup>14</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ პეტრიწს არც მისი შეფის (დავით აღმაშენებლის) ასტრონომიული განსწავლულობა მოსწონდა. ამ მიმართულებით რუსთაველი დავით აღმაშენებლის ხაზს გამგრძელებელია.

ჯერ ანტიკურ (განსაკუთრებით პლატონის), ხოლო შემდეგ მის საფუძველზე შუა საუკუნეების (კერძოდ, ნეოპლატონურ) ფილოსოფიაში გაბატონებულია აუო თვალსაზრისი ამქვეყნური სინამდვილის წარმავლობის, ცვალებადობის და, მასთანადაში, არაბობის შესახებ. ეს იდეა უფრო ადრე ელმატურ ფილოსოფიაში გამოითქვა. ელმატური მეტაფიზიკის ფუძემდებელმა ქსენოფანემ ბუნება მიწისა და წულის ნარევს, ე. ი. ტალახს შეადარა და ამით ხაზი გაუხვა მის წარმავლობას, არამარადიულობას. სამიწიდე და ძენიონი ბუნებას მოჩვენებად თვლიდნენ, ხოლო პლატონი მას აჩრდელს აღარებდა. ნეოპლატონურ ფილოსოფიაში (კერძოდ, პლოტინთან) გრძნობადი სამყაროს საწყისად მატერია გამოცხადდა, რომელიც ჩათვლილი იყო არარსებულად და ბარკატების საწყისად.<sup>15</sup> ამ მეტაფიზიკური კონცეფციის საფუძველს ის წარმოადგენდა, რომ ბუნების საგნები და მოვლენები განუწყვეტლად იცვლებიან, მოძრაობენ; ნაშაბლი, ამ კონცეფციის მიხედვით, აუცილებლობით არსებობს და, მასთანადაში, უცვლელია, მარადიულია, უცვლელთვის თავისი თავის იგივეობრივი

ჩრება. ხოლო ის, რაც იცვლება, ე. ი. რაჟაჟა, შეუძლია აუოს ასეთი და სხვაგვარი ცვლილების აუცილებლობით არსებული და, მასთანადაში, მარადიული. ამის საფუძველზე მოძრაობა და ცვალებადობა, წარმავლობა ე. ი. დროში არსებობა არამდვიულობისა და მოჩვენებაობის ნაშაბად გამოცხადდა. ეს მეტაფიზიკური თვალსაზრისი საფუძველად დაედო რელიგიურ-იდეალისტურ კონცეფციას ამქვეყნური სინამდვილის არარსობის შესახებ.

რუსთაველი კარ ამის ასევე მოაზროვნე და არ იზარტებს კონცეფციას ბუნების არარსობის შესახებ. პირაქით, იგი უმდერის ამქვეყნური ცხოვრებას, ადამიანურ სიყვარულს, მეგობრობას. სწორედ ამიტომ გახდა იგი ზემოაღნიშნული მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის ობოლად და მცველთა, განსაკუთრებით კლერატიუბის თავედასმის ობიექტი. მიუხედავად ამისა, რუსთაველის მსოფლმხედველობაში შენარჩუნებულია ანტიკური მეტაფიზიკური ნატურფილოსოფიის ძირითადი იდეები, ბუნების, როგორც მოძრაე და ცვალებადი სინამდვილის არამარადიულობის შესახებ. ბუნება, „სოფელი“ რუსთაველთან წარმოდგენილია როგორც „საწყორო“, წარმავალი, არამარადიული სინამდვილე, რის გამოც მასზე დანდობა არ შეიძლება.

საწყორო კაცსა უოველსა ვითა ტაროსი უხვდუბის, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუბდუბის.

სოფელი, ამქვეყნური ცხოვრება, რაჩე ზანგრძლავი არ უნდა იუოს, მიანც სწარყად წარმავალია.

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისაც არის ვითისა წამისა.

სწორედ ამიტომ რუსთაველი ზოგჯერ მას უარყოფითად აფხაბებს:

აწა ვეან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია.

ამასთან დაკავშირებულია ისიც, რომ შოთა რუსთაველი ზოგჯერ მიწას ცუდას, არაბობის სიმბოლოდ თვლის. ავთანდილი ეუბნება ვაჟაერებს, რომლებმაც იგი შეაქვს იმის გამო, რომ მეყოფნება დაბოცა:

მე, გლახ, რა ვარ, მიწა ცუდი, თავით ჩემით რამაც ვაქმინი.

ე. ი. მე რა საქებარი ვარ, მე ხომ მიწა ვარ, ცუდი რამ; ჩემით არაფერი გამოეყთებია, უოველავე ეს ღმერთმა შემაძლებინაო. როგორც ვხე-

დავთ, მიწა აქ წარმოდგენილია არარაობის, ცუდის სიმბოლოდ.

ამასთანავე რუსთაველი მიუთითებს ზემოაღნიშნული კონცეფციის ავტორებზე — „ბრძენებზე“ — რომელთა შორის, უწინარეს უოვლისა, ანტიკური მეტაფიზიკის ფილოსოფოსები იგულისხმება, სახელდობრ ისინი, ვინც უარყოფითად იყვნენ გამოწყობილი ამქვეყნურთა სინამდვილისადმი:

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ  
მით მათგან საწუნელთა.

მაგრამ ამქვეყნურთა სინამდვილის უარყოფითი შეფასება რუსთაველის მსოფლმხედველობაში არამართალი, არარსებითია და, შეიძლება ითქვას, მეტაფიზიკური და აბსტრუქტი მსოფლმხედველობის „გადმონაშთი“. მისთვის ერთგვარია „ხარკის ვადიდება“ წარმოადგენს. პოეზის გენიალური ხაზი კი უადრესად რეალისტურია და, მასთანადამე, ბუნების, ამქვეყნიურ ღირებულებათა დასაბუთებისკენა მიმართული.

ზოგიერთი რუსთაველიძე ფაქტობს, რომ თითქმის „სოფელი“ და „საწუთრო“ რუსთაველთა ნიშნავს არა აქვეყნური სინამდვილეს, არამედ დროს, ეამს, რომელსაც აბსტრაქციური მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ ბედს წარმოადგენს. ამ ინტერპრეტაციას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან „სოფელი“ და „საწუთრო“, ჩვენი აზრით, რუსთაველის პოემაში გრძნობადი სინამდვილის, მოძრაობისა და ცვალებადობაში მყოფი ბუნების აღმნიშვნელია. არსებითად რომ ვთქვათ, „სოფლისა“ და „საწუთროს“ ცნებები „წუთისოფლის“ ცნებაში ერთიანდება, რაც ისევ და ისევ ამქვეყნურთა სინამდვილეს წარმავლობაზე მიუთითებს. სწორედ ახე ვანმარტავს სახა „წუთისოფლის“ ცნებას. იგი წერს: „საწუთრო სოფელი“,<sup>16</sup> ხოლო „სოფელი სამ სახედ თქმის: საუჯრო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებად სოფლად თქმის“. <sup>17</sup> ამ სამი მნიშვნელობიდან რუსთაველი ამქვეყნურთა სინამდვილის აღსანიშნავად, ცხადია, მეორეს („წუთისოფელი“) ზიარობს. „სოფელი“, როგორც „წუთისოფელი“, აღნიშნავს ბუნების მოძრაობისა და ცვალებადობის, მის წარმავლობის, დროში არსებობის. „სოფლის“, ბუნების ეს თაყიებურება ზიარდა ადამიანთა უხედურების მიზეზიც კი ხდება, რაც მათ გულმსწერობის იწვევს:

ვა, სოფელთ რა შიგან ხარ,  
რაა გვაბრუნებ, რა წენ გვირისა.

ჰქედვ, ჩემო, ვით გაგყარნა  
სოფელმან და ეამმან კრულმან.

აქ „სოფელი“ და „ეამა“ თუმცა განსხვავებულია, მაგრამ „სოფლის“ ძირითად ნიშნად მაინც „ეამიერება“, ე. ი. დროში არსებობა იგუ-

ლისხმება. სწორედ ამიტომ მათ რუსთაველი უფრო მეტად ახსენებს.

ამრიგად, რუსთაველი ხაზს უსვამს ბუნების მოძრაობა-ცვალებადობას, მის დროში არსებობას, არამართალიდობას.

ანტიკური ფილოსოფიური მექვიდრების გავლენა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე განსაკუთრებით აშკარად ჩანს იქ, სადაც ლამარკია მატერიალური სამუაროს შემადგენელ ობიექტებზე, სიკვდილი არის სხეულის დაშლა ელემენტებზე (მიწა, წყალი, ჰერია და ცეცხლი), რის შედეგად სული მატერიალურისაგან განთავისუფლდება და ზეცას შეურთდება.

ღმერთის შემკედრე, ნეთუ კვლა  
დამხსნას სოფლისა შრომისა  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა,  
ჰაერთა თანა შრომისა<sup>18</sup>  
მომცენს ფრთენი და აღფრინდღ,  
მივხედვ მას ჩემსა ნდობსა,  
დღისით და ღამით ვხუცდვოდღ  
მზისა ელვათა კრთობსა.

ჩვენი სატყვებით ეს ნიშნავს შემდეგს: ღმერთს შემკედრე, რომ ისევ დამხსნას ამქვეყნიური ტანჯვისაგან, სახელდობრ სამუაროს ოთხი ელემენტის — ცეცხლის, წყლის, მიწისა და ჰერის — საშეროში უოფისაგან, მომცენს ფრთენი, რომლებიც ამოფრენენ ზეცაში, სადაც ჰარადილი („ღამისით და ღამით“) მზიური ელვარებაა. ამ შემთხვევაში სიკვდილი წარმოდგენილია როგორც მატერიალური ელემენტებისაგან განთავისუფლება, რაც ნიშნავს სულის დამკვიდრებას მარადიულ ზეცურთ საუფროში.

იგივე შეხედულება ჰეორდება „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ადგილზე. სატრფოს უიმეო მქნით განწამები ტარელი ავთანდილს ეუხნება:

სიკვდილი მახლავს, დამუხსენ,  
ხანსაღა დავკუოფთ მციერესა,  
არ ცოცხალ ვყო, რას ვაქწევ,  
რა დავრჩე ხელსა მხდი რასა?  
დამშლიან ჩემნი კავშირნი,  
შეერთვივარ სულთა სირასა.

ე. ი. თავი დამანებე, ვკვდები, ცოტა ხანს კიდევ დავკუოფ ამ ქვეყნად. დავ, მოკვადე („არ ცოცხალ ვყო“), რაში გამოგადგები შეშლილი („ხელი“) ცოცხალიც რომ დავრჩე; დაიშლებიან ჩემი სხეულის შემადგენელი ობიექტები (კავშირნი) და ზეციურ სულებს შევურთდები.

საურთადებოა ისიც, რომ რუსთაველი, რომელიც სულის უკვადებას აღიარებს, თვლის, რომ სული ჩაახლებულია სხეულში, რომელიც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ზეცას უბრუნდება. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს რუსთაველის მიერ ნახმარი ფრაზა: „კვლა

დაშხნას სოფლისა შრომასა", ე. ი. ისევ („კვლა“) დაშხნას ამქვეყნიური ტანჯვისაგანო. აფლანახება, რომ ამ ქვეყნად მოხელამდე (დახადებამდე) მის ხელში ამ ტანჯვისაგან დასწალი იყო, ზოლო სიკვდილის შემდეგ კვლავ ვეღვ მდგომარეობას უბრუნდება. ზუსტად ასევე ემისი ათანე პეტრიწის სიკვდილის ხაყითი, სიკვდილი, მისი აზრით, არის

...განყოფი სხეულთაგან  
სულისა პირველ ზანამსა მის მსჯავრისა  
მოსულისა, რა გამს ოთხნი ვსე დიარღუნენ  
და მუნვე მიღვენ, სიდაათ პირველ  
მოცილენ.<sup>19</sup>

ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს შემდეგს: სიკვდილი არის სხეულისაგან ხელის განშორება, რაც მაშინ ხდება, როცა სხეულს შემადგენელი ოთხი ელემენტი — მიწა, წყალი, ჰერა და ცეცხლი — ცალ-ცალკე დაიშლება და დაბრუნდება აქ, საიდანაც მოვიდა („მუნვე მიღვენ, სიდაათ პირველ მოვიდენ“).

ამასთან დაკავშირებით ცნობილმა რუსთველმა პ. ინგოროვამ წამოაყენა მამოთეზა, რომ თითქოს რუსთაველი მანიქვეელი იყო და აზიარება შეტემაზისიზმის თეორიას, რომლის თანახმად ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი ხელი სხვა ცოცხალ ორგანიზმში გადასაბლდება. შეტემაზისიზმის თეორია ჭერ კიდევ უმბედოვლესთან გვხვდება, რომელიც, პ. ინგოროვას მტაკიკებით, აღმოსავლეთში გადმონულა და მანის (III ხ. ახალი წელთაღრიცხვით) შეუთვითება. მანის მოძღვრება — მანიქვეელობა — გავრცელებული უყოფლა საქართველოშიც.<sup>20</sup> ამ მოძღვრების ასახვას, პ. ინგოროვას აზრით, „ვეფხისტყაოსანშიც“ ვხვდებით. საბუთად იგი ახანებებს ცნობილ ადგილს ნესტანის წყაროლიდან ტარიელისაღმა („ადმერთსა შემედერთ...“), რომელიც ზეშით მოვტანეთ.

პ. ინგოროვსა ფიქრობს, რომ აქ მოცემულია მანიქვეელური კონცეფცია ხელების გადასაბლების (შეტემაზისიზმი) შესახებ. ხელის შექრწვა (სიტყვას „ჭრისასა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პ. ინგოროვსა, ცვლის სიტყვით „ჭრისასა“) ხაზაროს მატერიალურ ელემენტებთან, რასაც მისი აზრით, რუსთაველი აზიარებს, მანიქვეე-

ლური თვალსაზრისითა და ქრისტიანული კონცეფციას ეწინააღმდეგება.<sup>21</sup>

ამ თვალსაზრის უფრო მეტი მოწინააღმდეგე მყავს, ვიდრე დამცველი: აკად. კ. კეკელიძე თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი შენაარსი დამატრალურად ეწინააღმდეგება მენიქეიზმს, რომელიც კრძალავს ქალის სიყვარულს, კორწინებას, შეილებს გაწნას, ნადარობას, ქეთისღვინის მშას, ომს, ტუთილის თქმას, მასწობას, ვაჭრობას და ა. შ. „ვეფხისტყაოსანში“ კი ვერაღი იხიან გვხვდება. ეს ნიშნავს, რომ რუსთაველი არ არის მანიქვეელი.<sup>22</sup>

სხვა რუსთველოლოგებს ამტკიცებენ, რომ მანიქეიზმი ასკეტოზია; რუსთაველი, კო, ცხადია, არ იყო ასკეტი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსა არ შეიძლებადა ასკეტი უოფაღიყო.

პროფ. მ. გოგინბერიძე თვლის, რომ „რუსთაველს საერთო არაფერი ჰქონია მანიქვეელობასთან“.<sup>23</sup> მისი აზრით, მანის მოძღვრებაში გაღმერთებულა მთავარე, რუსთაველი კი მას არა მარტო არ აღმერთებს, არამედ, პირაქით, დაბალ შეფასებას აძლევს:

მო, მთავარეო, შემებრალე,  
ვილცი და შენებრ ვმკლდები,  
მზე გამაყესებს, მზევე გამლესს,  
ზოგჯერ ვსვლდები, ზოგჯერ ვწვლდები.

ერთი სიტყვით, თითქოს უდავო უნდა იყოს, რომ რუსთაველი არ იყო მანიქვეელი დაარც შეტემაზისიზმის თეორიას აზიარებდა.

რუსთველოლოგა შორის დავას იწვევს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დამოკიდებულება ნეოპლატონიზმთან. რიგი მკვლევარებისა მას ნეოპლატონიკოსად თვლის, სხვები კი ამ დებულებას უარყოფენ. კემშარბიტებასთან უფრო ახლოს დავას ის აზრი, რომ რუსთაველი არ უყოფილა არც ნეოპლატონიზმის მიმდევარი და არც „ორთოდოქსალური არისტოტელი“.<sup>24</sup> აკად. კეკელიძე ხაზარობიანად შენიშნავს, რომ „რუსთაველი არ ხანს ისეთ მოაზროვნედ, რომელიც რომელიმე ფილოსოფიური დოქტრინის ვიწროდ შემოგარდულ ნებუში ეტეოდებს“.<sup>25</sup> რუსთაველი, პირველ უოვლისა, პოეტი იყო და არა ფილოსოფოსი, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ მის ფილოსოფიურ იდეებზე და არა ფილოსოფიურ სიტყვებზე.

შ ე ნ ი შ კ ე ს ი ბ ი:

1 შ. ხიდაშელი, იოანე პეტრიწი, თბ., 1956, გვ. 80.  
2 მატერიის ნარადიულობა და არისტოტელეს გავლენას რუსთაველზე ხაზი გაუსვა პროფ. მ. გოგინბერიძემ (იხ. მისი რუსთაველი, პეტრიწი, პრეულდები, თბ., 1961, გვ. 25). მაგრამ მ. გო-

გინბერიძე ფიქრობს, რომ აქ საქმე გვაქვს „არაბულ არისტოტელიზმთან“. ჩვენი აზრით, არისტოტელეს არაბულ გადამმუშავებას არაფერი ახალი არ შეაქვს ამ საყთოში, ვინაიდან მატერიის მარადიულობის იდეა არისტოტელეს ნაწერებში სრულყოფილადია წარმოდგენილი.

3 „რუსთავის“ ცნების ამ ინტერპრეტაციას ეუ-  
რადლება შააკია პროფ. შ. ზიდაშელმა (იხ. მისი  
„რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი“  
კრებ. „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტო-  
რიის ნარკვევები“, კრ. I), თბ., 1973.

4 ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949,  
გვ. 563.

5 იქვე, გვ. 721.

6 შ. ზიდაშელი, რუსთაველის ესთეტიკურა  
შეხედულებანი, კრებულში: ქართული ფილოსო-  
ფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, კრ. II,  
გვ. 31.

7 პაულე ინგოროყვა, შოთა რუსთაველი. იხ.  
წიგნი: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი,  
თბ., 1970, გვ. 146.

8 შ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი,  
პრელუდიები, გვ. 50.

9 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 190.

10 ი. ლლაშვილი, იოანე პეტრიწი — კიმპუ-  
შელი. წიგნი: იოანე პეტრიწი, სათნოებათა  
კრებ. თბ., 1968, გვ. 143.

11 პეტრე იბერიელი, შრომები, თბ., 1961,  
გვ. 32.

12 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, ტ. II, გვ. 37.

13 შ. გოგიბერიძე, რუსთაველის  
პრელუდიები, გვ. 25.

14 იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II,  
გვ. 25.

15 ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია,  
თბ., 1968, გვ. 428.

16 სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა,  
გვ. 588.

17 იქვე, გვ. 619.

18 პ. ინგოროყვა, სიტყვა „ძრომისა“ ცვლას  
სიტყვით „ძრომისა“.

19 იოანე პეტრიწი, სათნოებათა კრებ. გვ. 105.

20 V საუკუნის ქართველი მთავარეპისკოპოსი  
მოზილანი შანიჭეველი იყო.

21 პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, იხ. წი-  
გნი: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გვ.  
145-148.

22 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, ტ. II, გვ. 188.

23 შ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი,  
პრელუდიები, გვ. 41.

24 იქვე, გვ. 26.

25 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, ტ. II, გვ. 181.



საგვრი თურნაძე

# ანრი ბარბიუსი და ქართული კულტურა

გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა, საფრანგეთში სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთმა დამამყვიდრებელმა, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა ანრი ბარბიუსმა მთელი თავისი ძალა და ენერჯია მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის მოახმარა. 1917 წელს ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მძლავრი იდეური ვაჟდენა მოახდინა ახალგაზრდა მწერალზე, იგი გადაქრათ დაჯდა საბჭოთა კავშირის მხარეზე. მრავალი ნაშრომი მიუძღვნა საბჭოთა კავშირში სოციალისტურ მშენებლობას, მის პროპაგანდას საზღვარგარეთ.

ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“ იწყება ახალი ხანა დასავლეთ ევროპის პროგრესულ ლიტერატურაში. ბარბიუსმა თავისი გზა პირველი მსოფლიო ომის ხანგრძლივან დაიწყო; იგი ფრონტზე უბრალო ჯარისკაცო იყო. ამ გზამ მწერალი სოციალისმისა და მშვიდობის ბანაკში მიიყვანა. თავის წიგნში „მეზობლის სიტყვები“ მწერალი წარმოგვადგენს, როგორც მებრძოლი მშვიდობისა და პროგრესის ძალების შესამჯობრობლად სოციალისტების ქვეყნის გარშემო. ბარბიუსის სახით კაცობრიობას მოვლენა თავისუფლებისა და მშვიდობის დიდი მებრძოლი, კაპიტალისტური წყობილების მანკიერების მამხლებელი. მწერალის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში აღბეჭდილია ჩვენი ეპოქის სოციალური ძვრები. გამოჩენილი ფრანგი მწერალი, „ლუმენატის“ უოფლი რედაქტორი პოლ-ვიან კუტიურისი, სამართლიანად წერს: „ომმა, რომელშიც ანრი ბარბიუსი სხვებთან ერთად მონაწილეობდა აღაშროთა იგი და პაფისტი რევოლუციონერად აქცია. სანგრებში მოხდა მისი გადაწყვე-

ვითი გარდატეხა, რომელმაც ბარბიუსი სოციალისტურ ანტიმილიტარიზმთან მიიყვანა“!

მწერალმა გვიჩვენა, რომ ყარაღური ომის ცუცხლში იბადება ადამიანთა გულში მოშავლის იმედი და სამართლისათვის ბრძოლის სურვილი ჩნდება. ბარბიუსი იწყებს ბრძოლას მოწინავე ფრანგი მწერლებს გასაერთიანებლად მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, ითვლისწინებს საბჭოთა ლიტერატურის იდეური შემოქმედებითა გამოცდილებას, გადაჭრით ამხილებს ოპორტუნისტულ განწყობილებებს ლიტერატურის ფრონტზე. იგი ფრანგ მწერლებს მიმართავს აბრძოლონ რეალიზმისათვის, „ზელოვნება ხელოვნებისათვის“ პროპაგანდის წინააღმდეგ.

1932 წელს ბარბიუსმა გამოაქვეყნა წიგნი „ზოლა“, რომლითაც თავისი წვლილი შეიტანა პროგრესული ფრანგული ლიტერატურის იდეურ და შემოქმედებითი წინხვლის საქმეში. ავტორი განიხილავს ზოლას იდეურ და შემოქმედებით გზას, რომელსაც კლასიკური ფრანგული ლიტერატურის ტრადიციებს, ბალზაკისა და პოუგოს მემკვიდრეობას უკავშირებს. ბარბიუსი მალად შეფასებას აძლევს ზოლას, ამავე დროს, აკრიტიკებს მის ნატურალიზმს და საერთოდ ნატურალიზტურ სკოლას.

„ზოლას“ შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებში ბარბიუსი ხვამს საკითხს ფრანგულ ლიტერატურაში სოციალისტური რევოლუციის დამყვიდრების საქმიანობის შესახებ.

ვ. კ. ლენინმა მალაღი შეფასება მისცა ბარბიუსის რომანებს — „ცეცხლი“ და „სიცხადეს“. დადი ზელადი წერდა: „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის უველგან შემჩნეულა. მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაუტრეიოთაღალსაზიანო დადასტურებად შეიძლება ჩაითვა-



ლოს ანა ბარბიუსის რომანები „ცეცხლი“ და „სიციხე“. პირველი უკვე გადათარგმნილია უკვე ენაზე და ვერცელებულია საფრანგეთში 230.000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უშეცარიის, იდეებითა და ცრურწმენით მხოლოდ დაბნელებული ობიექტებისა და მასაში მოხუხევი ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის შეგავლენით ნაჩვენებია არამეცნიერულდ ბიჭობით, ნიჭიერად და მართლად“<sup>2</sup>.

ბარბიუსი საქართველოში განსაკუთრებით დაინტერესდა მას შემდეგ, რაც მწერალმა ინსული ჩვენი ქვეყანა და დიქტო მასზე წიგნი — „ი, რა უფრო საქართველოს“. ამ ხანებში ქართულად ბარბიუსის მრავალი ნაწარმოები ითარგმნა. მისი პირველი მთარგმნელი თედო სახოკია იყო. გარდა ამისა, გამოქვეყნდა მწერალმა არისტო კუმეშაძემ თარგმნა ბარბიუსის მრავალი მოთხრობა და პუბლიცისტური ნაშრომი. არისტო კუმეშაძემ ა. ბარბიუსი გაიცნო ჯერ კიდევ 1914 წელს, პარიზში. ა. კუმეშაძე მოგვითხრობს: „1914 წელს, წარმოეს ვაცხარებული ომი, ვსივარ ვსივარ „ლუშანიტის“ რედაქციის მდივნის პოლ-ვიან კულტურის სამუშაო კანონით. უფროდ კარა ვადო, შემოვიდა მადლი, სახეობაღებული კაცო და მდივანს დაუწყო საუბარი. პოლი მუშაუნება: ვაცხარით, ეს არის ჩვენი კორესპონდენტი, მწერალი ანა ბარბიუსი. მე ჩამოვართვი ხელი და მივეხმარე. ბარბიუსი ფრანკიდან იყო ჩამოსული. ვაწუთს სტატია შესთავაზა. კულტურამ შემომთავაზა მეთანმშრომობა „ლუშანიტში“. ვწერდი წერილებს „პატრას“ ფსევდონიმით საქართველოს შესახებ, ამავე დროს, ვუყავი ვაწუთ „სახალხო ფურკლას“ კორესპონდენტი, ვაწუთს ვაწვდიდი მასალებს პარიზიდან. პარიზში უფრის დროს დავწერე ორი მოთხრობა: „უფსკრული“ და „კალი“.

1927 წლის 8 ოქტომბერს მეორედ შეხვდა ბარბიუსს თბილისში, მწერალთა სახალხო მივ-პარტო სიტყვით და შევახსენე ჩვენი პარიზში შეხვედრის ეპიზოდი, მწერალმა მადლიერების გრძნობით გაიხსენა ეს ეპიზოდი და გადამოც-ნა“<sup>3</sup>.

ბარბიუსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ქართულ ეთნოლოგიურ-გაზეთებში გამოქვეყნებულია ცალკეული წერილები. პარტ. დ. ფანჭულიძის წიგნის „ფრანგი მწერლების“ ერთი თავი ბარბიუსის შემოქმედებას ეძღვნება. ამას გარდა, უცხო ენათა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ საქაია 1955 წელს დაიცვა საკან-დიდატო დისერტაცია თემაზე: „ბარბიუსის შე-მოქმედებითი გზა“.

ანა ბარბიუსი დაიბადა 1873 წლის 17 მაისს, ქ. ანერში (საფრანგეთში), ლიტერატორის ოჯახში. 1883 წელს იგი შექვათო როლანის კოლეჯში, სადაც მოხავალი მწერალი დიდ ნიჭს ამჟღავნებს, ეველი საგან-სივარეზე სწავლობს. კოლეჯის დირექტორი მას ქიხის სივლითა აქილადობს.

1891 წლის 15 სექტემბერს ანა ბარბიუსი ანაბრის გამოცდის ლიტერატურა-ბაკალავრის ხარისზე. 1898 წელს ანა ბარბიუსი შედის სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე, სადაც მოხავალი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეუფლება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას.

ბარბიუსი ლექსების წერას იწყებს ორმოცეტი წლის ასაკში, მეცდავს მათ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. 1895 წლის ზოფულში გამოდის მისი ლექსების პირველი წიგნი „მტარალი-ნა“, რომელიც ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ვუთხოვდა მალე. მწერალმა თანდ. როულისის ომის მიუძღვის რომანები: „კოქს-სეთი“, „ცეცხლი“, „სიციხე“, „ქალათხი“ და მრავალი სხვა მოთხრობა და რომანი. მის შემოქმედებას მალე შეფასების აქტივდენ ვ. ი. ლენინი, ა. ბ. სტალინი, მ. ტორევი, პიერ სემარა, მარსელ კაშენი, გიორგი დამბირივი, რომენ როლანი, მაქსიმ გორკი და სხვანი.

1923 წელს ა. ბარბიუსი შედის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში და ბილწმდე ერთგული რჩება მისი. ამ წელს იგი წერს რომანს „მარსულები“, რომელშიც აღწერილია კაცობრიობის ჩაგვრის ახტორია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. ა. ბარბიუსს საქართველოში ჩამოსვლაშვე წაიხიბულია ჰქონდა წერილები საქართველოს შესახებ. ჯერ კიდევ 1904 წელს ეან ეორგმა „ლუშანიტში“ მოათავსა საქართველოს შესახებ წერილები, რითაც ბელა შეუწყო ინტერესს ქართული კულტურისადმი.

ჩვენი საზოგადოებრიობა დიდა სიხარულით შეხვდა ცნობას საქართველოში ბარბიუსის ჩამოსვლის შესახებ. ეურნალი „ნათლიების მუ-შაი“ მკითხველებს აუწყებდა: „საბჭოთა კავშირის ისტორია და საქართველოშიაც აიარებს ჩამოსვლას საფრანგეთში თანამედროვე დიდი მწერალი და პოლიტიკური მღვაწე ანა ბარბიუსი. ბარბიუსი კომუნისტი, ის მსოფლიო სახელის მწერალი და მისი ნაწერები თარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენაზე. აღა ეს დღეობაშვე ადამიანი მუშაობს დიდი ხანთა-შორისო ორგანიზაციის მოწესბაზე ფაშოშას წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიგად, ანა ბარბიუსი კალითა და საქმით ერთგულად ემსახურება სოციალისტური რევოლუციის საქმეს და რა ვახავარა, რომ მას დიქტულიდ აფასებენ და აღტაცებით შეხვდენ საბჭოთა რუსეთში“<sup>4</sup>.

1927 წლის 8 ოქტომბერს ანა ბარბიუსი თბილისში ჩამოვიდა. ამავე დღეს, ხელოვნების სახალხო, მწერალთა კავშირმა მქონდას სტუმრის სასტუმროელოდ გამართა საზეიმო სხდო-მა, სადაც ვუთხოვდა მიხელობნენ საფრანგეთის კომპარტიის წარმომავანდის. „საფრანგეთა ჩვენივის არც ისე უცხოა, — ამბობს მწერალი კავშირის თავმჯდომარე სილიბიტრი თოდია, ჩვენ აღვიზარდეთ პარიზის კომუნის ვაცევილი-ზე. ნაცრობა ჩვენივის საფრანგეთის ლიტერა-

ტურაც. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ანრი ბარბუსის სტუმრობა. ამხანაგი ანრი ბარბუსი ძვირფასია ჩვენთვის არა მარტო როგორც მწერალი და ლიტერატორი, არამედ როგორც მებრძოლი, რევოლუციონერი და პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შეფარბი. ამდენად ძვირფასია ჩვენთვის მისი შემოქმედება, ვადღენითლი ამ რევოლუციური სულით. თანამედროვე საფრანგეთი, მისი მმართველ კლასები ჩვენ დღეს არ გეწყალობენ, ისინი ისწრაფვიან ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტებას, მაგრამ ჩვენ ვართ მტკიცე კავშირში საფრანგეთის პროლეტარიატთან და ამ კავშირში ამხანაგი ა. ბარბუსი არის მტკიცე რგალი.<sup>5</sup>

მწერალთა კავშირის სახელად სტუმარს ფრანგულ ენაზე შეშარა მწერალმა და მთარგმნელმა არისტო კუმბამემ. „ჩვენ ქვეყანას, — ამბობს ორატორი, — ზევრა უნახავს სხვადასხვა რწმენის და პროფესიის უცხოელი. ზოგნი ჩვენთან მოდიოდნენ, როგორც იარაღამართლნი მტრნი, ზოგნი, როგორც მედიდურობით სხვე და თავისული ცივილიზატრები, ზოგნიც მოგზაურნი — მოულოდნელი განცდებითა და ეგზოტიკური სანახაობით დაინტერესებულნი, მაგრამ ვერცერთ მათგანს ვერ მოუცლია ჩვენს ცხოვრებასთან ახლოს მოხვლა... მის სიღრმეში ჩაბედევა და იქ ხალხის საქარებათა ამოცანები, სახელმწიფო, ეს დრო წავად, და თქვენ მოხვედით... ჩვენ დიდათ ვაფასებთ ფრანგ პროლეტარულ მწერლობის მოღვაწეობას და ამავე, რომლითაც ისინი მხარში უდგანან საფრანგეთის პროლეტარიატს და ამხნევებენ მას გმირულ ბრძოლებაში. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ, საფრანგეთში დაბრუნებისას, როდესაც იტყვით სიმართლეს ჩვენს ქვეყნის ცხოვრებას შესახებ, არ დაიფრებთ არც ქართულ მწერლებს, რომლებიც შეიძლება ახლა გვარად თანამშრომლობენ საქართველოს მთავრობასთან ახალი ცხოვრების — სოციალისტების განსახორციელებლად. რადგან ქართველი მწერლები დაწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ სოციალიზმი განახლებს ძველს კაცობრიობას“.

მოძულებულ კაცს მიწასთან გასწორებდა. დაახ,  
უკიდრგანი სიყვარული იყოდა, შეგობრის  
მტლედ დაედებოდა, მაგრამ უსაზღვრო სიძულ-  
ვადიც იყოდა უველა უღირსისა და უქალაგოსი,  
ვინც ირპირობას, მლაქვენლობასა და ქედმაღ-  
ლობას უბედა და ღაღას...

\* \* \*

როცა წამოვიზარდეთ, ჩვენს სკოლაში ბევრა  
მოწყვე იყო ლიტერატურით გატაცებული. ვაწ-  
ურობდით ლიტერატურულ დისკუტებს, არ ვაწ-  
დენდით შეწარლთა სასახლეში მოწუობილ ხადა-

მოებს, გულდასმით ვისმენდით მოხსენებებს ლი-  
ტერატურულ მიმდინარეობათა თაობაზე. განსა-  
კუთრებული გულიხურით ვუსმენდით ქართულ  
სამბოლისტებს, მოხიბლულნი ვიყავით გალაკტი-  
ონით. წამოვიკითხეთ და ჩვენი ღონეც მოცხინ-  
ქეთ ლიტერატურაში: დავაარებთ ევტროფიდეზუ-  
ლი ახალგაზრდა ლიტერატორთა ღოფა. ამ ლი-  
გის წევრები ხუთნი ვიყავით. აქ იღვდა ფეხი,  
უკეთ ვთქვით, ენა ამოიღვდა მხებილ მრველიშვი-  
ლმა, რომელმაც შერე ღირსებული კვალი დააწ-  
ნა ქართულ ლიტერატურას — როგორც პიო-  
ზაიკოსმა და დრამატურგმა. ამ ლიგაშივე დავე-  
კაცდა ნიჭიერი პედიტორისტი დიომიდე ანთიმე,  
რომელიც შერე თეატრისა და კინოს რეჟისო-  
რად მოღვაწეობდა, მაგრამ ახალგაზრდა წავიდა  
ამა ქვეყნიდან და თავისი, ზელოვანის ქერ კი-  
დეც დაუხარჩავი ტალანტი წარიტანა თან.

უოველივე ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ  
საკვარველია ჩვენს სკოლაში, ლიტერატურით  
ესოდენ გატაცებისა და შეწარლობისადმი ქომავო-  
ბის ეამს ბასილ მელიქიშვილი ჩუმად იყო, —  
იგი გამოითიშული ჩანდა ჩვენი სკოლის ლიტე-  
რატურული ცხოვრებიდან. გვიანდა ვავიგეთ,  
საშუალო სკოლის დამთავრების ცრტა აქლდა,  
როცა ცნობილი გავიბოდა, რომ ბასილს თურმე  
ლიტერატურით ედგა სული. ვავიგეთ მაშინ,  
როცა მან მოკრძალებით გავვიშხილა მცირე  
ფორმის ნაწერები ლექსები და მინიატურები.  
მაშინ ვავიგეთ, რომ თურმე ბასილი წერდა,  
ბევრს წერდა, მაგრამ არ გვიმედავებოდა მხდა-  
ლი არ იყო, მაგრამ გულს შიშა ედგა, — ვაი  
თუ არ მოგწონებოდა მახი ნაღვაწი. როცა ნავ-

ნი გატყდა და მეგობრებმა პარტული ნაშუშები მოყვარონო, უფრო გახედულად იწყო თავისი ნაწერების გამოშვებობა მეგობართა შორის.

საშუალო სკოლა დავამთავრეთ და სხვადასხვა სპეციალობის დასაბუღებლად შევაშურეთ უნივერსიტეტს. თითქმის ყველამ გადაუხვია ლიტერატურის აღმართთან გზას: ზოგიერთი ჩვენთანგან მხოლოდ შეტვირთის ფაზს თუ მიმართავდა პოეზიას სულის ამოხატვით. ბასილ მელიქიშვილმა კი სწორედ ამ დროს იწყო ლიტერატურაში წილის გამართვა და დაეკავებოდა. ბოლო ხანს იგი ლექსებს აღარ წერდა, პროზაში კი მოკვდებოდა თავისებური მხით, პოეტური პროზის თვითმყოფად რსტრად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხილვებითა და დაფიქრებებით. მაშინ, როცა ახალგაზრდობა სხვადასხვა მიმდინარეობებით იყო გატყუებული, ბასილ მელიქიშვილი იმამიტი ხალხივთ უყვებოდა ყოველგვარ „იშვებს“ და ახალ ზღვიეს შიაკვლევდა სხვათაგან უფალ მთის ორწიბებში. ოცნებობდა პროზაში თავისებური სტილის გამოღმუშავებაზე და თავის ოცნებას, ჭერ კიდევ სრულიად ახადგაზრდად, კუმშობათად რომ მკვიდრი ნადაგი გამოჰქმნა. ზეჯარს კითხილობდა. კარგად იცნობდა და დასაბუღეთ ვერპობის ლიტერატურას. რუსული ლიტერატურიდან გამორჩეულად უყვარდა დონსტოვესკი. ყველაზე მეტად მაინც მინდურია შინაგანჭკურება და გარინდებს იღუშალება ხიბლვდა. აფრიაოს შიხს მცხუნვარება წვადა, აღმოსავლური ხიბრძნით იყო მონუსხული. როცა ქართულ ლიტერატურაზე ითქმოდა რამე, ვაჟაფშაველას ისე ახსენებდა, როგორც მახლობელ აღმიაინსა და მეგობარს. მაგრამ როცა თვით წერდა, ბასილ არავის ჭკავდა: მის ენას, მის სტილს, საუფეტურ კომპოზიციას არ ეტობოდა სხვათა გავლენა. ბასილ მელიქიშვილის მოთბრობების გმირება თითქოს შინა მეობის, შიხ კაცობის ნაწილაკები იყვნენ, მისი სულიდან იყვნენ გადშობულნი, — თითოეული გმირი ცალკეულ ნაწილაკი იყო მისი ბუნებისა და ყველა ერთად მის პარტუნებას მქმნდა. ამაღ იყო, რომ ბასილ ავტორისეულ ეპიკურ თხრობას ანაზდად გადაუბეჭვდა ხოლმე და ყოველ გმარს თვითვე ესაუბრებოდა ვითარცა თავისიანს, თავის სიხილსა და ზიარს. თხრობის ამ ორგანიზატორმა მანერამ სტილის ხასიათი, თავისებური სანტაქსიკა და ლექსიკა განაპარობა და ახლებურ სიტყუარაზობებასაც მისცა დასაბამი. „ხოფელს მოეკალიავენ ღვინი...“ იტყოდა ბასილი, „ხელთ ჩაერთვენ სოფლად გადმობუნავებული მთიულეები და ღვიპა“, „შევაწროვდა და შეწუბდა ქოსალები, აიგუდანახადავა თოფ-იარაღი“, — ხადად, უზარალოდ იტყოდა იგი, და ხატუვებს ახლებურად ისე ბუნებრივად მომარტყვებდა, რომ თავმოწონებისა თუ კომწიარობის ნატამალიც არ ემჩნეოდა.

\* \* \*

ცნობილია, რომ შემოქმედნი, მომეტებულად პოეტები და ხელეტრისტები, მწილად იგუებენ სხვათა შენიშვნებს. ბასილიც კუსტი და უპარებელი ჩანდა: როცა მეგობრებს ახალ ნაწარმოებს წაუკითხავდა, უმად ააღწებოდა, თუ ვინმე უტაქტოდ ოდნავ მაინც გაქვენწლავდა წინასკითხს, შენიშვნის წარმომტყმულს გაებუტებოდა და იტყოდა: მაგას ლიტერატურისა რა ესმის! მაგრამ თუ მისი შემოქმედებბაში რიღისა და კრძალვას იგრძნობდა, მეგობრულ შენიშვნასაც მორჩილად მოისმენდა, და თუ შენიშვნა კუსში დაუქლვებოდა, არაფერს იტყოდა, ნაწარმოებს კი ახლებურად გადააკეთებდა. გუდასურობით უსმენდა ევგენი ზარაძესა და მისი ბერატაშვილს. ურუმრად მიუგებებდა ხოლმე უურს ჩვენს მანწილვებულს, მეგობარსა და გზის გამკვლევს — ერთკვლ ტატაშვილს.

ბასილი განსაკუთრებით დამახლოვდა ბოლო ხანს, როცა მე ლიტერატურიდან დაშორებული საგნის შესწავლას შედეკიფე. ამ დაახლოენის მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მე და ბასილი ბზარად ესაუბრობდით მის შემოქმედებაზე: თუ რამ მქონდა სათქმელი, ფრთხილად შევაპარებდა ხოლმე და ჩემ სათქვამს ერთად აწწონდა-ეწწონიდი. ვიციდი, სათქვამს დაუფარტებოდა, განსწორებულს ვაისწორებდა, ბოლო თუ ჩემი სათქვამს არ მოეწონებოდა, ამისთვის არ დამტუქავდა, რაკი ვეტყოდა: „ავტორი შენს ხარ და შენ თვით უკეთ იცა, რა მოუბდება შენს ნაწარმოებს და რა არაო!“ იმდენად ბუნებრივი გახდა ჩვენი სჯა-გაბასებანი, რომ ბასილი თავისი მომავალი მოთხრობების გეგმებსაც მაყნობდა. მახსუს, ისე დაწვრილებით მომითხრო თავისი „ორფების“ სიუჟეტური ქარა, — უბედურა მოხელის ამზავი (რომლის მხოლოდ დასაწყისას დაწერა მოასწრო), რომ განზრახული მქონდა კიდევ გაგრძელება დამეწერა, მაგრამ დროზე მიავხვი, ბასილის წერის უაიდა იმდენად თავისებურია იყო, რომ ჩემი ნაწერია უბერო მიმსგავსებას გამოვიდოდა...

\* \* \*

მრავალი დავიღარაბისა და დუბუქარა ღღებებს გადატანა მოხუდა ბასილს. ამ დავიღარაბამ მძიმე კალი დააჩინა მის გამბდარს, მაგრამ უკონის სავსე სხეულს: ბასილი დაქლექდა. მაგრამ უკონებულმა სენმაყ ვერ დააძაბუნა მისი უტემო ბუნება: ნიადაგ შეყოფადა და წუბდა ლიტერატურისთვის, — ლიტერატურით უფრო იყო სწეული, ვიდრე ფილტვების მღრღნელი სწეობა. როცა სიცოცხლის ილაკი გაუწედა, მაინც წოხილმიტყვისთვის ზრუნავდა, სიცოთ იყო გათანგული და მაინც მომავალი შემოქმედის ცეცხლით იყო აღმოადებული, კანგატეხილი იყო და მაინც თავის გმირებს ესაუბრებოდა, თვალწილვ ხედავდა მომავალ ნაწარმოებთა გმირების არტილებს, სიცოცხლე ეღვიოდა და მაინც სი-



ცოცხლსაყენ იწვდოდა მოცახცახ ზელებს — პოეტური პაროზის ახლებურ კონტრებს ზედავ-და თვადღაბადული...

გულის სიბოხსა და ზრუნვას არ აკლებდნენ ბასილს მიხეილ ჭავჭავაძისა და გერონტი ქიქოძე. გერონტი ზნორად ესაუბრებოდა მას ლიტერატურის საკუთბორტო საკითხებზე და მის ნათქვამს ბასილი ღრმად ჩაუფაქრდებოდა ხოლმე. მიხეილ ჭავჭავაძისა შეწვენით 1927 წელს დაიბტამა ბასილის „ქალაგი“, „ქართულ მწერლობაში“, ხოლო „მნათობში“ — „ტარაგი“. 1928 წელს „ქართულ მწერლობაში“ დაიბტვდა „თორმანას“ პირველი თავი („მალთუქი“), ხოლო „არბილიში“ — „მკერდშებოლიდა მერცხალი“, „არბილიში“ დაიბტვდა აგრეთვე მიხეილ მრეველიშვილის „სეზიდა“ ძველი თაობის მწერლებთან ერთად მხოლოდ ეს ორი ახალგაზრდა წარუდგა მკითხველს „არბილით“ და მიხეილ ჭავჭავაძის თავის თავს ბასილისა და მიხეილ მრეველიშვილის ნაოლიად თვლიდა.

...მოსაგონარადაც მშობის ბასილის სიცოცხლის უნანსენელი წლები. რაკ პატარა და-ძმასა და დედობილის რჩენაც მას დააწვა კობად, ნათიერთად შევირბებულმა უნივერსიტეტი მიატოვა და მანწავლებლობას მჰყო ზელი. იმედა ჰქონდა საუნერესიტეტო სავნებს ჩანაბარებლად მოამზადებდა და სავაიოდო სესიებზე ეტუმრებოდა თბილისს: ორბეთის მახლობლად, სოფელ დრეში ახწვულიდა პირველდაწყებათ სკოლაში. ძალზე ცუდა საცხოვრებელი პირობები ჰქონდა. 1928 წლის შემოდგომაზე მწერდა „აქ დარჩენა მტედა გამოქმედებდა. მიწურ სახლში ეცხარბოს და დღეს ავადც ვარ“. მოზოვდა, ვანათლების განყოფილებაში მიმეტანა მისი ვანცხადება, რაკ სოფ. ზორბოში გადაეუვანათ ოთწლიან სკოლაში. მაგრამ კაცო ზებედა და ღმრთი იცონიდა! — ბასილის არა თუ სხვა სოფლის სკოლაში გადაუანა არ მოზრბდა, — მას იმე სოფელ დრეს სკოლაშიც ადარ დაედგომებოდა და თბილისს გამოემგზავრა.

უსამახორდი და მილად უსამხროდ დარჩენილმა ახალბედა მწერალმა რედაქციებს მიაწერა კორექტორის ადგილიც ვერხად გამოიშტენეს. მოთბობებხაც ადარავინ უბეჭდავდა, თუმც მის სამწერლობო ასპარეზე გამოხვლამ ბეჭერი ვინმე აღაპარაკა. იქნდა ეს „აღაპარაკეც“ იყო ამის მოწეზი, რომ რედაქციებში პარზი უარს არავან ეუბნებოდა, აქებდნენ და ამხვევებდნენ კიდეც, მაგრამ აღბათ ეწინოდათ, ვაი, თუ ურვეულო თბრობისა და სტოლის ატტორი ვაატიტიონ და ჩვენც დავისაქოთ!

განაყოფრებათ „მკერდშებოლიდა მერცხალი“ მოუზებვა ბასილ მელიქიშვილს მტედა თავისებურად და საკუთარი ხმის მქონე, სანიტრესო მწერლის სახელი, მაგრამ, ცხადია, მარტო ამ სახელით ვერც თავს ირჩენდა იგი და ვერც უმრწმებს და-ძმას არჩენდა. მოსაგონარას სამიძიძელს იხიც ურთუბს, რომ იმბნად ბასილის მახ-

ლობლებიც იმდენად ხელმოკლედ ვსუფილ, რომ ვცხაროდა, თუ ძენვისა და პურის ფულს მკოხელებთებდა და სწელდ მეგობარს გავუშტენებდებოდიოთ, თუ ცოტაოდენ რაიმეს აწოგნადა, ბასილი სოფელში უგზავნიდა დედობილისა და და-ძმას. თბილისში უბნაოდ დარჩენილი ბასილი ერთ ხანს ვანო ტაბიძემ შეიკედლა, თუმც მას თავის პატარა ოთახში ერთი მუდმივი ხანანი, ახალგაზრდა კომპოზიტორი ჰუვდა და, გარდა ამისა, ღამის სათვეად ზოგჯერ უსახლკარო ტერენტი გრანელსაც შეიკედლებდა ხოლმე. ვანომ ბასილს თავისი ღოგინიც კი დაუთმო, ზრუნვასაც არ აკლებდა, მაგრამ უკველითეც ეს მტარე რამ იყო ამასთან შედარებით, რაც ფილტრებდაცხარბულით ავადმყოფობისთვის იყო აუცილებელი. ასეც ავადმყოფს, ცხადია, ვერც შესანიშნავი მწერნალი-ფთხაბატრა ვანო დემურია წველიოდა, თუმც თავის ადამიანურ სიბოხს, ცოცხანსა და მონდომებას არ აკლებდა ბასილს...

\* \* \*

ერთხელ, მახვცს, 1929 წლის ზაფხულს დასაწყისში, ამგამინდელ კაროვის ქუჩაზე შევხვდი პაილო იაშვილს. გამოიქოთხა ბასილის ამხედა და რა რომ ვაიყო მისი მძამე მდგომარეობა, იმე დღეს ვემურა ამასოქმუნს საგზურის საზოცნელად. იშოვნა კიდეც. რაც კბეში ფული აღმოჩნდა, ისიც ბასილთან ვამატანა და თან მისოცა, ისე მოეზრბებინა ბასილისთვის ამ ფულის გამოყენება, რომ თვით ბასილს არ ვაეყო. ვისხაც იყო ვაგზავნილი. პაილომ მერე ამასთომანს ვასამგზავნიელი თანხაც მოუზერხა, — ადარ მახვცს, მწერალთა კავშირიდან თუ რომელიდაც რედაქციიდან. ამის მერე მან მწერალთა კავშირიდან 1.000 მანეთი გამოითხოვა ბასილისთვის დასმარებად.

პაილოს ამავი, სამწუხაროდ, ამოც გამოდგა: ამასთომანში ჩასვლისთანავე ბასილი ცუდად გახდა და ნანატროშიდან იმედგადაწურული უკან გამოისტუმრეს. სხვა გზა აღარ იყო, ორბეთის ავიადა და ზაფხული იმ გატარა, მცირეოდენი თანხა, რომელიც პაილომ მოუზერხა და მეგობრებმაც შევეფრთვეთ, საქმარისა აღმოჩნდა ამისათვის, რომ შედარებით ნორმალურად ეცხოვრა. აღბათ მთის ჰავაც მოუზდა და შემოდგომაზე თბილისს რომ დაბრუნდა, ვეღარ ვიცანით, ახე იყო მოყვებული. იმ ზამთარს თავს მხნედ გრძობდა და იმედის სუსტბა ათინათშიც უმეოიჭვტიტა ჩვენს მოლოდინში. აი, სწორედ მაშინ აგებდა აგი ახალ გეგმებს მოთბობებისა და დღიე ტილოდთვის. ვარკვევით არას ამბობთ, მაგრამ ვადაკვრთი შეუზნებოდა, ჩანდაჭრითანჭდათამ მომწიფებდა და ძალე უოველითეს უკრელად მოგუეებო. იმ ზამთარს იყო, რომ ავტ მტედა ქვეულო მოხელის ამხავედ დაიწყო მუშაობა და სათარად „ორფხიცი“ გამოიშტენა და ცაფტრებისათვის“.



## ქვირინაი

გადმოადგა თუ არა ქედს ქიმოქნილი მთვარე, მიღებული ხორცმეტი ცისა, საცოდავი და ცოფიანი, მგონი დატანიანებული, თან გადმოჰყვა ფაფარაფორიანებული ქვირინაი. და მთვარეს გამოესახა მორკალებული კვიცა.

ქვეით სოფლებიდან დაიძრნენ ადამიანთა თვალები. გამოიხილეს კვიცი ქვირინაი, ფერად კუპრი და კუნაპეტი, მთას გადაჭიმული ტანდარ-ამოქრილ ქალასავითა. დიახ, კვიცი აჯილა, დაუგეშავი.

ადამიანები აედევნენ. ადამიანები სდევნიან. რით ვერ დაიმონეს? და გადმოადგა თუ არა ქედს ქიმოქნილი მთვარე, — სიხარბემ დაგიმონათ, წვივები დაიწმინდეთ, ადამიანებო, და ქამანდებით ქედისაკენ გაქანდით. თხუთმეტი ქამანდი ერთად გაქანდა ქვირინასკენ, თხუთმეტმა ხელმა მოახელა კვანძი ქამანდისა და შემოსალტეს ქვირინასა დასაპყრობად, გამოსაქნელად.

მაშინ კი აიწყვიტე ფაფარი, ქვირინავ! გაუსხლტი სალტეებს ქამანდისას და გადააქე-

ლე ადამიანები, და შინას წაგლესე. გადარჩენილები კბილებით დაჯიჯგნენ. გადარჩენილებს წილი ჩაუნახლეს.

მეორედ კი: რგოლად ფაშატები შემოგახვიეს. ეგებ ვნებამ ნება წაართვასო, ეგებ დავიმონოთო! დიდ ხანს აწყდებოდი წელმონვეტილ ლეკვივითა. ფაშატები დაგლიჯე, მაგრამ ბოლოს ვნებამ დაგიმონა, გაენურბე ერთ ფაშატსა და, ქვირინავ. ქედმოხრილი გაენურბე შინას.

ადამიანებმა კვლავ ქამანდები შემოგახვიეს, ფაშატები დაფრთხნენ... და მთვარე რის ჩაესვენა, ადამიანებს დაჩლეტილ გვამილად შერჩათ ქვირინასი. მაშინ კი მოგხსნეს ქამანდები თვალდამდგარო, გაციებულო კვიცი ქვირინავ!

და მას შემდეგაც მთვარე მაინც ჩადის და ამოდის, ნაცოფილევი ხორცმეტი ცისა. და მას შემდეგ ადამიანებს აღარ გამოსახვით ქედს გადმომდგარი, ფაფარაფორიანებული კვიცი ქვირინაი...

ბასილ შელიძის შრომების



## ხიდი, გადებული ჟამთა დინებაზე

ვათა დინებაზე გადებული დიდი ხიდი, რომელიც ერთიმეორეს უკავშირებს წარსულსა და აწმყოს — ასე მოხდენილად ახსიათებენ ზოლმე ისტორიას, მის არსსა და დანიშნულებას. ეს მეტაფორა, შესაძლოა, პოეტის ნახელავი იყოს, მაგრამ უკვე შეჭრილა მეცნიერთა ნაშრომებში და ჰეგელიანური ისტორიის, ალბათ, ვერ გავკცევა პოეზიის სუნთქვას. შემთხვევითი როდია, რომ ბერძნული მითოლოგიაში კლოს, ერთდროულად, ებიკერი პოეზიისა და ისტორიის მუზა ერქვა. ჰალა, რომელსაც ხელში გრავნალი ეჭირა, შთაგონებდა პომპროსასაც და პლუტარქესაც.

„ჩა არის ისტორია? — წერდა ილია ჭავჭავაძე, — იგია მოხრობული მისი თუ, რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.

კაცობრიობის მეზობრება სათუთად ინახავს წარსულს, როგორც თავისი არსებობის უწყვეტი ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლს. ისტორიის დავიწყება ისეთვე მომავლინებელი დარტყმა იქნებოდა ამა თუ იმ ერისათვის, როგორც მეზობრების დაკარგვა — ადამიანისათვის.

XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი თ. კარლილი წერდა: „დაუფიქრდით ყოველივე იმას, რასაც შეიცავს ეს ერთი სიტყვა — წარხული რაოდენ პათეტური, წმიდათაწმიდა, უოველმხრივ პოეტური მნიშვნელობა არის ჩაკსოვილი მასში. მნიშვნელობა, რომელიც მით უფრო ნათლად ვლინდება, რაც უფრო შორს დავიხვეთ ვათა სიღრმეში, რაც უფრო მეტად შევადწინებთ ამ წარსულში. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ისტორია არის ჰეგელიანური პოეზია: ზოლო რეალობა, თუკი მას მართებულად განვმარტავთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოთავი“.

თავისი მუხს მშვენივრებით მოხიზლული ისტორიკოსი იმასაც ამტკიცებდა, რომ ყველაზე უმნიშვნელო რეალური ფაქტი ადამიანის წარსულზე, რომელიც შეიძლება გამოიხრის წინგებაში ჩაფლულმა სწავლულმა, უფრო პოეტურია, ვიდრე ყველა შელი და უფრო რომანტიკულია, ვიდრე ყველა ვალტერ სკოტი — ერთად აღებოლო. ეს უზომოდ ვაზვიადებული ზიტბაც

სინამდვილის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს.

შესაძლოა, ვინმემ ირონიული ღიმილით წაიკითხოს კარლილის სიტყვები და მეოცე საუკუნის ტექნიკით განვზიერებული ადამიანის პოზიციიდან გულგრილად აიჩიოს მხრები — ისტორია ზომ ზღამარია და ჩვენს დროში სინამდვილედ გადაქცეული ზღაპრული სასწაულების შემზღვევარს ისტორიამ რაღა უნდა გვითხრასო. მაგრამ უფრო ვათხოვთ ჩვენს თანამედროვესაც, გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერს ჟ. ტრეველიანს, რომელიც კარლილზე არანაკლები ენაბრებით წერს: „ისე არაფერი განასხვავებს ცივილიზებულ ადამიანს ნახევრადველურისაგან, როგორც უნაო — შეიცნოს ჩვენი წინაპრები იმგვარად, როგორც ისინი იყვნენ სინამდვილეში და მარკვალ-მარკვალ აღადგინოს მოზაიკ უხსოვარი წარსულისა. ვარსკვლავთმრიცხველობა ანდა მფრინავი თუ წვალქვემა ზომალდების შექმნა სრულიადაც არ არის უფრო განმაცვიფრებელი და გამაყთილშობილებელი საქმიანობა თანამედროვე კაცობრიობისა, ვიდრე უკვე დავიწყებულ მოვლენათა და ჩვენამდე მკვთავრებ ადამიანთა ჰეგელიანური ბუნების შეცნობა“.

ანალოგიური ციტატების დამოწმება ძალზე შორს წაგვიყვანდა...

მთავარი ისაა, რომ ისტორია არ უნდა წარმოადგენდეს ხანმოკლე ტრფობის საგანსა თუ სხვისაგან გამოსარჩევ თავმოსაწონ სამკაულს. ისტორიის სიყვარული ჰარის მოტანილ ემიღემიას რადი უნდა ჰკადეს, არამედ ჩვენს ორგანიზმში გენეტიკურად დაბეღებულ ტყვიულს, რომელიც გაკვეთდა ადამიანს სკოლის მერხიდან სამარის კარმდე.

ოციოდე წლის წინათ, ჩამოფსებული „ქართლის ცხოვრება“ იყიდებოდა მაღალიცში (ალბათ, ვახსოვთ, კიდე უფრო აღრინდელი, გრიმშაშვილისეული: „ლამის სირსჯილით ამეწვას ლოყა...“) მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მოხდა ფასულობათა გადაფასება. სასიკეთო მერები რესპუბლიკის ცხოვრებაში, და ჩამოფსებული „ქართლის ცხოვრება“ რომ ასხნით, აღარაინ დიფერებს.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ა. გულოგა თავის

საქართველო  
საქართველო

წიგნში „გულთხეობა ისტორიისა“ (1980) გულსტკივილით აღნიშნავს, რომ ცოცხალი და მომხიბლავი ისტორიული თხრობის ტრადიცია, რომელიც დამკვიდრეს კარაშინმა და კლიუჩევსკიმ, მართალია, ჯერ არ გამქარა, მაგრამ არც აყვავებას განიცდიდა. ა. გულთხეობა მიანიშნავს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ვალნა მეთოხველის წინაშე და თმცა მოიპოვება მძლავრი სამეცნიერო კოლექტივების მიერ შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები, სამაგიეროდ, წარსული-სადმი უტრამაზარი ინტერესის კვალობაზე, ერთობ ცხარე ვატიკებით საკითხავი წიგნები. ა. გულთხეობა სიტყვით, ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა, ღრმად ჩასწვლეს ადამიანთა შინაგან სამყაროს, ახადის ფარდა ადამიანთა ქცევას ნაშობრავებულ მოტივებს, აღდგინოს ადამიანის გრძობათა და აზრთა ლოგიკურბათ თუ ალოგიკურბათ. რა თქმა უნდა, უკოვლგვარი პრობლემა ისტორიისა არ იძლევა ასპარეზს მხატვრულ-ემოციური იარაღის გამოსაყენებლად (მავალითად, გეონომიურბი ისტორიის), მაგრამ როდესაც ისტორიკოსი მოგვითხრობს რომელიმე ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაზე შოლიანობაში, სახეობრბოვმა აზროვნებამ გარკვეული აღგალი უნდა დაიჭიროს მისი შემეცნებბით ბერბების არსენალში. დოკუმენტურბი სამართლუ ისტორიისა, შერწყმული მასალან მიმზღველობასთან, და მეცნიერული უმწიკვლობა, შერწყმული მხატვრულ გამომსახველობასთან — ამ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს მეთოხველობა ფართო წრისათვის გამიზნული წიგნი.

ა. გულთხეობა, თავის ნაშრომში, ცდილობს კიდევ უფრო გაუღვივოს მეთოხველის ინტერესი ისტორიისა, — კერძოდ, — სამშობლოს ისტორიისა... ამავე მიზნით არის შთავთვნიებული წიგნი, რომელსაც ჰქვია „ქართლის ცხოვრების ქრონიკები, მოთხრობბილი ვახტანგ კუდიანის მიერ“.

ბერძნულად სიტყვა „ისტორია“ ნიშნავს კვლევისას და თხრობასაც. საქართველოს ისტორიისა კიდევ ბევრი რამ არის საკლევბი და დასადგენი. მაგრამ გამოკლევბულია და დადგენბლი იძდენია, რომ მოწიფებული იყო მისი მხატვრული თხრობის აუცილებლობა. მწერლის თვალს უნდა წაეთხობა საქართველოს ისტორიის აკვარტი, მწერლის კალამი უნდა აემტყველებინას დადუმებული წარსული. მეთოხველობა ფართო წრეს სჭირდებობდა სანდო მგზბური ისტორიის უღრანებში გზის გასაკლევბად.

ამ საპატიო და ურთულეს მისიას მოკიდა ბელი ვახტანგ კუდიანმ და წარმატებბითაც ართმეეს თავს.

„ახლა რომ მატარებლბით მიდიხარ ქართლის გულში და ვაგონის სარკმლბდან გზის პირად გაწოლილ გატირლებულ ბორკლევს გასკვბრი, სულ იმ ცეცხლის საქმეა — ცეცხლმა ვადასწავა იმ ბორკლევბდან ამაყად გამოშობრბალი ხეებბი და ბუჩქებბი, ცეცხლმა გამოწოვა და გამოთხრო ნიადაგი. გამომშობრბალი ნიადაგი მერე წვიმასა და

წყალს ვერ დაუზგარდა, ჩამობრბავს ჩამობრბავბა“ — ასე ვვაენობს მწერალი თურქ-სულტრბათა ბარბაროსობის წარუშლულ დაღს, დღესაც რომ ატყვია ჩვენს მიწა-წყალს. მეთოხველი, ცხადია, ვერ წააწუდებობდა ანალოგიურ ტექსტის სპეკიალურ გამოკლევბებში და, ვინ იცის, უცხო ტვეუნის ზღაპრად დაბრბენბლიყო მისთვის სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ვველავე მწერე ფურცელი. მუსიკალური ანბანის უკოდიანრს ვერაფერს ეტყვის ნოტების ჩანაწერი, ხოლო იმავე ნოტების საფუძველზე აღდგრბული მუსიკა ათისგვარი ემოციებსა და ფიქრებს აღძბრავს. მწერლის მიზანიც ეს იყო — ავეღერებბინა მშობალი ინფორმაცია, ერთი პლასტიკური სურათბით გადმოეცა მატბანებებას და მეცნიერბითა ნაშრომებში მოკლემული მასალა. მატარებლის სარკმლბდან დანახული ფურჭრბთალი პეიზაგი საბოლოოდ შეუთვისებდა მეთოხველის მესხბერბებს. მწერლის მავალითბით ვახალსებბული, თვითონაც შეეკდებმა ამოიკობხოს ბუნებბისა თუ ადამიანის ქნბილებბში მისი პირვანდელი სახე, თვალი ვაადღენოს საუენუნეთა მანძილზე მომზდარ ფერბცვალებას.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მესამე წიგნი (გამომცემლობა „ნაყადული“, 1980, რედაქტორბები: გ. მელიქიშვილი, თ. პაპუშვილი), იწყება დავბთ აღმაშენებლის გამეფებბით. „მეფე იქმნა რა დავბთ, მოხობრბულ იყო ქართლი და თვბნიერ ცბხეთა, სადამე არა სადა იყო კაცი სოფელისა შინა, არკარა შენებბულობა“ — ვვაუწყებბს დავბთ აღმაშენებლის ისტორიკოსი. სამეფო ტახტზე აღბს თექქმმეტე წლის ყრბი, რომელსაც უნდგემო დღეში ჩავარდნილმა ქვეყანამ მიანდო თვისი ბედი-იღბბა. გულისფანკვალბთ შეჰყურებბს ვველა, წარჩინებბულია და უბრბლო ქვეშეურდობიც, მტერიც და მოყვარეც, ახალი მეფის პირველ ნაბიჯებს.

...თბთქოსდა თვატრში ვიშყოფებობდებთ, მავურბებლბთა დარბაზბ გასუსტბა და ნელ-ნელა ახდებბა ფარდა. სცენაზე გაწყობბლი პირბქუში დეკორაცია ქვეუნის უმავალითო აობრბებს დალადებბს: დაკარბელებბული სოფლებბი და ქალაქებბი, ვაჩხბილი ბულებბი და ხეებბი. მტრის ხელით დანგრებული და თავლებბად გადაქცეული ტარბებბი, საიდნაც დიდებული საგალობლებბის ნაცვლად ცხენების ჰობენი ისმის. აღარც ხნავენ და აღარც თესავენ. ქვეყანა ტყეს დაშგავნებბია. მხენბი და ნადირბი ველისანი დამკვიდრებბულან ოდესღაც აყვავებულ არემარეში. ცეცხლს ვადაუწყავს შენობბანი და სისხლის მდინარებბი რწყავენ ველს, ნაკლავდ წყლის ნაკლავდბითა პაერიც მოშამებლა და უბმელობის ატმოსფერო დაუმკვიდრებბა. უსაზღვრო ამბიკობთ შეჰყარობბლი თავყერბა ფეოდალებბი კავშირს კრავენ დამყრობლებბთან, თვისბი წერილბანი ინტერესების გულისათვის არაფერს ებუებბინ და არაფერს თაკობბენ. უკვე ჟვალ-რბილში აქბო ვავმქდარბი „უბემოდ ვინ იბღერებბა“ — ეს ვერ

კიდევ დაუწერელი სიტყვები უკვე გამხდარა მათი ცხოვრების დაუწერელ კანონად. ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალთა ერთგული მოკავშირეა ეკლესია, რადგანაც სწორად დიდგვაროვანთა წრიდან არიან გამოსული სასულიერო პირნი და, ფაქტიურად, ცხარის ტყავში გატეხულ მგლებს წარმოადგენენ. შალაღი საეკლესიო თანამდებობანი და სასულიერო წოდებანი იყიდება. პატრი და უკარგავს ცოდნას და განათლებას, ნიჭსა და პირად ღირსებას. მათ აღვილი და უფლებანი უსინდისოდ მიუთხოვნიება ნეპოტიზმის პრინციპებს, ქრთამსა და უკანონობას. უღირსებს გზა ხსნილი აქვთ და ღირსეულნი განზე რჩებიან. ამ განუკითხავ უსამართლობას კიდევ უფრო საშიში და დამღუპველი მხარეც უქონდა. მწერალი ამიტომაც ნათლავს მას ანტიეროვნულ მოვლენად: „რაკალა ეკლესია ზნეობისა და იდეოლოგიის მესვეურად მღველინებოდა, იქ გამეფებული ბორცტეპაც სწორედ ზნეობის სფეროში იტყობოდა, აღმინაწრ ღირსებას ბლავადა, ცინიზმისა და განურჩევლობის ბაცილებს ავრცელებდა, ცუდი მაგალითი გახდა ახალგაზრდა თაობებისათვის“.

მოუთმენლად ველოდებით მთავარი გმირის გამოჩენას სცენაზე და აი, ისიც. მყოფიოდ სწვდება სმენას მისი შინაგანი მონოლოგი. ფიქრის ახალგაზრდა მეფე: რა გზას დაადგეს, გარემუ მტერი როგორ დამარცხოს, როცა ქერ შინაურაც ვერ დაუთარგუნავს. ეკლესია როგორ გადააქციოს ზნეობის ტაძრად, მთაში გაბიზნული მოსახლეობა როგორ დააბრუნოს ბარში, განადგურებული მეურნეობა როგორ აღადგინოს, ვაჭრობა როგორ ვააცხოველოს, გზები და ხიდები როგორ გამართოს, ქვეყნად გამეფებული ბორცტეპა როგორ ვააცამტვეროს, შეღანძლული სამართალი როგორ ამაღლოს, ხალხს გამარჯვების რწმენა როგორ შთააგონოს?

„როგორ, ჩანაირად?“ — ეს კითხვა, „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგიით მძაფრი, რეგურნად მისდევს მეფის ფიქრებს. ის ქერი არ არის დავით აღმაშენებელი. ის მხოლოდ და მხოლოდ მეფეა. ათხრებული ქვეყნის ვეება მოსვენების არ აძლევს თვტქმეტი წლის ყრმას.

...ტრანგი „ისტორიკოსი მ. ბლოკი ამბობდა: ისტორიკოსთაგან ვის არ უნდა იყოს, რომ ახრდილები გამოეკვება სისხლით, როგორც ულსესს, და მათ სმა გაეცათ იმქვეყნიური წველიადღან. მაგრამ ზეარაკის წყალობით მომხდარი სასწაულები ახლა აღარ არის ზოდამი და ჩვენ გვაგონანა ერთადერთი „მანქანა ღრისის“, რომელიც მუშაობს ჩვენს ტერწი და წარსული თაობების მიერ ნაანდრებევი ნელაუღლით იკვებებათ.

3. კვლიძე შესაშური ოსტატობით ახერხებს წინაპართა ახრდილების გამოხშობას მატინაეთა ფურცლებიდან. მთავარი გმირის შინაგანი მონოლოგი ძალუნად იყრობს ჩვენს გულსა და გონებას. როგორ, ჩანაირად?“ — ისევ ჩავგვს-

მის გოლიათთან საბრძოლველად გამხდენელი დავითის ფიქრი.

ერთი აღმოსაველი წყაროს ცნობით, მენავეებს, რომლებმაც ამუღარიანე გადაიყვანეს მალექ-შესა და მისი ქარი, ვასამრჩელი გადაუხადეს ანტიოქიაში, რათა მათ კარგად აღეკვეთ უზარმაზარი სივრცენი თავისი მბრძანებლის სამფლობელოებისა. ძლევამოსილმა სულტანმა ლატეასთან, სირიის სანაპიროზე, ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეაგდო ცენი და მძელი შესწირა უფალს თავისი სახელმწიფოს უსაზღვროების გამო.

აი, რა ძალს უნდა შერყენებოდა ახალგაზრდა ქართველი მეფე — შუა აზიიდან. ხმელთაშუა ზღვამდე გადაქიმულ იმპერიას!

მთელი ქართული და მესხეთი თურქ-სელჩუთა სათარეშოდ ტოვებდა. მეფე ნაქარმაგვეს რომ ჩაეიდეს, წინასწარ უნდა დაზვერის გზები. ნაქარმაგვეი დღევანდელი კარაღეთის ადგილზე მდებარეობდაო, შენიშნავს მწერალი. და სცენის თავზე თითქმის აელვარდა თანამედროვეობის ამსახველი კონკრეტები: ბავშვების მზიარულ კრამულს აფესია არემარე. მათი მვეირცხლი თვალების შუქი ანათებს სოფლის ორლობებსა და ველ-მინდორებს. აქამდე ჩვენ გვესმოდა წარსულის სუნთქვა და უერხოდ იცვლება როლები: „ცოცხალ ექოდ ჩაესმის დიდ მამულიშვილს მომდევნო საუყუნეთა თაობების ეს შორეული ხმები... ეს ქერი არღარხეული შორეული ხმები მძატებს ხოლმე ძალას დიდ მამულიშვილს შეუძლებელი შეაძლებინოს და დაღუპვის პირას მიყვანილი ქვეყანა განსაცუდელისისაგან იხსნას“.

თამამად მსუყვება მწერალი ეამთა დინებაზე გადებულ ხილს. სადაცაა, გაეოცლებული წარსული გადმოაბიქებს აწმყოში და აწმყოც შეეხმინება წარსულს, რომელიც მხოლოდ ოცნებით იცნობდა მას.

მთავარი გმირის შინაგან მონოლოგს მოსდევს დილოგები თავის მრჩეველებთან, ფიქრსა და განსჯას — ბრძოლა: შეუპოვარი, შეუნელებული, შეურჩიებული, პრინციპული, ყველა ფრონტზე გაჩაღებული ტოტალური ბრძოლა.

3. კვლიძე იმოწმებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებს თურქთაგან მრავალქერი დამარცხებული და დაქანული ქართველთა ქარის თაობაზე და შენიშნავს, ამაზე დიდი უხადრეობის წარმოდგენა, ალბათ, შეუძლებელიც არისო. ასეთი ქარის მიღობი როგორ უნდა შესმოტუნე გულადებულ მეტრს? დღე და ღამე ვასწორებული ქმონდა მეფეს, ძილი და მოსვენება არ იყოდა, წარმოუდგენელი მოთმინებითა და გულმოდგინებით ამრავლებდა ქართულ მხედრობას, წერთინდა და ბრძოლის ხერხებს ასწავლიდა.

ნელ-ნელა იცვლება დეკორაცია. მემატიანის მიერ ზოგადი სიტყვებით გადმოცემული ამბავი ფრთებს იხსამს მწერლის კალამ-ქვეშ და უკვე ახალ სურათს ვხედავთ: მათს

ვიწრო გზზე ურმების ქარავანი გამოჩნდა. ეკლერი ყვავილებს სწიფი გაელენილ ჰაერს მძაფრი სტვენიტ ჰკვეთს მოჩოჩივალ ხელნების შრილი. აღამიანთ ფიჭვი ემსგავსება შიის მოდღებულ ნაკადულის ბუბუბუს. ხევიდან რომ ამოპრილა გზაზე, ხან მდორასა და გაურკვეველს, ხან მრთოლვარესა და გამძაფრებულს, ხანაც გაავებულს. ერთმანეთში გადაკლბილა იმედი და შიში. „დიდი თურქობის“ დროს მთაში გაბიზნული მოსახლეობა საკუთარ სოფლებს უბრუნდება. აგერ, მსხვილი პლანით გამოჩნდა ათითორმეტრი წლის ბიჭუნა, სათამაშო მშვილდისპარი რომ გადადგოდა და ხალისიანად შიბიძებს გზაზე. ურმის კოფოზე წამომდგარი მამალი უკვე თავისი ეზოს ღობეზე ელანდება და შერე გამოტრის წინ მზაზე გაწოლილ მურასაც წარბოილდენს... მაქამ გადამწვარ და გადაქცეულ სოფელს ნასოფლარაც აღარ ეთქმოდათ. მამაპაპათა ნაფუფქვარც ერთადერთი სუღიერი ხელებათ — ყვავი, მოსაკლავად რომ ვეღარ გუშეტებია ბიჭუნას.

მწერალმა დახატა ტრაგიზმით აღსავსე სურათი, ოღონდ განწმინდალია იქნება არა მატონიანი შემონახული პათეტური ფრახების განმეორებით, არამედ შესანიშნავად მიგნებული ცხოვრებისეული დეტალებითა და უბრალო აღამიანთა სულში ჩაწვდომით. ერთი ნასოფლარის დანახვა გვიმდევნებს მთელი ქვეყნის სატკივარს.

მცირე მასშტაბის ბრძოლების შედეგად დღეს ერთი სოფელი თავისუფლდება მტრისაგან, ხვალ — მეორე... სახისის გადაჩვეული მიწა მოიხენებოდა, ეზო შემოიღობებოდა, ვახი ჩაიყრებოდა, სოფელში გახშირდებოდა ძალის ყუფა და მამლის ყუფილი, კერა გათბებოდა, ცაში კვამლის მოლოტოვი სვეტი დაეიდებოდა და კვამლს თანდათან მიჰქონდა კაცის დარდიც.

ობიექტური კალამი მწერლისა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს დავით აღმაშენებლის წარმატებულ კავშირს საგარეო ფაქტორებთან (დიდსელჩუკთა იმპერიის რღვევა, ქვარისანთა გამოჩენა). ექსკურსი პირველი ქვარისნული ლაშქრობის ისტორიაში საესებით გამართლებულია და ემყარება ქართული მემატიანის სიტყვებში ცნობას („ამას ეამა და მოვიდეს ფრანგი“...).

საგარეო საფრთხე შესუსტებული იყო და მეფეს უკვე შეეძლო სათანადო ურთადლება დაეთმო საწინაო საქმეების მოწესრიგებისათვის.

3. ჭელიძე იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მწარე სიტყვებს: წმიდა ეკლესია ავანათია თავშესაფარად ქველთა, ყოველი უსქულობა და ცოდვა მღვდელთაგან მოდისო, მწერალი აღნიშნავს, რომ მემატიანის სიტყვები საშფავროზე წარმოთქმულ საბრალდებო დსკენს წააგავს. ცოცხალი ემოციებით დამუხტულ მემატიანე სიტყვას და მკითხველის სმენასაც თოქოსდა სწვდება ორატორის გულის გახშირებული ფიქვება. მწერლის თვალსაწიერში, უპი-

რველეს ყოვლისა, ხედება ჩველი პროფანული მოახროვნე აღამიანებისა, რომლებიც იყვნენ დავით აღმაშენებლის მრჩეველები და თანამებრძოლნი. მათ მტკიცედ გადაუწყვეტიათ იხსნან სამშობლო მძიმე განსაცდელისაგან და კვლავ დაიყენონ წარმინებისა და განვითარების ნაივალ გზაზე. აღორ სთავაზოვივე იყო ამღერეული და მღვდელმთავრები თვითონ იყვნენ პირველი ავანჯალები, თვითონ იძლეოდნენ უკანონობისა და უზნეობის ნიშნებს. ეკლესია, პატრონებისა და სათნოების დაწერების საკლავად, ზნეობრივად ხრწინდა ქვეყნის.

რუს-ურბნისის საეკლესიო კრება (1103 წ.) — მოწვეული „დიდთა წყლულებათა კურნებად“. მწერალი გეფყდის კრების მონაწილეთა ერთ ჩვეულო პორტრეტს: მოსალოდნელი მართლმსაქმელების შიშით აფორიაქებული და ამორგებულნი, სამღვდლო სამოსელშიც რომ უკოთ თავისი სხეულის სისრულს დაფარვა. მათი სახის ფერი თუ ამღერეულ-ხასისხლიანებული თვლები მარხულობასა და წმინდა წიგნების კითხვას როდო მიგვეჩვენებს. ისინი კორებს ავრცელებენ და ურეტკოსობას სწამებენ ქრისტიან მეფეს: ეკლესიას არბებს, ღმთის შიში და სიუვარული დაუკარგავსო. ამოდ ლამობენ, რომ ქრისტეს უღირს შაბურთა წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა მონათლონ ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლად.

„საჭირო იყო გულახდილი, მკაცრი და საქმიანი მხილება მთელი მანკიერებისა. მხილება საქვეყნოდ, უკვლას გასაგონად, ამ უკანონოთა ფართო სამსჯავროზე გამოტრია და პირუთვნელი განსჯა“, — წერს ვ. ჭელიძე.

მწერალი უფრო მეტს ამბობს, კიდევ მემატიანე, ცოცხალი სურათებითა და ღრმა ანალიზით ავსებს ხარვეზებს და მკითხველსაც უკო მეტი შეუძლია ამოკითხოს მწერლის სიტყვებში, თავის ფანტაზიასაც მისცეს გასაქანი და თვითონაც გაიაროს ეამთ დინებაზე გადებული ხიდი; თავისი ნაფიქროლი ამოკითხოს წიგნში, რომელიც წარსულის ამბავს ისე გადმოგვცემს თითქოსდა გუშინ მომდაროვოს. მწერალი ულვიძებს მკითხველს მოუფლდნელ ასოციაციებს.

3. ჭელიძე დინჯად და დამაყარებლად უხსნის მკითხველს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობილი ფრაზა „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს“... — პოლემიკური სიმამფრით არის განპირობებული და მამულის დამცველ-ამშენებელ აღამიანებს როდი გულისხმობს. მემატიანე იმ პირთ გმობს, რომლებიც თავის ინტერესებს აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე მალდა და უკითხივებენ მეფის, ერთნი მოიძულა და დაამდაბლა, ხოლო მეორენი შეიყვარა და განადიდო. სწორედ იმ ორგულთა მიმართავს მემატიანე და ესარჩლება მეფეს: ერთგულთა, მამაცთა და ღირსეულთა დამწიფრება — ორგულთა, ქაბანთა და უღირსთა ნაკლავად, რა სასაყვე-



დღროა, როდესაც ასეთი მოქმედებით კაცი ღმერთს ემსგავსება.

3. ჭეღვიძის წიგნის ფურცლებზე მკაფიოდ არის წარმოდგენილი დავით აღმაშენებლის პორტრეტი. აი, მას ვხედავთ ერწუხის ომში, სადაც ერთი ღღის განმავლობაში სამი ცხენი მოუკლეს მეფეს და მეოთხეზე ამხედრებულმა გამარჯვებით დაასრულა ეს ომი. შემდეგ მას ვხედავთ გელათის ტაძრის მშენებლობაზე. ლეგენდის თანახმად, ტაძრის კედელში დატანებული დიდი ლოდები საკუთარი მხრებით ამოტყანილი დავით აღმაშენებელს. მეფის მხრებზე დამოილილი სინათლე სახელმწიფო საქმეებისა დიდ ლოდებად გამოქვეყნდა ხალხის მადგურელ აზროვნებაში. აგერ, მისივე თაოსნობით აშენებულ ქსანოში გამოჩნდება დავითი, სწეულებს მონახულებს და გამხმნვეებს... ახლა საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი თავის ღირსებას არ იკითხავთ: გამოეფდა თუ არა, უკვე იუკადრისა უფლისწულობისა ნაწყალბობე ბიზანტიური ტიტული. ქართული მეფის სახელი უფრო საამაყოდ მიიჩნდა. მწერალი შეგვახსენებს, თუ როგორი სასაოებით მოკლდნენ ქართველი დიდებულები, არც თუ რი დიდი ხნის წინათ, მათი ჭიშკლის წყაროდ გამხდარ ბიზანტიურ ტიტულებს, და ამ გარემოების გათვალისწინებით ხაზს უსვამს საუფუნებანების განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულია განსაკუთრებული მნიშვნელობაზე დავით აღმაშენებლისა, ლაშქრობაშიც რომ არ იზორებდა საყვარელ წიგნებს და მშვენიერად იცოდა არა მარტო ქართული და საქრისტიანო მწერლობა, არამედ — მაჰმადიანურიც და, უცხოური წყაროს ცნობით, განწის ვადს უფრანსის საკითხებზეც ვამბობოდა. და აღარ არის ვასაკვირი ესოდენ განათლებული მეფის საყვედურბარევი ირონია ამ სასწმუნოებრივი პაექრობისას, რომელიც იფეთქა მისივე ინიციატივით მოწვეულ შემვედრანზე ორი მომწე და მეზობელი ხალხის ეკლესიას ღმერთის არსებული უთანხმოების აღმოსაფხვრელად.

3. ჭელიძე იმომწებს ქართველი მეფის აღტაცებულ დახასიათებას, სიმბურ წყაროებს რომ შემოუნახავთ ჩვენთვის, ორიენტიალური ასპექტით წარმოგვიდგენს ამ საკითხსაც და კიდევ ერთხელ ვკრწნობთ დავით აღმაშენებლის პორტრეტურ-მორალური მსოფლმხედველობის მთელ სიღაღებს.

ეთელ მიშლე წერდა: „ერი, ამ სიტყვის უკვლახზე ამადლებული მნიშვნელობით, მწელის იპოვეთ თვით ხალხის წიაღში. სათაუკ ეი გაიხდევან — ეს არაა ერი, არამედ მისი რომელიღაც ფენა თუ ნაწილი, სახეცვალბადი და არასანკრძლივი. ერის დიადი სული მთელი თავისი სიმძლავრით მხოლოდ გენიოსის პაროვნებაში გამოვლდნება.“

ილია ქავჭავაძე ხოპ ამას ემობოდა (სწორედ დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ

წერილში): „ერი თავის გმირებში თავის სულსა და გულსა, თავის მწერტენსა, თავის ღღნეს და შემღებლობას, თავის ხატსა და მავალიოს“.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ ყურადღება გამახვილებულია ობიექტურ ფაქტორებზეც, რამაც ხელი შეუწყო უდიდესი მამულობის ნიჭიერი და ბრძენი მმართველის წარმატებებს. მართალია, თურქ-სელჩუკებმა გაანადგურეს ქვეყანა, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა შედარებით მოკლე დროში და მტრებმა ვერ მოასწროს დამყრობალი ქვეყნის სულიერი დათრგუნვა და დამორჩილება, დიდი და თვითმყოფადი კულტურის ამოძრკვეა, აღმართა ფსიქიკის შეცვლა.

3. ჭელიძე ხაზსამით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის არაჩვეულებრივ პროგრესულობას: „მას საოცრად გაფაქიზებული სმენა და ზედვაქვს — თითქოს უკვე გრძნობს დასავლეთის ქვეყნებში ჭერ არდარზეულ, მაგრამ მთაბლოებულ სენთქვას ახალი ცხოვრებისა, ახალი აზროვნებისა, და ჩვენ უკვე ვნახვთ, რა ადრიადა იჭერს თადარიგს, როგორ ამზადებს ნიადაგს, რომ მისი ქვეყანა და ხალხი, კაცობრიობის ისტორიაში ამ დიდ მოძრაობას და მჭერებს არ ჩამორჩეს, არ ვაირიყოს“...

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა 3. ჭელიძის წიგნის მხოლოდ ერთი, თუმცა საყმაოდ ვრცელი, ნაწილია და მასში რელიეფურად არის გამოკვეთილი მწერლის შემოქმედებითი მეთოდები, მისი მიღგომა საისტორიო წყაროებში და მისალის ალბებრად ამტკიცებლობა.

3. ჭელიძის წიგნში საფუძვლადანდ არის გაშუქებული დავით აღმაშენებლის რეალმეწმწენარეულობითი პოლიტიკა, დაბეჯითებით რომ გრძელდებოდა მისი მექვიდრტების დროსაც.

ქართველი მეფეებისათვის ქრისტიანობა წარმოადგენდა დროშას, რომელიც წინ უძღოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამოწვდილ მახვილს; მაგრამ, მადლობა ღმერთს, არც ერთი მთგანი არ ყოფილა შეპყრობილი რელიგიური ფანატიზმით. ისინი, სარწმუნოების ინტერესებთან ერთად, ითვალისწინებდნენ მსამადიანური სამყაროს გარემოცვაში მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ინტერესებსაც. შესაძლოა, ვინმეს მოგჩვენოს, რომ ქართულ ეკლესიაში „წმიდა კეთილმსახრად“ შეურაცხელი დავით აღმაშენებელი ძალზე სიმამიურად ყოფილა წყუყობილი მაჰმადიანობის მიმართ, ვინაიდან თბილისში მცხოვრებ მაჰმადიან პოეტთა და სუფიებისათვის თავშესაფარი აღშენებია, ქონებრივ დახმარებას უწევდა, დარბაზობას უმართავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონაც დადაოდა მეჩეთში, სადაც ლოცვასა და უფრანის კითხვას იმშენდა! იგივე სიმამიავები უნდა დაეწმით თამარ მეფეს, რადგანაც XII საუკუნის დამლევეს, ჭალაქ დღენში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით მოწვეულ სა-



სამართლის (სომეხთა მონასტრებს შორის ჩამოვარდნილი დავის გასაჩივრად) საქართველოს დიდებულებთან თუ მღვდელმთავრებთან და სომხური ეკლესიის მესვეურებთან ერთად ეწე-რებოდნენ თბილისის, ანისისა და დავის უადი-ები. ეს უკანასკნელი ფაქტი ივ. ჯავახიშვილს მიანიდა „საქართველოს უაღრესი კულტურისა-ნობის“ დამამტკიცებელ საბუთად. საერთაშო-რისკო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაო-ცარ და მოქმთბლავ შავალითად. დიდი ქართვე-ლი მეცნიერი სიამაყით შეინშნადა: „სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი“. დაბაჟ, საქა-რთველი აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბერ-ჩად აცხადებდა თავს და დანახელად ასე უყუ-რებდა მას, მაგრამ ეს მოვლენა სრულიად არ გამოიჩინავდა საქართველოს სამეფოს ტერი-ტორიაზე მსხოვრებ მამადიანთა მიმართ ტო-ლერანტულ პოლიტიკას, რომელიც ნაქრანხევი იყო არა რომელიმე მეფის სიმპათიებით მამა-დიანთა სარწმუნოებისადმი (როგორც შეიძ-ლება ეგონოს საქმეში ზაუზუნად კაცს), არამედ ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობებით. მისი მჭიდრო ურთიერთობით მამადიანურ სამყაროს-თან. ამ ურთიერთობის უაყოფა მხოლოდ ზიანს მოუტანდა საქართველოს და, ამიტომაც, ქართ-ველ სახელმწიფო მოღვაწეებს საქართველოში თუ მის მეზობლად მსხოვრებ მამადიანთათვის „ქვაროსნული ომი“ არასოდეს გამოუცხადებია-თ. ქართველი მუფეების სანიმუშო რწმუნებუ-ნარებლობა განამტკიცებდა და ზრდიდა საქა-რთველს საერთაშორისო ავტორიტეტს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ შესაძვე წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დავით აღმაშენებლის შემვიდრეთა მოღვაწეობის პერიო-რის და განსაუთრებით — საქართველოს ისტო-რის ე. წ. „ოქროს ხანას“, თამარისა და ტრს-თაველის ეპოქას. აქ განხილული საკითხებისა და მშვენივრად აღწერილი ეპიზოდების უზრა-ლო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. მწერლის მეთელი უცვლელი რჩება: ისევ ბეგით ძიება სხედასატვა ხასიათის მსალებლისა და მხატვრული სახეებით შევსება. მითხველი ეცნობა „ოქროს ხანის“ ნათელსაც და ჩრდილსაც და შეუძლებე-ლია არ გავიზაროს სათანადო ილუსტრაციებით შემაგრებული დასკვნა: „...ის შთაბეჭდილება, თითქოს თამარს უზრუნველი ზეობა ჰქონოდა და ყველაფერი იოლად და დაუბრალოდ მოეგ-ვარებინოს, მცდარია და იმაზეა დაფუძნებული, რომ შემდეგ მისი სახელი მართლაც ლეგენდად იქცა. სინამდვილეში ჩვენი ხალხის ისტორიიდან იქნებ ბევრი ვერ დაეასახლოდ ისეთი მეფე, რომელსაც ამდენი წინააღმდეგობა და გულის-ტკივლი შეხვედროდა, თითქოს თამარის სა-ხელს არ შექდერის ეს სიტყვა, მაგრამ, ასეთი ტრავმული ცხოვრება ჰქონოდა“.

ქართული კულტურის საკითხებზე მსჯელობი-

სას ავტორს არ ავიწყდება საყოველთაოდ მიმ-რებული ტემპირიტება იმის თაობაზე, რომელიც არტელონი ორი დიდი სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის შიქანზე იდგა და ფართოდ ეღებდა კარს ორ დიდ კულტურას. ძველი და თვითმყოფადი კულტურის პატრონს არ ეშინო-და ვარედან შემოსული ნაყადისა, რომელიც სა-კეთიარ ნიადაგში ღრმად ფესვებგადმულ ქარ-თულ კულტურას ვერ ართმევდა ეროვნულ შე-ობას, და მხოლოდ ამიღებდა.

ვ. კელიძე ურიდება მყვირალა ფრანგებს და, საკმაოდ ხშირად, მსუბუქი ირონიით ახავეს თავის თხრობას, რათა განმუხტოს დამაბუღო-და მკითხველს სული მოათქმევინოს. ასე შავა-ლითად, თუქ-სელმტყთა საქართველოში თარე-შთან დაკავშირებით შეინშნავს, ადრე თუ და-ზამთრებამდე იკლდნენ ქვეყნის და მერე გა-ზაფხულის მოსვლას ელოდნენ, ახლა გამოსაზამ-თრებელ ადგილებსაც პოულობენ: „როგორც ხედავთ, კარგად შეგუებთან, გაშინაურებთან ჩვენიერ ზამთარს, კარგად აუთონებთან ჩვენი ხალხის საცხოვრებელი“. და შემდეგ, იმავე ეფე-ქტის მისაღწევად, მემატიანის პიპარბოლურ გა-მოთქმასაც იმორწმებს: რაც კი დედამიწის ზურ-გზე თურქობაა, ყველას აქ მოუყვარია თავი და მათი აქედან გაყენა სულტანსაც კი აღარ ძა-ლუქს, გულით რომ შიინდიმოსო. იგბრ, საქა-რთველოდან მამადიანთა დელეგაცია ჩადის სუ-ლტნის კარზე და შეელას გვედრება მზარბან-ბელს. მართლაც კომიკური სიტუაცია გახლავთ: თბილისში ჩაუდებელი გადამთიელი ჩივის, ქა-რთველები ჩვენს ქალაქში აღარ გვაკვენებენ, ამდენი უსამართლობა და ძალმობრეობა ჩოღემ-დე უნდა ვითმინოთ. დელეგაციის წევრებს, უკიდურესი სასოწარკვეთის ნიშნად, შავად შე-უღებავთ პირისახე და ხელები, ზოგიც თავი თეხამდე გამურულა. და კიდევ ერთი საგულის-ხმო დეტალი: მწერალი, ჩვენი ქვეყნის მტრების დახასიათებისას, მხარობს ხოლმე ძალზე კონტა-სიტყვას „მოძებდურებელი“, რომელიც გადამ-თიელთა სიმრავლესაც შიგვანიშნებს და ირონი-ული ელფერიც დაქრავს, თითქოსდა მათი მიზ-ნების ამოჭრასაც გვამცნობს.

თავის წიგნის ფურცლებზე ვ. კელიძე დაწ-ვრილებით ეხება ყველა მნიშვნელოვან პირო-ბების ქვეყნის ცხოვრებაში: ყიფიყათა მუღმივი ქარის შექმნა, დიდგორის ომი, ბრძოლა ანისო-სათვის, დენმა ბატონიშვილის ტრაგიკული ის-ტორია, ყუთლუ-არისების დასას პირობაში, შამქორისა თუ ბასიანის ომი, მეთხვე ქვაროს-ნული ლაშქრობა და ტრაპიზონის საკეისროს დაარსება...

„ძალიან გაგვიგრძობდა ომების ჩამოთვლა და აღწერა, — შეინშნავს მწერალი და გვიზიარ-ებს თავის გულისტკივილს მემატიანეთა მონა-თხრობის ერთფეროვნებაზე, თითქოსდა არც არ-სებულობის მეორე მხარე ჩვენი წინაპრების ცხოვრებათა — ხალხის ყოფა და შრომა, ჩვეუ-

საქართველოში  
საქართველოში

ღებრივი ურთიერთობა აღამაინებსა, სწორედ ხალხს ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა ცოცხალი აღწერა აღადგენს მკვდრებით წარსულს. რა შწირი და ცალმხრივი იწებოდა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე, სხვა წყაროებით რომ არ ზერხდებოდეს „ქართლის ცხოვრების“ შევსება, შწირალი გულმოდგინედ ეძებს მრავალმხრივ ცნობებს არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ მასალაში, ეპიგრაფიკასა და დოკუმენტებში, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში, ქართული მწერლობის ძეგლებში. ეძებს, პოულობს და ამდიდრებს თავისი ფანტაზიით, რომელი აღმოცენებულია რეალობიდან და შედღეობებულია იმავე რეალობასთან.

ავტორის „საუკუნეთა მზილველ მანქანას“ შექაყან მკითხველი გელათის აკადემიის ლექსიაზე, მაშინდელი სტუდენტებით გაქედოლ დარბაზში; ვისმენთ პატივობას მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საქითებზე (იხე — მომდინარე პარალელი თანამედროვეობასთან); ვათავლიერებთ გელათის ტაძრის ფრესკებს, სიაღინაც წმინდანთა ნაცვლად შემოგვეურებენ მიწიერი აღამაინები თაივანით ჩვეულებრივი გრძნობებითა და ვანდლებით. თთქოსდა ცოცხლდება გვეფთხის სასახლე, თთქოსდა ზედად საუკუნეების წინათ აქ მობინადრე აღამაინების მკრთალ სილუეტებს და მათი ხმეზიე ჩაგვისის. წვეულება, სჯაბასის სახელმწიფობებზე საქმეებზე, აგზვიზებული ბუზარი და ცეცხლიან ჩაფიქრებულ აღამაინი. სეფექალმაზის ჩურჩელი და ზორეული სახელმწიფოს ელჩის გამოჩენა, სავაზირის სხდომა და პურობა, ქვეყნის დიდი პრობლემები და აღამაინათა წერილობანი ენებანი, ბრძოლა თანამედრობისათვის და ინტრიგები. გრძელდება კალენიოსკობი გაყოცხებული წარსულის: გზაზე მიმავალი სავაჭრო ქარავანი და გზის პირას გამართული ფუნდუკები, ზიღები და წყალსდენები, საბრთოლო საჭურველი და საქართველოს დროტა, ქართული მინერა და ქართული საექსპორტო საქონელი, გვეზის სახლი და მსხვილი ფეოდალის სასახლე, შორომა და ლხინი... ჩვენი წინაპრები, გართულნი ყოველდღიური საქმიანობითა და მათთვის მისაწვდომი საამეებით.

აგერ, წარმოგვიდგება სურათი იშში გაყოლებისა, ვეცნობით მკომრის ზურჯინს: ცალთვლში ჯავშან-მუზხარდი უწევია, მეორე თვალში — საგზალი, თინის პურების ქვეშ რაღაც მკერივს შეეხო ჩვენი ცნობისმოყვარე ზელი. „და როცა ამ საგანს შეიკნობთ, საამურად გავგლიშებათ. ჩურჩხელა ყოფილა, ჩვენებური ტაბილა ჩურჩხელა, ჩვენებური კაცის და მუნახის ნაყოფი. სახალისო საქმელიც არის, უმთიანიც, დიდხანსაც გამძღეს, სატარებულადაც ადვილია. მართლაც, დიდებული საგზალია მკომრისათვის“.

მემკრათა რაზმი დობრა და მთებში გატრინაჩებულ გზას მიჩაჩებული დედის გულიდან ვე-

დრება ისმის; ღმერთო, შენ უშველდე... გაუმარჯვე... ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე... საუკუნეებს მიპყვება ვკო და დაესრულებლივ მეორდება.

ვ. კელიძე არ წასტლი იოლი და მაღლენებელი გზით. იგი გაცილებით მეტს მოგვიანობით, ეიღე მატონაში წერია. მისი შემოქმედებით მეოთხე გულისმობს არა წყაროების „თარგმანს“, არამედ მათ შევსებას, ახლებურად ამეტყველებს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოშინაურებას. იქნება შთაბუქდილება, თთქოსდა ჩვენი ნაცნობ-შეგობრების ამბავს ვისმენდეთ. ცხადია, ამით არც სიღიფი იყარვება ვარსაფულდოთო და არც ტრავიზში. ერთიცა და მეორეც მშვენივრად არის გამოხატული მკითხველისათვის საინტერესო თხრობის სიღა და თვეშეკავებული სტილით, რომელიც მაკრალ უკავაღებს მაღალფარდოვან აფორიზმებსა და კონიუნქტურულ ზიზილ-პაბილებს.

ვ. კელიძის წიგნი, უამრავ ქართულ და უცხოურ წყაროებთან ერთად, გათვალისწინებულია ქართველ მეცნიერთა დიდი მონამკვარიც — სოლიდური კვლევები, ამოცანილი „ქართლის ცხოვრების“ საბარკველზე. წიგნი ამოქმედებულ ავტორთა შორის შეგვდებით ქართველ ისტორიკოსებსაც, ივ. ჯავახიშვილსა თუ შ. მესხიას, და არასტორიკოსებსაც, იქნება ეს პიღროლოგი ა. ლოსაბერიძე თუ ისტორიის თვლაველი ენთუზიასტი ა. მამულაშვილი. ზედმეტი არ უნდა იყოს ამ გარემოების აღნიშვნაც, რომ ვ. კელიძე უღარესი ეკთილსინდისიერებით იცავს მეცნიერული ეთიკის ნორმებს და მთოთოებს ყველა მეცნიერს, ცნობილსა თუ უცნობს, ვისი ნაშრომითაც კი უსარგებლია წიგნზე შეშობის დროს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არც სპეციალური გამოკვლევა გაბლავთ. ერთობ იეღლად ასათვისებელი მკითხველთა ფართო კრისათვის და არც — ისტორიული რომანი სიღაც მწერლის ფანტაზია, ზორად, სინამდვილეს შორდება. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არის დოკუმენტური სმართვები, ამეტყველებული მწერლის ვალშით; ეს არის ცოცხალი და საინტერესო ისტორია, რომელიც შეიცავს წყაროებსა და გამოკვლევებში დადასტურებულ-დადგენილ სინამდვილესაც და მასზე დამოკიდებული მხატვრული წარმოსახვით შექმნილ სურათებსაც.

...თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვ. კელიძის წიგნი ეამთა დინებაზე გადებული ზიდი ღირსეული ეკვივალენტია ძველ საქართველოში „მდინარეთა სასტკეთა ზედა“ აგებული ზიღებასა, რომელთა შესახებაც სიყვარულით მოგვითხრობს მწერალი და რომლებიც, სპეცილისტთა აზრით, საეგებით აქმაყოფილებენ თანამედროვე ხიღმშენებლობის კანონებს.

67-10

35



8360 80 333.

059860  
78128

## „МНАТБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ